

დინანა პერიკაშვილი, მზია თოდუა,
სოფო ჩაჩავა, ზურაბ ძლიერიშვილი

**კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა
სამოქალაქო სამართალში**
თანდართული კაზუსის ნიმუშებით

თბილისი
2015

წინამდებარე წიგნი გამოცემულია GIZ-ის (Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit) ფინანსური მხარდაჭერით.

Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (GIZ) GmbH (გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება) გერმანიის ფედერალური მთავრობის დავალებით მუშაობს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. იგი მხარს უჭერს გერმანიის ფედერალურ მთავრობას, განახორციელოს სხვადასხვა პროექტი საერთაშორისო თანამშრომლობისა და მდგრადი განვითარების უზრუნველყოფის მიზნით.

1993 წლიდან GIZ-ი ხელს უწყობს სამართლისა და იუსტიციის რეფორმებს გატარებას სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში. მისი მიზანია სამართლებრივი სახელმწიფოს საკითხებზე ტრანსნაციონალური დიალოგის წარმართვა და კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მყოფი სამართლებრივი სისტემის განმტკიცება. სხვა ღონისძიებებთან ერთად, ადგილობრივი და გერმანელი ექსპერტების მჭიდრო ურთიერთთანამშრომლობით ხორციელდება საკანონმდებლო კონსულტაციები, კვალიფიკაციის ასამაღლებელი სემინარები და გამოცდილების გაზიარება. გარდა ამისა, GIZ-ი ხელს უწყობს იურიდიული ლიტერატურის შექმნას და სამართლის პოპულარიზაციას.

GIZ-ის სამართლის პროგრამის პუბლიკაციების ელექტრონული ვერსიების ჩამოტვირთვა შესაძლებელია ვებ გვერდიდან: www.giz.de/law-caucasus

GIZ არ იღებს პასუხისმგებლობას წინამდებარე გამოცემის შინაარსობრივი მხარის სისწორეზე.



Seit ihrer Gründung im Jahr 1992 berät die Deutsche Stiftung für internationale rechtliche Zusammenarbeit e.V. (IRZ) ihre Partnerstaaten im Auftrag des Bundesministeriums bei der Reformierung ihrer Rechtssysteme und der Justizwesen. Rechtsstaatlichkeit und Demokratisierung sind Voraussetzung und Garant, um grundrechtliche Freiheiten zu wahren, stabile staatliche und gesellschaftliche Strukturen zu stärken sowie wirtschaftliches Wachstum anzuregen. Diesen Entwicklungsprozess zu unterstützen ist Aufgabe der IRZ, wobei die Bedürfnisse des jeweiligen Partnerstaats immer im Mittelpunkt stehen.

Die Zusammenarbeit der IRZ mit Georgien basiert auf einer gemeinsamen Erklärung zwischen dem georgischen Justizministerium und dem Bundesministerium der Justiz von 2005 und wurde im Jahr 2006 aufgenommen. Die Schwerpunkte der Tätigkeit liegen in der Umsetzung internationaler Abkommen in georgisches Recht, in der Beratung im Straf- und Strafvollzugsrecht sowie der Aus- und Fortbildung von Rechtsanwendern.

გერმანიის საერთაშორისო სამართლებრივი თანამშრომლობის საზოგადოება (IRZ) შეიქმნა 1992 წელს და ამ დროიდან გერმანიის იუსტიციის ფედერალური სამინისტროს დაკვეთით დახმარებას უწევს პარტნიორ სახელმწიფოებს სამართლებრივი რეფორმების გატარებაში. სამართლებრივი სახელმწიფო და დემოკრატია არის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის, სტაბილური სახელმწიფო და საზოგადოებრივი სტრუქტურების ჩამოყალიბება-გამყარების და ეკონომიკური ზრდის აუცილებელი წინაპირობა და იმავროულად გარანტი. სწორედ განვითარების ასეთი პროცესების მხარდაჭერა წარმოადგენს IRZ-ის ამოცანას, რომლის ფარგლებშიც ცენტრალური მნიშვნელობა ენიჭება ასევე შესაბამისი პარტნიორი სახელმწიფოს ინტერესებს.

საქართველოსთან IRZ-ის თანამშრომლობა ეფუძნება საქართველოსა და გერმანიის იუსტიციის სამინისტროთა 2005 წლის შეთანხმებას, რომლის განხორციელებაც 2006 წლიდან მიმდინარეობს. ამასთან, თანამშრომლობის მთავარი სფეროებია: საერთაშორისო შეთანხმებებისა და ხელშეკრულების იმპლემენტაცია ქართულ კანონმდებლობასა და სამართალში, საკონსულტაციო საქმიანობა სისხლის საართალში და სასჯელაღსრულების სფეროში და პრაქტიკოსი იურისტების განგრძობითი იურიდიული განათლება.

იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდი 2005 წელს საიას იურიდიული სწავლებისა და ინფორმაციის ცენტრის ბაზაზე დაფუძნდა და მისი ერთადერთი დამფუძნებელი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაა.

სამართლებრივი განათლების მიღების ალტერნატიული საშუალებების შექმნა, იურისტების პროფესიული ზრდის, საზოგადოების სამართლებრივი განათლებისა და ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში იურიდიული განათლების ხელშეწყობა, იურიდიული განათლების თანამედროვე სტანდარტების დამკვიდრება საქართველოში – ეს ის საწესდებო მიზნებია, რომელთა მისაღწევადაც ფონდი ხელს უწყობს:

- საგანმანათლებლო-შემეცნებით საქმიანობას იურისტთა პროფესიული დაოსტატებისა და კვალიფიკაციის ასამაღლებლად;
- იურიდიული ბიბლიოთეკებისა და ელექტრონული საინფორმაციო ცენტრების შექმნას;
- დამხმარე სახელმძღვანელოების გამოცემას უმაღლესი იურიდიული სასწავლებლების სტუდენტებისათვის;
- სასწავლო, სამეცნიერო, საგამომცემლო და მთარგმნელობით საქმიანობას;
- მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფში სამართლებრივი ინფორმაციისა და ლიტერატურის გავრცელებას;
- სტუდენტთა და პედაგოგთა გაცვლითი პროგრამების განვითარებას;
- სტუდენტთა მოტივაციისა და წახალისების ეფექტური სისტემის შექმნას;
- ეფექტური საგანმანათლებლო პოლიტიკის ფორმირებას.

ფონდი, 6-თვიანი სასწავლო კურსების სახით, ალტერნატიულ იურიდიულ განათლებას სთავაზობს იურიდიული პროფესიით დაინტერესებულ პირებს. კურსებზე ყოველწლიურად 150-მდე სტუდენტი გადის მომზადებას. ფონდი ორგანიზებას უწევს მიზნობრივ ტრენინგებსა და საჯარო დისკუსიებს; სკოლის მაღალი კლასის 250-მდე მოსწავლეს ყოველწლიურად შესაძლებლობას აძლევს, მიიღოს დამატებითი ცოდნა ფონდის სამოქალაქო განათლების საკვირაო სკოლაში როგორც თბილისის, ასევე ბათუმისა და ქუთაისის მასშტაბით; ორგანიზებას უწევს საპარლამენტო დებატების შიდა და ეროვნულ ტურნირებს, რომელშიც მონაწილეობენ თბილისის, ბათუმის, ქუთაისის, რუსთავის და გორის სამართლის ფაკულტეტის სტუდენტები; ორგანიზებას უწევს საკონსტიტუციო ოლიმპიადას და იმიტირებულ სასამართლო პროცესებს, რომელშიც მონაწილეობის შესაძლებლობა აქვთ სამართლის ფაკულტეტის სტუდენტებს მთელი საქართველოს მასშტაბით; საქმიანობს უცხოური იურიდიული ლიტერატურის თარგმნის მიმართულებით და ქართველი ავტორების მონაწილეობით გამოსცემს სახელმძღვანელოებს.

სარჩევი

Vorwort.	7
წინასიტყვაობა	10
I კაზუსის განხილვის მეთოდი	15
1. სამართლებრივი დასკვნის მნიშვნელობა	15
2. ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევა.	17
3. სუბსუმცია.	20
4. სამართლის ნორმათა გამოყენება	22
5. „სწორი“ პასუხი, ენა	30
II კაზუსები, ამოხსნის სქემები და სამართლებრივი დასკვნები	
მითითებული თემატიკის მიხედვით	32
კაზუსი № 1	32
კაზუსი № 2	37
კაზუსი № 3	42
კაზუსი № 4	52
კაზუსი № 5	60
კაზუსი № 6	71
კაზუსი № 7	78
კაზუსი № 8	92
კაზუსი № 9	102
კაზუსი № 10.	116
კაზუსი № 11.	145
კაზუსი № 12.	151
კაზუსი № 13.	155
კაზუსი № 14.	165
კაზუსი № 15.	176

VORWORT

Die juristische Arbeitsmethodik ist seit vielen Jahren ein Schwerpunkt der georgisch-deutschen juristischen Zusammenarbeit, anfangs noch gemeinsam mit den Richterakademien für die Fortbildung von Richtern, später aber auch zunehmend mit den Rechtsexperten der Universitäten für die juristische Ausbildung. In diesem Kontext befasst sich das vorliegende Skript mit dem wichtigsten Handwerkszeug des Juristen, nämlich der Methode der schrittweisen Anwendung abstrakter Normen auf einen konkreten Sachverhalt im Leben. Es ist daher von zentraler Bedeutung für die methodische Ausbildung, aber auch als Grundlage für weitere wichtige Themen wie zum Beispiel die Argumentations- und Begründungstechnik für gerichtliche Entscheidungen, die Relationsmethode, die das richterliche Beweisverfahren vorbereitet, oder die – auch für Studierende besonders wichtige – Normauslegung. All diese speziellen Arbeitstechniken bleiben ohne methodisches Fundament wirkungslos.

Obersatz, Definition, Subsumtion, Ergebnis – seit Jahrzehnten lernen Jurastudierende in Deutschland vom ersten Semester an den sogenannten Gutachtenstil. Das Fachwissen in den einzelnen Rechtsbereichen, sei es Schuldrecht, Strafrecht, Baurecht oder Familienrecht, wird von Beginn an in Klausuren, die aus juristischen Fällen bestehen, abgefragt, so dass eine Lösung der Klausurfälle ohne dieses Handwerkszeug schlicht nicht möglich ist.

An georgischen Hochschulen ist eine einheitliche Methodik zur Lösung juristischer Sachverhalte bislang nicht vorgeschrieben, das Interesse an einem weniger theoretischen, sondern fallorientierten Ansatz ist in den vergangenen Jahren jedoch sehr gewachsen. Wegen der zahlreichen und langjährigen Verbindungen der georgischen Rechtswissenschaft und Rechtslehre zur deutschen Rechtstradition kann die

in Deutschland entwickelte Herangehensweise gewissermaßen als Vorbild oder zumindest als Grundlage einer eigenen Methodik dienen.

Auf Initiative der georgischen Vereinigung junger Juristen starteten GIZ und IRZ im Jahre 2010 ein gemeinsames Projekt, um eine solche Unterrichts- und Falllösungsmethodik für das Jurastudium in Georgien zu entwickeln. Unterstützt durch Professoren und Lehrkräfte der Rechtsfakultät der Universität Bonn erarbeiteten drei Arbeitsgruppen für die Oberbereiche Strafrecht, Zivilrecht und Verwaltungsrecht eine georgische Falllösungsmethodik. Besetzt waren diese Arbeitsgruppen mit georgischen Rechtswissenschaftlern verschiedener renommierter Rechtsfakultäten: Ivane Javakhishvili Staatliche Universität Tiflis, Georgisch-Amerikanische Universität, University of Georgia, Caucasus School of Law sowie Technische Universität Georgien. Dass viele Arbeitsgruppenmitglieder mit der in Deutschland verbreiteten Arbeitsweise bereits vertraut waren, erleichterte diesen Arbeitsprozess erheblich.

Das vorliegende Handbuch stellt diese Methodik im Bereich des Zivilrechts vor und demonstriert vor allem deren Anwendung auf juristische Sachverhalte. Das Werk enthält daher zunächst allgemeine Einführungen zu Sinn und Zweck einer solchen Falllösungsmethode und erläutert den systematischen Unterschied zwischen der Abfassung eines Gutachtens im Vergleich zu einem Urteil. Der Schwerpunkt besteht sodann in praktischen Hilfestellungen für die Bearbeitung von juristischen Fällen – etwa in dem es erklärt, wie man am besten einen Sachverhalt herangeht, wie man eine Rechtsnorm anwendet und auslegt oder wie man den Meinungsstreit zu einem juristischen Problem korrekt darstellt und entscheidet. Daneben gibt es Prüfungsraster vor, wie Anspruchsgrundlagen im Zivilrecht. Vor allem aber enthält es eine Reihe von Beispielfällen mit Musterlösungen, die in Lehrveranstaltungen gemeinsam erarbeitet und nachvollzogen werden können. Diese Beispielfälle waren bereits Gegenstand von intensiven Fallbesprechungen unter den beteiligten Wissenschaftlern und weiteren

Trainern, im Austausch mit deutschen Lehrkräften. Wir hoffen, dass sie Ihnen Freude bereiten. Dankbar nehmen wir Rückmeldungen und Anregungen zur Methode und zu den Falllösungen entgegen.

Dieses Buch ist das Ergebnis eines besonders wichtigen, intensiven und erfreulichen Projekts. Mit Freude und auch ein wenig Stolz legen es die Autorinnen und Autoren sowie die Vereinigung junger Juristen und die beiden im Auftrag der Bundesregierung im georgischen Rechtsreformprozess aktiven deutschen Organisationen GIZ und IRZ vor. Alle Beteiligten hoffen und wünschen sich, dass es an den Universitäten Georgiens umfassende Verwendung findet, dass es eines von vielen zukünftig noch erscheinenden georgischen Falllösungsbüchern wird, und dass sich nach und nach immer mehr Lehrende von der Notwendigkeit einer Falllösungsmethode überzeugen lassen – zugunsten einer lebensnahen und verbesserten Ausbildung junger Juristinnen und Juristen in Georgien.

Dr. Jens Deppe
Teamleiter
GIZ Rechtsprogramm

Frau Teresa Thalhammer
Leiterin des Projektbereichs Südkaukasus
IRZ

წინასიტყვაობა

იურიდიული სამუშაო მეთოდოლოგია წარმოადგენს მრავალი წლის განმავლობაში ქართულ-გერმანული სამართლებრივი თანამშრომლობის ერთ-ერთ ძირითად ასპექტს, რომელიც საწყის ეტაპზე განიხილებოდა და ისწავლებოდა იუსტიციის უმაღლესი სკოლის ფარგლებში მოსამართლეების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით. დროთა განმავლობაში კი მეთოდოლოგიის სწავლების პროცესში ჩაერთვნენ ასევე აკადემიური წრეები. აღნიშნულ კონტექსტში წინამდებარე სახელმძღვანელო წარმოადგენს და განიხილავს იურისტებისთვის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ინსტრუმენტს, კერძოდ, აბსტრაქტული ნორმების კონკრეტულ ფაქტებთან სტრუქტურირებული მისადაგების მეთოდს, რომელსაც ასევე კაზუსის ამოხსნის მეთოდი ეწოდება. განათლებას, რომელიც უზრუნველყოფს მეთოდური მიდგომებისა და უნარ-ჩვევების შესწავლასა და განვითარებას, დიდი მნიშვნელობა ენიჭება. მეთოდური მიდგომა წარმოადგენს ისეთი მნიშვნელოვანი უნარების საფუძველს, როგორცაა, სასამართლო გადაწყვეტილებების არგუმენტაციისა და დასაბუთების ტექნიკა, რელაციის მეთოდი, პრობლემაზე ორიენტირებული ხედვა და აზროვნება. ამ კუთხით ის უზრუნველყოფს მტკიცებულებების წარდგენის პროცედურის მომზადებას და აგრეთვე გამოიყენება სტუდენტებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე ნორმის განმარტებისას. იურიდიული მუშაობის ცალკეული ტექნიკა გამოუსადეგარია მეთოდური მიდგომის გარეშე.

ჰიპოთეზა, დეფინიცია, სუბსუმცია, დასკვნა – ათწლეულების განმავლობაში გერმანიის იურიდიული ფაკულტეტების სტუდენტები პირველი სემესტრიდან მოყოლებული ეუფლებიან ე.წ. დასკვნის სტილს. დარგობრივი ცოდნის გამოკითხვა სამართლის ცალკეულ სფეროებში – ვალდებულებით სამართალში, სისხლის სამართალში, სამშენებლო სამართალსა თუ საოჯახო სამართალში თავიდანვე

ნერთი გამოცდების მეშვეობით ხორციელდება, რომლებიც მოიცავს იურიდიულ კაზუსებს, ისე რომ, ამ გამოცდებისას კაზუსების ამოხსნა ფაქტიურად შეუძლებელი იქნებოდა აღნიშნული ინსტრუმენტის გარეშე.

საქართველოში არსებულ უმაღლეს სასწავლებლებში კაზუსების ამოხსნისთვის არ არის სავალდებულო ერთგვაროვანი მეთოდით ხელმძღვანელობა, თუმცა, ინტერესი უფრო მეტად პრაქტიკულ შემთხვევებზე ორიენტირებული და ნაკლებად თეორიული მიდგომის მიმართ ბოლო წლების განმავლობაში სულ უფრო მატულობს. გერმანული სამართლის ტრადიციებთან ქართული სამართლის მეცნიერებისა და სამართალმცოდნეობის მრავალწლიანი კავშირებიდან გამომდინარე, შესაძლებელია გერმანიაში განვითარებული მიდგომების გარკვეულწილად მაგალითად აღება, ან, სულ მცირე, საკუთარი მეთოდოლოგიის შემუშავებისთვის საფუძვლად დადება.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ინიციატივით GIZ-მა და IRZ-მა 2010 წ. წამოიწყო ერთობლივი პროექტი, რომელიც მიზნად ისახავდა საქართველოში იურიდიული სწავლებისთვის მსგავსი სასწავლო მეთოდების შემუშავება-დანერგვას. ბონის უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის პროფესორებისა და სხვა აკადემიური პერსონალის დახმარებით სამმა სამუშაო ჯგუფმა შეიმუშავა სამი ძირითადი სამართლის სფეროსთვის – სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლისთვის, კაზუსის ამოხსნის ქართული მეთოდოლოგია. ეს სამუშაო ჯგუფები დაკომპლექტებული იყო ქართველი სამართლის სპეციალისტებით, რომლებიც წარმოადგენდნენ სხვადასხვა რენომირებულ სამართლის ფაკულტეტებს შემდეგი უმაღლესი სასწავლებლებიდან: ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი, საქართველოს უნივერსიტეტი და კავკასიის სამართალი სკოლა. იმ ფაქტმა, რომ სამუშაო ჯგუფების წევრების უმრავლესობა იცნობდა კაზუსის ამოხსნის მეთოდოლოგიასთან

დაკავშირებით გერმანიაში დამკვიდრებულ მიდგომებს, სამუშაო პროცესი მნიშვნელოვნად შეამსუბუქა.

ამრიგად, წინამდებარე სახელმძღვანელო წარმოადგენს კანონის პრაქტიკულ შემთხვევებზე გამოყენებისა და მორგების მეთოდოლოგიას სამოქალაქო სამართალში და ხაზს უსვამს უპირველეს ყოვლისა ამ მეთოდოლოგიის გამოყენებას იურიდიული კაზუსების განხილვისას. დასაწყისში წარმოდგენილია შესავალი კაზუსის ამოხსნის მეთოდოლოგიის არსსა და მიზანში, ასევე განმარტებები იურიდიულ დასკვნასა და გადაწყვეტილებას შორის არსებული სისტემური განსხვავების შესახებ. ძირითადი აქცენტი დასმულია პრაქტიკულ მითითებებზე იურიდიული კაზუსების დამუშავებისას – რომელშიც ახსნილია, თუ როგორ უნდა მოხდეს საწყის ეტაპზე ფაზულის დამუშავება, როგორ უნდა იქნეს გამოყენებული და განმარტებული სამართლის ნორმა, ან როგორ უნდა მოხდეს იურიდიული პრობლემის ირგვლივ არსებული დაპირისპირების სწორად წარმოდგენა და გადაწყვეტა. ამასთან, მოცემულია საკითხის განხილვის სტრუქტურა და მექანიზმი, როგორიცაა მოთხოვნის უფლების საფუძვლები სამოქალაქო სამართალში.

მეორე ნაწილში კი სახელმძღვანელო შეიცავს მთელ რიგ კაზუსებს მაგალითის სახით და მათ ამოხსნებს, რაც იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ სწავლებისას მოხდეს მათი ერთობლივად განხილვა და გააზრება. აღნიშნული კაზუსები წარმოადგენდა ამ სახელმძღვანელოზე მომუშავე მეცნიერებსა და ტრენერებს შორის ინტენსიური განხილვის საგანს გერმანელ აკადემიურ პერსონალთან აზრთა მუდმივი გაცვლის პირობებში. ვიმედოვნებთ, რომ სიამოვნებას მიიღებთ წიგნით მუშაობისას. მოხარული ვიქნებით, თუ მოვისმენთ გამოხმაურებასა და ინიციატივებს მეთოდოლოგიასა და კაზუსის ამოხსნასთან დაკავშირებით.

წინამდებარე პრაქტიკული სახელმძღვანელო წარმოადგენს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი, ინტენსიური და სასიამოვნო მუშაობის შედეგს. მას სიხარულითა და ზომიერი სიამაყით წარმოად-

გენენ მასზე მომუშავე ავტორები, ისევე როგორც, იურიდიული-განათლების ხელშეწყობის ფონდი და გერმანიის ფედერალური მთავრობის დაკვეთით საქართველოში სამართლის რეფორმის პროცესში ჩართული ორივე გერმანული ორგანიზაცია GIZ-ი და IRZ-ი. ყველა ამ სახელმძღვანელოს შექმნაში მონაწილე პირი იმედოვნებს და სურვილი აქვს, რომ ის სრულად იქნება გამოყენებული საქართველოს უნივერსიტეტებში და რომ დროთა განმავლობაში სულ უფრო მეტი აკადემიური პერსონალი დარწმუნდება კაზუსის ამოხსნის მეთოდოლიგიის საჭიროებაში, რაც, თავის მხრივ, ემსახურება საქართველოში ახალგაზრდა იურისტების პრაქტიკაზე ორიენტირებულ და უკეთეს განათლებას.

დოქტ. იენს დეპპე
გუნდის ხელმძღვანელი
GIZ-ის სამართლის პროგრამა

ქ-ნი ტერეზა ტალჰამერი
სამხრეთ-კავკასიის სექტორის ხელმძღვანელი
IRZ

I კაზუსის განხილვის მეთოდი

იურისტის პროფესიული საქმიანობა მჭიდროდ არის დაკავშირებული ცხოვრებისეული სიტუაციების, მათ შორის, კერძოსამართლებრივი *ურთიერთობიდან* გამომდინარე, კონფლიქტური შემთხვევების გადაწყვეტასთან,¹ რაც გამოხატულებას მისი, როგორც პროფესიონალის, უნარ-ჩვევებისა და თეორიული ცოდნის პრაქტიკულ რეალიზაციაში, კონკრეტული სამართლებრივი ამოცანის გადაწყვეტის დროს პოულობს. ეს უკანასკნელი, კანონის ნორმების, იურიდიული დოქტრინის, სასამართლო პრაქტიკის და ნორმის განმარტების მეთოდების შესაბამისი არგუმენტების გამოყენებით უნდა მოხდეს.

1. სამართლებრივი დასკვნის მნიშვნელობა

იურიდიულ პროფესიაში, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სამართლებრივ დასკვნას. სამართლებრივი დასკვნის შემუშავების უნარს ერთნაირად უნდა ფლობდეს იურიდიულ პროფესიაში შესვლის მსურველი ყველა იურისტი. სწორედ ამ უნარის განვითარებას ემსახურება კაზუსის განხილვის მეთოდი. იგი წამყვანი მეთოდია, როგორც პრაქტიკოსი ადვოკატის ყოველდღიური საქმიანობის განხორციელებაში, ასევე კერძო და საჯარო სამართლის იურიდიულ პირებსა თუ სახელმწიფო სამსახურში დასაქმებული იურისტებისათვის. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ამ მეთოდის კარგად ფლობა მოსამართლეებისათვის, რათა ცალკეულ შემთხვევას სწორი და სამართლიანი კვალიფიკაცია მისცენ.² აღნიშნული მეთოდი,

¹ „კერძოსამართლებრივია პირთა თანასწორობაზე დამყარებული ურთიერთობა, რომელშიც ინდივიდის ნების ავტონომიის რეალიზება უზრუნველყოფილია სხვა პირის შესატყვისი ბოჭვით“ იხ. დავით კერესელიძე „კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები“ ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბილისი 2009, გვ. 80.

² ჰაინ ბოლინგი/ლადო ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდოლოგია, 2004, გვ. 49 და შემდგომი.

გერმანულ იურიდიული განათლების სისტემაში, მიიჩნევა პრაქტიკული იურიდიული სამუშაოს განხორციელების წამყვან მეთოდად.

წინამდებარე ნაშრომი მიზნად ისახავს, გერმანიის იურიდიული განათლების სისტემაში, ათწლეულების განმავლობაში დანერგილ და პრაქტიკაში წარმატებით გამოყენებადი მეთოდის სისტემურად და თანმიმდევრულად წარმოჩენას. მიუხედავად იმისა, რომ ეს მეთოდი უკანასკნელ წლებში წარმატებით გამოიყენება, ქართული იურიდიული განათლების სისტემაში, არაერთი პროფესორის მიერ, მისი კიდევ უფრო ფართოდ დანერგვა და გავრცელება საქართველოში ხელს შეუწყობს სწავლების თანამედროვე მეთოდების, კერძოდ მოქმედებით სწავლების ნახალისებას. ამავდროულად, ეს სტუდენტის მიერ ათვისებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარების გამომუშავებას განაპირობებს.

ვინაიდან, სამართლებრივი დასკვნის შემუშავებას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია პრაქტიკოსის ყოველდღიურ პროფესიულ საქმიანობაში, ამ უნარის გამომუშავებას სტუდენტი სასურველია სწავლების საწყის ეტაპზე, ადრეული პერიოდიდან შეუდგეს. კაზუსის განხილვის მეთოდით სწავლება, სწორედ სამართლებრივი დასკვნის შედგენის ძირითად ასპექტებს მოიცავს.

კაზუსის განხილვის მეთოდი არის „გზა შედეგისაკენ!“, რომელშიც საბოლოო შედეგი მოთხოვნის არსებობა-არარსებობის შესახებ მხოლოდ ამოხსნის ბოლო, დასკვნით წინადადებაში ყალიბდება.

ყოველი მოსამართლე, ცალკეულ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, სწორედ ამ გზას უნდა გადიოდეს. კერძოდ, მან უნდა შეადგინოს სამართლებრივი დასკვნა, რათა შეამოწმოს ყველა შესაძლო მოთხოვნის საფუძველი და მიიღოს სამართლიანი გადაწყვეტილება საქმისა და სამართლებრივი საფუძველების შესწავლის, ყოველმხრივ გამოკვლევის გზით. მიზნის მისაღწევად, მოსამართლემ უნდა იხელმძღვანელოს, როგორც სასამართლო პრაქტიკით, ისე სამეცნიერო ლიტერატურით, და შესაბამისად დაასაბუთოს და გაამყაროს მიღებული გადაწყვეტილება.

სამართლებრივი დასკვნა შედგება მთავარი წინადადების (ჰიპოთეზის), ნორმისა და მისი განმარტების, სუბსუმციისა და დასკვნისაგან.

აშშ-ს სამართლებრივ სისტემაში, სამართლებრივი დასკვნის მსგავსად, გამოიყენება IRAC-ის მეთოდი, რომელიც გარკვეული ვარიაციებით ძირითადად გერმანული სისტემის მსგავსადაა აგებული. ის შედგება არსის (შეკითხვის), წესისა და განმარტების, ანალიზის/შეფარდებისა და დასკვნისაგან.³

გადანყვეტილების სტილი კაზუსის განხილვის მეთოდისაგან პირველ რიგში იმით გასხვავდება, რომ გადანყვეტილების სტილით კაზუსის ამოხსნისას ხდება შედეგების წარმოდგენა. თუმცა, აღნიშნულ გადანყვეტილებას წინ უძღვის სამართლებრივი დასკვნა, ეს გარდაუვალია. მრავალწლიანი მოსამართლეობის გამოცდილების მქონე მოსამართლეებისათვის, შესაძლოა, საკმარისი იყოს სამართლებრივი დასკვნის შედგენა ე.წ. სქემის მიხედვით, თუმცა ამ სამუშაოს შესრულების გარეშე, არსებობს საფუძვლიანი საფრთხე, სასამართლომ ვერ გაითვალისწინოს გარკვეული დეტალი, სამართლებრივი საფუძველი ან მისი ერთ-ერთი წინაპირობა, რომელიც შესაძლოა გადამწყვეტი იყოს კონკრეტული შემთხვევის გადანყვეტისას. აღნიშნული სამართლებრივი დასკვნის დასაბუთება უნდა აისახოს სასამართლოს გადანყვეტილების სამოტივაციო ნაწილში, რათა გადანყვეტილება იყოს დასაბუთებული და დამაჯერებელი.

2. ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევა

ნაიკითხეთ დავალება (კითხვა)! ფაბულის გაცნობამდე, დავალების კითხვა (წერიტი გამოცდისას, ხოლო მხარის მოთხოვნის გაცნობისას – სასამართლო საქმის დამუშავების დროს) დაგეხმარებათ, ფაბულის გაცნობისას, ყურადღება გაამახვილოთ არსებითზე (ვაგიუმჯობესებთ და გამოგინრობთ არსებითის ხედვის უნარს!).

³ *Nadia E. Nezel, Legal Reasoning, Research, and Writing for international Graduate Students, 2004, p. 67 etc.*

ნაიკითხეთ კაზუსი სულ მცირე ორჯერ, შეადგინეთ თარიღების ქრონოლოგიური დაფა, შეადგინეთ მონაწილე პირთა სქემა, გახაზეთ კაზუსში იურიდიულად მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები, იმისათვის, რომ კაზუსის განხილვის დროს, დრო არ დაკარგოთ შედეგისათვის სამართლებრივად უმნიშვნელო ფაქტების გამოკვლევაზე. ეს ყველაფერი მნიშვნელოვანია, რათა კონცენტრირება მოახდინოთ იმ ფაქტობრივი გარემოებების შეფასებაზე, რაც მნიშვნელოვნად განაპირობებს კაზუსის ამოხსნის სწორ მიმართულებას და შესაბამის შედეგს.

კაზუსში მითითებულია ყველა ის გარემოება, რომელიც კაზუსის ამოხსნისათვისაა საჭირო. მითითებულ ფაქტებს მიღმა სხვა გარემოებების არსებობა არ ივარაუდება. შესაძლოა, კაზუსში მოყვანილ იქნას ისეთი ფაქტები, რომლებიც კაზუსის ამოხსნისათვის არ არის არსებითი და შეცდომაში შემყვანია. ის, ერთი მხრივ, დამაბნეველ ფუნქციას ასრულებს, თუმცა ასეთი მითითებების დანიშნულებაა, დამწყებ იურისტს გამოუმუშავდეს უნარი, გამოიჯნოს არსებითი არარსებითისაგან და მოახდინოს ლოგიკური კავშირების დამყარება.

აღნიშნული უნარი, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და გამოსადეგია, ადვოკატსა და კლიენტს შორის, ურთიერთობის სწორად წარმართვისათვის. იურისტს, რომელსაც სწავლის პერიოდში განხილული აქვს არაერთი კაზუსი და გამომუშავებული აქვს კაზუსის ამოხსნის მეთოდოლოგია, ბევრად უფრო გაუადვილდება კლიენტთან ურთიერთობა. მან უნდა მოახერხოს და მიიღოს კლიენტისაგან ყველა საჭირო ინფორმაცია და ფაქტობრივი გარემოება, რომელიც ამ კონკრეტული შემთხვევის სწორი სამართლებრივი შეფასებისა და შესაბამისად სამართლებრივი პრობლემის სწორი კვალიფიკაციისათვისაა მნიშვნელოვანი.

ეს უნარი, მნიშვნელოვანია ნებისმიერ სფეროში მომუშავე პრაქტიკოსი იურისტისათვის, რომელმაც, რეალური შემთხვევის განხილვისას, უნდა მოახდინოს ფაქტობრივი გარემოებების სწორი

და სრულყოფილი გამოკვლევა, დაადგინოს საქმესთან დაკავშირებით საჭირო და მნიშვნელოვანი გარემოება.

სანამ კაზუსის ამოხსნას შეუდგებით, დარწმუნდით, რომ კაზუსში მითითებული ფაბულა – ფაქტობრივი გარემოებები სწორად გაიგეთ. შესაძლოა, საჭირო გახდეს ნების გამოვლენის განმარტების მეთოდების გამოყენება. ზოგადი რეკომენდაციაა, ბუნდოვანი, უცნაური და ორაზროვანი ფაქტობრივი გარემოებები განიმარტოს რეალური სიტუაციების მსგავსად, ობიექტური დამკვირვებლის თვლით. სასურველია, თავი შეიკავოთ განსაკუთრებით უცნაური, არალოგიკური და უჩვეულო ინტერპრეტაციისაგან (ფაბულის განმარტებისას, იხელმძღვანელეთ ცხოვრებისეული გამოცდილებით, განმარტეთ და გააანალიზეთ იგი რეალურ ცხოვრებასთან მიმართებით), ვინაიდან კაზუსის არასწორი ინტერპრეტაციის შედეგად მიღებული სწორი შედეგი მართებულ ამოხსნად არ მიიჩნევა!

ნუ შეცვლით კაზუსს! კაზუსის შინაარსის შეცვლა დაუშვებელია. ასეთი მიდრეკილება სახიფათოა, ვინაიდან კაზუსში ცვლილებების და დამატებების შეტანა შეცდომად იქნება მიჩნეული შემსწორებლის მიერ!

კაზუსის დამუშავების დროს, სასურველია ნათელი და მხოლოდ აუცილებელი, ლოგიკური დასაბუთებით მიხვიდეთ კაზუსის ამოხსნამდე. ეს ამარტივებს როგორც კაზუსის ამოხსნის დამუშავებას, ასევე მესამე პირებისათვის ამ ამოხსნის გაზიარებასა და გაგებას. სასურველია, კაზუსის ამოხსნა იყოს კარგად სტრუქტურირებული და ყოველი ეტაპის ბოლოს მიეთითოს შუალედური შედეგი, რომელიც თავის მხრივ, გამოყოფილი უნდა იყოს შუალედური დასკვნის სახით. ეს ამარტივებს სამუშაოს როგორც შემსრულებლის, ასევე შემფასებლისათვის.

3. სუბსუმცია

სუბსუმცია არის სამართლებრივი დასკვნის შედგენის უმთავრესი კომპონენტი, კერძოდ, კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებების მისადაგება (შეფარდება) აბსტრაქტულ ნორმებთან ან მოთხოვნის დამფუძნებელ სამართლებრივ საფუძველებთან. სამართლებრივი დასკვნის სწორად ჩამოყალიბებაში წამყვანი ადგილი უკავია კაზუსის კითხვის სწორად დასმას. კერძოდ, **ვინ ითხოვს, ვისგან, რას, რის საფუძველზე.**

სრულყოფილია სუბსუმცია, თუ მასში გამოყენებული და გამოკვლეულია ყველა ის სამართლებრივი ნორმა, რომელიც ფაქტობრივ გარემოებებთან პირდაპირ კავშირშია და კაზუსის სწორ ამოხსნამდე მივყავართ. ასევე, მნიშვნელოვანია, სუბსუმციისას გამოკვლეულ იქნას ის ნორმები, რომლებსაც შესაძლოა საბოლოო დასკვნამდე არ მივყავართ, თუმცა მათი წინაპირობების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, შეუძლებელია იმის დადგენა, არის თუ არა მოცემულ შემთხვევაში, ამა თუ იმ მოთხოვნის საფუძველით გათვალისწინებული წინაპირობები სახეზე.

ვინ – არის მოთხოვნის მფლობელი, მოთხოვნის წარდგენაზე უფლებამოსილი პირი.

ვისგან – პირი, რომლისგანაც ითხოვს გარკვეული მოქმედების შესრულებას ან მოქმედებისაგან თავის შეკავებას.

რას – მოთხოვნა, რისი მიღწევაც სურს პირს, რომლის უფლებაც დაირღვა. კერძოდ, სხვა პირისაგან გარკვეული მოქმედების განხორციელების ან მისგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლება.

უფლებისაგან განსხვავებით, მოთხოვნა ყოველთვის განსაზღვრული პირისაგან, კონკრეტული მოქმედების განხორციელებაზე ან მისი (კონკრეტული მოქმედების) განხორციელებისაგან თავის შეკავებაზეა მიმართული. მოთხოვნა წარმოიშობა ნებისმიერი სუბიექტური უფლებისაგან, მათ შორის, იგი შესაძლოა გამომდინა-

რეობდეს აბსოლუტური ბატონობის უფლებიდან, ან წარმოიშვას დამფუძნებელი უფლების განხორციელების შედეგად.⁴

რის საფუძველზე – ეს არის მოთხოვნის საფუძველი, კერძოდ ნორმა, ანუ ის სამართლებრივი მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც, უფლებამოსილ პირს შეუძლია განახორციელოს თავისი მოთხოვნა – მიიღოს კუთვნილი და აღიდგინოს დარღვეული უფლება სასამართლოს მეშვეობით ან მის გარეშე.

კერძოსამართლებრივი ნორმები, მათი დანიშნულების მიხედვით, იმიჯნება მოთხოვნის საფუძველებად და დამხმარე ხასიათის ნორმებად.

მოთხოვნის საფუძველია სამართლის ისეთი ნორმა, რომელიც დამოუკიდებლად ან სხვა მოთხოვნის საფუძველბთან ერთობლიობაში აფუძნებს ამა თუ იმ მოთხოვნას. კერძოდ, ერთ პირს ანიჭებს სხვა (მეორე) პირისაგან გარკვეული მოქმედების შესრულების ან მოქმედებისგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლებას.

სსკ-ის 128-ე მუხლის პირველი ნაწილის⁵ შესაბამისად, სხვა პირისაგან მოქმედების შესრულების ან მოქმედებისგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლებაზე ვრცელდება ხანდაზმულობა. ეს ნორმა განსაზღვრავს მოთხოვნის „ლეგალურ (კანონისმიერ) დეფინიციას“,⁶ რომლის თანახმად, მოთხოვნა – არის უფლება, მოითხოვო სხვა პირისაგან მოქმედება ან მოქმედებისგან თავის შეკავება. მოქმედება ყველა შესაძლო მოქმედებას მოიცავს, იქნება ეს, მაგალითად, თანხის გადახდა თუ ნების გამოვლენა, ნივთის გადაცემა თუ სხვ. მოქმედებისგან თავის შეკავება, შესაბამისად, ნებისმიერი მოქმედების არგანხორციელებას გულისხმობს, მათ შორის თმენას. მოთხოვნა მიმართულია ერთი ან რამდენიმე პირის მიმართ (წინააღმდეგ) და მოთხოვნის საფუძველი შესაძლოა იყოს ვალდებულებითი, სანივ-

⁴ *Larenz/Wolf, Allgemeiner Teil des Bürgerlichen Rechts, 9. Aufl., 2004, § 15, RdNr. 56.*

⁵ შეად. გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 194-ე პარაგრაფი.

⁶ „*Legaldefinition*“.

თო, საოჯახო თუ სხვა კერძოსამართლებრივი ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმა,⁷ ასევე ნამდვილი ხელშეკრულება.⁸

ამასთან, სუბსუმციის დროს, შემთხვევის სწორი კვალიფიკაციისათვის, არანაკლებ მნიშვნელოვანია მოთხოვნის დამაბრკოლებელი, შემწყვეტი და შემაფერხებელი ნორმები და მათი სწორი გამოყენება. ამ სახის ნორმების ურთიერთგამიჯვნა და ანალიზი, შესაძლებლობას იძლევა თავიდან იქნას აცილებული შეცდომები და დამაჯერებლობის მაღალი ხარისხით იქნას დასაბუთებული იურიდიული დასკვნა კონკრეტულ შემთხვევასთან დაკავშირებით.

4. სამართლის ნორმათა გამოყენება

სამართლის ნორმის გამოყენება მისი განმარტებით გამოიხატება. შესაძლებელია გამოყენებულ იქნას დეფინიციები, რომელიც, შესაძლოა, უშუალოდ იმავე ან სხვა ნორმატიული აქტით იყოს გათვალისწინებული. ასეთ შემთხვევაში, მას უპირატესობა ენიჭება, როგორც მხოჭავ, სავალდებულო სამართლის წყაროს. ამასთან, სასურველია, გამოყენებულ იქნას დამარწმუნებელი წყაროები, როგორცაა დოქტრინასა თუ სასამართლო პრაქტიკაში არსებული განმარტებები. ასევე, გამართლებულია, ცალკეულ შემთხვევაში, უცხო ქვეყნების სამართლებრივ სისტემებში არსებული მოწესრიგების, განმარტებების, დოქტრინისა და სასამართლო პრაქტიკის გამოყენება.

ნორმათა განმარტება

კანონის ტექსტი, ხშირად, არასაკმარისია შემთხვევის კვალიფიკაციისათვის. ნორმის დეფინიციისას, სასურველია, გამოყენებულ იქნას დამარწმუნებელი წყაროები, როგორცაა იურიდიული დოქტრინა, სასამართლო პრაქტიკა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი,

⁷ შეად. *Palandt/Heinrichs*, BGB Kommentar, 67. Aufl., 2008, § 194, RdNr. 1.

⁸ *Grothe*, Münchener Kommentar zum BGB, 5. Aufl., Band 1, 2006, § 194, RdNr. 1.

ნორმის გამოყენებისას, ნორმის განმარტების მეთოდების სწორად გამოყენებაა.

განასხვავებენ შემდეგი სახის განმარტების მეთოდებს:

გრამატიკული ანუ სიტყვასიტყვითი განმარტება გულისხმობს ნორმის ენობრივ განმარტებას, როგორც გრამატიკული,⁹ ასევე იურიდიული ტერმინოლოგიის გათვალისწინებით.¹⁰ ეს უკანასკნელი, აუცილებლად გასათვალისწინებელია, როდესაც ესა თუ ის ტერმინი, გარკვეული შინაარსით, დამკვიდრებული და განმარტებულია სამართლებრივ წესრიგში.¹¹

ზოგიერთ შემთხვევაში, ნორმის სიტყვასიტყვითი განმარტების მეთოდის შესაბამისი ინტერპრეტაცია არასაკმარისია მისი მიზნისა და შინაარსის სწორი შეფასებისათვის.

ნორმის განმარტების სისტემური მეთოდი იკვლევს რამდენიმე ნორმის სამართლებრივ თუ შინაარსობრივ კავშირსა და მათ ურთიერთმიმართებას. აღნიშნული კავშირის დადგენა, შესაძლებელს ხდის ცალკეული ნორმის არსის დადგენას,¹² კერძოდ, სისტემური განმარტება გულისხმობს ნორმის განმარტებას არა იზოლირებულად, არამედ ერთიანი სამართლის სისტემისა თუ შესაბამისი კანონის კონტექსტში მისი ადგილის მიხედვით;¹³

ისტორიული განმარტების მეთოდი, კანონის წარმოშობის ისტორიის, მისი შემუშავების მოტივების გამოკვლევას გულისხმობს. კერძოდ, უნდა დადგინდეს ის, თუ რა მიზანს ისახავდა კანონმდებელი აღნიშნული ნორმის მოწესრიგებით, ანუ რა იყო მისი „ისტორი-

⁹ *Endemann*, Lehrbuch des bürgerlichen Rechts, 6. Aufl., Band 1, 1899, S. 43.

¹⁰ *Huber*, Irrtumsanfechtung und Sachmängelhaftung: eine Studie zur Konkurrenzfrage vor dem Hintergrund der internationalen Vereinheitlichung des Vertragsrechts, 2001, S. 190.

¹¹ *Palandt/Sprau*, BGB Kommentar, 71. Aufl., 2012, Einleitung, RdNr. 41.

¹² *Endemann*, Lehrbuch des bürgerlichen Rechts, 6. Aufl., Band 1, 1899, S. 42.

¹³ *Huber*, Irrtumsanfechtung und Sachmängelhaftung: eine Studie zur Konkurrenzfrage vor dem Hintergrund der internationalen Vereinheitlichung des Vertragsrechts, 2001, S. 191; *Palandt/Sprau*, BGB Kommentar, 71. Aufl., 2012, Einleitung, RdNr. 42.

ული ნება“.¹⁴ ამასთან, გასათვალისწინებელია, რა ღირებულებებზე დაყრდნობით იქნა შესაბამისი ნორმა შემუშავებული და რა ფასეულობების დაცვის მიზანს ემსახურებოდა მისი შექმნა.¹⁵

თანამედროვე განმარტების მეთოდი ლოგიკური განმარტების მეთოდისგან იღებს სათავეს და გულისხმობს ამა თუ იმ ნორმის შექმნის ე.წ. „გონივრული საფუძვლის“¹⁶ ანუ მიზნის დადგენას,¹⁷ რაც პირთა თანასწორობისა და კეთილსინდისიერების პრინციპების გათვალისწინებით უნდა მოხდეს.¹⁸ მას, ხშირად, ტელეოლოგიური განმარტების მეთოდს უწოდებენ.

ისტორიული განმარტების მეთოდისაგან განსხვავებით, იგი, ნორმის განმარტების მომენტიცათვის არსებული გარემოებების გათვალისწინებით ხორციელდება,¹⁹ კერძოდ, ნორმის შეცვლილი, კანონმდებლის მიერ გაუთვალისწინებელი გარემოებების იმგვარად შეფასების შედეგად, როგორც ეს, კანონმდებლის სავარაუდო მიზანი იქნებოდა ნორმის შეფარდების მომენტში. ამგვარი განმარტების შესაბამისად, შესაძლოა, ამა თუ იმ ნორმის რეგულირების ქვეშ მოექცეს ისეთი შემთხვევა, რომელიც კანონმდებლის ისტორიული ნება არ იყო.²⁰

არ არსებობს წესი, რომლის მიხედვითაც, ნორმის განმარტების მეთოდებს შორის წინააღმდეგობისას ერთ-ერთს რაიმე კრი-

¹⁴ *Palandt/Sprau*, BGB Kommentar, 71. Aufl., 2008, Einleitung, RdNr. 40, RdNr. 40.

¹⁵ *Huber*, Irrtumsanfechtung und Sachmängelhaftung: eine Studie zur Konkurrenzfrage vor dem Hintergrund der internationalen Vereinheitlichung des Vertragsrechts, 2001, S. 191.

¹⁶ შეად. *Palandt/Sprau*, BGB Kommentar, 71. Aufl., 2008, Einleitung, RdNr. 46.

¹⁷ „ratio legis“.

¹⁸ *Huber*, Irrtumsanfechtung und Sachmängelhaftung: eine Studie zur Konkurrenzfrage vor dem Hintergrund der internationalen Vereinheitlichung des Vertragsrechts, 2001, S. 191.

¹⁹ *Säcker*, Münchener Kommentar zum BGB, 5. Aufl., Band 1, 2006, Einl., RdNr. 135.

²⁰ „...ist der alte Rechtsatz nun, was vordem nicht war“, *Endemann*, Lehrbuch des bürgerlichen Rechts, 6. Aufl., Band 1, 1899, S. 45.

ტერიუმით უპირატესობა უნდა მიენიჭოს. შესაბამისად, სადავოა, რამდენად შეიძლება განმარტების მეთოდებს შორის დადგინდეს იერარქიული თანმიმდევრობა.²¹ ამის მიუხედავად, ამა თუ იმ დებულების განმარტების დროს, როგორც წესი, უპირატესად გასათვალისწინებელია სწორედ კანონმდებლის ნება და განსახილველი ნორმის მიზანი. შესაბამისად, განმარტების მეთოდებს შორის, ხშირ შემთხვევაში, უპირატესობა სწორედ ტელეოლოგიური განმარტების მეთოდს ენიჭება.²² გასათვალისწინებელია, რომ ამ განმარტების მეთოდის გამოყენება, სასურველ სამართლიან შედეგს წარმოშობს, თუ იგი ინტერესების შეფასება-შეპირისპირების გზით ხორციელდება.²³

ნორმის შინაარსობრივად შემზღუდავი და განმვრცობი განმარტება

ტელეოლოგიური განმარტება, შესაძლოა, განხორციელდეს ტელეოლოგიური „რედუქციის“ გზით, რომლის შესაბამისად, ნორმა, მის სიტყვასიტყვით მნიშვნელობასთან მიმართებით, უფრო ვიწრო შინაარსით განიმარტება.²⁴ კერძოდ, ცალკეულ შემთხვევაში, შესაძლოა, ნორმის სიტყვასიტყვითი განმარტების შედეგად, რეგულირება ვრცელდებოდეს ისეთ შემთხვევაზე, რომელიც ნორმის მიზნის

²¹ *Huber, Irrtumsanfechtung und Sachmängelhaftung: eine Studie zur Konkurrenzfrage vor dem Hintergrund der internationalen Vereinheitlichung des Vertragsrechts*, 2001, S. 193.

²² *კერესელიძე*, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, 2009, გვ. 74; *შეად. ასევე Palandt/Sprau, BGB Kommentar*, 71., 2008, Einleitung, RdNr. 46; *Säcker, Münchener Kommentar zum BGB*, 5. Aufl., Band 1, 2006, Einleitung, RdNr. 127 ff., 134.

²³ *Herzberg, Kritik der teleologischen Gesetzesauslegung*, NJW, 43. Jahrgang, 1990, S. 2526 ff., *შეად. Heck, das Problem der Rechtsgewinnung, Gesetzesauslegung und Interessenjurisprudenz, Begriffsbildung und Interessenjurisprudenz*, 1932, S. 174.

²⁴ *Bitter/Rauhut, Grundzüge zivilrechtlicher Methodik – Schlüssel zu einer gelungenen Fallbearbeitung*, JuS, 2009, S. 294.

შესაბამისი განმარტების შედეგად მასზე არ უნდა გავრცელდეს. ასეთი შედეგი მიუღებელია, ვინაიდან, შესაბამისი შემთხვევის ამ სახით მოწესრიგება არ იყო კანონმდებლის მიზანი. ამ დროს, ნორმის მოქმედებისა თუ გამოყენების ფარგლები იზღუდება რეგულირების მიზნის თანაზომიერად.

მაგალითად, სსკ-ის 15-ე მუხლის სიტყვასიტყვითი განმარტების შესაბამისად, ნამდვილად უნდა ჩაითვალოს შეზღუდულქმედუნარიანი პირის მიერ დადებული ნებისმიერი გარიგება, რომლითაც ის იღებს სარგებელს. სარგებელი, მისი სიტყვასიტყვითი გაგებით, ნებისმიერი უპირატესობაა, კერძოდ, ის გულისხმობს როგორც მატერიალურ-ეკონომიკურ, ასევე უფლებრივ სარგებელს. ასეთ შემთხვევაში, შეზღუდულქმედუნარიანის მიერ ნებისმიერი შრომისა თუ მომსახურების ხელშეკრულების დადება, რომლითაც ის იღებს გარკვეულ ანაზღაურებას, სარგებლად უნდა იქნას მიჩნეული, ეს გარიგება კი, ნამდვილად გარიგებად უნდა ჩაითვალოს, მიუხედავად კანონიერი წარმომადგენლის უარისა. ამგვარი განმარტება კი, უდავოდ სცილდება გონიერი კანონმდებლის ნებას, რომლის მიზანი აღნიშნული მოწესრიგებით შეზღუდულქმედუნარიანის ინტერესების დაცვაა. დაცვას შეზღუდულქმედუნარიანი არ საჭიროებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის დებს გარიგებას, რომლითაც მას არავითარი ვალდებულება არ ეკისრება და იძენს მხოლოდ უფლებებს. სსკ-ის 15-ე მუხლის ამგვარი ინტერპრეტაცია, მის, ვინრო შინაარსით განმარტებას წარმოადგენს და მოცემულ შემთხვევაში, სამოქალაქოსამართლებრივი კანონმდებლობით გამყარებული ღირებულებებისა და პრინციპების გათვალისწინებით, მხოლოდ ამგვარი განმარტებაა მისაღები და გამართლებული.

ამის საპირისპიროდ, ე.წ. ტელეოლოგიური „ექსტენციის“²⁵ დროს, ნორმის სიტყვასიტყვითი ფორმულირება იმდენად ვინროა,

²⁵ „teleologische Extension“. შეად. § 619a BGB, *Henssler*, Münchener Kommentar zum BGB, 5. Aufl., Band 4, 2009, § 619a, RdNr. 48.

რომ აუცილებელია ნორმის ფართოდ განმარტება ან „კორექცია“,²⁶ რათა იგი გავრცელდეს შემთხვევებზე, რომლებიც ამ ნორმის რეგულირების მიზნის ქვეშ უდაოდ ექცევიან.

შესაბამისად, კანონმდებლის ნების მიხედვით, ენობრივი თვალსაზრისით არასაკმარისად ზუსტი ფორმულირების მოდიფიცირება, ექსტენციური ტელეოლოგიური განმარტების მეთოდით, დასაშვებია და გამართლებულია. თუ ნორმის შინაარსი, მისი გამოყენების სფეროს იმგვარად ავინროებს, რომ იგი ნორმის მიზანს აღარ შეესაბამება, ნორმის განმარტება უნდა მოხდეს იმდენად ფართოდ, რომ კანონმდებლის მიერ, ამ ნორმით დასახული მიზნის მიღწევა იყოს უზრუნველყოფილი.²⁷

ანალოგია

კანონის ხარვეზების შევსება სასამართლოს უფლებამოსილებაა, რასაც ხშირად, შედეგად პრაქტიკულად ახალი ნორმის შექმნა მოსდევს თან.²⁸ ნორმის შემფარდებელმა, ცალკეული შემთხვევის გათვალისწინებით უნდა დაასაბუთოს ამა თუ იმ განმარტების მეთოდის გამოყენებით მიღებული დასკვნის მიზანშეწონილობა.²⁹

საკანონმდებლო ხარვეზი შესაძლოა იყოს აშკარა³⁰ ან დაფარული. აშკარა ხარვეზის დადგენა და მისი შევსება შედარებით მარტივი ამოცანაა. შედარებით რთული ამოცანაა, დაფარულ საკანონმდებლო ხარვეზის აღმოჩენა და მისი შევსება.³¹ ასეთ შემთხვევაში, არსებობს ამა თუ იმ საკითხის მარეგულირებელი ნორმა, თუმცა

²⁶ *Huber, Irrtumsanfechtung und Sachmängelhaftung: eine Studie zur Konkurrenzfrage vor dem Hintergrund der internationalen Vereinheitlichung des Vertragsrechts*, 2001, S. 193.

²⁷ *Bitter/Rauhut, Grundzüge zivilrechtlicher Methodik – Schlüssel zu einer gelungenen Fallbearbeitung*, JuS, 2009, S. 294 f.

²⁸ *Heck, das Problem der Rechtsgewinnung, Gesetzesauslegung und Interessenjurisprudenz, Begriffsbildung und Interessenjurisprudenz*, 1932 S. 13, 14.

²⁹ *Brandenburg, Die teleologische Reduktion*, 1983, S. 54.

³⁰ „*offene Regelungslücke*“.

³¹ „*verdeckte Regelungslücke*“.

ამის მიუხედავად, სახეზეა, საკანონმდებლო ხარვეზი,³² ვინაიდან შესაბამისი ურთიერთობა არაადეკვატურად არის მოწესრიგებული. მოსამართლემ, არსებული საკანონმდებლო ხარვეზი, უნდა შეავსოს კონკრეტული ნორმის – მისი არსისა და მიზნის შესაბამისი განმარტების მეშვეობით.

ანალოგია – ესაა ცალკეული შემთხვევის ან შემთხვევების მარეგულირებელი ნორმის გავრცელება, სხვა, სამართლებრივად მსგავს შემთხვევაზე.³³ კანონით დაურეგულირებელი ურთიერთობის მოწესრიგების მიზნით, ანალოგიის გამოყენება ხორციელდება განსახილველ შემთხვევასთან ყველაზე ახლოს მდგომი ნორმის შერჩევით და გამოყენების გზით.³⁴

აღნიშნული სცდება ამა თუ იმ ნორმის კანონმდებლისეული ნების ანუ ნორმის არსისა და მიზნის დადგენას. ამ მიდგომის გამოყენება დასაშვებია მხოლოდ გარკვეული წინაპირობების არსებობისას. კერძოდ, თუ სახეზეა კანონმდებლის მიერ ე.წ. დაუგეგმავი (გაუცნობიერებელი) საკანონმდებლო ხარვეზი, ინტერესთა მსგავსი განლაგება და მსგავსება ნორმის მიზნებს შორის.³⁵

უკუგამორიცხვა, უკუდასკვნა

ანალოგიის საპირისპირო პროცესია ე.წ. უკუდასკვნა³⁶. ის, რომ კანონმდებელმა ესა თუ ის სამართლებრივი შედეგი კონკრეტული ფაქტობრივი შემადგენლობისათვის გაითვალისწინა, შეიძლება მიუთითებდეს, რომ აღნიშნული სამართლებრივი შედეგი სხვა შემთხვევებზე არ უნდა გავრცელდეს. აღნიშნული მეთოდის გამოყენება გამართლებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სავარაუდოა

³² *Brandenburg, Die teleologische Reduktion*, 1983, S. 30.

³³ *Palandt/Sprau, BGB Kommentar*, 71.. Aufl., 2008, Einleitung, RdNr. 48.

³⁴ *Endemann, Lehrbuch des bürgerlichen Rechts*, 6. Aufl., Band 1, 1899, S. 45.

³⁵ *Bitter/Rauhut, Grundzüge zivilrechtlicher Methodik – Schlüssel zu einer gelungenen Fallbearbeitung*, JuS, 2009, S. 295. შდრ. სოფიო ჩაჩავა, „მოთხოვნებისა და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია“, 2011, გვ. 62.

³⁶ „*argumentum contrario*“; „*Umkehrschluss*“.

კანონმდებლის მიერ შესაბამისი შემთხვევის განჭვრეტა და მის მიმართ, საკუთარი ნების ამ ფორმით დაფიქსირება.³⁷

მოთხოვნის საფუძვლიანობის შემოწმება

მოთხოვნის საფუძვლიანობის შემოწმება, მატერიალური სამართლის ნორმების მისადაგების თვალსაზრისით, შემდეგი თანმიმდევრობით უნდა მოხდეს:

მოთხოვნა წარმოიშვა? აღნიშნულ კითხვაზე პასუხის გაცემა ხდება სწორედ შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლის (ან საფუძვლების) წინაპირობების შემოწმების შედეგად. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნა წარმოშობილია, უნდა დადგინდეს, ხომ არ არსებობს წარმოშობილი მოთხოვნის შეწყვეტის საფუძვლები. კერძოდ, უნდა დაისვას კითხვა, მოთხოვნა გაქარწყლდა? (შეწყდა)

აღნიშნულ კითხვაზე პასუხის გასაცემად შემოწმდეს **მოთხოვნის შეწყვეტი ნორმები** – ამ სახის ნორმები წარმოშობილ (უკვე არსებულ) მოთხოვნას საფუძველს აცლიან (სპობენ) ან ცვლიან იმგვარად, რომ მისი წარდგენა თავდაპირველი სახით კრედიტორს უკვე აღარ შეუძლია; მაგალითად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 427-ე და მომდევნო მუხლები, 352-ე და მომდევნო მუხლები, 198-ე და მომდევნო მუხლები, 203-ე მუხლი და ა.შ.. თუ კაზუსის განხილვის მოცემულ ეტაპზე დადგინდა, რომ შემთხვევაზე არ ვრცელდება მოთხოვნის შეწყვეტის საფუძვლები, უნდა შემოწმდეს, ხომ არ არსებობს მოთხოვნის განხორციელების დამაბრკოლებელი ნორმების შესაბამისი გარემოებები. კერძოდ, უნდა დაისვას კითხვა: მოთხოვნა განხორციელებადია?

მოთხოვნის შემაფერხებელი ნორმების შემოწმება, როგორც ვხედავთ, მოთხოვნის შემოწმების მესამე ეტაპია – ამ სახის ნორ-

³⁷ შეად., მაგალითად: *Bitter/Rauhut*, Grundzüge zivilrechtlicher Methodik – Schlüssel zu einer gelungenen Fallbearbeitung, JuS, 2009, S. 296 („Daraus lässt sich im Umkehrschluss folgern, dass der Gesetzgeber diesen Fall nicht als Fall der „besonderen Umstände“ (§ 281 II Alt. 2 bzw. § 323 II Nr. 3) ansehen wollte“); *Palandt/Sprau*, BGB Kommentar, 71.Aufl., 2008, Einleitung, RdNr. 50.

მები ხელს უშლიან კრედიტორს იმ მოთხოვნის განხორციელებაში, რომელიც წარმოიშვა და არ შეწყვეტილა. მოთხოვნის განხორციელების დამაბრკოლებელი საფუძველი შესაძლოა დროებითი იყოს (მაგ. შესრულების ვადის დადგომა³⁸, სკ-ის 369-ე, 163-ე მუხლის მესამე ნაწილი, მე-500, 776-ე, 894-ე და მე-900 მუხლები) და მუდმივი (სკ-ის 128-ე და მომდევნო მუხლები – ხანდაზმულობა).³⁹

5. „სწორი“ პასუხი, ენა

კაზუსის დამუშავების პროცესში ხშირია შემთხვევა, როდესაც არსებობს ნორმები თუ სამართლებრივი პრობლემა, რომლის ირგვლივაც აზრთა სხვადასხვაობაა. კერძოდ, როდესაც ამა თუ იმ ნორმის განმარტება მრავალგვარადაა შესაძლებელი; ან როდესაც სახეზეა მოთხოვნის საფუძველთა კონკურენცია, და არ არსებობს ცალსახა პასუხი, თუ რომელ ნორმას უნდა მიენიჭოს უპირატესობა. ასეთ შემთხვევაში, უნდა შეირჩეს ერთერთი ალტერნატივა, რომელიც უფრო დამაჯერებელია. სწორი და დასაბუთებული არჩევანის გაკეთება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სწორი გადაწყვეტილების მიღებისა და ამ გადაწყვეტილების გამართული და დამაჯერებელი დასაბუთების უნარჩვევის გამოსამუშავებლად. არჩევანი უნდა გაკეთდეს იმ ალტერნატივაზე, რომელიც თქვენთვის უფრო დამაჯერებელი და გამართულად დასაბუთებადია. წერით გამოცდასთან დაკავშირებული ტაქტიკური მოსაზრებებიდან გამომდინარე, შესაძლოა მოხდეს ამოხსნის ერთი გზის შერჩევა, თუმცა, ასევე

³⁸ იხ. სკ-ის 366-ე მუხლი – თუ ვალდებულების შესრულებისთვის განსაზღვრულია დრო, მაშინ საექვოობისას ივარაუდება, რომ კრედიტორს ამ ვადამდე შეუძლია შესრულების მოთხოვნა, თუმცა, ამ წესიდან გამონაკლისს უშვებს სკ-ის 367-ე მუხლი, რომელიც მიუხედავად ვადის დაუდგომლობისა, მაინც უნარჩუნებს მოთხოვნას კრედიტორს; თუკი მოვალე ამცირებს შეპირებულ უზრუნველყოფას ან/საერთოდ ვერ წარმოადგენს მას, ან კიდევ, სახეზეა მისი გადახდისუუნარობა/ან მოსალოდნელი გადახდისუუნარობა.

³⁹ მოთხოვნის ხანდაზმულობა გულისხმობს, მის განუხორციელებლობას კანონით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ.

მისაღებია დამხმარე დასკვნის შედგენაც, რომელიც ყველა შესაძლო ალტერნატივას მიმოიხილავს.

პრაქტიკაში არ არსებობს შემთხვევა, რომელიც გადაუჭრელად დარჩება. მოსამართლეს, რომელმაც კონკრეტულ შემთხვევას სამართლებრივი შეფასება უნდა მისცეს, არ აქვს უფლება არ ჰქონდეს პოზიცია, ან ორივე მხარის პოზიციას თანაბრად იზიარებდეს. შესაბამისად მნიშვნელოვანია, რომ არჩეული პოზიცია იმდენად დამაჯერებელი იყოს, რომ გამოირიცხოს ეჭვები სხვა პოზიციათა მართებულობის თვალსაზრისით. მკითხველისათვის უდავო უნდა იყოს, რომ კაზუსის ამოხსნის ეს გზა უდავოდ უპირატესი და დამაჯერებელია.

გასათვალისწინებელია, რომ კაზუსს ყოველთვის არ აქვს ერთადერთი სწორი პასუხი. ხშირია შემთხვევა, როდესაც კაზუსს ორი ან სამი ამოხსნის ალტერნატივა აქვს და ყველა თავისებურად დამაჯერებელი და დასაბუთებულია. ამასთან, არსებობს ასევე ბევრი მცდარი ამოხსნა, რომელთა გაზიარებაც შეუძლებელია. ასეთი ამოხსნის შერჩევის შემთხვევაში, ნაშრომი ვერ მიიღებს დადებით შეფასებას.

კაზუსის ამოხსნა უნდა იყოს რაც შეიძლება მარტივი და გასაგები ენით შედგენილი. სასურველია, გამოყენებულ იქნას მოკლე, ერთაზროვანი წინადადებები, მითითებულ იქნას კონკრეტული დასკვნები და ჰქონდეს ლოგიკური სტრუქტურა.

II კაზუსები, ამოხსნის სქემები და სამართლებრივი დასკვნები მითითებული თემატიკის მიხედვით

კაზუსი № 1

თემატიკა: არასრულწლოვანის მიერ დადებული გარიგება, შეცდომით დადებული გარიგება.

ანი, 2011 წლის 25 მაისს, თავის მეთხოველზე დაბადების დღეზე მიღებული საჩუქრებიდან, ყველაზე დიდი სიხარულით, ბიძამისის მიერ ნაჩუქარ ასლარიანს შეხვდა. დიზაინერ გიორგის კატალოგში ნაპოვნი ვარდისფერი ჯინსის შარვალი გაახსენდა, რომელიც სწორედ ასი ლარი ღირდა და დედამისის თანდასწრებით დაუყოვნებლივ შეავსო კატალოგზე თანდართული განაცხადი. ანი, განაცხადის შევსებისას, მექანიკურად 383-ის ნაცვლად 338 ნომერს უთითებს და 10 ივნისს, ჯინსის შარვლის ნაცვლად, მოჭიდავის კიმონოს იღებს, თუმცა აღნიშნულ ამანათს ის, მხოლოდ 2011 წლის 25 ივნისს ხსნის, ვინაიდან ის, ორი კვირის განმავლობაში, ქალაქში არ იმყოფებოდა.

2011 წლის 26 ივნისს, ის უკავშირდება გიორგის და განმარტავს, რომ იგი მოტყუებულია.

გიორგი მიიჩნევს, რომ ანიმ სწორედ ის პროდუქტი მიიღო, რომელიც შეუკვეთა. შესაბამისად, იგი, ანისაგან 100 ლარის გადახდას ითხოვს.

აქვს გიორგის ანისგან 100 ლარის გადახდის მოთხოვნის უფლება?

ამოხსნის სქემა

გიორგის შესაძლებელია ჰქონოდა ანისაგან 100 ლარის გადახდის მოთხოვნის უფლება 477 II მუხლის თანხმად

I. მოთხოვნის წარმოშობა

წინაპირობაა ნამდვილი ნასყიდობის ხელშეკრულება

(ორი ურთიერთმფარავი ნების გამოვლენა – ანის შეთავაზება (ოფერტი) და გიორგის თანხმობა კონკლუდენტურად, პროდუქტის გადაგზავნის გზით (აქცეპტი)).

სსკ ის 329-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად:

ოფერტი – ეს არის ხელშეკრულების დადების შესახებ წინადადება (ცალმხრივი ნების გამოვლენა), რომელიც მიმართულია პირთა განსაზღვრული წრისადმი და „გამოხატულია, რომ წინადადების მიმცემი (ოფერენტი) თანხმობის (აქცეპტის) შემთხვევაში მზადაა შეასრულოს თავისი წინადადება“ (ახასიათებს ბოჭვის ნება).

დასადგენია ანის მიერ გამოვლენილი ნება

ნების გამოვლენა – ეს არის ნება (სუბიექტური კომპონენტი), რომელიც მიმართულია სამართლებრივი შედეგის დადგომაზე (ნების ობიექტური გამოხატვა)⁴⁰

ნამდვილობა:

ანი 15 წლისაა, მე-14 I მუხლის თანახმად შეზღუდულქმედუნარიანი

მე-15 (ან 63-ე) მუხლის თანახმად, მისი ნების გამოვლენა ნამდვილია მხოლოდ კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით – ასეთი სახეზეა (დედის თანდასწრება მიუთითებს წარმომადგენლის თანხმობას)

ანისა და გიორგის შორის დადებულია ნასყიდობის ხელშეკრულება კიმონოზე

II. მოთხოვნის შეწყვეტა

ანის შეცდომა წარმოშობს შეცილების უფლებას.

შეცილების საფუძველია 73-ე „ა“ მუხლი, მაგრამ აუცილებელია ცალმხრივი მიღებასავალდებულო ნების გამოვლენა 59-ე II მუხლის მე-2 წინადადება.

⁴⁰ დავით კერესელიძე „კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები“, 2009, გვ. 241, 242.

შეცილება განხორციელდა სსკ-ის 59-ე მუხლის II ნაწილისა და სსკ-ის 79-ე მუხლის I ნაწილების დაცვით. შეცილება იწვევს გარიგების ბათილობას მისი დადების მომენტიდან (ე.წ. *ex tunc* – ბათილობა), სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის 1-ლი წინადადება.

შესაბამისად გიორგის არ აქვს 477 II მუხლის თანახმად 100 ლარის გადახდის მოთხოვნის უფლება

სამართლებრივი დასკვნა

გიორგის შესაძლებელია ჰქონოდა ანისაგან 100 ლარის გადახდის მოთხოვნის უფლება 477 II მუხლის თანახმად

I. მოთხოვნის წარმოშობა

იმისათვის, რომ გიორგის ჰქონდეს ანისაგან 100 ლარის მოთხოვნის უფლება, სახეზე უნდა იყოს ნამდვილი ნასყიდობის ხელშეკრულება.

ხელშეკრულება არის გარიგება, რომელიც შედგება ორი ურთიერთთანმხვედრი ნების გამოვლენისაგან, კერძოდ, ოფერტისა და აქცეპტისაგან.

ოფერტი – ეს არის ხელშეკრულების დადების შესახებ წინადადება (ცალმხრივი ნების გამოვლენა), რომელიც მიმართულია პირთა განსაზღვრული წრისადმი და „გამოხატულია, რომ წინადადების მიმცემი (ოფერენტი) თანხმობის (აქცეპტის) შემთხვევაში მზადაა შეასრულოს თავისი წინადადება“ (ახასიათებს ბოჭვის ნება).

მოცემულ კაზუსში, ოფერტს შესაძლოა წარმოადგენდეს ანის მიერ შევსებული განცხადება.

პირველ რიგში, დასადგენია, არის თუ არა ანის მიერ გამოვლენილი ნება (კატალოგში შევსებული განცხადება) ნამდვილი. ნების გამოვლენა – ეს არის ნება (სუბიექტური კომპონენტი), რომელიც მიმართულია სამართლებრივი შედეგის დადგომაზე (ნების ობიექტური გამოხატვა).⁴¹

⁴¹ დავით კერესელიძე „კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები“, 2009, გვ. 241, 242.

კატალოგში შევსებული განცხადებით გამოვლენილი ნებით, ანის სურდა გიორგისთვის ოფერტის მიწოდება ვარდისფერი ჯინსის ყიდვის თაობაზე. კერძოდ სახეზეა ნება, რომელიც მიმართულია სამართლებრივი შედეგის დადგომაზე.

ანი ჯერ 15 ნლისაა. სსკ-ის მე-14 მუხლის I ნაწილის თანახმად, შვიდიდან თვრამეტ წლამდე ასაკის პირი შეზღუდულქმედუნარიანია. შესაბამისად, ანი შეზღუდულქმედუნარიანია. სსკ-ის მე-15 (ან 63-ე) მუხლის თანახმად, შეზღუდულქმედუნარიანის ნების გამოვლენის ნამდვილობისათვის, აუცილებელია კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა, გარდა იმ შემთხვევისა, თუ იგი, ამ გარიგებით, იღებს სარგებელს ან განკარგავს ჯიბის ფულს სსკ-ის 65-ე მუხლის I ნაწილის შესაბამისად.

მოცემულ შემთხვევაში, ანი ავსებს კატალოგში მითითებულ განაცხადს დედის თანდასწრებით. შესაბამისად, ივარაუდება, რომ კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა სახეზეა. ამრიგად, ნების გამოვლენა ნამდვილია. სახეზეა ანის ოფერტი.

გიორგიმ, ანის ოფერტი მიიღო (თანხმობა განაცხადა ოფერტზე) ყველაზე გვიან, საქონლის მიწოდებით, კონკლუდენტურად.

შუალედური შედეგი: ანისა და გიორგის შორის დადებულია ნასყიდობის ხელშეკრულება კომონოზე.

II. მოთხოვნის შეწყვეტა

დასადგენია, ხომ არ არსებობს ხელშეკრულების ნამდვილობის დამაბრკოლებელი სხვა გარემოება.

მოცემული ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, არ იკვეთება გიორგის მხრიდან მოტყუების ნიშნები. თუმცა შესაძლოა სახეზე იყოს შეცდომა.

სსკ-ის 72-ე მუხლის თანახმად, გარიგება საცილოა, თუ იგი დადებულია არსებითი შეცდომის საფუძველზე. შეცდომა ნიშნავს ფაქტებზე მცდარ შეხედულებას (წარმოდგენას).

შეცდომის საფუძველი შესაძლოა იყოს 73-ე „ა“ მუხლი, რომლის თანახმად არსებითად ჩათვლება შეცდომა, თუ პირს სურდა

დაედო სხვა გარიგება, და არა ის, რომელზეც მან გამოთქვა თანხმობა.

ანიმ, კატალოგში შერჩეული შარვლის ნომრის – 383-ის ნაცვლად, მექანიკურად მიუთითა 338. აღნიშნული შეცდომა, წარმოადგენს შეცდომას გამოსატყვამი და არა შინაარსში. შესაბამისად, შეცილების საფუძველი სახეზეა.

სსკ-ის 59-ე მუხლის II ნაწილის შესაბამისად, საცილო გარიგება ბათილია დადების მომენტიდან (ex tunc), თუკი შეცილება წარმატებული (ნამდვილი) იქნება. შეცილება ხორციელდება ხელშეკრულების მეორე მხარის მიმართ (სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე-2 წინადადება).

2011 წლის 26 ივნისს, ანი უკავშირდება გიორგის და განმარტავს, რომ იგი მოტყუებულია. აღნიშნული, უნდა ჩათვალოს ანის მიერ შეცილებად სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის გაგებით. შეცილება, როგორც ცალმხრივი მიღებასავალდებულო ნების გამოვლენა, ნამდვილია სსკ-ის 51-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, როდესაც იგი მეორე მხარეს მიუვა. გიორგის, აღნიშნული ნების გამოვლენა მიუვიდა 2011 წლის 26 ივნისს, როდესაც მას ანი დაუკავშირდა და შეცილება ამ მომენტისათვის გახდა ნამდვილი.

მაგრამ დასადგენია, არის თუ არა აღნიშნული შეცილება სსკ-ის 79-ე მუხლის I ნაწილის შესაბამისად დადგენილ ვადაში განხორციელებული. შეცილება უნდა მოხდეს საფუძვლის შეტყობიდან ერთი თვის განმავლობაში. ანიმ, შეცდომის შესახებ შეიტყო 25 ივნისს. შესაბამისად, ის, 26 ივნისს უკავშირდება გიორგის, შეცდომის შეტყობიდან მეორე დღეს. შეცილების ვადა დაცულია. გარიგება ნამდვილი შეცილების საფუძველზე ბათილია დადების მომენტიდან.

საბოლოო დასკვნა:

შესაბამისად გიორგის არ აქვს 477 II მუხლის თანახმად 100 ლარის გადახდის მოთხოვნის უფლება

კაზუსი № 2

თემატიკა: ხელშეკრულების დადება, წარმომადგენლობა

2011 წლის 27 მარტს, ანი, გაზეთში „სიტყვა და საქმე“, განათავსებს განცხადებას: „გთავაზობთ, თანამედროვე კატალოგების მიხედვით, ნებისმიერი ფორმის და ზომის ქუდის მოქსოვას 100 ლარის ფარგლებში“. განცხადებაში მითითებულია ანის ტელეფონის ნომერი და მისამართი.

2011 წლის 30 მარტს, მაკა მიდის ანის მიერ მითითებულ მისამართზე და ანის პიროვნებით და ფასებით აღფრთოვანებული, სთხოვს მას 7 ქუდის მოქსოვას ერთი კვირის განმავლობაში, ამასთან აცხადებს მზადყოფნას, თითო ქუდში გადაიხადოს 100 ლარი.

ანის უკვე ბევრი შეკვეთა აქვს მიღებული, მაგრამ მაინც თანხმდება მაკას წინადადებას იმ პირობით, რომ თითო ქუდის ღირებულება 120 ლარი იქნება. მაკა ღიმილით თანხმდება ამ პირობას.

მაკას ძალიან უნდა ახალი ქუდების დროულად მოხდენა და ამიტომ უთანხმდება თავის 14 წლის მეგობარ ნინოს, რომელიც ანისთან 6 აპრილს მიდის თავისთვის შეკვეთის მისაცემად, რომ წამოიღოს მოქსოვილი ქუდები. თანხის გადასახდელად, მაკა თავად აპირებს რამდენიმე დღეში ანისთან მისვლას.

ანი, უარს ამბობს, გადასცეს ნინოს უკვე მოქსოვილი ქუდები. მაკას აინტერესებს თუ რა მოთხოვნა შეიძლება ჰქონდეს მას და ვის მიმართ?

განხილვის სქემა:

მაკას მოთხოვნის საფუძველი ანის მიმართ: სსკ-ის 477 I მუხლი წინაპირობა არის – ანისა და მაკას შორის დადებული ნამდვილი ნასყიდობის ხელშეკრულება.

ამისათვის საჭიროა, ორი, შინაარსობრივად ურთიერთმფარავი ნების გამოვლენა სსკ-ის 477-ე მუხლის შინაარსით ოფერტისა და აქცეპტის სახით, ანუ სსკ-ის 327-ე მუხლის შესაბამისად მხარეთა

შეთანხმება ყველა არსებით პირობაზე. არ უნდა არსებობდეს ნამდვილობის შემაფერხებელი გარემოებები.

საგაზეთო განცხადების გაკეთება არ არის ოფერტი სსკ-ის 329 I მუხლის თანახმად, არამედ მოწვევა ოფერტზე სსკ-ის 329 II მუხლის შესაბამისად (ე.წ. *invitatio ad offerendum*).

მაკას მიერ შესყიდვის შეთავაზება უნდა შეფასდეს, როგორც ოფერტი თანამყოფ პირებს შორის, 330-ე I მუხლი.

ანის „თანხმობა“ რეალურად არის უარი დაკავშირებული ახალ ოფერტთან სსკ-ის 333-ე II მუხლის თანახმად.

მაკა ღიმილით აცხადებს თანხმობას, ანუ აქცეპტს.

ნასყიდობის ხელშეკრულება დადებულია.

ნინო არ არის წარმომადგენელი, არამედ ის „ბოთეა“, ანუ პირი რომელსაც იყენებენ ვალდებულების შესასრულებლად სსკ-ის 396-ე მუხლის შესაბამისად.

შეზღუდულ ქმედუნარიანობას მნიშვნელობა არ აქვს.

ფაქტობრივი გარემოებებიდან არ იკვეთება ვალდებულების შეწყვეტის საფუძვლები. არ არსებობს მოთხოვნის განხორციელების დამაბრკოლებელი გარემოებები.

შედეგი: მაკას აქვს ანის მიმართ ქუდების გადაცემის მოთხოვნის უფლება

სსკ-ის 477 I მუხლის თანახმად.

სამართლებრივი დასკვნა

მაკას, შესაძლებელია ჰქონდეს მოთხოვნის უფლება ანის მიმართ, სსკ-ის 477-ე მუხლის I ნაწილის თანახმად.

სსკ-ის 477-ე მუხლის I ნაწილის შესაბამისად, გამყიდველი ვალდებულია, მყიდველს გადასცეს საკუთრების უფლება ქონებაზე. აღნიშნული მოთხოვნის წინაპირობაა, მხარეთა შორის დადებული, ნამდვილი ნასყიდობის ხელშეკრულება. ნამდვილი ნასყიდობის ხელშეკრულება რომ სახეზე იყოს, სახეზე უნდა იყოს ორი, შინაარსობრივად ურთიერთმფარავი ნების გამოვლენა სსკ-ის 477-ე მუხ-

ლის შინაარსით, ოფერტისა და აქცეპტის სახით. კერძოდ, მხარეები უნდა შეთანხმდნენ ხელშეკრულების არსებით პირობებზე სსკ-ის 327-ე მუხლის შესაბამისად. ამასთანავე, არ უნდა არსებობდეს ხელშეკრულების ნამდვილობის შემაფერხებელი გარემოებები.

სახეზე უნდა იყოს ნასყიდობის ხელშეკრულებაზე მიმართული ნამდვილი ოფერტი. ოფერტი არის ცალმხრივი ნების გამოვლენა, რომლის საშუალებითაც ერთი მხარე, მეორეს, ისეთი სახით (ფორმით) სთავაზობს ხელშეკრულების დადებას, რომ ეს უკანასკნელი დამოკიდებულია მხოლოდ მის სრულ თანხმობაზე. სსკ-ის 329-ე მუხლის I ნაწილის შესაბამისად, ხელშეკრულების დადების შესახებ წინადადება ითვლება შეთავაზებულად, თუ ამ წინადადებაში, რომელიც მიმართულია ერთი ან რამდენიმე პირისადმი, გამოხატულია წინადადების მიმცემის მზაობა, თანხმობის შემთხვევაში, შეასრულოს თავისი წინადადება (გააჩნია ბოჭვის ნება; სამართლებრივი ბოჭვის ნება).

ანის მიერ განთავსებული საგაზეთო განცხადება გაზეთში „სიტყვა და საქმე“: „გთავაზობთ, თანამედროვე კატალოგების მიხედვით, ნებისმიერი ფორმის და ზომის ქუდის მოქსოვას 100 ლარის ფარგლებში“ – არ არის ოფერტი სსკ-ის 329 I მუხლის თანახმად, ვინაიდან ის, პირთა განუსაზღვრელი წრისადმია გაკეთებული და განმცხადებელს არ გააჩნია ბოჭვის ნება აღნიშნულ განცხადებასთან დაკავშირებით. კერძოდ, იგი არ არის მზად, დააკმაყოფილოს ხელშეკრულების დადების მსურველი ნებისმიერი პირის მოთხოვნა ხელშეკრულების დადების თაობაზე.

სსკ-ის 329-ე მუხლის II ნაწილის შესაბამისად, წინადადება, რომელიც მიმართულია პირთა განუსაზღვრელი წრის მიმართ, წარმოადგენს მოწვევას ოფერტზე (ე.წ. *invitatio ad offerendum*). საგაზეთო განცხადება, უდავოდ, მიმართულია პირთა განუსაზღვრელ წრეზე. შესაბამისად, აღნიშნული განცხადება არის მოწვევა ოფერტზე სსკ-ის 329 II მუხლის შესაბამისად და არა ოფერტი.

2011 წლის 30 მარტს, მაკა მიდის ანისთან და სთხოვს მას 7 ქუდის მოქსოვას ერთი კვირის განმავლობაში, ამასთან აცხადებს

მზადყოფნას თითო ქუდში გადაიხადოს 100 ლარი. აღნიშნული თხოვნა უნდა შეფასდეს, როგორც ოფერტი თანამყოფ პირებს შორის, სსკ-ის 330-ე I მუხლის შესაბამისად, კერძოდ, თანამყოფ პირებს შორის პასუხი მიღებულ უნდა იქნას მაშინვე.

სსკ-ის 333-ე მუხლის II ნაწილის შესაბამისად, როდესაც პასუხში გამოთქმულია თანხმობა ხელშეკრულების დადებაზე, ოღონდ სხვა პირობებით, ასეთი თანხმობა ჩაითვლება უარად და ამავე დროს ახალ წინადადებად. ანის „თანხმობა“ იმ პირობით, რომ თითო ქუდის ღირებულება 120 ლარი იქნება, რეალურად არის უარი, დაკავშირებული ახალ ოფერტთან სსკ-ის 333-ე II მუხლის თანახმად. ამრიგად, სახეზეა ოფერტი.

ნასყიდობის ნამდვილობისთვის, მაკას, ეს ოფერტი უნდა მიეღო აქცეპტით. აქცეპტი არის უპირობო თანხმობა ოფერტზე. მაკა ღიმილით აცხადებს თანხმობას. აღნიშნული, არის თანამყოფ პირებს შორის სიტყვიერად გამოხატული აქცეპტი, რომელიც სსკ-ის 330-ე მუხლის I ნაწილის მოთხოვნების დაცვითაა განხორციელებული.

შესაბამისად, სახეზეა ორი ურთიერთმფარავი ნების გამოვლენა ოფერტისა და აქცეპტის სახით. ნასყიდობის ხელშეკრულების არსებით პირობებს წარმოადგენს ხელშეკრულების საგანი და ფასი (ხელშეკრულების არსებითი პირობები – *essentialia negotii*). აღნიშნულ პირობებზე მოხდა მხარეთა შორის შეთანხმება სსკ-ის 327-ე მუხლის გაგებით.

შუალედური შედეგი: ნასყიდობის ხელშეკრულება დადებულია.

ნინო უფლებამოსილი იქნება, მოითხოვოს ვალდებულების შესრულება გამყიდველისაგან, თუ მას გააჩნია საამისო უფლებამოსილება წარმომადგენლობის ან სხვა სახით.

სსკ-ის 104-ე მუხლის I ნაწილის შესაბამისად, იმ გარიგებას, რომელსაც პირი დებს თავისი უფლებამოსილების ფარგლებში და სხვისი (წარმომადგენლის) სახელით, უფლებები და მოვალეობები წარ-

მოქმედება წარმომადგენელ პირს. იმისათვის რომ სახეზე იყოს ნამდვილი წარმომადგენლობა, სახეზე უნდა იყოს შემდეგი წინაპირობები.

- პირი უნდა ავლენდეს საკუთარ ნებას (დებს ხელშეკრულებას)
- იგი უნდა მოქმედებდეს სხვისი სახელით (წარმომადგენლის სახელით)
- იგი უნდა მოქმედებდეს მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.

მოცემულ შემთხვევაში, მაკა უთანხმდება თავის 14 წლის მეგობარ ნინოს, რომელიც ანისთან 6 აპრილს მიდის თავისთვის შეკვეთის მისაცემად, რომ წამოიღოს მაკასთვის მოქსოვილი ქუდები. თანხის გადასახდელად, მაკა თავად აპირებს რამდენიმე დღეში ანისთან მისვლას.

აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების თანახმად, ნინო არ არის წარმომადგენელი, ვინაიდან, ის არ ავლენს საკუთარ ნებას. შესაბამისად, ნინო უნდა ჩაითვალოს იმ პირად, რომელსაც მაკა იყენებს საკუთარი ვალდებულების შესასრულებლად სსკ-ის 396-ე მუხლის გაგებით.

შესაბამისად ის გარემოება, რომ ნინო შეზღუდულქმედუნარიანია, უმნიშვნელოა შემთხვევის კვალიფიკაციისათვის, ვინაიდან, იგი, არ ავლენს საკუთარ ნებას. სსკ-ის 396-ე მუხლის შესაბამისად, რისკი, არასრულწლოვანი პირის საკუთარი ვალდებულების შესასრულებლად შერჩევისას, სწორედ მაკას ეკისრება და არა ანის.

ფაქტობრივი გარემოებებიდან არ იკვეთება ვალდებულების შეწყვეტის საფუძვლები.

არ არსებობს მოთხოვნის განხორციელების დამაბრკოლებელი გარემოებები.

შედეგი: მაკას აქვს ანის მიმართ, ქუდების, ანუ ნასყიდობის საგნის გადაცემის მოთხოვნის უფლება სსკ-ის 477 | მუხლის თანახმად.

კაზუსი № 3

შპს „ა“-სა და შპს „ბ“-ს შორის 2003 წლიდან არსებობს შეთანხმება, შპს „ა“-სთვის მინის ტარის მინოდებასთან დაკავშირებით, თითო ბოთლი 2 თეთრად. მინოდება პერიოდულად ხდება შპს „ა“-ს მიერ გაკეთებული განაცხადის საფუძველზე, ადგილზე მიტანით, შპს „ა“-ს იურიდიულ მისამართზე მდ. თბილისში, საბურთალოს № 20-ში. 2006 წლის 1 სექტემბერს, შპს „ა“-მ შეუკვეთა შპს „ბ“-ს 80.000 ბოთლი 2006 წლის 15 ნოემბრისათვის, თითო 2 თეთრად, როგორც მათ შორის მიღებული იყო. შპს „ბ“-მ განაცხადა თანხმობა, მაგრამ არა 2 თეთრზე, არამედ 3 თეთრზე. შპს „ა“-სგან პასუხი მიღებული არ იქნა.

2006 წლის 15 ნოემბერს, შპს „ბ“-მ, შეკვეთილი 80.000 ბოთლი მიიტანა შპს „ა“-ს იურიდიულ მისამართზე – თბილისში, საბურთალოს № 20-ში. თუმცა აღმოჩნდა, რომ შპს „ა“ ამ მისამართზე აღარ მდებარეობდა. შპს „ბ“-მ ბოთლები შესანახად მიაბარა სანყობს, მდებარე ლილოს № 2-ში. 2006 წლის 5 დეკემბერს, შპს „ბ“-ს, დაუკავშირდა შპს „ა“-ს წარმომადგენელი და შეახსენა განაცხადი 80.000 ბოთლის მინოდების თაობაზე, ასევე, მიუთითა სანარმოს ახალი მისამართი – თბილისი, იყალთოს № 70. შპს „ბ“-მ, შპს „ა“-ს წარმომადგენელს განუცხადა, რომ ბოთლები ინახებოდა თბილისში – ლილოს № 2-ში. შპს „ა“-ს მოთხოვნით, შპს „ბ“-მ, სანყობში მიბარებული ბოთლები მიიტანა შპს „ა“-ს ახალ იურიდიულ მისამართზე – თბილისში, იყალთოს № 70-ში. 2006 წლის 10 დეკემბერს, შპს „ა“-მ, შპს „ბ“-ს საბანკო ანგარიშზე, როგორც ეს მიღებული ჰქონდათ, გადაიხადა 80.000X2 თეთრზე ბოთლების ღირებულება – სულ 1600 ლარი.

2007 წლის იანვარში, შპს „ბ“-მ, წერილობით მიმართა შპს „ა“-ს და მოითხოვა ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე თანხის დარჩენილი ნაწილის ($80.000 \times 3 = 2400$) სულ – 800 ლარის, შპს „ბ“-ს საბანკო ანგარიშზე შეტანა. შპს „ა“-მ, შპს „ბ“-ს ეს მოთხოვნა არ შეასრულა. 2007 წლის 1 სექტემბერს, შპს „ბ“-ს მოთხოვნის საფუძველზე, შპს „ა“-მ, წერილობით აღიარა შპს „ბ“-ს მიმართ

ბოთლების ღირებულების თანხის ნაწილის – 800 ლარის გადახდის ვალდებულების არსებობის შესახებ და იკისრა მისი გადახდა 2007 წლის შემოდგომის ბოლოსათვის, თუმცა ვალდებულება არც ამჟვერად შეასრულა.

2010 წლის 10 იანვარს, შპს „ბ“-მ, შპს „ა“-სგან მოითხოვა ბოთლების ღირებულების თანხის დარჩენილი ნაწილის – 800 ლარის გადახდა, აგრეთვე 2006 წელს საწყობში მიბარების და ლილოს № 2-ში მინის ტარის მიტანის ტრანსპორტირებით გამონვეული დამატებითი ხარჯების ანაზღაურება 500 ლარის ოდენობით.

შპს „ა“ მოთხოვნებს არ ცნობს და მიუთითებს, რომ მოთხოვნები დამატებითი ხარჯების ანაზღაურებისა და 800 ლარის გადახდის დაკისრებასთან დაკავშირებით ხანდაზმულია. გარდა ამისა, ვალდებულება, რომელიც მათ აღიარეს (ბოთლების ღირებულების თანხის ნაწილის – 800 ლარის გადახდის შესახებ) არ არსებობს, რადგან ისინი შეთანხმებული იყვნენ ბოთლების ღირებულებაზე – 2 თეთრზე და არა 3 თეთრზე, სწორედ ამიტომ, არ უპასუხეს შპს „ბ“-ს განაცხადს ფასის მომატებასთან დაკავშირებით, შესაბამისად, არც იყვნენ ვალდებულნი, შეეტყობინებინათ გამყიდველისათვის იურიდიული მისამართის შეცვლის შესახებ.

როგორ გადავწყვიტოთ დავა? პასუხი დაასაბუთეთ.

თემატიკა:

1. ნასყიდობა – სსკ-ის 477-ე მუხლი;
2. იურიდიული მისამართის შეცვლის გამო წარმოშობილი ხარჯები – სსკ-ის 363-ე მუხლის მეორე ნაწილი;
3. ოფერტი და აქცეპტი – სსკ-ის 329-ე 330-ე მუხლები;
4. ოფერენტის თანხმობის ვარაუდი – სსკ-ის 334-ე მუხლი;
5. ხანდაზმულობა – სსკ-ის 128-ე და შემდგომი მუხლები;

შპს „ბ“ – გამყიდველი; შპს „ა“ – მყიდველი;

პირველი მოთხოვნა

ნასყიდობის ხელშეკრულების ფასის დარჩენილი ნაწილის – 800 ლარის გადახდა;

შესაძლებელია ეს მოთხოვნა გამომდინარეობდეს სსკ-ის 477-ე მუხლის მეორე ნაწილიდან.

მოთხოვნის წარმოშობა

სამართლებრივი წანამძღვრები:

- ა) „ა“-სა და „ბ“-ს შორის ნამდვილი ნასყიდობის ხელშეკრულება. (+)
- ბ) მყიდველის მიერ ხელშეკრულებით შეთანხმებული ფასის (2400 ლარი) ნაწილის – 1600 ლარის გადახდა. (+)
- გ) მყიდველის მიერ ვალდებულების დარღვევა – ხელშეკრულებით შეთანხმებული ფასის ნაწილის – 800 ლარის არ გადახდა. (+)

მოთხოვნის შეწყვეტა:

კაზუსის ფაბულა არ შეიცავს მოთხოვნის შემწყვეტ გარემოებებზე მითითებას.

მოთხოვნის განხორციელებადობა:

კაზუსის ფაბულის მიხედვით არ არსებობს გარემოებები, რომლებიც დროებით ან მუდმივად აფერხებენ მოთხოვნის განხორციელებას.

შუალედური დასკვნა: „ბ“-ს შეუძლია მოითხოვოს „ა“-სგან 800 ლარის გადახდა.

მეორე მოთხოვნა

დამატებითი ხარჯების ანაზღაურება 500 ლარის ოდენობით.

შესაძლებელია, ეს მოთხოვნა გამომდინარეობდეს სსკ-ის 363-ე მუხლის მეორე ნაწილიდან.

მოთხოვნის წარმოშობა

სამართლებრივი წანამძღვრები

- ა) „ბ“-ს მიერ, ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, „ბ“-სთვის 80.000 ცალი ბოთლის მიწოდება. (+)

ბ) „ა“-ს მიერ ვალდებულების შესრულებამდე იურიდიული მისამართის შეცვლა. (+)

გ) მყიდველის იურიდიული მისამართის შეცვლის გამო, გამყიდველისათვის დამატებითი ხარჯების წარმოშობა. (+)

შუალედური დასკვნა: მოთხოვნა წარმოიშვა.

მოთხოვნის შემწყვეტა

კაზუსის ფაბულა არ შეიცავს მოთხოვნის შემწყვეტ გარემოებებზე მითითებას.

მოთხოვნის განხორციელება

მოვალემ წარადგინა მუდმივი შესაგებელი ხანდაზმულობაზე.

შუალედური დასკვნა: მოთხოვნა განუხორციელებელია.

სამართლებრივი დასკვნა

„ბ“-ს მოთხოვნა „ა“-ს მიმართ – ნასყიდობის ფასის დარჩენილი ნაწილის, 800 ლარის გადახდის თაობაზე.

მოთხოვნა შეიძლება გამომდინარეობდეს სსკ-ის 477-ე მუხლის მეორე ნაწილიდან.

მოთხოვნის წარმოშობა:

მოთხოვნის წარმოშობის წინაპირობაა „ა“-სა და „ბ“-ს შორის ნამდვილი ნასყიდობის ხელშეკრულების დადება. ხელშეკრულება ორი ან რამდენიმე პირის შეთანხმებაა, რომლითაც ისინი კონკრეტული სამართლებრივი შედეგის მიღწევას ისახავენ მიზნად. სახელშეკრულებო უფლებები და მოვალეობები წარმოიშობა მხოლოდ ხელშეკრულების დადების შემდეგ. ამიტომ, დიდი პრაქტიკული მნიშვნელობისაა საკითხი, თუ რა მომენტიდან ჩაითვლება ხელშეკრულება დადებულად. სსკ-ის 327-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ხელშეკრულება დადებულად რომ ჩაითვალოს, აუცილებელია, მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ, საამისოდ გათვალისწინებული ფორმით.

მხარეების მიერ, ხელშეკრულების არსებით პირობებზე შეთანხმება ოფერტისა და აქცეპტის მეშვეობით ხორციელდება. ოფერტი არის მიღება, სავალდებულო ცალმხრივი ნების გამოვლენა, რომლის საშუალებითაც ერთი მხარე, მეორეს ისეთი სახით (ფორმით) სთავაზობს ხელშეკრულების დადებას, რომ ეს უკანასკნელი დამოკიდებულია მხოლოდ მის სრულ თანხმობაზე. ამრიგად, მხოლოდ ოფერტი სამართლებრივ შედეგს ვერ წარმოშობს. იგი არის ნების გამოვლენა ხელშეკრულების დასადავად და სამართლებრივ შედეგს გამოიწვევს მხოლოდ მაშინ, როცა მეორე მხარე – აქცეპტანტი ამ ნებას მიიღებს და დათანხმდება ხელშეკრულების დადებაზე. მაშასადამე, ნამდვილი ნასყიდობის ხელშეკრულების არსებობის წინაპირობაა, ორი ურთიერთმფარავი ნების გამოვლენა ოფერტის და აქცეპტის სახით და ასევე, შეთანხმება ხელშეკრულების არსებით პირობებზე (საგანი, ფასი) საამისოდ გათვალისწინებული ფორმით (ხელშეკრულების არსებითი პირობები *essentialia negotii*).

ა) მყიდველის, „ა“-ს მხრიდან ნების გამოვლენა სსკ-ის 329-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, არის ოფერტი, რომელსაც ახასიათებს ბოჭვის ნება, მოიცავს ყველა არსებით პირობას, მიმართულია ამ შემთხვევაში „ბ“-სკენ და საჭიროებს მხოლოდ მის თანხმობას.

ბ) „ბ“-ს მხრიდან, ადგილი აქვს შემხვედრი ნების გამოვლენას – აქცეპტს სსკ-ის 334-ე მუხლის შესაბამისად, კერძოდ, თუ საქმიან ურთიერთობებში, აქცეპტი ხორციელდება შეცვლილი პირობებით, ხელშეკრულება ჩაითვლება დადებულიად, თუკი აქცეპტანტს უფლება ჰქონდა ევარაუდა ოფერენტის თანხმობა და ეს უკანასკნელი მაშინათვე არ განაცხადებს უარს.

შესაბამისად, მხარეები შეთანხმდნენ ნასყიდობის ხელშეკრულებისათვის დამახასიათებელ არსებით პირობებზე: საგანი, ფასი, ვალდებულების შესრულების დრო. სახეზეა ნამდვილი ნასყიდობის ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს სსკ-ის 477-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით გათვალისწინებულ უფლება-მოვალე-

ობებს, კერძოდ, ნასყიდობის ხელშეკრულებით, გამყიდველი მოვალეა გადასცეს მყიდველს საკუთრების უფლება ქონებაზე, მასთან დაკავშირებული საბუთები და მიაწოდოს საქონელი. მყიდველი მოვალეა, გადაუხადოს გამყიდველს შეთანხმებული ფასი და მიიღოს ნასყიდი ქონება.

სსკ-ის 361-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, სახელშეკრულებო ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. გამყიდველის მხრიდან, ვალდებულება შესრულდა ხელშეკრულების შესაბამისად, თუმცა კი მყიდველის მხრიდან ადგილი ჰქონდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფასის – 2400 ლარის გადახდის ვალდებულების ნაწილობრივ დარღვევას, კერძოდ, 800 ლარის არგადახდა.

შუალედური დასკვნა: „ბ“-ს, (გამყიდველს) სსკ-ის 477-ე მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე, „ა“-სგან (მყიდველისგან) აქვს 800 ლარის გადახდის მოთხოვნის უფლება.

მოთხოვნის შემწყვეტა

კაზუსის ფაბულა არ შეიცავს მოთხოვნის შემწყვეტ გარემოებებზე მითითებას. მყიდველის არგუმენტი, რომ არ არსებობს 800 ლარის გადახდის ვალდებულება იმის გამო, რომ მხარეთა შორის თითქოსდა არ არსებობს სახელშეკრულებო ურთიერთობა, მხედველობაში არ მიიღება, რადგან სსკ-ის 334-ე მუხლის შესაბამისად ნასყიდობის ხელშეკრულება დადებულად ითვლება.

მოთხოვნის განხორციელებადობა

კაზუსის ფაბულის თანახმად, არ არსებობს გარემოებები, რომლებიც დროებით ან მუდმივად აფერხებენ მოთხოვნის განხორციელებას. „ბ“-ს მოთხოვნა „ა“-ს მიმართ, 800 ლარის გადახდის შესახებ, წარმოიშვა 2006 წლის 16 ნოემბრიდან. სსკ-ის 129-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს სამ წელს. სსკ-ის 130-ე მუხლის თანახმად, ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენ-

ტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ.

2007 წლის პირველ სექტემბერს, „ა“-მ „ბ“-ს წინაშე, სსკ-ის 341-ე მუხლის შესაბამისად, წერილობითი ფორმით აღიარა ბოთლების ღირებულების თანხის ნაწილის – 800 ლარის გადახდის ვალდებულების არსებობა და იკისრა მისი გადახდა 2007 წლის შემოდგომის ბოლოსათვის. სსკ-ის 137-ე მუხლის შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადის დენა წყდება, თუ ვალდებული პირი უფლებამოსილი პირის წინაშე ავანსის, პროცენტის გადახდით, გარანტიის მიცემით ან სხვაგვარად აღიარებს მოთხოვნის არსებობას. სსკ-ის 141-ე მუხლის შესაბამისად, თუ შეწყდა ხანდაზმულობის ვადის დენა, მაშინ, შეწყვეტამდე გავლილი დრო მხედველობაში არ მიიღება და ვადა დაიწყება თავიდან. რადგან მყიდველმა 2007 წლის პირველ სექტემბერს, წერილობით აღიარა 800 ლარის გადახდის ვალდებულება, ხანდაზმულობის ვადის დენა შეწყდა. სსკ-ის 123-ე მუხლის მეორე ნაწილის, სსკ-ის 130-ე და სსკ-ის 141-ე მუხლების საფუძველზე, ხანდაზმულობის ახალი სამწლიანი ვადის დენა დაიწყო 2007 წლის პირველი დეკემბრიდან (შემოდგომის ბოლოდან) და მთავრდება 2010 წლის პირველ დეკემბერს. მაშასადამე, „ბ“-ს მოთხოვნა „ა“-ს მიმართ, 800 ლარის გადახდის თაობაზე, არ არის ხანდაზმული.

შუალედური დასკვნა: „ბ“-ს, სსკ-ის 477-ე მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე, შეუძლია მოსთხოვოს „ა“-ს ნასყიდობის ხელშეკრულების ფასის დარჩენილი ნაწილის, 800 ლარის გადახდა.

მეორე მოთხოვნა

„ბ“-ს მოთხოვნა „ა“-ს მიმართ, ნასყიდობის ხელშეკრულების საგნის შენახვის და ტრანსპორტირების გამო წარმოშობილი დამატებითი ხარჯების, 500 ლარის, გადახდის შესახებ.

მოთხოვნა შეიძლება გამომდინარეობს სსკ-ის 363-ე მუხლის მეორე ნაწილიდან.

მოთხოვნის წარმოშობა

სამართლებრივი წანამძღვრები

„ა“-სა და „ბ“-ს შორის დადებული, ნამდვილი ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, გამყიდველ „ბ“-ს ძირითად ვალდებულებას წარმოადგენდა, მყიდველ „ა“-სთვის, 80.000 ბოთლის მიტანა შეთანხმებულ ადგილას. სსკ-ის 361-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. ვალდებულების შესრულების ადგილია ის ადგილი, სადაც მოვალე ახორციელებს ვალდებულების შესასრულებელ ბოლო მოქმედებას. სსკ-ის 363-ე მუხლის მეორე ნაწილიდან გამომდინარე, თუ ვალდებულების შესრულებამდე იცვლება კრედიტორის საცხოვრებელი ადგილი ან იურიდიული მისამართი და ამის გამო იზრდება ხარჯები ან საფრთხე ექმნება შესრულებას, მაშინ კრედიტორს ეკისრება, როგორც გაზრდილი ხარჯების ანაზღაურება, ასევე საგნის გადაცემის მოსალოდნელი საფრთხის რისკიც. დოქტრინასა და სასამართლო პრაქტიკაში, აღნიშნული ნორმა განმარტებულია იმგვარად, რომ შესრულების ადგილის შეცვლით გამონვეული, უარყოფითი შედეგების რისკის მატარებელია ხელშეკრულების ის მხარე, რომლის საცხოვრებელი ადგილის ან საწარმოს ადგილსამყოფელის შეცვლამ გამოიწვია ეს უარყოფითი შედეგები. ხარჯების გაზრდა შეიძლება გამოიწვიოს მრავალმა გარემოებამ; უმეტესწილად, ეს გამოწვეულია საგნის შესანახად მიბარებით, ტრანსპორტირებით და ა.შ. სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებამდე, მყიდველის საწარმოს ადგილსამყოფელის შეცვლის გამო, გამყიდველმა დამატებით განია ხელშეკრულების საგნის მიბარებისა და ტრანსპორტირების ხარჯები 500 ლარის ოდენობით.

შუალედური დასკვნა: „ბ“-ს, სსკ-ის 363-ე მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე, აქვს „ა“-ს მიმართ ნასყიდობის ხელშეკრულების საგნის შენახვისა და ტრანსპორტირების გამო წარმოშობილი დამატებითი ხარჯების – 500 ლარის გადახდის მოთხოვნა.

მოთხოვნის შემწყვეტა

კაზუსის ფაბულა არ შეიცავს მოთხოვნის შემწყვეტ გარემოებებზე მითითებას.

მოთხოვნის განხორციელებადობა

კაზუსის ფაბულიდან გამომდინარე, მყიდველმა (მოვალემ) წარადგინა მუდმივი შესაგებელი ხანდაზმულობასთან მიმართებით. „ბ“-ს მოთხოვნა „ა“-ს მიმართ, დამატებითი ხარჯების ანაზღაურების შესახებ, წარმოიშვა 2006 წლის 16 ნოემბრიდან, ხოლო მოთხოვნა, კი, წარდგენილი იქნა 2010 წლის 10 იანვარს. სსკ-ის 128-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სხვა პირისაგან რაიმე მოქმედების შესრულების ან მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლებაზე ვრცელდება ხანდაზმულობა. დოქტრინასა და სასამართლო პრაქტიკაში გაბატონებული მოსაზრების თანახმად, ხანდაზმულობა არის ვადა, რომლის განმავლობაში პირს, რომლის უფლებაც დაირღვა, შეუძლია მოითხოვოს თავისი უფლების იძულებითი განხორციელება ან დაცვა. ხანდაზმულობის ვადის გასვლით, ისპობა სასამართლოს ან სხვა ორგანოს მეშვეობით პირის მოთხოვნის იძულებით განხორციელების შესაძლებლობა, მაგრამ არა სასამართლოსათვის ან სხვა ორგანოსათვის მიმართვის უფლება. სასამართლოსათვის ან სხვა ორგანოსათვის მიმართვის უფლება რაიმე დროით, არ არის შეზღუდული. პირს ყოველთვის შეუძლია წარადგინოს მოთხოვნა, მაშინაც კი, როცა ხანდაზმულობის ვადა გასულია. ხანდაზმულობის ვადის გასვლა სპობს უფლების იძულებით განხორციელების შესაძლებლობას მატერიალური და არა პროცესუალური თვალსაზრისით. სსკ-ის 129-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე, სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის ვადა შეადგენს სამ წელს, ხოლო უძრავ ნივთებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო მოთხოვნებისა – ექვს წელს. სსკ-ის 130-ე მუხლიდან გამომდინარე, ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტიად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო უფლების დარღვევის შესახებ. ივარაუდება, რომ ობიექტური მომენ-

ტი (თვით უფლების დარღვევის ფაქტი) და სუბიექტური მომენტი (როცა პირმა გაიგო ან უნდა გაეგო ამ ფაქტის შესახებ) ერთმანეთს ემთხვევა. როცა მოთხოვნის წარმოშობის მომენტზე ხელშეკრულებაშია მითითებული, ითვლება, რომ სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილისათვის ცნობილია მოთხოვნის უფლების წარმოშობის დრო და ამ მომენტიდან დაიწყება ხანდაზმულობის ვადის დენაც. სსკ-ის 132–136-ე მუხლები ითვალისწინებენ ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერების შესაძლებლობას. ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერების შემთხვევაში, დრო, რომლის განმავლობაშიც ხანდაზმულობის ვადის დენა შეჩერებულია, ხანდაზმულობის ვადაში არ ჩაითვლება. სსკ-ის 137–141-ე მუხლები ითვალისწინებენ ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტის შესაძლებლობას. სსკ-ის 141-ე მუხლის თანახმად, თუ შეწყდა ხანდაზმულობის ვადის დენა, მაშინ შეწყვეტამდე გავლილი დრო მხედველობაში არ მიიღება და ვადა დაიწყება თავიდან. კაზუსის ფაბულიდან გამომდინარე, ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერებას ან შეწყვეტას ადგილი არ ჰქონია. სსკ-ის 144-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ, ვალდებული პირი უფლებამოსილია უარი თქვას მოქმედების შესრულებაზე. ხანდაზმულობის ვადის გაშვება, უფლებამოსილ პირს ართმევს თავისი უფლების იძულებით დაცვის შესაძლებლობას. ამიტომ, რომ კანონი, მოვალეს უფლებას აძლევს, ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ, უარი თქვას მოქმედების შესრულებაზე.

შუალედური დასკვნა: სსკ-ის 363-ე მუხლის მეორე ნაწილიდან გამომდინარე, დამატებითი ხარჯების ანაზღაურების შესახებ მოთხოვნა განუხორციელებელია.

საბოლოო დასკვნა:

- 1) „ბ“-ს, სსკ-ის 477-ე მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე, შეუძლია მოითხოვოს „ა“-სგან, ნასყიდობის ფასის დარჩენილი ნაწილის, 800 ლარის გადახდა.

- 2) „ბ“-ს, სსკ-ის 363-ე მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე, შეუძლია მოითხოვოს „ა“-სგან ნასყიდობის ხელშეკრულების საგნის შენახვისა და ტრანსპორტირების ხარჯები 500 ლარის ოდენობით, მაგრამ სსკ-ის 144-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ხანდაზმულობის საფუძველზე მოთხოვნა განუხორციელებელია.

კაზუსი № 4

თემატიკა:

- სატრანსპორტო საშუალების მფლობელი და მოსარგებლე.
- დელიქტური პასუხისმგებლობის სუბიექტები.
- ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა.
- მატერიალური და არაქონებრივი ზიანი.
- დელიქტიდან გამომდინარე მოთხოვნების ხანდაზმულობა.

„A“ – ავტომანქანა „აუდის“ მფლობელი (დაზარალებული)

„B“ – მიკროავტობუსით მოსარგებლე

„C“ – მიკროავტობუსის მფლობელი (მესაკუთრე)

- 2006 წლის 31 მარტს, „A“ მართავდა ავტომანქანა „აუდის“ და მოძრაობდა ქ. თბილისის ერთ-ერთ ქუჩაზე.
- მოძრაობის საპირისპირო ზოლში მოძრავი მიკროავტობუსის (სამარშრუტო ავტობუსი) მძღოლმა „B“-მ, რომელსაც ავტომანქანა გადაცემული ჰქონდა „C“-სგან იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე, დაარღვია წესები – გადაჭარბებული სიჩქარით მოძრაობისას გააკეთა არასწორი მანევრი და გადავიდა ავტომანქანა „აუდის“ მოძრაობის ზოლში, რასაც შედეგად მოჰყვა ავტოსატრანსპორტო საშუალებების შეჯახება.

- შეჯახების შედეგად, „A“-მ მიიღო სხეულის მრავლობითი დაზიანებები, მათ შორის მარცხენა ხელის მოტეხილობა, ანუ სხეულის ნაკლებად მძიმე დაზიანება. ავტომანქანა „აუდი“ გამოსაყენებლად უფარგისი გახდა. სამარშრუტო ტაქსის მძღოლი შემთხვევის ადგილიდან მიიშალა.
- იმავე დღეს, მძღოლის მიმართ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე; გამომძიებლის დადგენილებით, რომელიც „A“-მ 2006 წლის 30 მაისს ჩაიბარა, დადგენილ იქნა, რომ მიკროავტობუსის მფლობელი (მესაკუთრე) იყო „C“, რომელსაც იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე, სატრანსპორტო საშუალება სამართავად გადაცემული ჰქონდა „B“-სთვის.
- მიუხედავად გატარებული სამძებრო ღონისძიებებისა, „B“-ს ადგილსამყოფელის დადგენა ვერ მოხერხდა.
- ამის გამო, 2009 წლის 30 ივნისს, „A“-მ, „C“-სგან მოითხოვა მიყენებული მატერიალური ზიანის („აუდის“ ღირებულება – 6000 ლარი და ჯანმრთელობის აღსადგენად გაცემული მკურნალობის ხარჯები – 2 800 ლარი) – 8 800 ლარისა და მორალური ზიანის, 10 000 ლარის ანაზღაურება.

„C“-მ წარადგინა შესაგებელი. იგი არ ცნობს მოთხოვნას და აცხადებს, რომ მიყენებული ზიანისათვის პასუხს არ აგებს, რადგანაც ავტოსაგზაო შემთხვევის დროს, მის კუთვნილ მანქანას მართავდა მოიჯარე „B“, რომლის ბრალითაც მოხდა ავარია და სწორედ ის აგებს პასუხს „A“-ს წინაშე. გარდა ამისა, მან მიუთითა იმ გარემოებაზეც, რომ მისთვის გაუგებარია, თუ რატომ უნდა აგოს პასუხი ამდენი ხნის გასვლის შემდეგ (ავტოავარიის შემთხვევიდან გასულია სამ წელზე მეტი – 2009 წლის 30 ივნისი იხ. ქვემოთ ამოხსნის სქემა).

„A“ აცხადებს, რომ მას ვალდებულ პირად მიაჩნდა სამარშრუტო ტაქსის მძღოლი „B“, რომელიც მიმალვამია. მან მოთხოვნის დაგვიანებით წარდგენა იმით ახსნა, რომ მხოლოდ ადვოკატთან კონსულტაციის შემდეგ მიიღო გადაწყვეტილება, „C“-სთვის წარედგინა მოთხოვნა.

კაზუსის ამოხსნის სქემა:

„A“-ს მოთხოვნა „C“-ს მიმართ, შეიძლება ეფუძნებოდეს სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლის პირველ და 413-ე მუხლის მეორე ნაწილს;

I. მოთხოვნის წარმოშობა

სამართლებრივი წანამძღვრები:

- „A“-სა და „C“-ს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობის არ არსებობა (+);
- მიკროავტობუსი სატრანსპორტო საშუალებაა, რომლის დანიშნულებაც არის ადამიანების გადაყვანა ან რაიმე სახის საქონლის გადატანა (+);
- „C“ წარმოადგენს მიკროავტობუსის რეგისტრირებულ მფლობელს (მესაკუთრეს) (+);
- სახეზეა სკ-ის 999-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადებით დაცული, სამართლებრივი სიკეთის დაზიანების შედეგად დამდგარი ზიანი, რადგანაც „A“-მ ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად მიიღო სხეულის და ჯანმრთელობის დაზიანება და ასევე განადგურდა მისი ქონება – ავტომანქანა „აუდი“ (+);
- აღნიშნული ზიანი წარმოიშვა „C“-ს კუთვნილი სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციისას:
 - ფაბულის მიხედვით, ავტომანქანა დაქოქილ მდგომარეობაში იღებდა სატრანსპორტო მოძრაობაში მონაწილეობას და შესაბამისად, ავტოსაგზაო შემთხვევის დროს ხმარებაში იყო (+);
 - სატრანსპორტო საშუალებისგან გამომდინარე, მომეტებული საფრთხე განხორციელდა (+);
- არ არსებობს სკ-ის 999-ე მუხლის მეორე, მესამე და მეოთხე ნაწილით გათვალისწინებული „C“-ს პასუხისმგებლობის გამომრიცხავი გარემოებები (+);
- „A“-მ, ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად, მიიღო სხეულის და ჯანმრთელობის დაზიანება, ე.ი. სახეზეა სულიერი და ფიზიკური ტკივილი და ტანჯვა (+).

შუალედური შედეგი: დელიქტიდან გამომდინარე მატერიალური და არაქონებრივი ზიანის მოთხოვნა წარმოიშვა.

II. მოთხოვნის შეწყვეტა

კაზუსი არ შეიცავს მოთხოვნის შემწყვეტ გარემოებებზე მითითებას.

III. მოთხოვნის განხორციელება

„C“-ს სამართლებრივად ნამდვილი უარი მოთხოვნაზე:

➤ „C“ ასევე მიუთითებს მოთხოვნის ხანდაზმულობაზე და თავის შესაგებელს, როგორც ჩანს, ამყარებს სკ-ის 1008-ე მუხლით, რომლის მიხედვითაც, დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა განხორციელებადია სამი წლის განმავლობაში, იმ მომენტიდან, როცა დაზარალებულმა შეიტყო ზიანის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ:

- „A“-მ ვალდებული პირის შესახებ შეიტყო 2006 წლის 30 მაისს (+);
- მან მოთხოვნა წარადგინა 2009 წლის 30 ივნისს (+)

შედეგი: მოთხოვნა, სკ-ის 1008-ე მუხლის მიხედვით, არ არის განხორციელებადი.

საბოლოო შედეგი: „A“-ს მოთხოვნა „C“-ს მიმართ, წარმოიშვა სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლის პირველი და 413-ე მუხლის მეორე ნაწილების საფუძველზე, მაგრამ არ არის განხორციელებადი მოთხოვნის ხანდაზმულობის გამო (სდკ-ის 1008-ე მუხლი).

სამართლებრივი დასკვნა:

„A“-ს მოთხოვნა „C“-ს მიმართ, სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლის პირველი და 413-ე მუხლის მეორე ნაწილებიდან გამომდინარე.

1. მოთხოვნის წარმოშობა

რადგანაც „A“-სა და „C“-ს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობა არ არსებობს, მოთხოვნა შესაძლოა დაეფუძნოს დელიქტუ-

რი პასუხისმგებლობის მარეგულირებელ ნორმებს.⁴² სკ-ის 992-ე მუხლი ადგენს იმ სამართლებრივი წანამძღვრების ერთობლიობას, რომლებიც განაპირობებენ ზიანის მიმყენებლის პასუხისმგებლობას. ეს წანამძღვრებია: ქმედება, მართლწინააღმდეგობა, ბრალეულობა და კაუზალური შედეგი – ზიანი⁴³.

თუ „C“-ს მოსაზრებას გავიზიარებთ, ერთი შეხედვით, სკ-ის 992-ე მუხლიდან გამომდინარე, მართლაც არ არსებობს „C“-ს პასუხისმგებლობის საფუძველი, რადგანაც ამ ნორმაზე დაყრდნობით, „A“-ს შეეძლო მოეთხოვა ზიანის ანაზღაურება „B“-სგან და არა „C“-სგან, რადგანაც როგორც მინიმუმ, ამ უკანასკნელს არ ჩაუდენია მართლწინააღმდეგო ქმედება და არც ბრალი მიუძღვის ზიანის მიყენებაში. ის გარემოება, რომ „C“-მ, საიჯარო ხელშეკრულების საფუძველზე, „B“-ს სამართავად გადასცა სატრანსპორტო საშუალება, სამართლებრივ სურათს ვერ შეცვლის იმდენად, რამდენადაც, ასეთი ქმედება კანონწინააღმდეგოდ არ ითვლება.

მაგრამ, „C“ ხომ იმ სატრანსპორტო საშუალების მფლობელია⁴⁴, რომელიც მომეტებული საფრთხის წყაროა⁴⁵ და რომლის ექსპლუატაციასაც მოჰყვა „A“-სთვის ზიანის მიყენება. კანონმდებელი,

⁴² იხ. სკ-ის 992-1008 მუხლები.

⁴³ დელიქტური სამართლის ფუნქციას, ზიანის მიყენების შემთხვევაში, დაზარალებულისათვის ისეთი სამართლებრივი გარანტიების შექმნა წარმოადგენს, რომ მან, შეძლოს მიყენებული ზიანის სიმძიმის მესამე პირისათვის დაკისრება და სამართლიანი კომპენსაციის მიღება. იხ. კონრატ ცვაიგერტი, ჰაინ კოტცი „შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში“, თარგმანი ეკატერინე სუმბათაშვილის, თბილისი 2001 წელი, გამომცემლობა ჯისიაი, ტომი II, გვ. 287.

⁴⁴ სატრანსპორტო საშუალების მფლობელად მიიჩნევა პირი, ვინც იურიდიული საფუძველით ახორციელებს ამ ნივთზე ფაქტობრივ ბატონობას.

⁴⁵ სამოქალაქო კოდექსი, არ იძლევა „მომეტებული საფრთხის წყაროს“ განმარტებას, მაგრამ იურიდიული მეცნიერება და სასამართლო პრაქტიკა ასეთად მიიჩნევს ისეთ მოწყობილობებს, მანქანა-დანადგარებსა და ობიექტებს, რომლებიც ქმნიან ზიანის მიყენების მომეტებულ ალბათობას იმის გამო, რომ შეუძლებელია მასზე ადამიანის მხრივ სრული კონტროლის განხორციელება. იხ. შ. ჩიკვაშვილი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, თბილისი, 2001 წელი, გამომცემლობა „სამართალი“, გვ. 411

ამგვარი შემთხვევებისაგან, განსაკუთრებულად იცავს დაზარალებულს და აწესებს უფრო მკაცრ პასუხისმგებლობას, ვიდრე ეს სკ-ის 992-ე მუხლითაა გათვალისწინებული. მხედველობაშია სკ-ის 999-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომელიც აკისრებს პასუხისმგებლობას „C“-ს, როგორც სატრანსპორტო საშუალების მფლობელს, მიუხედავად მისი ბრალისა (პასუხისმგებლობა მომეტებულ საფრთხეზე).

მოცემულ შემთხვევაში სახეზეა სკ-ის 999-ე მუხლის პირველი ნაწილის პირველი წინადადებით დაცული, სამართლებრივი სიკეთის დაზიანების შედეგად დამდგარი ზიანი, რადგანაც „A“-მ, ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად, მიიღო სხეულის და ჯანმრთელობის დაზიანება და ასევე განადგურდა მისი ქონება – ავტომანქანა „აუდი“. ზიანის მიყენება, „C“-ს კუთვნილი სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის უშუალო შედეგია: ფაბულის მიხედვით, ავტომანქანა დაქოქილ მდგომარეობაში იღებდა სატრანსპორტო მოძრაობაში მონაწილეობას და შესაბამისად ავტოსაგზაო შემთხვევის დროს ხმარებაში იყო, რასაც შედეგად სატრანსპორტო საშუალებისგან გამომდინარე მომეტებული საფრთხის განხორციელება მოჰყვა.

შესაბამისად, „C“ ვერ დაეყრდნობა პასუხისმგებლობის გამომრიცხავ იმ გარემოებებს, რაც გათვალისწინებულია სკ-ის 999-ე მუხლის მეოთხე ნაწილით: იმ შემთხვევაში, თუ პირი, რომელიც იყენებს სატრანსპორტო საშუალებას მისი მფლობელის ნებართვის გარეშე (არამართლზომიერი მფლობელი), მიაყენებს ზიანს ამ სატრანსპორტო საშუალების გამოყენებით, სამოქალაქო პასუხისმგებლობა დაეკისრება ამ უკანასკნელს და არა სატრანსპორტო საშუალების მფლობელს. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ პირს, რომელიც მართავდა სატრანსპორტო საშუალებას, არ გააჩნდა მისი ფლობის უფლება (მაგალითად, სატრანსპორტო საშუალების მფლობელს არ გადაუცია მოსარგებლისათვის იგი, ანდა გადაცემული ტრანსპორტი მოსარგებლემ გამოიყენა მფლობელის ნების საწინააღმდეგოდ). ამასთან, მფლობელი ვალდებულია, აანაზღაუროს მიყენებული ზიანი, თუ სატრანსპორტო საშუალების გამოყენება შე-

საძლებელი გახდა მისი ბრალის გამო. (მაგალითად, სატრანსპორტო საშუალების კარები დატოვა ღიად და სხვა)⁴⁶. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, „C“-მ, საიჯარო ხელშეკრულების საფუძველზე, სატრანსპორტო საშუალება სამართავად გადასცა „B“-ს და შესაბამისად იგი აგებს პასუხს. „C“-მ, საიჯარო ხელშეკრულების საფუძველზე, სატრანსპორტო საშუალება სამართავად გადასცა „B“-ს და ამიტომ იგი, როგორც სატრანსპორტო საშუალების მფლობელი, პასუხს აგებს „A“-ს წინაშე სკ-ის 999-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე.

ფაბულის მიხედვით, ნივთის ზიანი შეადგენს 6000 ლარს, ხოლო სამედიცინო ხარჯი – 2800 ლარს (სულ 8800 ლარი), რაც სადავო არ არის. მისი მოცულობის განსაზღვრისას, გამოიყენება სკ-ის 408-ე მუხლის დანაწესი.

რაც შეეხება არაქონებრივ ზიანს, 10 000 ლარს, მისი მოთხოვნის საფუძველია სკ-ის 413-ე მუხლის მეორე ნაწილი, რომლის მიხედვითაც, სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შემთხვევაში, დაზარალებულს, შეუძლია მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისთვისაც. „A“-მ, ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად, მიიღო სხეულის და ჯანმრთელობის დაზიანება, ე.ი. სახეზეა სულიერი და ფიზიკური ტკივილი და ტანჯვა. სწორედ ამ ტკივილებისა და უარყოფითი ემოციების გასაქარწყლებლად უნდა დაეკისროს „C“-ს საკომპენსაციო თანხა 10 000 ლარი, რომელიც, მოცემულ შემთხვევაში, შეიძლება ჩაითვალოს სამართლიანად და გონივრულად⁴⁷.

შუალედური შედეგი: დელიქტიდან გამომდინარე, მატერიალური და არაქონებრივი ზიანის მოთხოვნა წარმოიშვა.

⁴⁶ ამასთან დაკავშირებით იხილეთ საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საქმეზე № ას-1275-1122, 2010 წელი, 21 თებერვალი 2011 წელი. www.supremecourt.ge

⁴⁷ ამ სახის ზიანის ოდენობის განსაზღვრისას, პირველ რიგში, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ის, თუ სამართლებრივად რამდენად მნიშვნელოვანი და ანგარიშგასაწევია ზიანი და სხვა ისეთი ობიექტური გარემოებები, როგორიცაა: დაზარალებულის სულიერი და ფიზიკური ჯანმრთელობის მდგომარეობა, მხარეთა ქონებრივი მდგომარეობა და ა.შ.

2. მოთხოვნის შეწყვეტა

კაზუსი არ შეიცავს მოთხოვნის შემწყვეტ გარემოებებზე მითითებას.

3. მოთხოვნის განხორციელება

„C“-ს განცხადება იმის თაობაზე, რომ „მისთვის გაუგებარია, თუ რატომ უნდა აგოს პასუხი ამდენი ხნის გასვლის შემდეგ“, უნდა განიმარტოს, როგორც შესაგებელი მოთხოვნის ხანდაზმულობასთან⁴⁸ დაკავშირებით, მიუხედავად იმისა, რომ „C“ პირდაპირ არ ახსენებს ტერმინს „ხანდაზმულობა“. შესაძლებელია, დელიქტიდან გამომდინარე, მოთხოვნა ხანდაზმული იყოს სკ-ის 1008-ე მუხლის საფუძველზე, რომლის მიხედვითაც, დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, განხორციელებადია სამი წლის განმავლობაში – იმ მომენტიდან, როცა დაზარალებულმა შეიტყო ზიანის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ.

„A“-მ ვალდებული პირის შესახებ შეიტყო 2006 წლის 30 მაისს, მაშინ, როდესაც მას გადაეცა გამოძიებლის დადგენილება, მოთხოვნა კი წარადგინა სამი წლის გასვლის შემდეგ, 2009 წლის 30 ივნისს. სამართლებრივად, უმნიშვნელოა „A“-ს განცხადება მოთხოვნის დაგვიანებით წარდგენის მიზეზებზე.

ამრიგად, მართალია, ხანდაზმულობის დადგომა ავტომატურად არ გამოიწვევს მოთხოვნის გაქარწყლებას, მაგრამ სკ-ის 144-ე მუხლის პირველი ნაწილი, „C“-ს იმის უფლებას ანიჭებს, რომ უარი თქვას შესრულებაზე, რაც ხელს უშლის წარმოშობილი მოთხოვნის განხორციელებას.

საბოლოო შედეგი: „A“-ს მოთხოვნა „C“-ს მიმართ, წარმოიშვა სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლის პირველი და 413-ე მუხლის მეორე ნაწილების საფუძველზე, მაგრამ არ არის განხორციელებადი მოთხოვნის ხანდაზმულობის გამო (სკ-ის 1008-ე მუხლი).

⁴⁸ ხანდაზმულობა, სკ-ის 128-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ვრცელდება ყველა მოთხოვნაზე, გარდა მესაკუთრის ვინდიკაციური მოთხოვნისა, 128-ე მუხლის მეორე ნაწილითა და 968-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

კაზუსი № 5

თემატიკა:

- უძრავ ნივთზე საკუთრების შექმნა და დაკარგვა;
- შექმნის კეთილსინდისიერება;
- საჯარო რეესტრის დანიშნულება;
- საჯარო რეესტრის მონაცემთა სისრულისა და უტყუარობის პრეზუმფცია;
- არაუფლებამოსილი და არაკეთილსინდისიერი მფლობელი;
- არაუფლებამოსილი და არაკეთილსინდისიერი მფლობელის მიერ ნივთის გაუმჯობესება და ხარჯების განევა;
- უსაფუძვლო გამდიდრება;

„A“ ქ. თბილისში, ერთ-ერთ პრესტიჟულ უბანში მდებარე უძრავი ნივთის, 1100 კვ.მ. მიწის ნაკვეთის, მესაკუთრე იყო. მას გადაწყვეტილი ჰქონდა აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე კომერციული ფართის მშენებლობის დაწყება.

ამ მიზნით, მან, 2008 წლის ივლისში, განცხადებით მიმართა ქ. თბილისის მერიის შესაბამის სამსახურს და აიღო მშენებლობის ნებართვა და პროექტი.

2008 წლის აგვისტოს ცნობილი მოვლენების გამო, „A“-მ ვერ შეძლო ბანკიდან კრედიტის, მისთვის სასურველი პირობებით, მიღება და მშენებლობის დაწყება. ეს გახდა იმის მიზეზი, რომ მან, მიწის ნაკვეთი, 2009 წლის 18 ივნისს, 450 000 აშშ დოლარად მიჰყიდა „B“-ს. მხარეთა შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების შინაარსი დამონმებული იქნა სანოტარო წესით.

ნასყიდობის საგანი და მასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, მათ შორის: მშენებლობის ნებართვა და პროექტი, ხელშეკრულების ხელმოწერიდან 10 დღის ვადაში, „A“-მ პირდაპირ მფლობელობაში გადასცა „B“-ს, რომელმაც, ისე, რომ არ მოუხდენია თავისი უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაცია, დაიწყო კომერციული ფართის მშენებლობა და ამ მიზნით, გასწია 75 000 ლარის ხარჯები.

რამდენიმე თვის შემდეგ, 2009 წლის 18 სექტემბერს, „A“-მ, იგივე მინის ნაკვეთი, ასევე სანოტარო წესით დამონმებული ნასყიდობის ხელშეკრულებით, 500 000 აშშ დოლარად მიჰყიდა „C“-ს (ახალ მყიდველსაც განზრახული ჰქონდა კომერციული ფართის მშენებლობა იგივე პროექტით), რომელმაც თავისი საკუთრების უფლება, კანონით დადგენილი წესით, დაარეგისტრირა საჯარო რეესტრში 2009 წლის 23 სექტემბერს და გახდა ნივთის მესაკუთრე.

„B“ აცხადებს, რომ მინის ნაკვეთს ფლობს კანონიერად, ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე. მისი აზრით, „A“ უფლებამოსილი არ იყო ხელმეორედ მოეხდინა ნივთის „C“-ზე გასხვისება. ამ უკანასკნელს, ნივთის შექენამდე, უნდა შეემონმებინა მისი ფაქტობრივი მდგომარეობა და იგი დარწმუნდებოდა, რომ მინის ნაკვეთის მესაკუთრე „A“ აღარ იყო.

შეუძლია თუ არა „C“-ს „B“-სგან მოითხოვოს მინის ნაკვეთის მისთვის გადაცემა?

შეუძლია თუ არა „B“-ს „C“-სგან მოითხოვოს ნივთზე განეული ხარჯები და გაუმჯობესება?

კაზუსის ამოხსნის სქემა:

მოცემული კაზუსის მიხედვით, „C“-ს მოთხოვნა „B“-ს მიმართ, უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის თაობაზე, შეიძლება დაეფუძნოს სკ-ის 172-ე მუხლის პირველ ნაწილს.

„C“-ს მოთხოვნა „B“-ს მიმართ, მინის ნაკვეთის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვის თაობაზე.

1. მოთხოვნის წარმოშობა

სამართლებრივი წანამძღვრები:

- „C“ მინის ნაკვეთის მესაკუთრე უნდა იყოს. მას, სკ-ის 183-ე მუხლით დადგენილი წესით შექენილი საკუთრების უფლება უნდა გააჩნდეს მინის ნაკვეთზე (+);
- „B“-ს მიერ მინის ნაკვეთის ფლობა (+);

- „B“-ს არ უნდა ჰქონდეს ფლობის უფლება (+);
შუალედური შედეგი: „C“-ს წარმოეშვა მიწის ნაკვეთის „B“-ს უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვის მოთხოვნა.

2. მოთხოვნის შეწყვეტა

ფაბულა არ შეიცავს მოთხოვნის შემწყვეტ გარემოებებზე მითითებას.

3. მოთხოვნის განხორციელება

არ არსებობენ გარემოებანი, რომლებიც დროებით ან მუდმივად აფერხებენ „C“-ს მოთხოვნის განხორციელებას.

საბოლოო შედეგი: „C“-ს მოთხოვნა „B“-ს მიმართ, მიწის ნაკვეთის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვის თაობაზე, სკ-ის 172-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე, დასაბუთებულია.

IV. „B“-ს მოთხოვნა „C“-ს მიმართ, მიწის ნაკვეთზე განეული ხარჯებისა და გაუმჯობესების თაობაზე, შეიძლება დაეფუძნოს სკ-ის 164-ე და 987-ე მუხლებს.

1. მოთხოვნის წარმოშობა

სამართლებრივი წანამძღვრები:

- „C“-ს მოთხოვნა „B“-ს მიმართ, მიწის ნაკვეთის უკან დაბრუნების თაობაზე (+);
- „B“-ს მიერ, მიწის ნაკვეთის არაკეთილსინდისიერი ფლობა (+);
- „B“-ს მიერ, მიწის ნაკვეთზე კომერციული ფართის მშენებლობის მიზნით, 75 000 ლარის ოდენობით ხარჯების განევა (+);
- მიწის ნაკვეთის „C“-სთვის დაბრუნების მომენტისათვის, „C“-ს გამდიდრების ფაქტის არსებობა სკ-ის 987-ე მუხლის დანაწესიდან გამომდინარე (+).
 - ა) „B“-ს მიერ, „C“-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე შეგნებულად ხარჯის განევა (+);
 - ბ) „C“-ს გამდიდრება (+);
 - გ) მოთხოვნის გამომრიცხავი გარემოებების არარსებობა (+).

შუალედური შედეგი: „B“-ს „C“-ს მიმართ წარმოეშვა მიწის ნაკვეთზე განეული ხარჯებისა და გაუმჯობესების ანაზღაურების მოთხოვნა.

2. მოთხოვნის შეწყვეტა

ფაბულა არ შეიცავს მოთხოვნის შემწყვეტ გარემოებებზე მითითებას.

3. მოთხოვნის განხორციელება

არ არსებობენ გარემოებანი, რომლებიც დროებით ან მუდმივად აფერხებენ „B“-ს მოთხოვნის განხორციელებას.

საბოლოო შედეგი: „B“-ს მოთხოვნა „C“-ს მიმართ, მიწის ნაკვეთზე განეული ხარჯებისა და გაუმჯობესების თაობაზე, წარმოიშვა სკ-ის 164-ე, 987-ე მუხლების საფუძველზე.

სამართლებრივი დასკვნა:

1. „C“-ს მოთხოვნა „B“-ს მიმართ, მიწის ნაკვეთის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვის თაობაზე.

4. მოთხოვნის წარმოშობა

სკ-ის 172-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, მოთხოვნის წარმოშობის წინაპირობაა, რომ „C“ იყოს მიწის ნაკვეთის მესაკუთრე, „B“ მფლობელი და ამ უკანასკნელს არ უნდა ჰქონდეს ნაკვეთის ფლობის უფლება (ვინდიკაციური სარჩელი, ასევე „მესაკუთრე-მფლობელის ურთიერთობები“).

ა) „C“ – მესაკუთრე

თავდაპირველად მიწის ნაკვეთის მესაკუთრე „A“ იყო. მაგრამ, შესაძლოა, მან დაკარგა ნივთზე საკუთრების უფლება.

სკ-ის 183-ე მუხლის მიხედვით, „C“-ზე საკუთრების გადასვლისათვის აუცილებელი იყო: მიწის ნაკვეთზე „A“-ს ნამდვილი საკუთრების უფლება, „A“-სა და „C“-ს შორის მიწის ნაკვეთის ნასყიდობის შესახებ წერილობითი ფორმით დადებული შეთანხმება,

რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს გარიგების ნამდვილობის ზოგად პირობებს⁴⁹ და შემდენზე, ანუ „C“-ზე ამ გარიგებით განსაზღვრული საკუთრების უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში.

მოცემულ შემთხვევაში, სახეზეა, მხარეთა შორის, 2009 წლის 18 სექტემბერს, დადებული მიწის ნაკვეთის ნასყიდობის ხელშეკრულება და ამ გარიგების საფუძველზე, „C“-ს უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში.

შესაძლოა „A“-მ დაკარგა საკუთრების უფლება „B“-ს სასარგებლოდ:

კაზუსის მიხედვით, 2009 წლის 18 სექტემბრის გარიგება ნამდვილია. აღნიშნული ხელშეკრულებით „A“-მ, სამართლებრივად ვარგისი ნების გამოვლენით, „B“-ს არა მარტო მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლება გადასცა, არამედ, ასევე – ნასყიდობის საგანთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტაცია; „B“ ფაქტიურად შეუდგა მიწის ნაკვეთის ფლობას და დაიწყო მშენებლობა.

„A“-მ, ზემოაღნიშნული მოქმედებების შესრულებით, დაკარგა საკუთრების უფლება ნივთზე⁵⁰ და რადგანაც საკუთრების უფლება მას აღარ ეკუთვნოდა, საჯარო რეესტრის ჩანაწერიც, „C“-სთან გარიგების დადების მომენტში, არასწორი იყო.

შესაძლებელია, „C“-ს სკ-ის 185-ე მუხლის ჩანაწერი იცავდეს, რომლის მიხედვითაც: „შემდენის ინტერესებიდან გამომდინარე, გამსხვისებელი ითვლება მესაკუთრედ, თუ იგი ასეთად არის რეგისტრირებული საჯარო რეესტრში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა შემდენმა იცოდა, რომ გამსხვისებელი არ იყო მესაკუთრე.“

უძრავი ქონების შეძენისას, მესაკუთრესა და შემდენს შორის, დგას საჯარო რეესტრი, რომლის მონაცემების მიმართ უტყუარო-

⁴⁹ გარიგების ნამდვილობის ზოგადი პირობების შემონიშნავს ვახდენთ სკ-ის 54-59, 66-ე, 320 და 322-ე მუხლების ფარგლებში. ამ პირობების დაუცველობა, აბრკოლებს შესაბამისი მოთხოვნის წარმოშობას. მოთხოვნის წარმოშობას აბრკოლებენ ასევე: 336-ე, 394-ე მუხლის პირველი ნაწილის ბოლო წინადადება და ა.შ.

⁵⁰ იხ. სკ-ის 477-ე მუხლის პირველი ნაწილი

ბისა და სისრულის პრეზუმფცია მოქმედებს,⁵¹ და, თუ მყიდველი კეთილსინდისიერად დაეყრდნო საჯარო რეესტრს, მაშინ თვით ამ მონაცემების მცდარობის შემთხვევაშიც, კეთილსინდისიერება იმარჯვებს საკუთრებაზე. აღნიშნული სამართლებრივი მიდგომა, ამარტივებს კეთილსინდისიერი შემძენის ტვირთს და ზღუდავს მისი წინდახედულობის ზომების დაცვის არეალს, რაც, თავის მხრივ, სამოქალაქო ბრუნვის გამარტივებასა და სტაბილურობას ემსახურება. საჯარო რეესტრის უტყუარობის პრეზუმფცია, მყიდველს უქმნის იმის გარანტიას, რომ საჯარო რეესტრის მონაცემთა უსწორობისა და თუნდაც აღნიშნული მონაცემებით გამყიდველის არამართლზომიერ მდგომარეობაში ჩაყენების მიუხედავად, აღნიშნულ მონაცემებსა და მყიდველის კეთილსინდისიერ ნდობას საჯარო რეესტრის მიმართ, სადავოობის შემთხვევაში, უპირატესი იურიდიული ძალა მიენიჭება.⁵²

ამრიგად, საჯარო რეესტრი წარმოადგენს სამოქალაქო ბრუნვის გარანტს და ემსახურება ბრუნვის მონაწილის ინტერესების უზრუნველყოფას, დაცვას. აღნიშნული პრინციპის საფუძველზე ობიექტურად არსებული ფაქტი – საჯარო რეესტრში უფლების რეგისტრაცია, შეიძლება საკმარისი არ იყოს იმისათვის, რომ რეესტრის ჩანაწერი ჩაითვალოს სწორად. იმისათვის, რომ ჩანაწერი სწორად ჩაითვალოს არ უნდა არსებობდეს ერთ-ერთი პირობა, კერძოდ, ამ ჩანაწერის საწინააღმდეგოდ შეტანილი საჩივარი ან შემძენის ცოდნა ამ ჩანაწერის უზუსტობის შესახებ. თავისთავად, საჩივრის შეტანა საჯარო რეესტრის უზუსტობის შესახებ, ყოველთვის არ იწვევს საბოლოოდ ამ ნივთის დაბრუნებას, ანუ გავლენას არ ახდენს ახალი მესაკუთრის უფლებაზე. აღნიშნული ფაქტი გამორიცხავს მხოლოდ საჯარო რეესტრის უტყუარობისა და სისრულის პრეზუმფციას, მაგრამ შემძენის კეთილსინდისიერებას, კი, ყოველთვის არ გამორიცხავს. კეთილსინდისიერი არ

⁵¹ იხ. სკ-ის 312-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილები

⁵² იხ. უზენაესი სასამართლოს 2007 წლის 24 იანვრის განჩინება საქმეზე № ას-203-622-06

იქნება შემძენი, თუ მან იცოდა იმ ფაქტობრივი გარემოებების შესახებ, რომლებიც მიუთითებენ უზუსტო ჩანაწერზე ან მისი უფლების რეგისტრაციის უსწორობაზე. მოცემულ შემთხვევაში, კაზუსი არ შეიცავს მითითებას „C“-ს არაკეთილსინდისიერების შესახებ, იმის თაობაზე, რომ მან იცოდა რეესტრის მონაცემების უსწორობის შესახებ.

რაც შეეხება, „B“-ს განცხადებას იმასთან დაკავშირებით, რომ „C“, მიწის ნაკვეთის შეძენამდე, ვალდებული იყო საჯარო რეესტრის გარდა, სხვა საშუალებებითაც დაედგინა ნივთის ფაქტობრივი სამართლებრივი მდგომარეობა (მაგალითად, ენახა, რომ მშენებლობა მიმდინარეობდა) სამართლებრივ მნიშვნელობასაა მოკლებული, რადგანაც როგორც უკვე აღინიშნა, „C“-ს წინდახედულობის არეალის ამგვარი გაზრდა ეწინააღმდეგება სამოქალაქო ბრუნვის გამარტივებისა და სტაბილურობის პრინციპს.

ამრიგად, „C“ მიწის ნაკვეთის მესაკუთრეა.

ბ) „B“-ს მიერ მიწის ნაკვეთის ფლობა

„B“ არის მიწის ნაკვეთის მფლობელი, რადგანაც იგი ახორციელებს ნივთზე ფაქტობრივ ბატონობას⁵³ სკ-ის 155-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად.

გ) არ არსებობს „B“-ს მიერ მიწის ნაკვეთის ფლობის კეთილსინდისიერება

სკ-ის 159-ე მუხლის დანაწესიდან გამომდინარე, „B“-ს მიერ, მიწის ნაკვეთის ფლობის კეთილსინდისიერება სახეზე იქნება, თუ იგი ნივთს მართლზომიერადაა დაუფლებული, ან თუ იგი საქმიან ურთიერთობებში უფლებამოსილ პირად შეიძლება მიჩნეულ იქნას, საჭირო გულმოდგინე შემოწმების შედეგად.

⁵³ სკ-ის 155-ე მუხლის პირველი ნაწილი მფლობელობას განსზღვრავს, როგორც ორი წინაპირობის ერთობლიობას: ნივთზე ფაქტობრივი ბატონობის შესაძლებლობასა და ფაქტობრივი ბატონობის ნებით მოპოვებას.

აკმაყოფილებს თუ არა „B“-ს მფლობელობა აღნიშნულ პირობებს?

მფლობელობა კანონიერია, თუ იგი კონფლიქტში არ მოდის კანონის ნორმატიულ ნებასთან. მართლზომიერ მფლობელად ითვლება პირი, რომელიც სამართლებრივი საფუძველით ახორციელებს ნივთზე ბატონობას. ასეთად მიიჩნევა მესაკუთრე ან ის პირი, რომელიც მესაკუთრის მფლობელობიდან ნაწარმოები უფლებით (ნივთის დამქირავებელი, მონათხოვრე და ა.შ.)⁵⁴ სარგებლობს ნივთით.

მოცემულ შემთხვევაში, „B“ მიწის ნაკვეთის ფლობას შეუდგა ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, მაგრამ რადგანაც იგი მესაკუთრე არ გამხდარა კანონით დადგენილი წესით და არც სხვა სამართლებრივი საფუძველი გააჩნია ნივთის ფლობისათვის, იგი ვერ ჩაითვლება მართლზომიერ მფლობელად. თუმცა, მხოლოდ ამ გარემოების დადგენა არ იძლევა საფუძველს დასკვნისათვის, რომ „C“-ს ვინდიკაციური მოთხოვნა საფუძველიანია. მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, თუ რამდენად გაცნობიერებადი იყო „B“-სთვის მისი მფლობელობის ხარვეზიანობა. როგორც კაზუსიდან ჩანს, „B“-ს კარგად უნდა სცოდნოდა (ხელშეკრულება სანოტარო წესით დამოწმდა და ბუნებრივია, მას ნოტარიუსი განუმარტავდა სკ-ის 183-ე მუხლის შინაარსს), რომ უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციამდე, იგი ვერ გახდებოდა მიწის ნაკვეთის მესაკუთრე და მისი ფლობა ხარვეზიანი იქნებოდა; ამრიგად, მისმა წინდაუხედაობამ და არაგონივრულობამ, მისცა შესაძლებლობა „A“-ს, ხელმეორედ გაესხვისებინა მიწის ნაკვეთი.

აქედან გამომდინარე, „B“-ს ფლობას არ გააჩნია სამართლებრივი საფუძველი. სკ-ის 172-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, ვინდიკაციური მოთხოვნა წარმოიშვა.

⁵⁴ იხ. ბ. ზოიძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეორე, თბილისი, გამომცემლობა „სამართალი“, გვ. 63

5. მოთხოვნის შეწყვეტა

ფაბულა არ შეიცავს მოთხოვნის შემწყვეტ გარემოებებზე მითითებას.

6. მოთხოვნის განხორციელება

არ არსებობენ გარემოებანი, რომლებიც დროებით ან მუდმივად აფერხებენ „C“-ს მოთხოვნის განხორციელებას.

შედეგი: „C“-ს აქვს მოთხოვნა B-ს მიმართ, მიწის ნაკვეთის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვის თაობაზე სკ-ის 172-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე.

II. „B“-ს მოთხოვნა „C“-ს მიმართ, მიწის ნაკვეთზე განეული ხარჯებისა და გაუმჯობესების თაობაზე

შესაძლებელია, ამგვარი მოთხოვნა გამომდინარეობდეს სკ-ის 164-ე და 987-ე მუხლებიდან.

1. მოთხოვნის წარმოშობა

იმისათვის რომ „B“-ს წარმოეშვას 164-ე ნაწილით გათვალისწინებული მოთხოვნა, მის მიერ, კომერციული ფართის მშენებლობის გამო, განეული ხარჯების ანაზღაურების თაობაზე, აუცილებელია, რომ:

- „C“ (უფლებამოსილი პირი), ითხოვდეს მისგან მიწის ნაკვეთის უკან დაბრუნებას. სკ-ის 172-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული სანივთო მოთხოვნა ნივთის დაბრუნების თაობაზე სახეზეა.
- „B“ მიწის ნაკვეთის ფლობას არაკეთილსინდისიერად (უკანონოდ) ახორციელებდეს; არც ამ გარემოების ცალკე შემოწმება არ არის საჭირო, რადგანაც ეს გარემოება უკვე განხილული იქნა 172-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე მოთხოვნის წარმოშობასთან მიმართებაში.
- „B“-ს მიერ მიწის ნაკვეთის არაკეთილსინდისიერი მფლობელობის დროს, განეული ხარჯები, რომელიც ფაბულის მიხედვით შეადგენს 75 000 ლარს, უნდა იწვევდეს „C“-ს უსაფუძვლო

გამდიდრებას⁵⁵ მინის ნაკვეთის დაბრუნების მომენტიცათვის (სკ-ის 987-ე მუხლის მეორე ნაწილი).

გამდიდრების ფაქტის დადგენისათვის, უნდა მივმართოთ უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტს, სადაც კეთილსინდისიერების პრინციპი (სკ-ის მე-8 მუხლის მესამე ნაწილი და 361-ე მუხლის მეორე ნაწილი) განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია, რადგანაც ყოველგვარი ქონებრივი გადაადგილება (მიმოქცევა), რომელიც აღნიშნული პრინციპის საწინააღმდეგოა, უკან უნდა დაბრუნდეს.

სკ-ის 987-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, რადგანაც „B“-მ შეგნებულად გასწია ხარჯები „C“-ს ქონებაზე, მას შეუძლია მოითხოვოს თავისი დანახარჯების ანაზღაურება იმ პირობით, თუ „C“ ამის შედეგად გამდიდრდა.

მაგრამ, იღებს თუ არა „C“ განეული ხარჯების შედეგად, ქონებრივ სარგებელს?

რასაკვირველია, ამ კითხვაზე დადებითი პასუხის გაცემა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორია მესაკუთრის („C“-ს) მომავალი გეგმები ნაკვეთთან მიმართებაში. იმ შემთხვევაში, თუ, იგი იმავე პროექტით გააგრძელებს კომერციული ობიექტის მშენებლობას და არ აპირებს მის შეცვლას, ან სულაც სხვა მიზნით ნაკვეთის გამოყენებას (მაგ. სასათბურე კომპლექსისათვის, რის შედეგადაც შეიძლება მას წარმოემვას დანგრევასთან დაკავშირებით ხარჯები), მაშინ, გამდიდრება სახეზე გვექნება და მან უნდა აუნაზღაუროს „B“-ს განეული ხარჯები.

⁵⁵ უსაფუძვლო გამდიდრება გულისხმობს ქონებრივი სარგებლის მიღებას, რომელიც გამოიხატება, როგორც სხვისი ქონების ხარჯზე პირადი ქონების გაზრდით, ასევე დაზოგვით. გამდიდრებად ჩაითვლება აგრეთვე მფლობელობა. ქონების გაუმჯობესებად ჩაითვლება, ასევე ვალებისაგან მისი გათავისუფლება, ან ვალების შემცირება, ქონებრივი სარგებლის მიღებად ჩაითვლება, ასევე, ქონების დაზოგვა, თუკი ხარჯები გაღებულ იქნებოდა, კრედიტორის შესრულებას რომ არ ჰქონოდა ადგილი. ქონების დაზოგვად ჩაითვლება, თუ პირს არ დაუხარჯავს თავისი ფული ან სხვა ქონება, სხვა პირის მიერ განეული ხარჯების წყალობით ან სხვა პირისათვის კუთვნილი გასამრჯელოს გადაუხდელობის წყალობით.

ჩვენს შემთხვევაში მარტივადაა საქმე, რადგანაც ფაბულის მიხედვით, „C“ იმავე პროექტით გააგრძელებს მშენებლობას და შესაბამისად, რადგანაც ზოგავს საკუთარ სახსრებს „B“-ს ხარჯზე და რადგანაც არ არსებობენ სკ-ის 987-ე მუხლის მესამე ნაწილით გათვალისწინებული მოთხოვნის გამომრიცხავი გარემოებანი, იგი ვალდებული იქნება აუნაზღაუროს ამ უკანასკნელს 75 000 ლარი.

2. მოთხოვნის შეწყვეტა

ფაბულა არ შეიცავს მოთხოვნის შემწყვეტ გარემოებებზე მითითებას.

3. მოთხოვნის განხორციელება

არ არსებობენ გარემოებანი, რომლებიც, დროებით ან მუდმივად, აფერხებენ „B“-ს მოთხოვნის განხორციელებას.

შედეგი: „B“-ს აქვს 75 000 ლარის მოთხოვნა „C“-ს მიმართ, მიწის ნაკვეთზე განეული ხარჯებისა და გაუმჯობესების თაობაზე, სკ-ის 164-ე და 987-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე.

საბოლოო შედეგი: „C“-ს აქვს მოთხოვნა „B“-ს მიმართ, მიწის ნაკვეთის, უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვის თაობაზე, სკ-ის 172-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე. ასევე, „B“-ს აქვს 75 000 ლარის მოთხოვნა „C“-ს მიმართ, მიწის ნაკვეთზე განეული ხარჯებისა და გაუმჯობესების თაობაზე, სკ-ის 164-ე და 987-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე.

კაზუსი № 6

თემატიკა:

- სესხი და თავდებობა.
- თავდების დროებითი შესაგებელი
- ფორმის მიზანი.
- თავდებობის აქცესორულობა.

„A“ – მიკროსაფინანსო ორგანიზაცია (გამსესხებელი)

„B“ – ფიზიკური პირი (მსესხებელი)

„C“ – ფიზიკური პირი (თავდები)

- 2009 წლის 24 იანვარს, „A“-მ წერილობით დადებული სესხის ხელშეკრულების საფუძველზე, „B“-ს მისცა სესხი 20 000 ლარის ოდენობით პროცენტების (წლიური 14%) დარიცხვით.
- სესხი გაიცა „B“-ს მცირე ბიზნესის დასაფინანსებლად.
- ხელშეკრულებით განისაზღვრა ვალის დაბრუნების ვადა: „B“-ს, ვალი, პროცენტებთან ერთად, ერთი წლის შემდეგ უნდა დაებრუნებინა.
- „C“, რომელიც „B“-ს განუყრელი მეგობარია, თავდებად დაუდგა ამ უკანასკნელს, „A“-ს წინაშე სესხის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად. თავდებობა წერილობით გაფორმდა. ზღვრული თანხა განისაზღვრა 26 200 ლარით პროცენტებთან და ხარჯებთან ერთად.
- ერთი წლის გასვლის შემდეგ, „B“-მ არ დააბრუნა ვალი. „A“-მ მოითხოვა ვალის დაბრუნება, მაგრამ „B“-მ ვალდებულება არც დამატებითი ვადის გასვლის შემდეგ შეასრულა.
- „A“-მ მოთხოვნა წაუყენა თავდებს („C“), ისე, რომ არ უცდია „B“-ს მიმართ იძულებითი აღსრულება.

„C“ შესაგებელში არ ცნობს მოთხოვნას და მიუთითებს შემდეგზე:

- ა) თავდებად დადგომისას, მას, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა განუმარტეს, რომ ყოველივეს მხოლოდ ფორმალური ხასიათი ჰქონდა, რეალურად, კი, მოთხოვნის წარდგენა არ იყო მოსალოდნელი და ყველა დანარჩენ საკითხს „A“ პირველ რიგში, ძირითად მოვალესთან, „B“-სთან მონაწილეობდა.
- ბ) გარდა ამისა, მას არ უკისრია „A“-ს წინაშე არც სოლიდარული და არც სხვა თანაბარმნიშვნელოვანი პასუხისმგებლობა. ამიტომაც „A“-მ მოთხოვნა უნდა წაუყენოს „B“-ს და არა მას.

კაზუსის ამოხსნის სქემა:

„A“-ს მოთხოვნა „C“-ს მიმართ შეიძლება ეფუძნებოდეს სამოქალაქო კოდექსის 891-ე მუხლის პირველ ნაწილს;

მოთხოვნის წარმოშობა

სამართლებრივი წანამძღვრები:

„A“-სა და „B“-ს შორის სამართლებრივად ნამდვილი სესხის ხელშეკრულება და უზრუნველსაყოფი ძირითადი მოთხოვნის არსებობა;

1. უზრუნველსაყოფი ძირითადი მოთხოვნის (ვალდებულების) არსებობა (სკ-ის 893-ე მუხლის პირველი წინადადება)
 - „A“-სა და „B“-ს შორის შეთანხმება, რომლითაც „A“ იღებს ვალდებულებას ასესხოს „B“-ს 20 000 ლარი (+);
 - „A“-ს მიერ „B“-სათვის სესხის თანხის – 20 000 ლარის საკუთრებაში გადაცემა (+);
 - სესხის დაბრუნების ვადის დადგომა (+)
 - „B“-ს მიერ სესხის დაუბრუნებლობა (+)
 - სესხის დაბრუნების მოთხოვნა (+)
2. „A“-სა და „C“-ს შორის სამართლებრივად ნამდვილი თავდებობის ხელშეკრულება:
 - „A“-სა და „C“-ს შორის შეთანხმება, რომლითაც „C“ განაცხადებს თავდებობას „B“-ს მიმართ „A“-ს მოთხოვნაზე (+);
 - ფორმის გამორიცხვა სკ-ის 892-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით – კაზუსი არ შეიცავს მითითებებს იმასთან და-

კავშირებით, რომ „C“-მ განაცხადა თავდებობის შესახებ თავისი პროფესიული საქმიანობის შესრულების ფარგლებში; თავდებობის წერილობითი ფორმის სავალდებულოება სკ-ის 892-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით (+)

- თავდებობის წერილობით დოკუმენტში პასუხისმგებლობის ფარგლების განსაზღვრა, ზღვრული თანხის – 26 200 ლარის – მითითებით, სკ-ის 891-ე და 898-ე მუხლის პირველი ნაწილების მიხედვით (+).

„C“-ს განაცხადება, რომ თავდებად დადგომისას, მას, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა, განუმარტეს, რომ ყოველივეს მხოლოდ ფორმალური ხასიათი ჰქონდა, რეალურად მოთხოვნის წარდგენა არ იყო მოსალოდნელი და ყველა დანარჩენ საკითხს „A“ პირველ რიგში, ძირითად მოვალესთან, „B“-სთან მონესრულებდა, სამართლებრივად მნიშვნელოვანი არ არის.

შუალედური შედეგი: თავდებობიდან გამომდინარე მოთხოვნა წარმოიშვა.

6. მოთხოვნის შეწყვეტა

კაზუსი არ შეიცავს მოთხოვნის შემწყვეტ გარემოებებზე მითითებას.

7. მოთხოვნის განხორციელება

„C“-ს სამართლებრივად ნამდვილი უარი მოთხოვნაზე:

- „C“-ს უარი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე სკ-ის 894-ე მუხლის საფუძველზე (ე.წ. წინასწარი სარჩელის შესაგებელი). უარის გამომრიცხავი გარემოება სკ-ის 895-ე მუხლის მიხედვით – კაზუსი არ შეიცავს მითითებას იმაზე, რომ თავდება სოლიდარული ან სხვა თანაბარმნიშვნელოვანი სახით იკისრა პასუხისმგებლობა „A“-ს წინაშე. შესაბამისად, „C“-ს უფლება აქვს უარი თქვას „A“-ს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, ვიდრე ეს უკანასკნელი არ შეეცდება „B“-ს მიმართ იძულებით აღსრულებას.

შედეგი: მოთხოვნა სკ-ის 894-ე მუხლის მიხედვით არ არის განხორციელებადი.

სამართლებრივი დასკვნა:

„A“-ს მოთხოვნა „C“-ს მიმართ სამოქალაქო კოდექსის 891-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე;

I. მოთხოვნის წარმოშობა

1. უზრუნველსაყოფი ძირითადი მოთხოვნის (ვალდებულების) არსებობა (სკ-ის 893-ე მუხლის პირველი წინადადება)

სკ-ის 893-ე მუხლის პირველი წინადადების მიხედვით: „თავდების ვალდებულებისათვის განმსაზღვრელია შესაბამისი ძირითადი ვალდებულების არსებობა“, ანუ სახეზე უნდა იყოს, სამართლებრივად ნამდვილი, „B“-ს ვალდებულება „A“-ს წინაშე სესხის დაბრუნების თაობაზე. შესაბამისად, არ უნდა არსებობდნენ გარემოებები, რომლებიც ხელს უშლიან სესხის დაბრუნების მოთხოვნის წარმოშობას⁵⁶. ასეთი მოთხოვნის არანამდვილობას (ბათილობას) შედეგად მოჰყვება აქცესორული⁵⁷ მოთხოვნის, ამ შემთხვევაში თავდებობის, რომელიც მკაცრად აქცესორული ხასიათისაა, არანამდვილობაც.

სესხის დაბრუნების მოთხოვნის წარმოშობის სამართლებრივი წანამძღვრები:

ა) **„A“-სა და „B“-ს შორის ნამდვილი შეთანხმება** – ხელშეკრულება დადებულად ითვლება, თუ მხარეები შეთანხმდებიან მის ყველა არსებით პირობაზე საამისოდ გათვალისწინებული ფორმით⁵⁸. იურიდიულ ლიტერატურაში დამკვიდრებული მოსაზრების მიხედვით, ხელშეკრულება მხარეთა ნების გამოვლენის შედეგია, ანუ ერთი მხარე ეთანხმება მეორე მხარის მიერ გამოთქმულ წინადადებას (ოფერტი + აქცეპტი). ამ შემთხვევაში, სახეზეა სკ-ის 623-ე მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი ურთიერთობა – სესხის ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც: გამსესხებელი საკუთ-

⁵⁶ მხედველობაშია გარიგების ნამდვილობის ზოგადი პირობები

⁵⁷ აქცესორულია უფლება, რომელიც ისეა დაკავშირებული სხვა უფლებასთან, რომ მის გარეშე არც შეიძლება არსებობდეს (სკ-ის 153-ე მუხლის პირველი ნაწილი).

⁵⁸ იხ. სკ-ის 327-ე მუხლი.

რებაში გადასცემს მსესხებელს ფულს ან სხვა გვაროვნულ ნივთს. „A“-სა და „B“-ს შორის, 2009 წლის 24 იანვარს, დაიდო წერილობითი ფორმით⁵⁹ შეთანხმება, რომლის მიხედვითაც „A“-მ აიღო ვალდებულება, ერთი წლის ვადით, სესხად მიეცა „B“-სთვის 20 000 ლარი.

ბ) იმის გათვალისწინებით, რომ სესხის ხელშეკრულება მიეკუთვნება რეალურ ხელშეკრულებათა⁶⁰ რიცხვს, სახეზე უნდა იყოს ხელშეკრულების *საგნის გადაცემა*. კაზუსიდან დგინდება, რომ „A“-მ საკუთრებაში გადასცა სესხის თანხა „B“-ს.

გ) *სესხის დაბრუნების ვადის დადგომა*⁶¹ – ვალდებულების შესრულების დროდ, მიიჩნევა იმ განსაზღვრული მომენტის დადგომა, როცა ვალდებულება უნდა შესრულდეს. მოცემულ შემთხვევაში, მხარეებმა ხელშეკრულებით განსაზღვრეს სესხის დაბრუნების ვადა – ერთი წელი. შესაბამისად, სკ-ის 123-ე მუხლის მიხედვით, შესრულების დრო დადგა 2010 წლის 24 იანვარს.

დ) *„B“-ს მიერ სესხის დაუბრუნებლობა* – „B“-მ სესხი არ დააბრუნა არც ხელშეკრულებით დადგენილ და არც „A“-ს მიერ დამატებით განსაზღვრულ ვადაში. შესაბამისად, შესრულებას ადგილი არა აქვს. ყოველ შემთხვევაში, კაზუსი არ შეიცავს მითითებას იმასთან დაკავშირებით, რომ ვალდებულება რაიმე სხვა გზით იქნა შეწყვეტილი, მაგალითად ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვის გზით⁶².

⁵⁹ კანონმდებელი არ მოითხოვს სესხის ნამდვილობისათვის წერილობითი ფორმის დაცვას. ამ შემთხვევაში, წერილობით ფორმას არა მატერიალურ-სამართლებრივი, არამედ მტკიცებითი (პროცესუალური) ფუნქცია შეიძლება ჰქონდეს, რადგანაც სკ-ის 624-ე მუხლის დანაწესიდან გამომდინარე, ზეპირი სესხის ხელშეკრულების დროს, მისი ნამდვილობა არ შეიძლება დადგინდეს მხოლოდ მონმეთა ჩვენებებით.

⁶⁰ რეალურია ისეთი ხელშეკრულება, რომლის დასადავებლად მხოლოდ მხარეთა შეთანხმება საკმარისი არ არის, არამედ აუცილებელია ასევე ერთი მხარის მიერ, მეორე მხარისათვის ხელშეკრულების საგნის ფაქტობრივი გადაცემა.

⁶¹ შესრულების ვადის განსაზღვრას ორივე მხარისთვის აქვს მნიშვნელობა. ერთი მხრივ, კრედიტორმა იცის, თუ როდიდან შეუძლია მოითხოვოს შესრულება, ხოლო მეორე მხრივ, მოვალემ იცის, თუ როდიდანაა იგი ვალდებული შესრულებაზე.

⁶² იხ. სკ-ის 442-ე და შემდგომი მუხლები

ე) სესხის დაბრუნების მოთხოვნა – „A“-მ სესხის დაბრუნების მოთხოვნა წარუდგინა „C“-ს, როგორც თავდებს.

2. „A“-სა და „C“-ს შორის, სამართლებრივად ნამდვილი თავდებობის ხელშეკრულების სამართლებრივი ნანამძღვრები: თავდებობის ნამდვილობისათვის, აუცილებელია „A“-სა და „C“-ს შეთანხმება თავდებობის თაობაზე და თავდებობის განცხადება სკ-ის 892-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი ფორმით და თავდებობის წერილობით დოკუმენტში პასუხისმგებლობის ფარგლების განსაზღვრა.

ა) შეთანხმება „A“-სა და „C“-ს შორის – კაზუსის მიხედვით, მხარეები შეთანხმდნენ იმაზე, რომ „C“ თავდებად დაუდგებოდა „B“-ს „A“-ს წინაშე, ამ უკანასკნელის მიერ, სესხის დაბრუნების მოთხოვნისათვის 26 200 ლარის ფარგლებში.

ბ) თავდებობის წერილობითი ფორმა – სკ-ის 892-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, თავდებობის ნამდვილობისათვის მხოლოდ „C“-ს ნების გამოვლენა არ არის საკმარისი, არამედ კანონი მოითხოვს, რომ მან (თავდებმა) ნება წერილობით გამოავლინოს. კანონმდებლის ამგვარ მოთხოვნას, პირველ რიგში, თავდების „განზრახვის სერიოზულობის“ დადასტურების ფუნქცია აქვს, ხოლო შემდეგ, კი, მტკიცებითი ფუნქცია. ეს კი იმას გულისხმობს, რომ ფორმის დაუცველობა ყოველთვის გამოიწვევს გარიგების ბათილობას, მაშინაც კი, როდესაც უტყუარად და ცალსახად დგინდება მხარეთა შორის შეთანხმების არსებობა⁶³. გამონაკლისი დადგენილია სკ-ის 892-ე მუხლის მეორე ნაწილის დანაწესით: ფორმის დაცვა არ იქნებოდა საჭირო, თუ „C“ განაცხადებდა თავდებობას თავისი პროფესიული საქმიანობის ფარგლებში. ვინაიდან კაზუსი არ შეიცავს თავდებობის წერილობითი ფორმის სავალდებულოების გამომრიცხავ გარემოებებს, „C“ ვალდებული იყო წერილობით

⁶³ იხ. კონრატ ცვაიგერტი, ჰაინ კოტცი „შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში“, თარგმანი ეკატერინე სუმბათაშვილის, თბილისი, 2001 წელი, გამომცემლობა ჯისიანი, ტომი II, გვ. 57.

თი განცხადებით აელო ვალდებულება გამსესხებლის წინაშე, რაც გააკეთა კიდევც.

გ) თავდებობის წერილობით დოკუმენტში პასუხისმგებლობის ფარგლების განსაზღვრა – სკ-ის 898-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, თავდები „C“ პასუხს აგებს მხოლოდ თავდებობის დოკუმენტში მითითებული ზღვრული თანხის ოდენობამდე. მოცემულ შემთხვევაში განსაზღვრული იყო ზღვრული თანხა – 26 200 ლარის ფარგლებში.

რაც შეეხება „C“-ს განცხადებას, იმის შესახებ, რომ თავდებად დადგომისას მას მიკროსაფინანსო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა განუმარტეს, რომ ყოველივეს მხოლოდ ფორმალური ხასიათი ჰქონდა, რეალურად მოთხოვნის წარდგენა არ იყო მოსალოდნელი და ყველა დანარჩენ საკითხს „A“ პირველ რიგში, ძირითად მოვალესთან, „B“-სთან მოაწესრიგებდა, სამართლებრივად მნიშვნელოვანი არ არის. არ არის გამორიცხული, როდესაც „C“ თავდებობის განცხადებას აკეთებდა, იმედოვნებდა, რომ „B“ შეასრულებდა ნაკისრ ვალდებულებას (დროულად დააბრუნებდა სესხს) და შესაბამისად, არც მისი პასუხისმგებლობის საკითხი არ დადგებოდა. თუმცა, მას, უთუოდ უნდა გაეთვალისწინებინა მის მიერ გაკეთებული განცხადების სამართლებრივი შედეგები და ის პასუხისმგებლობა, რომელსაც იგი საკუთარ თავზე იღებდა!

შუალედური შედეგი: მოთხოვნა წარმოიშვა სკ-ის 891-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, 26 200 ლარის ოდენობით.

II. მოთხოვნის შეწყვეტა

კაზუსი არ შეიცავს ისეთ გარემოებებზე მითითებას, რომლებიც გამოიწვევდნენ თავდებობიდან გამომდინარე მოთხოვნის შეწყვეტას.

III. მოთხოვნის განხორციელება

„C“-ს, კანონი ანიჭებს უფლებას, წარადგინოს, როგორც მოვალის კუთვნილი (სკ-ის 899-ე მუხლი), ისე საკუთარი შესაგებელი,

რომელიც გამომდინარეობს სკ-ის 894-ე მუხლის დანაწესიდან. მოცემულ შემთხვევაში, კაზუსი არ შეიცავს მითითებას იმაზე, რომ მან, სოლიდარული ან სხვა თანაბარმნიშვნელოვანი სახით იკისრა პასუხისმგებლობა გამსესხებლის წინაშე და მხარეებმა გამორიცხეს დროებითი შესაგებლის წარდგენის შესაძლებლობა, როგორც ამას სკ-ის 895-ე მუხლი ითვალისწინებს; შესაბამისად, „C“-ს შეუძლია წარადგინოს დროებითი ხასიათის შესაგებელი და უარი თქვას თავდებობიდან გამომდინარე „A“-ს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, მანამ, სანამ „A“-ს არ ექნება „B“-ს (მსესხებლის) მიმართ წარუმატებელი იძულებითი აღსრულების მცდელობა (ე.წ. წინასწარი სარჩელის შესაგებელი).

საბოლოო შედეგი: „A“-ს მოთხოვნა „C“-ს მიმართ, სამოქალაქო კოდექსის 894-ე მუხლის მიხედვით არ არის განხორციელებადი.

კაზუსი № 7

თემატიკა:

- ნარდობა;
- ვალდებულების დარღვევა;
- ხელშეკრულებაზე უარი;
- სტანდარტული პირობის ბათილობა;
- ხელშეკრულებიდან გავლის გამო წარმოშობილი ზიანი;

„ა“-ს (ფიზიკური პირი) სურდა ბინის შეძენა თბილისის ერთ-ერთ პრესტიჟულ უბანში მშენებარე, მრავალბინიან სახლში.

2008 წლის 18 მაისს, მან ერთ-ერთ სამშენებლო კომპანიასთან (**„ბ“**), რომლის შესახებაც გაზეთში „სიტყვა და საქმე“ განთავსებული რეკლამიდან შეიტყო, წერილობითი ფორმით დადო ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც, ეს უკანასკნელი, კისრულობდა ვალდებულებას, 2009 წლის 18 ოქტომბრისათვის, მის მიერ ქ.

თბილისში აშენებულ მრავალბინიან სახლში, „ა“-სთვის აეშენებინა და საკუთრებაში გადაეცა ხუთოთახიანი ბინა, საერთო ფართობით 216 კვ.მ. თავის მხრივ, „ა“ ვალდებული იყო, ხელშეკრულების ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში, გადაეხადა ბინის ღირებულება – 80 000 აშშ დოლარი.

„ა“-მ, ნაკისრი ვალდებულების შესრულების მიზნით, გაყიდა თავისი ძველი ბინა 89 000 აშშ დოლარად და ერთ თვეში მთლიანად დაფარა ასაშენებელი ბინის ღირებულება. მან, ბინის აშენებამდე, საკუთრებაში და შესაბამისად, მფლობელობაში გადაცემამდე, იქირავა ბინა იმავე უბანში, თვეში 600 აშშ დოლარად.

კომპანიამ, დადგენილ დროში, ვალდებულება ვერ შეასრულა; შექმნილი ფინანსური პრობლემების გამო, ვერ დაამთავრა ბინის მშენებლობა. მან ვალდებულება არც დამატებითი ექვსთვიანი ვადის მიცემის შემდეგაც შეასრულა.

2010 წლის 28 მაისს, „ა“-მ წერილი გაუგზავნა „ბ“-ს და მოითხოვა: მის მიერ კომპანიისათვის გადახდილი 80 000 აშშ დოლარის, მიღებული სარგებლის 16 000 აშშ დოლარისა (80 000 დოლარის პროცენტი გასული ორი წლისათვის: წლიური 10%-იანი განაკვეთით, პროცენტის გარეშე ერთი წლისათვის) და მიყენებული ზიანის 12 000 აშშ დოლარის (მის მიერ გადახდილი ქირის) გადახდა.

„ბ“-მ მოთხოვნა არ ცნო.

მან, თავის, 2010 წლის 2 ივნისის, საპასუხო წერილში მიუთითა, რომ ხელშეკრულების სტანდარტული პირობით, „ა“-ს, ხელშეკრულებაზე უარის უფლება აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი კომპანიას შესთავაზებს ბინის გადახდისუნარიან სხვა მყიდველს. გარდა ამისა, „ბ“ აცხადებს, რომ მას, ვადის გადაცილებაში ბრალი არ მიუძღვის, რადგანაც არმატურა და სხვა სამშენებლო მასალები მომწოდებლისგან დადგენილ ვადაში ვერ მიიღო. ამის მიზეზი კი ის იყო, რომ ბანკმა დროულად არ გამოუყო კრედიტი მასალების შესაძენად.

როგორია სამართლებრივი ვითარება?

კაზუსის ამოხსნის სქემა:

მოცემული კაზუსის მიხედვით, „ა“-ს მოთხოვნა „ბ“-ს მიმართ, დამყარებულია ხელშეკრულებიდან გასვლაზე და მის შედეგებზე.

მოთხოვნის საფუძველი: სამოქალაქო კოდექსის 352-ე მუხლის პირველი ნაწილი, 405-ე მუხლის პირველი ნაწილი და 407-ე მუხლი.

1. ხელშეკრულებიდან უარის (გასვლის) მოთხოვნა.

ა) მოთხოვნის წარმოშობა

სამართლებრივი წანამძღვრები:

➤ „ა“-სა და „ბ“-ს შორის, სამართლებრივად ნამდვილი ნარდობის ხელშეკრულება, რომლითაც „ბ“ იღებს ვალდებულებას, აუშენოს და საკუთრებაში გადასცეს „ა“-ს ხუთოთახიანი ბინა. (+)

➤ სკ-ის 405-ე მუხლის პირველი ნაწილის წინაპირობები:

„ბ“-ს მხრიდან ორმხრივი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევა⁶⁴:

ვადის გადაცილება (+).

სკ-ის მე-400-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, მოვალის მიერ, ვადის გადაცილებად ითვლება, თუ იგი შესრულებისათვის დადგენილ დროში არ ასრულებს ვალდებულებას. „ბ“-ს ვალდებულება უნდა შეესრულებინა 2009 წლის 18 ოქტომბრისათვის. მან გადააცილა ვადას.

„ა“-ს მიერ ნების გამოვლენა (+).

„ა“, „ბ“-სადმი 2010 წლის 28 მაისს გაგზავნილ წერილში, ნათლად და მკაფიოდ გამოხატავს, რომ მას არ სურს ხელშეკრულების შენარჩუნება⁶⁵.

– „ბ“-ს მიერ „ა“-ს წერილის მიღება (+)

მან („ბ“), 2010 წლის 2 ივნისს, საპასუხო წერილი გაუგზავნა „ა“-ს.

⁶⁴ „ხელშეკრულების დარღვევა“ – მოვალე ხელშეკრულებას საერთოდ არ ასრულებს, ასრულებს ნაწილობრივ, ან დაგვიანებით, ან ისე არა, როგორც ეს მხარეთა მიერ იყო განსაზღვრული.

⁶⁵ ხელშეკრულებიდან გასვლა (უარი) ცალმხრივი ნების გამოვლენით ხორციელდება. სკ-ის 51-ე მუხლის თანახმად, მისი ნამდვილობა პირდაპირ კავშირშია მეორე მხარის მიერ მის მიღებასთან.

„ა“-ს მიერ განსაზღვრული დამატებითი, ექვსთვიანი ვადის უშედეგოდ გასვლა⁶⁶ (+).

➤ ხელშეკრულებაზე უარის გამომრიცხავი გარემოებები:

სკ-ის 405-ე მუხლის მესამე ნაწილის წინაპირობები:

დარღვევის უმნიშვნელო ხასიათი (-)

ნარდობის ხელშეკრულებაში ნივთის დამზადება და მასზე საკუთრების უფლების გადაცემა წარმოადგენს მენარდის ძირითად ვალდებულებას. შესაბამისად, ბ“-ს მხრიდან ადგილი აქვს სახელშეკრულებო ვალდებულების არსებით დარღვევას, რადგანაც მან დადგენილ ვადაში არ შეასრულა იგი.

სკ-ის 316-ე მუხლის მეორე ნაწილის მოთხოვნების დარღვევა⁶⁷ (-)

ფაბულა არ შეიცავს მითითებებს ამასთან დაკავშირებით.

ვალდებულების დარღვევისათვის, „ა“ მთლიანად ან უმთავრესად თვითონ არის პასუხისმგებელი (-)

ფაბულა არ შეიცავს მითითებებს ამასთან დაკავშირებით.

მოთხოვნას უპირისპირდება შესაგებელი, რომელიც „ბ“-მ უკვე წარადგინა ან დაუყოვნებლივ წარადგენს ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემდეგ (-)⁶⁸.

⁶⁶ დამატებითი ვადის ხანგრძლივობა კონკრეტული დარღვევის ხასიათისა და შესასრულებელი ვალდებულების თავისებურების გათვალისწინებით უნდა განისაზღვროს. ამ დროს, კრედიტორი უნდა ხელმძღვანელობდეს პრინციპით: „მთავარია ვალდებულების შესრულება და არა პასუხისმგებლობა შეუსრულებლობისათვის“ – იხ. ბ. ზოიძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, თბილისი, 2001 წელი, გვ. 434.

⁶⁷ კანონმდებლის ეს დათქმა სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობისა და უსაფრთხოების პრინციპის გამოხატულებაა. მხარეები ვალდებულნი არიან, ითანამშრომლონ ერთმანეთთან და არ შეუშალონ ხელი ერთმანეთს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაში.

⁶⁸ მხარეთა შეთანხმებით, პასუხისმგებლობის გამორიცხვა ან შეზღუდვა, მოქმედი სამოქალაქო კოდექსის ნორმებით, დასაშვებია, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ვალდებულების დარღვევა განზრახ მოქმედების შედეგია. ამასთან დაკავშირებით იხილეთ: სკ-ის 395-ე მუხლის პირველი ნაწილი, 497-ე მუხლი და ა.შ. შესაბამისად, ხელშეკრულებიდან გასვლის (უარის) საფუძვლები შეიძლება განისაზღვროს ხელშეკრულებითაც და ეს უფლება გამოირიცხოს ან შეიზღუდოს.

ერთი შეხედვით, „ბ“-ს შესაგებლით შეზღუდულია „ა“-ს გასვლის უფლება. მაგრამ ეს შეზღუდვა ძალაში არ არის, რადგანაც „ა“ ფიზიკური პირია და ხელშეკრულების ეს დებულება სტანდარტული. სკ-ის 348-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, ხელშეკრულების სტანდარტული პირობა, რომლის მიხედვითაც ხელშეკრულების ძირითადი ვალდებულების დარღვევისას, მეორე მხარეს ერთმევა ან ეზღუდება უფლება, უარი თქვას ხელშეკრულებაზე, ბათილია იმ ფიზიკური პირების მიმართ, რომლებიც არ მისდევენ სამეწარმეო საქმიანობას.

სხვა საფუძვლები:

სკ-ის 357-ე მუხლის მიხედვით, პირთა სიმრავლის შემთხვევაში, ხელშეკრულებაზე უარის უფლება უნდა განახორციელოს ყველამ ერთდროულად (-).

სკ-ის 358-ე მუხლის დანაწესის მიხედვით, უარი დაუშვებელია, თუ მოვალეს, შეუძლია გაქვითვის გზით შეასრულოს ვალდებულება და გასვლის შემდეგ, დაუყოვნებლივ განაცხადებს ვალდებულების გაქვითვის შესახებ (-).

ბ) მოთხოვნის შეწყვეტა

ფაბულა არ შეიცავს მოთხოვნის შემწყვეტ გარემოებებზე მითითებას. „ბ“-ს განცხადება, რომ მას ვადის გადაცილებაში ბრალი არ მიუძღვის, რადგანაც მან კრედიტი ვერ მიიღო ბანკისაგან დროულად, რომლის გამოც არმატურა და სხვა სამშენებლო მასალები მომწოდებლისგან დადგენილ ვადაში ვერ შეიძინა, სამართლებრივად მნიშვნელოვანი ვერ იქნება.⁶⁹

გ) მოთხოვნის განხორციელება

ფაბულის თანახმად, არ არსებობს გარემოებები, რომლებიც დროებით ან მუდმივად აფერხებენ მოთხოვნის განხორციელებას.⁷⁰

შედეგი: „ა“-ს უფლება აქვს, უარი თქვას „ბ“-სთან 2008 წლის 18 მაისს დადებულ ხელშეკრულებაზე და მოითხოვოს გადაცემულ

⁶⁹ ამასთან დაკავშირებით იხ. სკ-ის 397-ე მუხლი

⁷⁰ ხელშეკრულებაზე გასვლის (უარის) უფლება აღმჭურველი უფლებაა და მასზე არ ვრცელდება ხანდაზმულობა.

სარგებელთან (იხ. ზემოთ. იგულისხმება 80 000 დოლარის პროცენტი – 10% გასული ორი წლისათვის) ერთად.

2. ხელშეკრულებაზე უარის გამო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა.

ა) მოთხოვნის წარმოშობა

სკ-ის 407-ე მუხლის წანამძღვრები:

„ა“-ს მიერ ნარდობის ხელშეკრულებაზე უარის ნამდვილობა (+)

ხელშეკრულების დარღვევის „ბ“-ს ბრალით გამოწვევა⁷¹ (+)

ზიანის არსებობა (+). ფაბულის მიხედვით „ა“ ქირით ცხოვრობდა და ყოველთვიურად იხდიდა 600 აშშ დოლარს.

პირდაპირი მიზეზობრივი კავშირი ხელშეკრულების დარღვევასა და დამდგარ ზიანს შორის (+).

ბ) მოთხოვნის შეწყვეტა

ფაბულა არ შეიცავს მოთხოვნის შემწყვეტ გარემოებებზე მითითებას. „ბ“-ს განცხადება, რომ მას ვადის გადაცილებაში ბრალი არ მიუძღვის, რადგანაც მან, ბანკისაგან, დროულად ვერ მიიღო კრედიტი, და შესაბამისად, არმატურა და სხვა სამშენებლო მასალები მომწოდებლისგან დადგენილ ვადაში ვერ შეიძინა, სამართლებრივად მნიშვნელოვანი ვერ იქნება.

გ) მოთხოვნის განხორციელებადობა

ფაბულის თანახმად, არ არსებობს გარემოებები, რომლებიც დროებით ან მუდმივად აფერხებენ მოთხოვნის განხორციელებას.

შუალედური შედეგი: „ა“-ს უფლება აქვს, მოითხოვოს „ბ“-სგან ხელშეკრულებაზე უარის გამო ზიანი.

საბოლოო შედეგი: სკ-ის 352-ე მუხლის პირველი ნაწილის, 405-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 407-ე მუხლის საფუძველზე, „ა“-ს შეუძლია „ბ“-სგან მოითხოვოს, მის მიერ, კომპანიისათვის გადახდილი 80 000 აშშ დოლარის, მიღებული სარგებლის (იხ. ზემოთ. იგუ-

⁷¹ ამასთან დაკავშირებით იხ. სკ-ის 395-ე მუხლის პირველი ნაწილი.

ლისხმება 80 000 დოლარის პროცენტი – 10% გასული ორი წლისათვის) 16 000 აშშ დოლარისა და მიყენებული ზიანის – 12 000 აშშ დოლარის (მის მიერ გადახდილი ქირის) გადახდა.

სამართლებრივი დასკვნა:

„ა“-ს მოთხოვნები „ბ“-ს მიმართ:

1. ხელშეკრულებიდან გასვლა და „ბ“-სთვის გადაცემული 80 000 აშშ დოლარისა და მიუღებელი სარგებლის – 16 000 აშშ დოლარის (იხ. ზემოთ. იგულისხმება 80 000 დოლარის პროცენტი – 10% გასული ორი წლისათვის) – დაბრუნება.

მოთხოვნა შეიძლება ეფუძნებოდეს სკ-ის 352-ე და 405-ე მუხლის პირველ ნაწილებს.

1. მოთხოვნის წარმოშობა

➤ მოთხოვნის წარმოშობის წინაპირობაა, „ა“-სა და „ბ“-ს შორის, ორმხრივი⁷² და ნამდვილი ხელშეკრულების დადება. ხელშეკრულება დადებულად ითვლება, თუ მხარეები შეთანხმდებიან მის ყველა არსებით პირობაზე, საამისოდ გათვალისწინებული ფორმით⁷³. იურიდიულ ლიტერატურაში დამკვიდრებული მოსაზრების მიხედვით, ხელშეკრულება მხარეთა ნების გამოვლენის შედეგია⁷⁴, ანუ ერთი მხარე ეთანხმება მეორე მხარის მიერ გამოთქმულ წინადადებას⁷⁵ (ოფერტი-აქცეპტი). ამ შემთხვევაში, სახეზეა, სკ-ის 629-ე მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი ურთიერთობა – ნარდობის ხელშეკრულება. ნარდობის ხელშეკრულების საგანს, როგორც წესი, წარმოადგენს ინდივიდუალურად განსაზღვრული ნაკეთობის დამზადება, ანუ ვალდე-

⁷² ორმხრივია ხელშეკრულება, რომლის მონაწილეები ერთდროულად კრედიტორებიც არიან და მოვალეებიც.

⁷³ იხ. სკ-ის 327-ე მუხლი.

⁷⁴ კონრატ ცვაიგერტი, ჰაინ კოტცი „შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში“, თარგმანი ეკატერინე სუმბათაშვილის, თბილისი 2001 წელი, გამომცემლობა ჯისიაი, ტომი II, გვ.42.

⁷⁵ იხ. სკ-ის 329-ე და შემდეგი ნორმები.

ბულება ვრცელდება შედეგზე. მისი პირობები განსაზღვრავენ, შეკვეთილი ნაკეთობის დამზადების სამუშაოთა შესრულების პროცესში, მონაწილეთა ურთიერთობას⁷⁶. როგორც კაზუსიდან ჩანს, ოფერენტი იყო „ბ“, რომელიც, გაზეთში განთავსებული განცხადებით, სთავაზობდა პირებს ხელშეკრულების დადებას. იგი კისრულობდა ბინის აშენებისა და მასზე საკუთრების გადაცემის ვალდებულებას, საპასუხო შესრულების – საფასურის გადახდის სანაცვლოდ. „ა“ დაეთანხმა მის მიერ შემოთავაზებულ პირობებს და თავის მხრივ, იკისრა ვალდებულება, ერთი თვის ვადაში გადაეხადა „ბ“-სთვის 80 000 აშშ დოლარი. ნარდობის ხელშეკრულების ნამდვილობა მხარეთა შორის სადავო არ არის. კაზუსი არ შეიცავს ისეთ გარემოებებზე მითითებას, რომლებსაც მოქმედი სამოქალაქო სამართლის ნორმები უკავშირებენ ხელშეკრულების არანამდვილობას⁷⁷. (+)

➤ სკ-ის 352-ე და 405-ე მუხლის პირველი ნაწილებით გათვალისწინებული წინაპირობების არსებობისას, „ა“-ს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე და მოითხოვოს როგორც გადაცემულის, ისე „ბ“-ს მიერ მიღებული სარგებლის დაბრუნება:

ა) „ბ“-ს მიერ, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევა – სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევას ადგილი აქვს მაშინ, როცა იგი არ სრულდება ან სრულდება არაჯეროვნად⁷⁸. უმნიშვნელო დარღვევა (არაარსებითი დარღვევა) გასვლის უფლებას არ წარმოშობს⁷⁹. მოცემულ შემთხვევაში, „ბ“-ს მხრიდან ადგილი აქვს ძირითადი ვალდებულების – ნივთის დამზადებისა და გადაცემის – ვალდებულების დარღვევას, რაც ეჭვგარეშეა, მნიშვნელოვანი დარღ-

⁷⁶ ზურაბ ძლიერიშვილი, „ნარდობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება“, გამომც. „მერიდიანი“, თბილისი 2011 წელი, გვ. 41

⁷⁷ იხ. სკ-ის 54-ე და შემდგომი მუხლები (გარიგების დადების ზოგადი პირობები)

⁷⁸ ზურაბ ახვლედიანი, „ვალდებულებითი სამართალი“, თბილისი, 1999 წელი, გამომცემლობა „სამართალი“, გვ. 55

⁷⁹ იხ. სკ-ის 405-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი.

ვევაა და შესაბამისად, „ა“-ს ანიჭებს უფლებას, ცალმხრივი ნების გამოვლენით, უარი თქვას ხელშეკრულებაზე (+).

ბ) „ა“-ს მიერ გამოვლენილი ცალმხრივი ნება⁸⁰ ნამდვილია, რადგანაც მან, წერილობითი ფორმით, შეატყობინა მეორე მხარეს თავისი განზრახვის შესახებ, რითაც შეასრულა სკ-ის 355-ე მუხლით განსაზღვრული სამართლებრივი მოქმედება; შესაბამისად, მან ნათლად და მკაფიოდ გამოხატა, რომ აღარ უნდა „ბ“-სთან ურთიერთობის გაგრძელება.

გ) სკ-ის მე-400-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით მოვალის მიერ ვადის გადაცილებად ითვლება, თუ იგი შესრულები-სათვის დადგენილ დროში არ ასრულებს ვალდებულებას. „ბ“-ს ვალდებულება უნდა შეესრულებინა 2009 წლის 18 ოქტომბრისათვის. მან გადააცილა ვადას. „ა“-მ, ხელშეკრუ-ლებიდან გასვლის შესახებ, 2010 წლის 28 მაისის შეტყობი-ნებამდე, გააკეთა ე.წ. „გამაფრთხილებელი გასროლა“⁸¹ და დამატებითი ექვსთვიანი ვადა მისცა „ბ“-ს ვალდებულების შესასრულებლად, „ბ“-მ ვალდებულება არც დამატებითი ვა-დის განმავლობაში შეასრულა.

➤ კაზუსის მიხედვით, არ არსებობს გარემოებები, რომლებიც გა-მორიცხავენ „ა“-ს უფლებას, უარი თქვას ხელშეკრულებაზე, რაც გათვალისწინებულია სკ-ის 405-ე მუხლის მესამე ნაწილით და 357-ე, 358-ე მუხლებით.

შუალედური შედეგი: ამრიგად, „ა“ სკ-ის 352-ე და 405-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, უფლებამოსილია, უარი თქვას ხელშეკრულებაზე და მოითხოვოს „ბ“-სგან 80 000 აშშ დოლარის (მის მიერ გადახდილი თანხის) და სარგებლის 16 000 აშშ დოლარის დაბრუნება.

⁸⁰ იხ. სკ-ის 51-ე მუხლი.

⁸¹ 20. იხ. ჰ. ბილინგი, პ. ლუტრინგჰაუსი, ლ. შატბერაშვილი საქართველოს სკ-ის ცალკეული მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი თბილისი, 2005 წელი, გვ. 32.

2. მოთხოვნის შეწყვეტა

კაზუსის ფაბულა არ შეიცავს მოთხოვნის შემწყვეტ გარემოებებზე მითითებას.

რამდენად ახდენს გავლენას „ა“-ს უფლებაზე, უარი თქვას ხელშეკრულებაზე, „ბ“-ს მიერ შესაგებელში მითითებული გარემოებები იმის შესახებ, რომ ხელშეკრულების სტანდარტული პირობით, „ა“-ს, ხელშეკრულებაზე უარის უფლება აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი კომპანიას შესთავაზებს ბინის გადახდისუნარიან სხვა მყიდველს⁸² და ან ის, რომ მას ვადის გადაცილებაში ბრალი არ მიუძღვის, რადგანაც არმატურა და სხვა სამშენებლო მასალები მომწოდებლისგან დადგენილ ვადაში ვერ მიიღო, რაც განაპირობა იმან, რომ ბანკმა დროულად არ გამოუყო კრედიტი მასალების შესაძენად.

ა. რასაკვირველია, მონაწილეებს შეუძლიათ გამოიყენონ ხელშეკრულების შინაარსის განსაზღვრის თავისუფლების პრინციპი და ურთიერთშეთანხმებით კანონისაგან განსხვავებულად მოაწესრიგონ ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძვლები და ამ უფლების განხორციელების პირობები. მათ, ასევე, შეუძლიათ შეზღუდონ ან საერთოდ გამოირიცხონ ამ უფლების გამოყენება.⁸³ მაგრამ ხელშეკრულებაში შეტანილი მოვალის პასუხისმგებლობის გამომრიცხავი ან შემზღუდველი ამგვარი დებულებები, ყოველთვის არ არის ნამდვილი.

მხედველობაშია, მენარმე სუბიექტების მიერ, სახელშეკრულებო რისკების⁸⁴ კლიენტებზე გადატანის მიზნით, არამართლზომი-

⁸² ჩვენს სინამდვილეში, არცთუ იშვიათია, ამგვარი დათქმების გამოყენება ხელშეკრულებებში მენარმე სუბიექტების მიერ ფიზიკური პირების მიმართ.

⁸³ მაგალითად, სკ-ის 497-ე მუხლის დანაწესის თანახმად, თუ გამყიდველი განზრახ არ დუმს ნივთის ნაკლის გამო, ხელშეკრულებით შეიძლება შეიზღუდოს ან გამოირიცხოს გამყიდველის პასუხისმგებლობა ნაკლის მქონე ნივთის გაყიდვისას.

⁸⁴ კონრატ ცვაიგერტი, ჰაინ კოტცი „შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში“, თარგმანი ეკატერინე სუმბათაშვილის, თბილისი, 2001 წელი, გამომცემლობა ჯისიაი, ტომი II, გვ. 18-19.

ერი დათქმების შეტანა ხელშეკრულებებში. ისინი მოქნილად იყენებენ თავის საბაზრო ძალაუფლებას, კლიენტების გამოუცდლობას და აიძულებენ მათ დაეთანხმონ წინასწარ შედგენილ სტანდარტულ პირობებს. სკ-ის 342-ე მუხლის პირველი ნაწილი, ხელშეკრულების სტანდარტულ პირობად მიიჩნევს დებულებას, რომელიც წინასწარ არის ჩამოყალიბებული და გამიზნულია მრავალი ხელშეკრულების დასადებად. ყოველ შემთხვევაში, მოცემული კაზუსის მიხედვით, ამ დებულების შემუშავებაში „ა“-ს მონაწილეობა არ მიუღია. მართალია, მას ჰქონდა შესაძლებლობა გაცნობოდა მის შინაარსს და დაეთანხმა კიდევ, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ეს დებულება უპირობოდ ნამდვილია და არ საჭიროებს შემოწმებას. სკ-ის 347-ე და 348-ე მუხლები ადგენენ იმ სტანდარტული დებულებების ბათილობას, რომლებსაც შემთავაზებელი იყენებს იმ ფიზიკური პირების მიმართ, რომლებიც არ მისდევენ სამენარმეო საქმიანობას.

ხელშეკრულებიდან გამსვლელი მხარე „ა“ ფიზიკური პირია, ის არ მისდევს სამენარმეო საქმიანობას, შესაბამისად, „ბ“-ს პასუხისმგებლობის გამორიცხვა, სკ-ის 348-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, არ არის ნამდვილი. მან დაარღვია ძირითადი ვალდებულება – არ აუშენა და არ გადასცა საკუთრებაში ბინა „ა“-ს, დამატებითი ექვსთვიანი ვადის მიცემის შემდეგაც (იხ. ზემოთ, „ა“-მ დამატებითი ვადა განუსაზღვრა „ბ“-ს ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ 2010 წლის 28 მაისის შეტყობინებამდე) და მან პასუხი უნდა აგოს სკ-ის 352-ე და 405-ე მუხლების პირველი ნაწილების მიხედვით.

ბ. რაც შეეხება „ბ“-ს მტკიცებას იმის თაობაზე, რომ მას, ვალდებულების დარღვევაში ბრალი არ მიუძღვის, რადგანაც არმატურა და სხვა სამშენებლო მასალები მომწოდებლისგან დადგენილ ვადაში ვერ მიიღო, რაც განაპირობა იმან, რომ ბანკმა დროულად არ გამოუყო კრედიტი მასალების შესაძენად, სამართლებრივ სურათს ვერ შეცვლის, რადგანაც, სკ-ის 352-ე და 405-ე მუხლების პირველი ნაწილების თანახმად, იგი პასუხს აგებს ბრალეულობის მიუხედავად.

მოთხოვნის განხორციელებადობა

ფაბულის თანახმად, არ არსებობს გარემოებები, რომლებიც, დროებით ან მუდმივად, აფერხებენ მოთხოვნის განხორციელებას.⁸⁵

შუალედური შედეგი: „ა“, სკ-ის 352-ე და 405-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, უფლებამოსილია უარი თქვას ხელშეკრულებაზე და მოითხოვოს „ბ“-სგან 80 000 აშშ დოლარის (მის მიერ გადახდილი თანხის) და სარგებლის 16 000 აშშ დოლარის დაბრუნება. მოცემულ შემთხვევაში, სარგებლის განსაზღვრისას, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ის შემოსავალი, რომელიც „ბ“-მ მიიღო „ა“-ს მიერ გადახდილი 80 000 აშშ დოლარის გამოყენებით. მან, უნდა გადაუხადოს „ა“-ს, საბანკო ურთიერთობებში ანაბრებისათვის დადგენილი, წლიური საპროცენტო განაკვეთის 10%-ის გათვალისწინებით 24 თვის სარგებელი – 16 000 აშშ დოლარი.

II. „ა“-ს მოთხოვნა „ბ“-ს მიმართ, ხელშეკრულებაზე უარის გამო ზიანის ანაზღაურების თაობაზე.

მოთხოვნა შეიძლება გამომდინარეობდეს სკ-ის 407-ე მუხლის დანაწესიდან.

1. მოთხოვნის წარმოშობა

მოთხოვნის წარმოშობისათვის აუცილებელი წანამძღვრები:

- ა) ხელშეკრულებიდან გასვლის (უარის) საფუძველების არსებობა (იხ. ზემოთ +).
- ბ) „ბ“-ს ბრალეული და მართლსაწინააღმდეგო მოქმედების შედეგად „ა“-სთვის ზიანის მიყენება:

„ბ“-ს მართლსაწინააღმდეგო, ანუ არამართლზომიერი მოქმედება (+).

„ბ“-ს მოქმედებას მართლსაწინააღმდეგო ხასიათს ანიჭებს ის, რომ მან დაარღვია ნარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე „ა“-ს რელატიური უფლებები – არ აუშენა შეთანხმებულ ვადაში

⁸⁵ ხელშეკრულებიდან გასვლის (უარის) უფლება აღმჭურველი უფლებაა და მასზე არ ვრცელდება ხანდაზმულობა.

საცხოვრებელი ბინა და არ გადასცა მასზე საკუთრების უფლება – შესაბამისად, მან ამით ხელყო სხვისი სამართლებრივი სიკეთე, რისთვისაც მან უნდა აგოს პასუხი.

ზიანის არსებობა.

„ა“, 2009 წლის ოქტომბრიდან, იმ დროიდან, როდესაც მას უნდა გადაცემოდა ხელშეკრულების საგანი, აგრძელებდა ბინის დაქირავებას და ყოველთვიურად იხდიდა 600 აშშ დოლარს თვეში, რაც წარმოადგენს ზიანს, რადგანაც, რომ არა „ბ“-ს მიერ სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევა, „ა“ არ გახდებოდა იძულებული გაეგრძელებინა ქირით ცხოვრება.

შესაბამისად, ზიანი, რომელიც ხელშეკრულების შეუსრულებლობით „ა“-ს მიადგა, სამართლებრივად მნიშვნელოვანი⁸⁶ და დაცულია⁸⁷ და უნდა აანაზღაუროს „ბ“-მ.

მიზეზობრივი კავშირი (+).

სკ-ის 412-ე მუხლის დანაწესის მიხედვით, ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს. ამასთან, ზიანი „ბ“-სათვის წინასწარ, ხელშეკრულების დადების დროისათვის,⁸⁸ სავარაუდო უნდა ყოფილიყო. ამრიგად, რომ არა „ბ“-ს მიერ ნაკისრი ვალდებულების დარღვევა, „ა“ არ იქნებოდა ვალდებული, ქირის სახით, 12 000 აშშ დოლარი გადაეხადა და შესაბამისად, არ დადგებოდა ზიანიც, ანუ სახეზეა პირდაპირი მიზეზობრივი კავშირი „ბ“-ს მიერ სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევასა და დამდგარ ზიანს შორის.⁸⁹

⁸⁶ სამართლებრივად მნიშვნელოვნად არ ჩაითვლება ზიანი, რომელიც დამახასიათებელია სამოქალაქო ბრუნვისათვის, ე.წ. მონაწილეთა სახელშეკრულებო რისკები.

⁸⁷ ბ. ზოიძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2001, გვ. 366

⁸⁸ ბ. ზოიძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 2001, გვ. 465

⁸⁹ ზოგიერთ სამართლებრივ სისტემაში, ამ თვალსაზრისით, „აუცილებელი პირობის“ თეორია არსებობს, რომლის თანახმადაც ნებისმიერი პირობა დამდგარი შედეგის მიზეზია, თუკი იგი ისეა დაკავშირებული ამ შედეგთან, რომ მისი არარსებობის შემთხვევაში, ეს შედეგი არ დადგებოდა. იქვე. გვ. 369

„ბ“-ს ბრალი ზიანის მიყენებაში (+)

ჩვენ დავადგინეთ, რომ „ბ“-ს მოქმედება მართლსაწინააღმდეგოა, ეს კი იმას ნიშნავს, რომ მისი მოქმედება ბრალეულიცაა, რადგანაც მის ქმედებაში არ არსებობს საქმიანი ბრუნვისათვის დამახასიათებელი ჩვეული ყურადღებიანობისა და გონივრული წინდახედულობის ხარისხი⁹⁰. მოცემულ შემთხვევაში, ის გარემოება, რომ „ბ“-მ არმატურა და სხვა სამშენებლო მასალები მომწოდებლისგან დადგენილ ვადაში ვერ მიიღო, ბანკის მიერ კრედიტის დროულად გამოუყოფლობის გამო, სამართლებრივად შედეგის მომტანი ვერ იქნება, რადგანაც, სკ-ის 397-ე მუხლის თანახმად, „ბ“ პასუხისმგებელია შესრულებაზე მაშინაც, როცა შესრულების საგანი სხვა პირისგან უნდა მიეღო და ვერ მიიღო, თუკი ხელშეკრულებიდან ან სხვა გარემოებებიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს.

2. მოთხოვნის შეწყვეტა

კაზუსის ფაბულა არ შეიცავს მოთხოვნის შემწყვეტ გარემოებებზე მითითებას.

3. მოთხოვნის განხორციელებადობა

ფაბულის თანახმად, არ არსებობს გარემოებები, რომლებიც დროებით ან მუდმივად აფერხებენ მოთხოვნის განხორციელებას.

საბოლოო შედეგი: სკ-ის 352-ე მუხლის პირველი ნაწილის, 405-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 407-ე მუხლის საფუძველზე, „ა“-ს შეუძლია „ბ“-სგან მოითხოვოს, მის მიერ, ამ უკანასკნელისათვის (კომპანიისათვის) გადახდილი 80 000 აშშ დოლარის, მიღებული სარგებლის 16 000 აშშ დოლარისა და მიყენებული ზიანის 12 000 აშშ დოლარის (მის მიერ გადახდილი ქირის) გადახდა.

⁹⁰ კონრატ ცვაიგერტი, ჰაინ კოტცი „შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში“, თარგმანი ეკატერინე სუმბათაშვილის, თბილისი, 2001 წელი, გამომცემლობა ჯისიია, ტომი II, გვ. 180.

კაზუსი № 8

2007 წლის 10 მარტს, „ა“-მ „ბ“-სთან დადო საცხოვრებელი ბინის ქირავნობის ხელშეკრულება, რის მიხედვითაც, გამქირავებელი „ა“ სარგებლობაში გადასცემდა დამქირავებელ „ბ“-ს სამოთახიან საცხოვრებელ ბინას ოთხი წლის ვადით, ხოლო დამქირავებელი, კი, კისრულობდა ვალდებულებას, ყოველთვიურად გადაეხადა სარგებლობისათვის დადგენილი ქირა 500 ლარის ოდენობით. ქირავნობის ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ, დამქირავებელმა „ბ“-მ, გამქირავებელთან შეთანხმებით, ქვექირავნობის ხელშეკრულების საფუძველზე, ერთი ოთახი მიაქირავა „გ“-ს იმავე ვადით, რა ვადითაც ქირავნობის ხელშეკრულება იყო დადებული. ქვემოქირავნე „გ“-მ თვითნებურად გამოანგრია მისთვის სარგებლობაში გადაცემული ოთახის კედელი და ჩააყენა მასში კარები ცალკე გასასვლელით. ქირავნობის ხელშეკრულების ვადის გასვლამდე ორი თვით ადრე, „ბ“-მ, წერილობითი ფორმით, სთხოვა „ა“-ს საცხოვრებელი ბინის ქირავნობის ხელშეკრულების გაგრძელება განუსაზღვრელი ვადით, თუმცა გამქირავებელმა უარი განუცხადა „ბ“-ს საცხოვრებელი ბინის ქირავნობის ხელშეკრულების განუსაზღვრელი ვადით გაგრძელებაზე.

საცხოვრებელი ბინის ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტიდან ორი თვის შემდეგ, გამქირავებელმა „ა“-მ პირვანდელ მდგომარეობაში აღადგინა ქვემოქირავნე „გ“-ს მიერ გამოანგრეული კუთხის კედელი, რისთვისაც გასწია 2000 ლარის ხარჯები და ბინა, ორი წლის ვადით, მიაქირავა თავის მეზობელ „დ“-ს.

„ბ“-მ მოითხოვა „ა“-სგან, მასთან ქირავნობის ხელშეკრულების გაგრძელებაზე უარის თქმით მიყენებული, არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურება, 2000 ლარის ოდენობით. „ა“-მ, თავის მხრივ, მოითხოვა „ბ“-სგან ქვემოქირავნე „გ“-ს მიერ, თვითნებურად დანგრეული, კედლის აღდგენაზე განეული ხარჯების ანაზღაურება, 2000 ლარის ოდენობით. „გ“-ს ადგილსამყოფელის დადგენა ამ დროისათვის შეუძლებელი იყო, რადგან არავინ იცოდა, თუ სად იმყოფებოდა იგი.

როგორ გადავწყვიტოთ დავა? პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი (ქირავნობა)

თემატიკა: სსკ-ის 531-ე, 170-ე მუხლის პირველი ნაწილი, 319-ე მუხლის პირველი ნაწილი, 548-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილი, 549-ე, 560-ე, 394-ე, 396-ე, 573-ე მუხლები.

- ა) ქირავნობა
- ბ) ხელშეკრულების თავისუფლება
- გ) მესაკუთრის უფლებამოსილებანი
- დ) ქვექირავნობა
- ე) პრეტენზიის წაყენების ვადა
- ვ) ზიანის ანაზღაურება

- „ა“ – გამქირავებელი
- „ბ“ – დამქირავებელი
- „გ“ – ქვემოქირავნე

პირველი მოთხოვნა

საცხოვრებელი ბინის ქირავნობის ხელშეკრულების, განუსაზღვრელი ვადით (ხანგრძლივობით) გაგრძელებაზე უარის თქმით მიყენებული არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურება.

მოთხოვნის წარმოშობა

სამართლებრივი წანამძღვრები:

- I. „ა“-სა და „ბ“-ს შორის, განსაზღვრული ვადით დადებული ნამდვილი საცხოვრებელი ბინის ქირავნობის ხელშეკრულება (+).
- II. საცხოვრებელი ბინის ქირავნობის ხელშეკრულების ვადის გასვლამდე, „ბ“-მ წერილობით მიმართა „ა“-ს და მოითხოვა ქირავნობის ხელშეკრულების გაგრძელება განუსაზღვრელი ვადით (+).
- III. გამქირავებელ „ა“-ს თანხმობა, საცხოვრებელი ბინის ქირავნობის ხელშეკრულების განუსაზღვრელი ვადით გაგრძელებაზე (-).

IV. „ა“-ს მიერ, სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევა (-)
შუალედური დასკვნა: მოთხოვნა არ წარმოშობილა.

მეორე მოთხოვნა

2000 ლარის ოდენობის მატერიალური ზიანის ანაზღაურება

მოთხოვნის წარმოშობა

სამართლებრივი წანამძღვრები:

- I. ნამდვილი ქვექირავნობის ხელშეკრულება (+).
- II. სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევა – ქვემოქირავნის მიერ, გამქირავებლის თანხმობის გარეშე, ქირავნობის საგნის გადაკეთება (+).
- III. სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევის შედეგად დამდგარი ზიანი – გამქირავებლის მიერ ხარჯების განევა 2000 ლარის ოდენობით (+).

შუალედური დასკვნა: მოთხოვნა წარმოიშვა

მოთხოვნის შეწყვეტა

კაზუსის ფაბულა არ შეიცავს მოთხოვნის შემწყვეტ გარემოებებზე მითითებას.

მოთხოვნის განხორციელებადობა

კაზუსის ფაბულის თანახმად არ არსებობს გარემოებები, რომლებიც, დროებით ან მუდმივად, აფერხებენ მოთხოვნის განხორციელებას.

სამართლებრივი დასკვნა:

„ბ“-ს მოთხოვნა „ა“-ს მიმართ:

საცხოვრებელი ბინის, ქირავნობის ხელშეკრულების განუსაზღვრელი ვადით გაგრძელებაზე უარის თქმით მიყენებული მორალური ზიანის, 1000 ლარის ოდენობით ანაზღაურება.

მოთხოვნა შეიძლება გამომდინარეობდეს სსკ-ის 560-ე, 394-ე მუხლის პირველი ნაწილიდან.

მოთხოვნის წარმოშობა

მოთხოვნის წარმოშობის წინაპირობაა „ბ“-სა და „ა“-ს შორის ორმხრივი და ნამდვილი საცხოვრებელი ბინის ქირავნობის ხელშეკრულების დადება განსაზღვრული ვადით. ზოგადად, ხელშეკრულება დადებულად ჩაითვლება, თუკი სსკ-ის 327-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, მხარეები შეთანხმდებიან მის ყველა არსებით პირობაზე, საამისოდ გათვალისწინებული ფორმით.

იურიდიულ ლიტერატურაში გაბატონებული მოსაზრების მიხედვით, ხელშეკრულება მხარეთა ნების გამოვლენის შედეგია, ანუ ხელშეკრულების ერთი მხარე ეთანხმება მეორე მხარის მიერ შეთავაზებულ წინადადებას (ოფერტი+აქცეპტი). ამ შემთხვევაში, სახეზეა, სსკ-ის 531-ე მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი ურთიერთობა – ნამდვილი ქირავნობის ხელშეკრულება, კერძოდ ქირავნობის ხელშეკრულებით, გამქირავებელი მოვალეა, დამქირავებელს სარგებლობაში გადასცეს ნივთი განსაზღვრული ვადით. დამქირავებელი მოვალეა, გამქირავებელს გადაუხადოს დათქმული ქირა.

საცხოვრებელი ბინის ქირავნობის ხელშეკრულება დადებული იყო ოთხი წლის ვადით. ხელშეკრულების ვადის გასვლამდე, დამქირავებელმა „ბ“-მ, წერილობით სთხოვა გამქირავებელ „ა“-ს, ხელშეკრულების გაგრძელება განუსაზღვრელი ვადით. სსკ-ის 560-ე მუხლის თანახმად, თუ საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულება განსაზღვრული ვადით არის დადებული, მაშინ, დამქირავებელს შეუძლია, არა უგვიანეს ორი თვისა, ქირავნობის ურთიერთობის შეწყვეტამდე, წერილობითი განცხადებით მოითხოვოს ქირავნობის ხელშეკრულების გაგრძელება განუსაზღვრელი ვადით, თუკი გამქირავებელი ამის თანხმობას განაცხადებს.

კაზუსის შინაარსიდან გამომდინარე, განსაზღვრული ვადით დადებული საცხოვრებელი ბინის ქირავნობის ხელშეკრულების განუსაზღვრელი ვადით გაგრძელებაზე, არ არსებობს გამქირავებლის თანხმობა. გამქირავებლის მხრიდან, ადგილი არა აქვს სა-

ხელშეკრულებო ვალდებულების დარღვევას, რადგან სსკ-ის 170-ე მუხლის 1-ლი ნაწილიდან გამომდინარე, მესაკუთრეს შეუძლია, კანონისმიერი ან სხვაგვარი, კერძოდ, სახელშეკრულებო შებოჭვის ფარგლებში თავისუფლად ფლობდეს და სარგებლობდეს ქონებით (ნივთით), არ დაუშვას სხვა პირთა მიერ ამ ქონებით სარგებლობა, განკარგოს იგი, თუკი ამით არ ილახება მეზობლების ან სხვა, მესამე პირთა უფლებები, ანდა, თუ ეს მოქმედება არ წარმოადგენს უფლების ბოროტად გამოყენებას. ასევე, გამქირავებლის მხრიდან, დაცულია სსკ-ის 319-ე მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი.

სსკ-ის 560-ე მუხლიდან გამომდინარე, ადგილი არ ჰქონია გამქირავებლის მხრიდან ვალდებულების დარღვევას.

შუალედური დასკვნა: სსკ-ის 560-ე, 394-ე მუხლის პირველი ნაწილის, 413-ე მუხლის პირველი ნაწილის, 395-ე მუხლის პირველი ნაწილის, 319-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, „ბ“-ს მოთხოვნა „ა“-ს მიმართ, საცხოვრებელი ბინის ქირავნობის ხელშეკრულების განუსაზღვრელი ვადით გაგრძელებაზე უარის თქმის შედეგად მიყენებული, 1000 ლარის ოდენობის მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე, უარსაყოფია.

„ა“-ს მოთხოვნა „ბ“-ს მიმართ, 2000 ლარის ოდენობის მატერიალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე.

მოთხოვნა შეიძლება გამომდინარეობდეს სსკ-ის 548-ე მუხლის პირველი ნაწილის მეორე წინადადების და მესამე ნაწილიდან, ასევე 394-ე მუხლის პირველი ნაწილიდან.

1. მოთხოვნის წარმოშობა

მოთხოვნის წარმოშობის წინაპირობაა ნამდვილი ქვექირავნობის ხელშეკრულების დარღვევა. საერთო წესის მიხედვით, გაქირავებული ნივთის სარგებლობაში გადაცემა გულისხმობს მის გამოყენებას უშუალოდ დამქირავებლის მიერ. ამ წესიდან არსებობს გამონაკლისი, როდესაც სსკ-ის 549-ე მუხლის თანახმად, დამქირავებელი, გამქირავებლის თანხმობით, დაქირავებულ ნივთს, მთლიანად

ან ნაწილობრივ სარგებლობაში გადასცემს სხვა, მესამე პირს (ქვექირავნობა). მესამე პირებად არ მიიჩნევიან დამქირავებლის ოჯახის წევრები. ქვექირავნობის ხელშეკრულებით, დამქირავებელი მესამე პირთან ურთიერთობაში გამოდის გამქირავებლის როლში, ქვემოქირავნე კი – დამქირავებლისა. ქვექირავნობის ხელშეკრულება იზიარებს ქირავნობის ხელშეკრულების ბედს. ქირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტა, ნებისმიერი საფუძვლით, იწვევს მის საფუძველზე დადებული ქვექირავნობის ხელშეკრულების შეწყვეტასაც.

თანხმობა ქვექირავნობაზე გამქირავებლის მიერ, შეიძლება სხვადასხვა საშუალებით იქნას გამოხატული – უშუალოდ ქირავნობის ხელშეკრულებით, დამატებითი შეთანხმებით და ა.შ. შესაბამისად დამქირავებელ „ბ“-სა და მესამე პირს „გ“-ს შორის დადებული ქვექირავნობის ხელშეკრულება არის ნამდვილი, რამეთუ, იგი, დაილო გამქირავებელ „ა“-ს თანხმობით. (სსკ-ის 549-ე მუხლი, სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის მეორე წინადადება).

სსკ-ის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ვალდებულია უნდა შესრულდეს ჯეროვნად და კეთილსინდისიერად.

სსკ-ის 548-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მეორე წინადადების თანახმად, დამქირავებელს არ აქვს საცხოვრებელი სადგომის გადაკეთების ან რეკონსტრუქციის უფლება გამქირავებლის თანხმობის გარეშე.

საცხოვრებელი სადგომის (ბინის) გადაკეთების ან რეკონსტრუქციის უფლება, გამქირავებლის თანხმობის გარეშე, არ აქვს აგრეთვე ქვემოქირავნესაც. ეს წესი გამომდინარეობს ზოგადსამართლებრივი პრინციპიდან, რომლის თანახმადაც არავის არ შეუძლია სხვას გადასცეს იმაზე მეტი უფლება, რასაც თავად ფლობს. შესაბამისად, ქვემოქირავნე არ შეიძლება ფლობდეს იმაზე მეტ უფლებას, ვიდრე თავად დამქირავებელი (ე.წ. *argumentum a maiore ad minus* და ასევე „მით უფრო“ – ანუ: ის, რაც ვრცელდება დამქირავებელზე, მით უფრო უნდა გავრცელდეს ქვემოქირავნეზე). ქვემოქირავნე „გ“-ს მიერ, გამქირავებლის თანხმობის გარეშე, საცხოვრებელი ბი-

ნის გადაკეთება წარმოადგენს სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევას.

სსკ-ის 394-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას, კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. აგრეთვე, სსკ-ის 548-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, გამქირავებელს შეუძლია მოითხოვოს იმ ზიანის ანაზღაურება, რომელიც გამოწვეულია დაქირავებლის მიერ, გამქირავებლის თანხმობის გარეშე, საცხოვრებელი სადგომის გადაკეთებით ან რეკონსტრუქციის შედეგად. ქონებრივი პასუხისმგებლობის მოვალეზე დაკისრებისათვის საჭიროა, რომ სახეზე გვექონდეს სამართლებრივად ფასეული, სუბიექტურ და ობიექტურ გარემოებათა ერთობლიობა, რომელთა თანაარსებობა მოვალეზე პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველია. ამ შემადგენლობის ელემენტებია:

ა) მოვალის მართლსაწინააღმდეგო ანუ არამართლზომიერი ქმედება. მართლსაწინააღმდეგოდ მოქმედებს ის, ვინც არღვევს სამართლებრივ დანაწესებს, სამართლის ნორმათა მოთხოვნებს. მართლსაწინააღმდეგობა ობიექტური ნიშანია სამართალდარღვევისა და მისი არსებობა, არ არის დამოკიდებული იმაზე, მოვალე აცნობიერებდა თუ არა თავისი მოქმედების სამართლებრივ ხასიათს. სახელშეკრულებო ურთიერთობებში, მოვალე, ძირითადად, კრედიტორის რელატიურ უფლებებს არღვევს. „გ“-ს მოქმედებას მართლსაწინააღმდეგო ხასიათს ანიჭებს ის, რომ მან დაარღვია საცხოვრებელი ბინის, ქვექირავნობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, გამქირავებელ „ა“-ს რელატიური უფლება – მოახდინა საცხოვრებელი ბინის გადაკეთება გამქირავებლის თანხმობის გარეშე, რითაც ხელყო სხვისი სამართლებრივი სიკეთე.

ბ) ზიანის არსებობა

ზიანი წარმოადგენს, ქონებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების ერთ-ერთ საფუძველს. ზიანი, სწორედ რომ მართლსაწინააღმ-

დეგო ქმედების შედეგია. ანაზღაურებას ექვემდებარება სამართლებრივად მნიშვნელოვანი და დაცული ზიანი. სსკ-ის 408-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა ალადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულზე გარემოება (ე.წ. რესტიტუცია ნატურით). შესაბამისად, გამქირავებელმა, დანგრეული კედლის პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენაზე, განია 2000 ლარის ხარჯები, რითაც მან, განიცადა მატერიალური ზიანი.

გ) მიზეზობრივი კავშირი.

მიზეზობრივი კავშირი, ქონებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების აუცილებელი ერთ-ერთი ელემენტია. სსკ-ის 412-ე მუხლის თანახმად, ანაზღაურებას ექვემდებარება ის ზიანი, რომელიც წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს. ამრიგად, რომ არა „გ“-ს მიერ ვალდებულების დარღვევა – თვითნებურად კედლის გამონგრევა, არ დადგებოდა არც ზიანი — თვითნებურად დანგრეული კედლის აღდგენაზე განეული ხარჯების სახით.

დ) „ბ“-ს ბრალი ზიანის მიყენებაში

ბრალი, ქონებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების უმნიშვნელოვანესი სუბიექტური ელემენტია. ბრალის ცნებაში ამოსავალია, სამოქალაქო ბრუნვისათვის ჩვეული, ყურადღებანიობის დაცვა. სსკ-ის 395-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე, მოვალეს, პასუხისმგებლობა დაეკისრება მხოლოდ განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიყენებული ზიანისათვის, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული და ვალდებულების არსიდანაც სხვა რამ არ გამომდინარეობს. ის გარემოება, რომ ქვემოქირავნის მიერ, დაქირავებული საცხოვრებელი ბინის თვითნებურად გადაკეთება მოხდა, მაინც არ ათავისუფლებს დამქირავებელ „ბ“-ს, გამქირავებლის წინაშე პასუხისმგებლობისაგან. მესამე პირისათვის დაქირავებული ნივთის, ან მისი ნაწილის სარგებლობაში გადაცემის პასუხისმგებ-

ლობა, ყველა შემთხვევაში, ეკისრება დამქირავებელს, როგორც საკუთარი ქმედებისათვის, ასევე ქვემოქირავნის ქმედებისათვისაც.⁹¹ სსკ-ის 396-ე მუხლის თანახმად, „მოვალემ იმ პირთა მოქმედებისათვის, რომელსაც იყენებს საკუთარი ვალდებულების შესასრულებლად, ისეთივე მოცულობით უნდა აგოს პასუხი, როგორც საკუთარი ბრალეული მოქმედების დროს“. დოქტრინასა და სასამართლო პრაქტიკაში დამკვიდრებული აზრით, სსკ-ის 396-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, სახეზე გვაქვს სხვისი ბრალის გამო პასუხისმგებლობა. მოვალის პასუხისმგებლობის საფუძვლად მიიჩნევა, მისი მხრიდან, მესამე პირის შერჩევაში გამოჩენილი ბრალეულობა. შესაბამისად, ქვემოქირავნის მოქმედებისათვის, გამქირავებლის წინაშე პასუხს აგებს დამქირავებელი, მიუხედავად იმისა, რომ ქვექირავნობა გამქირავებლის ნებართვის გარეშე დაუშვებელია.⁹² ყოველივე აღნიშნული, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მესამე პირები საერთოდ თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან. მათ მიმართ, მოვალის მხრიდან, რეგრესის უფლება ხელშეუვალია.⁹³

შუალედური დასკვნა: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 548-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილების, 394-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, „ა“-ს შეუძლია მოითხოვოს „ბ“-სგან, მიყენებული ზიანის ანაზღაურება განეული ხარჯების სახით, 2000 ლარის ოდენობით.

1. მოთხოვნის შეწყვეტა

კაზუსის ფაბულა არ შეიცავს მოთხოვნის შემწყვეტ გარემოებებზე მითითებას. ის გარემოება, რომ ქვემოქირავნე „გ“-ს ადგილსამყოფელის დადგენა შეუძლებელია, გავლენას არ ახდენს „ა“-ს მოთხოვნაზე „ბ“-ს მიმართ ზიანის ანაზღაურების შესახებ, რადგან სსკ-ის 396-ე მუხლის თანახმად, „ბ“ პასუხისმგებელია „გ“-ს მოქმე-

⁹¹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი 4, ტომი 1, თბ; 2001, გვ. 116

⁹² საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი 3, თბ. 2001, გვ. 394

⁹³ „იქვე“, გვ. 396

დებისათვის, რაც გამოიხატება გამქირავებლის თანხმობის გარეშე, საცხოვრებელი ბინის გადაკეთების გამო, დამატებით 2000 ლარის ხარჯების განწესაში.

II. მოთხოვნის განხორციელებადობა

კაზუსის ფაზულის თანახმად, არ არსებობს გარემოებები, რომლებიც დროებით ან მუდმივად აფერხებდნენ მოთხოვნის განხორციელებას.

სსკ-ის 573-ე მუხლის თანახმად, გაქირავებული ნივთის შეცვლის ან გაუარესების გამო, გამქირავებელს, უფლება აქვს მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება ექვსი თვის განმავლობაში. ზიანის ანაზღაურების გამო, გამქირავებლის მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადის დენა იწყება გაქირავებული ნივთის დაბრუნების მომენტიდან. (დოქტრინასა და სასამართლო პრაქტიკაში არსებობს მოსაზრება, რომ სსკ-ის 573-ე მუხლით დადგენილი შემცირებული ექვსთვიანი ვადა გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც ქირავნობის საგანი მოძრავი ნივთია, ხოლო თუკი ქირავნობის ხელშეკრულების საგანი უძრავი ნივთია, მაშინ გამოიყენებული უნდა იქნას სსკ-ის 129-ე მუხლით დადგენილი ხანდაზმულობის ვადა).

საბოლოო დასკვნა:

1. სსკ-ის 560-ე და 394-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, „ბ“-ს არ შეუძლია მოითხოვოს „ა“-სგან საცხოვრებელი ბინის ქირავნობის ხელშეკრულების, განუსაზღვრელი ვადით გაგრძელებაზე უარის თქმის შედეგად მიყენებული არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურება.
2. სსკ-ის 548-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილების, სსკ-ის 394-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, „ა“-ს შეუძლია „ბ“-სგან მოითხოვოს მატერიალური ზიანის ანაზღაურება 2000 ლარის ოდენობით.

კაზუსი № 9

2008 წლის 5 სექტემბერს, „ბ“-მ წერილობით შესთავაზა „ა“-ს სესხის ხელშეკრულების დადება. „ა“-მ „ბ“-ს, 2008 წლის 10 სექტემბერს, 5 თვის ვადით, სესხად გადასცა 8000 ლარი. სესხის ხელშეკრულების თანახმად, „ბ“ ვალდებული იყო, სესხის დაბრუნების ვადის გადაცილების შემთხვევაში, გადაეხადა 5 პროცენტი ყოველ გადაცილებულ თვეზე. 2008 წლის ნოემბერში, „ა“-მ გაზეთში „რეკლამა +“ გამოაქვეყნა განცხადება, მის საკუთრებაში არსებული კომბაინის გაყიდვასთან დაკავშირებით 10 000 ლარად. „ბ“-მ, რომელსაც ჰქონდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და ეწეოდა საფერმერო საქმიანობას, გაეცნო კომბაინის გაყიდვის შესახებ განცხადებას, მიწერა წერილი „ა“-ს, რომ თანახმაა შეისყიდოს კომბაინი 9 000 ლარად. „ა“-მ, წერილის მიღებიდან მეორე დღეს, დაურეკა „ბ“-ს და განუცხადა თანხმობა კომბაინის მიყიდვაზე ცხრა ათას ლარად.

ნასყიდობის ხელშეკრულების მხარეები შეთანხმდნენ, რომ ნასყიდობის თანხიდან ნაწილს – 8000 ლარს, „ბ“ გადაიხდიდა 2009 წლის თებერვლისათვის, დარჩენილ 1000 ლარს კი – 2009 წლის მარტისათვის, ხოლო „ა“ კომბაინს ჩამოიყვანდა ყაზბეგიდან და „ბ“-ს გადასცემდა 2009 წლის 20 მარტს, საქართველოს სამხედრო გზის 28-ე კილომეტრზე, სოფელ მლეთასთან. „ბ“-მ თანხა – 8000 ლარი, 2009 წლის 10 თებერვალს, შეიტანა „ა“-ს საბანკო ანგარიშზე. „ა“-მ კომბაინი ყაზბეგიდან წამოიყვანა 20 მარტს, მაგრამ იმის გამო, რომ გუდაური-კობის მონაკვეთზე მოძრაობა აკრძალული იყო ზვავსაშიშროების გამო, კომბაინი დაუტოვა დაბა გუდაურში მცხოვრებ ვინმე არაბულს და ამის შესახებ აუწყა „ბ“-ს. თუმცა „ბ“-მ უარი განუცხადა „ა“-ს დაბა გუდაურიდან კომბაინის წამოყვანაზე იმ მიზეზით, რომ ვერ შეძლებდა გუდაურში ასვლას დიდთოვლობის გამო. 2009 წლის 21 მარტს, დაბა გუდაურში მოსულმა ზვავმა კომბაინი გაანადგურა.

2009 წლის 25 მაისს, „ა“-მ, „ბ“-სგან მოითხოვა კომბაინის ნასყიდობის თანხის დარჩენილი ნაწილის – 1000 ლარის, სესხის თანხის –

8000 ლარის, სესხის დაბრუნების ვადის გადაცილებისათვის ორი თვის პროცენტის – 800 ლარის გადახდა.

„ბ“ უარს აცხადებს „ა“-ს მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე და განმარტავს, რომ მან სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება ჯეროვნად შეასრულა 2009 წლის 10 თებერვალს და სესხის თანხა მთლიანად გადაიხადა, ხოლო კომპანიის შექმნისათვის თანხის გადახდის ვალდებულება, კი, საერთოდ არ ეკისრება, ვინაიდან კომპანიი მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო განადგურდა.

როგორ გადავწყვიტოთ დავა? პასუხი დაასაბუთეთ.

თემატიკა: სსკ-ის 623-ე, 477-ე მუხლის მეორე ნაწილი, 186-ე, 378-ე, 386-ე, 387-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილი, 361-ე მუხლის მეორე ნაწილი, 403-ე მუხლის პირველი ნაწილი, 482-ე მუხლის პირველი ნაწილი.

- სესხი
 - ნასყიდობა
 - ნაწილ–ნაწილ გადახდა
 - შესრულების ადგილი
 - შესრულების დრო
 - ნივთის შემთხვევითი დალუპვის რისკი
 - ფულადი ვალდებულების დაფარვის რიგითობა
-
- „ა“ (გამყიდველი)
 - „ბ“ (მყიდველი)

პირველი მოთხოვნა

„ა“-ს მოთხოვნა „ბ“-ს მიმართ, ნასყიდობის საგნის ფასის დარჩენილი ნაწილის – 1000 ლარის გადახდის შესახებ.

მოთხოვნის საფუძველი:

მოთხოვნა შეიძლება გამომდინარეობდეს სსკ-ის 477-ე მუხლის მეორე ნაწილიდან

მოთხოვნის წარმოშობა

სამართლებრივი წანამძღვრები:

„ა“-სა და „ბ“-ს შორის, კომბაინის ნასყიდობის ნამდვილი ხელშეკრულება (+).

ა) შეთანხმება საგანზე (+).

ბ) შეთანხმება ფასზე (+).

გ) ფორმის დაცვა (+).

შუალედური დასკვნა: მოთხოვნა წარმოიშვა

მოთხოვნის შეწყვეტა

ნასყიდობის ხელშეკრულების საგანზე არ მომხდარა მყიდველისათვის საკუთრების უფლების გადაცემა სსკ-ის 477-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 186-ე მუხლის მეორე ნაწილით დადგენილი წესის შესაბამისად (+)

ნასყიდობის საგნის მყიდველისათვის საკუთრებაში გადაცემა შეუძლებელია, რადგან ნასყიდობის საგანი დაილუპა დაუძლეველი ძალის – ზვავის ჩამონოლის გამო (+)

სსკ-ის 482-ე მუხლის პირველი ნაწილის დანაწესიდან გამომდინარე, მოთხოვნა შეწყდა, რადგან ნასყიდობის საგნის შემთხვევითი დალუპვის რისკი აწევს გამყიდველს.

მეორე მოთხოვნა:

„ა“-ს მოთხოვნა „ბ“-ს მიმართ, სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, 8000 ლარის დაბრუნების თაობაზე.

მოთხოვნის საფუძველი:

მოთხოვნა შესაძლოა გამომდინარეობდეს სსკ-ის 623-ე მუხლიდან.

მოთხოვნის წარმოშობა

სამართლებრივი წანამძღვრები:

„ა“-სა და „ბ“-ს შორის, ნამდვილი სესხის ხელშეკრულების არსებობა (+).

ა) შეთანხმება, რომელიც აკმაყოფილებს ხელშეკრულების დადების ზოგად მოთხოვნებს (+).

ბ) სესხის თანხის გადაცემა (+).

შუალედური დასკვნა: მოთხოვნა წარმოიშვა

მოთხოვნის შეწყვეტა:

ა) სსკ-ის 123-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სესხის დაბრუნების ვადად განსაზღვრული იყო 2009 წლის 11 თებერვალი (+).

ბ) „ბ“-ს მიერ, 2009 წლის 10 თებერვალს, სსკ-ის 386-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, „ა“-ს საბანკო ანგარიშზე თანხის შეტანით ფულადი ვალდებულების შესრულება (+).

შუალედური დასკვნა: „ბ“-ს მიერ, „ა“-სათვის სესხის დაბრუნების მოთხოვნა შეწყდა შესრულებით, სსკ-ის 361-ე მუხლის მეორე ნაწილის, 386-ე მუხლის მეორე ნაწილის, 427-ე, 623-ე მუხლის დანაწესების საფუძველზე.

მესამე მოთხოვნა:

„ა“-ს მიერ, „ბ“-საგან სესხის დაბრუნების ვადის გადაცილების გამო პროცენტის გადახდა 800 ლარის ოდენობით.

მოთხოვნის საფუძველი

მოთხოვნა შესაძლოა გამომდინარეობდეს სსკ-ის 403-ე მუხლის პირველი ნაწილიდან

მოთხოვნის წარმოშობა

სამართლებრივი ნაწინამდგვრები:

„ა“-სა და „ბ“-ს შორის შეთანხმება ფულადი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების გამო პროცენტის გადახდის შესახებ (+).

„ბ“-ს მიერ, „ა“-სათვის სესხის დაბრუნება უნდა მომხდარიყო 2009 წლის 11 თებერვლისათვის. შესაბამისად, ადგილი არ აქვს მსესხებლის (მოვალის) მიერ ვადის გადაცილებას სსკ-ის მე-400 მუხლის მიხედვით, რადგანაც მსესხებლის მხრიდან სესხის დაბრუნების ვალდებულება შესრულდა ჯეროვნად (+).

შუალედური დასკვნა: პროცენტის დაბრუნების მოთხოვნა არ წარმოშობილა.

სამართლებრივი დასკვნა:

„ა“-ს მოთხოვნა „ბ“-ს მიმართ, ნასყიდობის საგნის ფასის დარჩენილი ნაწილის – 1000 ლარის გადახდის შესახებ.

მოთხოვნა შეიძლება გამომდინარეობდეს სსკ-ის 477-ე მუხლის მეორე ნაწილიდან.

მოთხოვნის წარმოშობა

ამისათვის, აუცილებელია, „ა“-სა და „ბ“-ს შორის, ნამდვილი ნასყიდობის ხელშეკრულების არსებობა. აღნიშნულის წინაპირობაა, ორი ურთიერთმფარავი ნების გამოვლენა ოფერტის და აქცეპტის სახით და შეთანხმება ხელშეკრულების ყველა არსებით პირობებზე, სსკ-ის 327-ე მუხლის შესაბამისად (საგანი, ფასი, მიწოდების ადგილი, დრო და ა.შ)

ა) „ბ“-ს მხრიდან ნების გამოვლენა: მოწვევა ოფერტზე – სარეკლამო განცხადება. სსკ-ის 329-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, წინადადება, რომელიც მიმართულია პირთა განუსაზღვრელი წრისადმი, წარმოადგენს მოწვევას ოფერტზე, თუ ამ წინადადებაში სხვა რამ არ არის პირდაპირ მითითებული.

ბ) „ა“-ს მხრიდან ნების გამოვლენა:

წერილის მიწერა „ბ“-სათვის, სსკ-ის 329-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ჩაითვლება ოფერტად. „ა“-ს მიერ, „ბ“-სათვის, თანხმობის დასტურად, ტელეფონით დარეკვა ჩაითვლება აქცეპტად სსკ-ის 330-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად.

ნასყიდობის ხელშეკრულების ნამდვილობისთვის აუცილებელია მხარეთა შეთანხმება ხელშეკრულების ყველა არსებით პირობაზე. კაზუსის ფაბულის მიხედვით, მხარეები შეთანხმდნენ ხელშეკრულების საგანზე, ფასზე, მიწოდების დროსა და ადგილზე საამისოდ გათვალისწინებული ფორმით.

შუალედური დასკვნა: სსკ-ის 329-ე, 330-ე მუხლის მეორე ნაწილის, 327-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების საფუძველზე, მხარეები შეთანხმდნენ ნასყიდობის ხელშეკრულებისათვის დამახა-

სიათებელ არსებით პირობებზე – საგანი, ფასი, მიწოდების დრო და ადგილი. მაშასადამე, სახეზეა ნამდვილი ნასყიდობის ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს სსკ-ის 477-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით გათვალისწინებულ უფლება-მოვალეობებს.

ნასყიდობის ხელშეკრულებით, გამყიდველის ერთ-ერთ, ძირითად ვალდებულებას წარმოადგენს მყიდველისათვის ქონებაზე საკუთრების უფლების გადაცემა. სსკ-ის 147-ე მუხლის თანახმად, ქონება არის ყველა ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომელთა ფლობაც, სარგებლობა და განკარგვა შეუძლიათ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს და რომელთა შექენაც შეიძლება შეუზღუდავად, თუკი ეს აკრძალული არ არის კანონით ან არ ეწინააღმდეგება ზნეობრივ ნორმებს. სსკ-ის 148-ე მუხლის თანახმად, ნივთი შეიძლება იყოს მოძრავი და უძრავი. მაშასადამე, ნასყიდობის ხელშეკრულების საგანს, კაზუსის ფაბულიდან გამომდინარე, წარმოადგენს მოძრავი ნივთი – კომბაინი. სსკ-ის 186-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების შესაბამისად, მოძრავ ნივთზე საკუთრების გადასაცემად აუცილებელია, რომ მესაკუთრემ ნამდვილი უფლების საფუძველზე გადასცეს შემძენს ნივთი. ნივთის გადაცემად ითვლება: შემძენისათვის ნივთის ჩაბარება პირდაპირ მფლობელობაში; არაპირდაპირი მფლობელობის გადაცემა ხელშეკრულებით, რომლის დროსაც წინა მესაკუთრე შეიძლება დარჩეს პირდაპირ მფლობელად; მესაკუთრის მიერ, შემძენისათვის, მესამე პირისაგან მფლობელობის მოთხოვნის უფლების მინიჭება.

კაზუსის ფაბულის მიხედვით, კომბაინის გადაცემა მყიდველისათვის უნდა მომხდარიყო შეთანხმებულ დროს და ადგილას. გამყიდველის მხრიდან, არ მომხდარა მყიდველისათვის საკუთრების უფლების გადაცემა ნასყიდობის საგანზე სსკ-ის 477-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 186-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით დადგენილი წესის შესაბამისად. ნასყიდობის საგანი დაიღუპა დაუძლეველი ძალის – ზვავის ჩამონოლის შედეგად. სსკ-ის 482-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, გაყიდული ნივთის გადაცემასთან

ერთად, მყიდველზე გადადის ნივთის შემთხვევითი დალუპვის ან დაზიანების რისკი, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმდებიან. კაზუსის ფაბულიდან გამომდინარე, რადგან ვერ მოხერხდა მყიდველისთვის ნივთის გადაცემა, შესაბამისად (ნასყიდობის საგნის) ნივთის შემთხვევითი დალუპვის ან დაზიანების რისკი ეკისრება გამყიდველს.

სსკ-ის 477-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, მყიდველი მოვალეა გადაუხადოს გამყიდველს შეთანხმებული ფასი და მიიღოს ნაყიდი ქონება. ნასყიდობის ხელშეკრულებით შესაძლებელია, რომ გამყიდველის მიერ, მყიდველისათვის ნასყიდობის საგანზე საკუთრების გადაცემა და მყიდველის მიერ, გამყიდველისთვის ნაყიდი ნივთის ფასის გადახდა, დროში ერთმანეთს არ დაემთხვეს. კაზუსის ფაბულიდან გამომდინარე, მყიდველის მიერ, ნასყიდობის საგნის ფასის გადახდა უნდა მომხდარიყო ორ ნაწილად: 8000 ლარი 2009 წლის თებერვალში, ხოლო 1000 ლარი კი – 2009 წლის მარტის თვეში. სსკ-ის 378-ე მუხლის შესაბამისად, მოვალეს უფლება აქვს ვალდებულება შეასრულოს ნაწილ-ნაწილ, თუკი კრედიტორი ამაზე თანახმაა. ნაწილობრივ გადახდაზე შეთანხმებით „ა“-მ თანხმობა გამოთქვა ნაწილობრივ გადახდაზე.

შუალედური დასკვნა: „ა“-ს, სსკ-ის 361-ე მუხლის მეორე ნაწილის, 477-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, 186-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, 482-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, არა აქვს „ბ“-საგან ნასყიდობის საგნის დარჩენილი ნაწილის – 1000 ლარის გადახდის მოთხოვნის უფლება.

მეორე მოთხოვნა

„ა“-ს მოთხოვნა „ბ“-ს მიმართ, სესხის თანხის 8000 ლარის დაბრუნების შესახებ.

მოთხოვნა შესაძლოა გამომდინარეობდეს სსკ-ის 623-ე მუხლის დანაწესიდან.

მოთხოვნის წარმოშობა

ამისათვის აუცილებელია, „ა“-სა და „ბ“-ს შორის, ნამდვილი სესხის ხელშეკრულების არსებობა. აღნიშნულის წინაპირობაა, ორი

ურთიერთმფარავი ნების გამოვლენა ოფერტის და აქცეპტის სახით და შეთანხმება ხელშეკრულების ყველა არსებით პირობებზე სსკ-ის 327-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების შესაბამისად.

ა) „ა“-ს მიერ ნების გამოვლენა

ბ) „ბ“-ს მიერ ნების გამოვლენა

სსკ-ის 329-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მოხდა „ბ“-ს შეთავაზება (ოფერტი) სესხის ხელშეკრულების დასადავად, ხოლო „ა“-ს მიერ, 330-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, განხორციელდა თანხმობა ხელშეკრულების დადებაზე (აქცეპტი). ხელშეკრულების ნამდვილობისთვის, აუცილებელია საამისოდ გათვალისწინებული ფორმის დაცვა. (სსკ-ის 327-ე მუხლის პირველი ნაწილი). კაზუსის ფაბულიდან გამომდინარე, სახეზეა ნამდვილი სესხის ხელშეკრულება, რომელიც აკმაყოფილებს სსკ-ის 624-ე მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს ხელშეკრულების ფორმასთან მიმართებით.

შუალედური დასკვნა: მხარეები შეთანხმდნენ სესხის ხელშეკრულებისათვის დამახასიათებელ არსებით პირობებზე: საგანი, რაოდენობა, შესრულების დრო. მაშასადამე, სახეზეა ნამდვილი სესხის ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს სსკ-ის 623-ე მუხლით გათვალისწინებულ მხარეთა უფლება-მოვალეობებს.

სსკ-ის 623-ე მუხლის თანახმად, სესხის ხელშეკრულებით, გამსესხებელი საკუთრებაში გადასცემს მსესხებელს ფულს ან სხვა გვაროვნულ ნივთს, ხოლო მსესხებელი კისრულობს დააბრუნოს უკან იმავე სახის, ხარისხისა და რაოდენობის ნივთი. სესხის ხელშეკრულება მიეკუთვნება ქონების საკუთრებაში გადაცემის ტიპის ხელშეკრულებათა რიცხვს. სესხის ხელშეკრულება არის ცალმხრივი და რეალური ხელშეკრულება. სესხიდან გამომდინარე, ვალდებულების საგანს წარმოადგენს ფული ან სხვა გვაროვნული ნივთი. სესხის ხელშეკრულების მიზანია, საკუთრების უფლების მოპოვება სესხად მიღებულ ფულზე, ან სხვა გვაროვნულ ნივთზე. სესხის ხელშეკრულების ყველაზე გავრცელებულ საგანს წარმოადგენს ფული. ქვეყნის შიგნით წარმოშობილ სასესხო ურთიერთობებში, იგი, ძირითადად, ეროვნული ვალუტის სახითაა წარმოდგენილი.

სსკ-ის 361-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. ვალდებულების შესრულების ადგილია ის ადგილი, სადაც მოვალე ახორციელებს ვალდებულების შესასრულებელ ბოლო მოქმედებას. შესრულების ადგილის საეჭვობისას, ფულადი ვალდებულება უნდა შესრულდეს კრედიტორის ადგილსამყოფელის (საცხოვრებელი ადგილი ან იურიდიული მისამართი) მიხედვით. სსკ-ის 386-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ კრედიტორს აქვს ფულის ჩარიცხვისათვის გამიზნული საბანკო ანგარიში იმ ადგილას ან იმ ქვეყანაში, სადაც გადახდა უნდა მოხდეს, მაშინ მოვალეს შეუძლია ამ ანგარიშზე ჩარიცხვით შეასრულოს თავისი ფულადი ვალდებულება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა კრედიტორი ამის წინააღმდეგია. კაზუსის ფაბულის მიხედვით, გამსესხებელი „ა“ არ იყო იმის წინააღმდეგი, რომ მსესხებელ „ბ“-ს სესხის თანხა შეეტანა გამსესხებლის საბანკო ანგარიშზე.

ვალდებულების ჯეროვანი შესრულების თვალსაზრისით, დიდი მნიშვნელობა ენიჭება ვალდებულების შესრულების დროს. შესრულების დროს ორგვარი მნიშვნელობა აქვს: კრედიტორისათვის მნიშვნელოვანია თუ როდიდანაა იგი უფლებამოსილი მოითხოვოს შესრულება, ხოლო მოვალისათვის მნიშვნელოვანია, თუ როდიდან ხდება იგი ვალდებული განახორციელოს შესრულება. შესრულების დრო განისაზღვრება კანონით, მხარეთა შეთანხმებით, სასამართლოს მიერ ან შეიძლება გამომდინარეობდეს სხვა გარემოებათაგანაც. კაზუსის ფაბულიდან გამომდინარე, სესხის დაბრუნების ვადა განსაზღვრული იქნა მხარეთა შეთანხმებით. სსკ-ის 121-ე მუხლის თანახმად, კანონში, სასამართლო გადაწყვეტილებებსა და გარიგებებში მითითებული ვადების მიმართ გამოიყენება სსკ-ის 121–127-ე მუხლებით გათვალისწინებული წესები. ვადაში იგულისხმება დროის განსაზღვრული პერიოდი (მომენტი), რომელსაც სამოქალაქო კანონმდებლობა უკავშირებს ამა თუ იმ იურიდიული შედეგის დადგომას. სსკ-ის 123-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად,

თვეებით განსაზღვრული ვადა მთავრდება ბოლო თვის იმ დღის დამთავრებისთანავე, რომელიც შეესაბამება მოვლენის დადგომის დღეს ან დღის ზემოაღნიშნულ დროს. კაზუსის ფაბულიდან გამომდინარე, სესხის ხელშეკრულება დადებული იყო ხუთი თვის ვადით და სესხის დაბრუნების ვადად განსაზღვრულ იქნა 2009 წლის 11 თებერვალი, რადგან სსკ-ის 122-ე მუხლის თანახმად, თუ ვადის დასაწყისად აღებულია ესა თუ ის მოვლენა ან დღის რომელიმე მონაკვეთი, მაშინ ვადის გამოთვლისას არ მიითვლება ის დღე, რომელშიც დგება ეს მოვლენა ან დღის ზემოაღნიშნული დრო.

„ბ“-მ, 2009 წლის 10 თებერვალს, „ა“-ს საბანკო ანგარიშზე შეიტანა 8000 ლარი. მნიშვნელოვან გარემოებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ „ბ“-სა და „ა“-ს შორის არსებობდა ორი სახის ფულადი ვალდებულება: ნასყიდობიდან გამომდინარე – 8000 ლარის გადახდა თებერვლის თვეში, ხოლო მეორე კი სესხიდან გამომდინარე – 8000 ლარის გადახდა თერთმეტ თებერვლამდე. „ბ“-მ „ა“-ს საბანკო ანგარიშზე შეიტანა 8000 ლარი. იმის გასარკვევად, თუ რომელი ფულადი ვალდებულება იქნა შესრულებული „ბ“-ს მიერ „ა“-ს საბანკო ანგარიშზე თანხის შეტანით, უნდა ვიხელმძღვანელოდ სსკ-ის 387-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილის დანაწესით, კერძოდ, თუ მოვალეს ეკისრება კრედიტორისათვის სხვადასხვა ვალდებულებებიდან გამომდინარე ერთმანეთის მსგავსი რამდენიმე შესრულება და ის, რაც შესრულდა, არ არის საკმარისი ყველა ვალის დასაფარავად, მაშინ დაიფარება ის ვალდებულება, რომელსაც მოვალე შესრულების დროს ამოირჩევს; ხოლო, თუ მოვალე არ ამოირჩევს, მაშინ დაიფარება ის ვალი, რომლის გადახდის ვადაც პირველად დადგა. თუ მოთხოვნათა შესრულების ვადა ერთდროულად დადგა, მაშინ თავდაპირველად უნდა შესრულდეს ის მოთხოვნა, რომელიც მოვალისათვის შესასრულებლად მძიმეა.

სსკ-ის 387-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილის გამოყენებისათვის, ამოსავალი დებულებაა ის, რომ მოვალეზე დაკისრებული რამდენიმე ვალდებულება ერთმანეთის მსგავსი იყოს. შესრულების

ერთგვაროვნება გულისხმობს შესრულების საგნის ერთგვაროვნებას. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, სკ-ის 387-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, შესრულების არჩევანის პრიორიტეტს ანიჭებს მოვალეს. ასეთი მიდგომა ემყარება იმ გარემოებას, რომ მოვალემ უკეთ იცის, რომელი ვალია მისთვის ყველაზე მძიმე და რომელი მათგანის გასტუმრების შემთხვევაში იქნება იგი დაზღვეული დამატებითი ხარჯებისაგან, ანუ საეჭვო გარემოებებისას, უპირატესობა ენიჭება სამართლებრივი ტვირთის მატარებელ მხარეს. ამიტომაცაა, რომ მოვალეს ეძლევა შესაძლებლობა, თვითონ გადაწყვიტოს, თუ რომელი ტვირთი მოიხსნას პირველად. შეიძლება, ეს არ შედიოდეს კრედიტორის ინტერესებში, მაგრამ სწორედ აღნიშნულ გარემოებათა გამო, შეუძლებელია, მისი მოთხოვნის უფლება მოვალის არჩევანის უფლებაზე წინ დაეყენოთ. თუკი მოვალე არ გამოიყენებს კანონით მინიჭებულ არჩევანის უფლებას, მაშინ შესრულების რიგითობა განისაზღვრება კანონის ობიექტური ნებით, კერძოდ, დაიფარება ის ვალი, რომლის გადახდის ვადაც პირველად დადგა. კაზუსის ფაბულიდან გამომდინარე, სესხის დაბრუნების ვადა განსაზღვრული იყო 2009 წლის 11 თებერვლის ჩათვლით, ხოლო ნასყიდობის საგნის ფასის გადახდის ვადა – 2009 წლის თებერვლის ბოლომდე, ანუ სესხის გადახდის ვადა წინ უსწრებდა ნასყიდობის საგნის ფასის გადახდის დროს. თუნდაც ჩავთვალოთ, რომ სესხის და ნასყიდობის საგნის ფასის გადახდის ვადა ერთდროულად დადგა (2009 წლის თებერვალი), ასეთ შემთხვევაში, ის მოთხოვნა უნდა შესრულდეს, რომელიც მოვალისათვის შესასრულებლად ყველაზე მძიმეა. სიმძიმე მარტო ფულადი თანხის რაოდენობაში არ გამოიხატება. მის დაუფარაობას, შეიძლება მოჰყვეს მოვალისათვის სხვა არასასურველი შედეგები (მაგალითად, ფულადი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებისათვის პროცენტის გადახდა, პირგასამტეხლო და ა.შ.). „ბ“-ს, „ა“-ს მიმართ, 2009 წლის თებერვლისათვის, ორი ფულადი ვალდებულება ჰქონდა შესასრულებელი, „ბ“-მ შეასრულა ერთი ვალდებულება, „ა“-ს საბანკო ანგარიშზე, 2009 წლის 10 თებერვალს, 8000 ლარის

შეტანის გზით, თუმცა არ მიუთითებია, რომელ ფულად ვალდებულების შესრულებას ირჩევდა. ასეთ შემთხვევაში, კანონის ობიექტური ნებით, შესრულებულად ჩაითვლება სესხის დაბრუნების ვალდებულება, რადგან იგი, მოვალისათვის შესასრულებლად უფრო მძიმე იყო, ვინაიდან ითვალისწინებდა ვადის გადაცილების შემთხვევაში პროცენტის გადახდას. სსკ-ის 427-ე მუხლის შესაბამისად, ვალდებულებითი ურთიერთობა წყდება კრედიტორის სასარგებლოდ ვალდებულების შესრულებით. ვალდებულებითი ურთიერთობის მიზანი არის ვალდებულებით გათვალისწინებული შესრულების მიღება მხარეების მიერ. ამიტომ, როცა ვალდებულების კრედიტორი იღებს ვალდებულებით გათვალისწინებულ სიკეთეს, ვალდებულებითი ურთიერთობა უნდა შეწყდეს. ქმედება შესრულებულად რომ ჩაითვალოს და შესაბამისად, ვალდებულება შეწყვეტილად, აუცილებელია, რომ მოვალემ შესრულება განახორციელოს ზუსტად ისე, როგორც ამაზე მხარეები იყვნენ შეთანხმებული: ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროს და დათქმულ ადგილას.

შუალედური დასკვნა: „ა“-ს არ შეუძლია მოითხოვოს „ბ“-სგან სესხის თანხის, 8000 ლარის დაბრუნება, რადგან მოთხოვნა შეწყდა სსკ-ს 361-ე მუხლის მეორე ნაწილის, 386-ე მუხლის მეორე ნაწილის, 387-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილის, 427-ე და 623-ე მუხლის საფუძველზე.

მესამე მოთხოვნა

„ა“-ს მოთხოვნა „ბ“-ს მიმართ, სესხის დაბრუნების ვადის გადაცილების გამო პროცენტის – 800 ლარის გადახდის შესახებ.

მოთხოვნა შესაძლებელია გამომდინარეობდეს სსკ-ის 403-ე მუხლის პირველი ნაწილის დანაწესიდან.

მოთხოვნის წარმოშობა

სამართლებრივი წანამძღვრები:

„ა“-სა და „ბ“-ს შორის, 2008 წლის 10 სექტემბერს დადებული სესხის ხელშეკრულებით, გათვალისწინებული იქნა სესხის დაბ-

რუნების ვადის გადაცილების შემთხვევაში ყოველ გადაცილებულ თვეზე პროცენტის გადახდა. სსკ-ის 403-ე მუხლის პირველი ნაწილის დანაწესიდან გამომდინარე, მოვალე, რომელიც ფულადი თანხის გადახდის ვადას გადააცილებს, ვალდებულია, გადაცილებული დროისათვის, გადაიხადოს მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული პროცენტი, თუ კრედიტორს, სხვა საფუძვლიდან გამომდინარე, უფრო მეტის მოთხოვნა არ შეუძლია. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არ იძლევა პროცენტის რაიმე განმარტებას. დოქტრინაში მიღებული განმარტებით, პროცენტი – ესაა პერიოდული საზღაური კაპიტალის სარგებლობისთვის, რომლის სიდიდეც განისაზღვრება ამ კაპიტალში არსებული წილით. საპროცენტო ვალდებულება დამატებითი ვალდებულებაა და იგი ეფუძნება მთავარ ვალდებულებას, როგორცაა კაპიტალთან დაკავშირებული ვალდებულება. თუ არ წარმოიშობა მთავარი ვალდებულება, ანდა მისი საფუძველი იქნება ბათილი, არც საპროცენტო ვალდებულება წარმოიშობა. ამიტომაც, საპროცენტო ვალდებულება, წარმოშობის თვალსაზრისით, აქცესორული ხასიათისაა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არ ადგენს კონკრეტულად პროცენტის ფარგლებს. სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილენი შეზღუდული არ არიან პროცენტის განსაზღვრის თავისუფლებაში. პროცენტის გადახდევინება დაკავშირებულია არამარტო ვალდებულებითი ურთიერთობის იმ ეტაპთან, როცა ეს ურთიერთობა ნორმალურად ვითარდება, არამედ მისი დარღვევის, კერძოდ, ვადის გადაცილების ფაქტთან. თუ პირველ შემთხვევაში პროცენტი კაპიტალით სარგებლობისთვის დგინდება, მეორე შემთხვევაში, საკმარისია მოვალის მხრიდან ვადის გადაცილების ფაქტი. ამიტომაც, ვადის გადაცილებისთვის დაწესებული პროცენტი, ვალდებულების დროული შესრულების პრევენციული ფუნქციის მატარებელია. პროცენტის მოთხოვნა არაა დამოკიდებული ზიანის არსებობის მტკიცებაზე. კაზუსის ფაბულიდან გამომდინარე, სესხის დაბრუნება უნდა მომხდარიყო 2008 წლის 11 თებერვლისთვის, რაც მსესხებლის მხრიდან განხორციელდა სსკ-ის 361-ე

მუხლის მეორე ნაწილისა და 427-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით, ანუ მსესხებლის მხრიდან არ მომხდარა სსკ-ის 400-ე მუხლის დანაწესიდან გამომდინარე ძირითადი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილება.

შუალედური დასკვნა: „ა“-ს, სსკ-ის 361-ე მუხლის მეორე ნაწილის, 403-ე მუხლის პირველი ნაწილის დანაწესიდან გამომდინარე, არა აქვს „ბ“-სგან სესხის დაბრუნების ვადის გადაცილების გამო პროცენტის – 800 ლარის მოთხოვნის უფლება.

საბოლოო დასკვნა

- 1) „ა“-ს, სსკ-ის 477-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, 482-ე, 186-ე მუხლის დანაწესებიდან გამომდინარე, არა აქვს „ბ“-ს მიმართ ნასყიდობის საგნის ფასის დარჩენილი ნაწილის – 1000 ლარის გადახდის მოთხოვნის უფლება.
- 2) „ა“-ს, სსკ-ის 361-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, 427-ე, 623-ე მუხლის დანაწესებიდან გამომდინარე, არა აქვს „ბ“-საგან სესხის თანხის – 8000 ლარის დაბრუნების მოთხოვნის უფლება.
- 3) „ა“-ს, სსკ-ის 361-ე მუხლის მეორე ნაწილის, 403-ე მუხლის პირველი ნაწილის, 427-ე მუხლის დანაწესებიდან გამომდინარე, არა აქვს „ბ“-საგან სესხის დაბრუნების ვადის გადაცილებისთვის – 800 ლარის ოდენობით პროცენტის გადახდის მოთხოვნის უფლება.

კაზუსი № 10

„ა“-მ, 2008 წლის 10 აპრილს, შპს „ტაქსების კომპანიისაგან“, ორი წლის ვადით, იჯარით აიღო კომპანიის საკუთრებაში არსებული ავტომობილი „მერსედეს-ბენცი“. საიჯარო ქირა განისაზღვრა თვეში 800 ლარის ოდენობით.

2008 წლის 27 ნოემბერს, სალამოს 11 საათზე, „ა“, იჯარით აღებული ავტომანქანით, მგზავრ „ბ“-სთან ერთად მოძრაობდა „X“ ქუჩაზე, რა დროსაც, ავტომანქანის უკანა მარჯვენა ბორბალი ჩავარდა ორმოში, რომელიც გზის შეკეთების გამო გაჩნდა. ავტომანქანა სიჩქარით შემობრუნდა, ავარდა ტროტუარზე და შეეჯახა ლამპიონის ბოძს. შეჯახების შედეგად, ავტომობილი მნიშვნელოვნად დაზიანდა, „ა“-მ კი სხეულის დაზიანება მიიღო. მგზავრმა „ბ“-მ მოიტეხა ხელი და მიიღო თავის ქალის მძიმე ტრავმა, რის გამოც დიდი ხნის მანძილზე მკურნალობდა საავადმყოფოში. გამოიკვავა, რომ გზის სავალ ნაწილზე, საგზაო დეპარტამენტის მუშების ბრალით, ორმო გაჩნდა. „ა“-მ, გამოჯანმრთელების შემდეგ, მოითხოვა „გ“-საგან (საგზაო დეპარტამენტი), რომლის მუშაკებიც ავტოსაგზაო შემთხვევის ადგილზე აწარმოებდნენ გზის სარემონტო სამუშაოებს: მატერიალური ზიანის – 10.000 ლარის ოდენობით (მკურნალობის ხარჯები – 5000 ლარი, მანქანის შეკეთების ხარჯები – 3000 ლარი, მანქანის დაზიანების გამო მიუღებელი შემოსავალი – 2000 ლარი), აგრეთვე სხეულის დაზიანებისთვის არაქონებრივი (მორალური) ზიანის – 5000 ლარის ოდენობით ანაზღაურება. დადგინდა, რომ გზის შესაკეთებელი ნაწილი დატოვებული იყო ყოველგვარი გამაფრთხილებელი ნიშნების გარეშე და არ იყო შემოღობილი.

„ა“-ს მოთხოვნებზე საგზაო დეპარტამენტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ისინი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

1. გამაფრთხილებელი ნიშნისა და შემოღობვის არარსებობა გამონწვეულია მუშების – „მ“-ის და „კ“-ს ქმედებით, ხოლო სარე-

მონტო სამუშაოები, კი, მიმდინარეობდა დამტკიცებული გრაფიკის მიხედვით ყოველგვარი დარღვევის გარეშე.

2. მანქანის შეკეთების ხარჯები უნდა განისაზღვროს ფაქტობრივად გაწეული ხარჯების მიხედვით და არა მიუღებელი შემოსავლის სახით.
3. „ა“-ს ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანი მხედველობაში არ უნდა იქნას მიღებული, რადგან მკურნალობის შემდეგ იგი სრულად გამოჯანმრთელდა.
4. არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურებაზე საუბარიც კი ზედმეტია, რადგან არ არსებობს მისი ანაზღაურების სამართლებრივი საფუძველი.

მგზავრმა „ბ“-მ, კი, „ა“-საგან მოითხოვა ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება: 30.000 ლარი მკურნალობის ხარჯები და შრომისუნარიანობის შემცირების გამო ყოველთვიური სარჩო 250 ლარის ოდენობით.

როგორ გადავწყვიტოთ დავა? პასუხი დაასაბუთეთ.

თემატიკა: სსკ-ის 997-ე, 999-ე მუხლის პირველი ნაწილი, 408-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილი, 411-ე, 413-ე მუხლის მეორე ნაწილი, 326-ე მუხლი.

„ა“ – ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელი;

„გ“ – გზების დეპარტამენტი;

„ბ“ – მგზავრი;

„ა“-ს მოთხოვნები „გ“-ს მიმართ:

პირველი მოთხოვნა

ავტოსაგზაო შემთხვევის (ავარიის) შედეგად მიყენებული მატერიალური ზიანის – 10.000 ლარის ოდენობით (მკურნალობის ხარჯები – 5000 ლარი, ავტომანქანის შეკეთების ხარჯები – 3000 ლარი, ავტომანქანის დაზიანების გამო მიუღებელი შემოსავალი – 2000 ლარი) ანაზღაურება.

მოთხოვნა შესაძლებელია გამომდინარეობდეს სსკ-ის 997-ე, 408-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, 411-ე მუხლის დანაწესებიდან.

მოთხოვნის წარმოშობა

სამართლებრივი წანამძღვრები:

- „გ“-ს მართლსაწინააღმდეგო ქმედება (+);
- ზიანი (+);
- მიზეზობრივი კავშირი (+).

„გ“-ს გაუფრთხილებელი ბრალი (მუშების მიერ, უსაფრთხოების ნორმების დარღვევა სამართლებრივ სურათს ვერ შეცვლის სსკ-ის 997-ე მუხლის დანაწესიდან გამომდინარე).

შუალედური დასკვნა: მოთხოვნა წარმოიშვა

მოთხოვნის შეწყვეტა

კაზუსის ფაბულა არ შეიცავს მოთხოვნის შემწყვეტ გარემოებებზე მითითებას.

მოთხოვნის განხორციელება

კაზუსის ფაბულის თანახმად, არ არსებობს გარემოებები, რომლებიც, დროებით ან მუდმივად, აფერხებენ მოთხოვნის განხორციელებას.

მეორე მოთხოვნა

„ა“-ს მოთხოვნა „გ“-ს მიმართ, სხეულის დაზიანებისათვის არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურების შესახებ 5000 ლარის ოდენობით.

მოთხოვნა შეიძლება გამომდინარეობდეს სსკ-ის 999-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 413-ე მუხლის მეორე ნაწილის დანაწესიდან.

მოთხოვნის წარმოშობა

სამართლებრივი წანამძღვრები:

- „გ“-ს მართლსაწინააღმდეგო ქმედება (+);
- „ა“-ს სხეულის დაზიანება (+);

➤ მიზეზობრივი კავშირი (+);

„გ“-ს გაუფრთხილებელი ბრალი (მუშების მიერ უსაფრთხოების წესების დარღვევა სამართლებრივ სურათს ვერ შეცვლის სსკ-ის 997-ე მუხლის დანაწესიდან გამომდინარე) (+).

შუალედური დასკვნა: მოთხოვნა წარმოიშვა.

მოთხოვნის შეწყვეტა:

კაზუსის ფაბულა არ შეიცავს მოთხოვნის შემწყვეტ გარემოებებზე მითითებას.

მოთხოვნის განხორციელება:

კაზუსის ფაბულის თანახმად, არ არსებობს გარემოებები, რომლებიც დროებით ან მუდმივად აფერხებენ მოთხოვნის განხორციელებას.

„ბ“-ს მოთხოვნა „ა“-ს მიმართ

„ბ“-ს მოთხოვნა „ა“-ს მიმართ ჯანმრთელობის დაზიანებით მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურების შესახებ – 30.000 ლარი მკურნალობის ხარჯები და შრომისუნარიანობის შემცირების გამო, ყოველთვიურად გადასახდელი სარჩო 250 ლარის ოდენობით.

მოთხოვნა შესაძლოა გამომდინარეობდეს სსკ-ის 999-ე მუხლის პირველი და 408-ე მუხლის მეორე ნაწილის დანაწესიდან.

მოთხოვნის წარმოშობა

სამართლებრივი ნაწამძღვრები:

- „ა“ – არის სატრანსპორტო საშუალების მფლობელი (+);
- „ა“-ს მართლსაწინააღმდეგო ქმედება (+);
- „ა“-ს მოქმედებით „ბ“-ს ჯანმრთელობის მოშლა და დასახიჩრება (+);
- ზიანი (+);
- „ბ“-ს შეუმცირდა შრომის უნარი (+).

შუალედური დასკვნა: მოთხოვნა წარმოიშვა.

მოთხოვნის შეწყვეტა

კაზუსის ფაბულა არ შეიცავს მოთხოვნის შემწყვეტ გარემოებებზე მითითებას.

მოთხოვნის განხორციელება

კაზუსის ფაბულის მიხედვით, არ არსებობს გარემოებები, რომლებიც დროებით ან მუდმივად აფერხებენ მოთხოვნის განხორციელებას.

სამართლებრივი დასკვნა:

1) „ა“-ს მოთხოვნა „გ“-ს მიმართ, ავტოსაგზაო შემთხვევის (ავარიის) შედეგად მიყენებული მატერიალური ზიანის – 10.000 ლარის ოდენობით (მკურნალობის ხარჯები – 5.000 ლარი, მანქანის შეკეთების ხარჯები – 3.000 ლარი, მანქანის დაზიანების გამო მიუღებელი შემოსავალი – 2.000 ლარი) ანაზღაურება.

მოთხოვნა შეიძლება გამომდინარეობდეს სსკ-ის 997-ე, 408-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, 411-ე მუხლის დანაწესებიდან.

მოთხოვნის წარმოშობა:

დელიქტურ სამართალში, მოთხოვნის ყველაზე მნიშვნელოვანი საფუძველია სსკ-ის 992-ე მუხლი.⁹⁴ აღნიშნული ნორმა, ადგენს იმ ოთხ ძირითად პირობას⁹⁵, რომელთა არსებობაც სავალდებულოა ზოგადად დელიქტური პასუხისმგებლობის დაკისრებისთვის. ეს პირობებია: ა) ზიანი; ბ) მართლსაწინააღმდეგო ქმედება; გ) მიზეზ-შედეგობრივი კავშირი; დ) ზიანის მიმყენებლის ბრალი.

ა) ვალდებული პირის მართლსაწინააღმდეგო ანუ არამართლზომიერი ქმედება.

მართლსაწინააღმდეგოდ მოქმედებს ის, ვინც არღვევს სამართლებრივ დანაწესებს, სამართლის ნორმათა მოთხოვნებს. მართლნი-

⁹⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლო: რეკომენდაციები და სამოქალაქო სამართლის საკითხებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა, თბ., 2011, გვ. 52

⁹⁵ ლუთინგჰაუსი, პეტერ. დელიქტური სამართალი, GIZ, სიესტა, თბ., 2011, გვ. 14

ნააღმდეგობა ობიექტური ნიშანია სამართალდარღვევისა და მისი არსებობა არაა დამოკიდებული ზიანის მიმყენებლის ცნობიერების ხასიათზე, სხვანაირად იმაზე, აცნობიერებდა თუ არა ზიანის მიმყენებელი თავისი ქმედების სამართლებრივ ხასიათს. მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით, სახელშეკრულებო ურთიერთობებში, მოვალე ძირითადად კრედიტორის შეფარდებით (რელატიურ) უფლებებს არღვევს, მაშინ როცა არასახელშეკრულებო (დელიქტურ) ურთიერთობებში ზიანის მიმყენებლის მოქმედებით ირღვევა აბსოლუტური უფლებები.⁹⁶

არის თუ არა მოქმედება მართლსაწინააღმდეგო, გადამოწმებულ უნდა იქნას ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში. ქმედება მართლსაწინააღმდეგოა, თუ: სადავო მოქმედება კანონით გათვალისწინებული აკრძალვის საწინააღმდეგოა (მაგალითად, სხვისი ქონების დაზიანება)⁹⁷ ან მოქმედება არღვევს საგანგებოდ დაცულ უფლებებს (სიცოცხლე, ფიზიკური ხელშეუხებლობა, ჯანმრთელობა, საკუთრება).⁹⁸

ბ) ზიანის არსებობა

ზიანი, სამოქალაქო სამართალში, არის პირის უფლებების ან კეთილდღეობის დამცირება, განადგურება.⁹⁹ წარმოშობის საფუძვლების მიხედვით, დოქტრინა და სასამართლო პრაქტიკა განასხვავებს სახელშეკრულებო და არასახელშეკრულებო ზიანს. სახელშეკრულებო ზიანი შედეგად მოჰყვება სახელშეკრულებო ვალდებულების დარღვევას, მაშინ, როდესაც არასახელშეკრულებო ზიანი, ძირითადად, წარმოიშობა უშუალოდ მართლსაწინააღმდეგო მოქმედებიდან, როდესაც მხარეები არ იმყოფებიან სახელშეკრულებო ვალდებულებ-

⁹⁶ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბ., 2001, გვ. 364

⁹⁷ ბილინგი ჰაინ, ლუტრინგჰაუსი პეტერ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი, თბ. 2009, გვ. 53

⁹⁸ „იქვე“, გვ. 53

⁹⁹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი (ჩიკვაშვილი, შ.), წიგნი IV, ტომი II, თბ., 2001, გვ. 378

ბით ურთიერთობებში, ამიტომ მას დელიქტურ ზიანსაც უწოდებენ. თუ არ არსებობს ზიანი, მაშინ საერთოდ არ არსებობს დელიქტური ვალდებულება. როცა სიკეთე ერთდროულად რელატიურ და აბსოლუტურ უფლებათა ობიექტია, მაშინ, ეს უკანასკნელი ფარავს პირველს. არასახელმეკრულებო ზიანი წინასწარ შეუფასებელი ზიანია და მისი ოდენობა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დგინდება იმის მიხედვით, თუ რა ფასეულობის სიკეთე იქნება ხელყოფილი.¹⁰⁰

ზიანი წარმოადგენს პირის ქონებრივი და არაქონებრივი ინტერესების, მისი ნების გარეშე ხელყოფას, რისი ანაზღაურებაც აღიარებულია ბრუნვის ნეს-ჩვეულებებით და შეზღუდული არ არის კანონმდებლობით.¹⁰¹ სასამართლო პრაქტიკა ცხადყოფს, რომ მხარეს არ შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა, რომელიც „მიუღებელია“ ქონებრივი პასუხისმგებლობის ჩვეულებრივი პრინციპებისთვის.¹⁰² ზიანის ანაზღაურების ოდენობა ისე უნდა განისაზღვროს, რომ ამას არ მოჰყვეს რომელიმე მხარის უსაფუძვლო გამდიდრება. ზიანის ანაზღაურების უმნიშვნელოვანეს დათქმას უსაფუძვლო გამდიდრების აკრძალვა წარმოადგენს.¹⁰³

გ) ზიანის მიმყენებლის ბრალი

პასუხისმგებლობის დაკისრების ერთ-ერთ პირობას წარმოადგენს ზიანის მიმყენებლის ბრალი. მოქმედებდა თუ არა ზიანის მიმყენებელი ბრალეულად, განხილული უნდა იქნას ცალკეული შემთხვევიდან გამომდინარე.¹⁰⁴ ბრალეულობა სამართალდარღვევის შემადგენლობის უმნიშვნელოვანესი სუბიექტური ელემენტია. ბრალეულობის ცნებაში ამოსავალია სამოქალაქო ბრუნვისთვის ჩვე-

¹⁰⁰ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი (ზოიძე, ბ.), წიგნი III, თბ., 2001, გვ. 367

¹⁰¹ AnwKBGB – Magnus, vor §§249-255. Rn.17.

¹⁰² სუსგ-ის განჩინება საქმეზე № 3კ/1184-01, გვ. 563-567.

¹⁰³ ძლიერიშვილი, ზ. ქონების საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულებათა სამართლებრივი ბუნება. თბ., 2010, გვ. 61.

¹⁰⁴ ბიოლინგი ჰაინ, ლუტრინგჰაუსი პეტერ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი, თბ. 2009, გვ. 58

ული ყურადღებიანობის მოთხოვნების დაცვა. ბრალეულობა შეიძლება გამოხატული იქნას განზრახ ან გაუფრთხილებელი სახით. განზრახ მოქმედებს ის, ვინც აცნობიერებს თავისი მოქმედების როგორც შედეგს, ისე მისი მოვალეობისადმი წინააღმდეგობას და ამას აკეთებს საკუთარი სურვილით.¹⁰⁵ გაუფრთხილებლად მოქმედებს ის, ვინც არღვევს სამოქალაქო ბრუნვისათვის დამახასიათებელ აუცილებელ ყურადღებიანობას.¹⁰⁶

დ) მიზეზ-შედეგობრივი კავშირი

დელიქტური პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის, ასევე, საჭიროა, რომ მართლსაწინააღმდეგო, ბრალეულ ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის არსებობდეს მიზეზ-შედეგობრივი კავშირი. მიზეზობრივი კავშირი სამართალდარღვევის აუცილებელი ერთ-ერთი ელემენტია. სსკ-ის 412-ე მუხლიდან გამომდინარე, ანაზღაურდება მხოლოდ ისეთი ზიანი, რომელიც წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს.

კაზუსის ფაბულიდან გამომდინარე, გამორიცხულია სახელშეკრულებო მოთხოვნის საფუძვლის განხილვა, რადგან „ა“-სა და „გ“-ს შორის, არ არსებობს არანაირი სახელშეკრულებო ურთიერთობა და „ა“ არც „გ“-სა და მის მუშაკებს შორის სამართლებრივ ურთიერთობებში ყოფილა. რადგან „ა“-სა და „გ“-ს შორის არ არსებობს სახელშეკრულებო ურთიერთობა, ამიტომ ვერ მოხდება სსკ-ის 396-ე მუხლის დამხმარე ნორმის გამოყენება, რომლის შესაბამისად მოვალემ თავისი კანონიერი წარმომადგენლის ან იმ პირთა მოქმედებისათვის, რომელთაც იგი იყენებს საკუთარ ვალდებულებათა შესასრულებლად, ისეთივე მოცულობით უნდა აგოს პასუხი, როგორც საკუთარი ბრალეული მოქმედების დროს.

„გ“-სათვის შესაძლო პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველს წარმოადგენს სსკ-ის 997-ე მუხლის დანაწესი. აღნიშნული

¹⁰⁵ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი III, თბ., 2001, გვ. 382

¹⁰⁶ „იქვე“, გვ. 384

ნორმის თანახმად, პირი ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, რომელიც მიადგა მესამე პირს, მისი მუშაკის მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით თავისი შრომითი (სამსახურეობრივი) მოვალეობის შესრულებისას. მაგრამ, ზიანის ანაზღაურება არ მოხდება, თუკი ვერ დამტკიცდება მუშაკის ბრალეულობა. აღნიშნული ნორმა მოიცავს თავისებურ ვალდებულებას, რომლის მიხედვითაც სამუშაოს მიმცემი (დამსაქმებელი) პასუხს აგებს იმ ზიანისათვის, რომელიც წარმოიშვა მისი მუშაკის მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით თავისი შრომითი მოვალეობის შესრულებისას.¹⁰⁷ ამ ნორმის წინაპირობის დასაკმაყოფილებლად, „მ“ და „კ“ „გ“-ს მუშაკები უნდა იყვნენ. მუშაკი გულისხმობს პირს, რომელიც მონვეულ იქნა სხვა პირის მიერ, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, გარკვეული სამუშაოს შესასრულებლად. მუშაკის მიერ, მისი შრომითი (სამსახურეობრივი) ვალდებულების შესრულებაში, გაგებული უნდა იქნას სამუშაოს შესრულება, რომელიც გამომდინარეობს შრომის ხელშეკრულებიდან. აღნიშნულ შემთხვევაში, მუშაკის ქმედება შეფასებული უნდა იქნას, როგორც თვით სამუშაოს მიმცემის მოქმედება. სსკ-ის 997-ე მუხლში საუბარია ორ გარემოებაზე, რომლებიც ქმნიან მისი გამოყენების პირობას: პირველი მათგანი ეხება ქმედების სუბიექტს (სამუშაოს მიმცემის მუშაკი), მეორე – ქმედების ხასიათს (მისი შრომითი, სამსახურეობრივი ვალდებულების შესრულება).¹⁰⁸

კაზუსის ფაბულიდან გამომდინარე, ეს წინაპირობა დაცულია, რადგანაც „მ“ და „კ“ შრომით ურთიერთობებში იმყოფებოდნენ „გ“-სთან. მართლსაწინააღმდეგო მოქმედება – გამაფრთხილებელი ნიშნისა და შემოღობვის არარსებობა დაკავშირებული უნდა იყოს შრომითი მოვალეობის შესრულებასთან. მოცემულ შემთხვევაში აშკარაა კავშირი შრომითი მოვალეობის შესრულებასთან, რასაც შედეგად მოჰყვა სხვა პირის სამართლებრივი სიკეთის დაზიანება.

¹⁰⁷ ბიოლინგი ჰაინ, ლუტრინგჰაუსი პეტერ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის სისტემური ანალიზი, თბ. 2009, გვ. 61

¹⁰⁸ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი IV, ტ. II, თბ. 2001, გვ. 402

სსკ-ის 997-ე მუხლის დანაწესიდან გამომდინარე, სახეზე უნდა იყოს მუშაკის არა მხოლოდ მართლსაწინააღმდეგო, არამედ ბრალეული მოქმედებაც. მუშაკის მიერ შრომითი (სამსახურეობრივი) მოვალეობის შესრულებისას, მესამე პირისათვის ზიანის მიყენებისათვის, სამუშაოს მიმცემი პასუხს აგებს თავისი და არა სხვისი ბრალისთვის.¹⁰⁹ ეს არის პასუხისგება საკუთარ ბრალეულობაზე, რაც გამოიხატება მუშაკის შერჩევისა და ზედამხედველობისას, სამოქალაქო ბრუნვისთვის დამახასიათებელი, აუცილებელი ყურადღებანიანობის მოთხოვნების დარღვევაში.¹¹⁰ ამდენად, სსკ-ის 997-ე მუხლის დანაწესიდან გამომდინარე, „გ“ პასუხს აგებს მუშების – „მ“ და „კ“-ს ბრალეული მოქმედებისთვის. (მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს, თუ ვინ უნდა დაამტკიცოს მუშაკის ბრალეულობა სასამართლოში, დავის განხილვის შემთხვევაში? სსკ-ის 997-ე მუხლის მეორე წინადადების ფორმულირება ითვალისწინებს ე.წ. „საგამონაკლისო ურთიერთობას“, ზიანის არსებობის შემთხვევაშიც კი. მისი ანაზღაურება არ მოხდება, თუკი ვერ დაამტკიცდება მუშაკის ბრალეულობა. მტკიცების ტვირთის განაწილების („onus probandi“) შესახებ ზოგადი ნორმებიდან გამომდინარე, პირი, რომელიც ემყარება საგამონაკლისო ურთიერთობას, ვალდებულია ამტკიცოს, რომ არსებობს საგამონაკლისის შემთხვევაზე ორიენტირებული ვითარება. აქედან გამომდინარე, ვალდებული პირი (ჩვენს შემთხვევაში „გ“), მოვალეა ამტკიცოს, რომ მისი მუშაკები არ მოქმედებდნენ ბრალეულად. (თუ „გ“ ამის დამტკიცებას ვერ შეძლებს, იგი ვალდებულია აუნაზღაუროს „ა“-ს მიყენებული ზიანი)).

სსკ-ის 326-ე მუხლის შესაბამისად, წესები, სახელშეკრულებო ვალდებულებების შესახებ, გამოიყენება, ასევე, სხვა არასახელშეკრულებო ვალდებულებათა მიმართ, თუკი ვალდებულების ხასიათიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს. სსკ-ის 408-ე მუხლის პირველი

¹⁰⁹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV, ტომი 2, თბ. 2001, გვ. 401

¹¹⁰ დელიქტური სამართლის პრობლემატიკა gtz-ის სემინარი, წყალტუბო, აპრილი 2011

ნანილის შესაბამისად, იმ პირმა, რომელიც ვალდებულია ანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება. ზიანის ანაზღაურება შესაძლებელია, როგორც ნატურით, ასევე ფულადი სახით. ზიანი წარმოადგენს პირის ქონებრივი და არაქონებრივი ინტერესების, მისი ნების გარეშე ხელყოფას, რისი ანაზღაურებაც აღიარებულია ბრუნვის წეს-ჩვეულებებით და შეზღუდული არ არის კანონმდებლობით.¹¹¹

სასამართლო პრაქტიკაში, ზიანის ანაზღაურების საშუალებად, უმეტესად, მოიაზრება ხელყოფილი სიკეთის ფულადი ანაზღაურება. ზიანის ფულადი კომპენსაცია გამართლებულია იქ, სადაც შეუძლებელია ნატურით რესტიტუცია. კაზუსის ფაბულიდან გამომდინარე, სახეზეა მატერიალური ზიანი – 5000 ლარი მკურნალობის ხარჯები და 3000 ლარი ავტომანქანის შეკეთების ხარჯები. რაც შეეხება მანქანის დაზიანების გამო, მიუღებელი შემოსავლის სახით 2000 ლარის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას, ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისათვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისთვისაც სსკ-ის 411-ე მუხლის მიხედვით.¹¹² მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც პირს არ მიუღია და რომელსაც იგი მიიღებდა სამოქალაქო ბრუნვის ნორმალურად განვითარების შემთხვევაში.¹¹³ მიუღებელი შემოსავალი სავარაუდო შემოსავალია, ამიტომაც დავის შემთხვევაში სასამართლომ ყურადღება უნდა გაამახვილოს იმ გარემოებებზე, რამდენად მოსალოდნელი იყო მისი მიღება.¹¹⁴ საჭიროა, რომ ყველა მნიშვნელოვანი გარემოების შეფასებიდან, ჩანდეს მისი დადგომის შესაძლებლობა. ტაქსისტიისთვის („ა“-სთვის) მიუღებელი

¹¹¹ AnwKBGB – Magnus, vor §§249-255. Rn.17.

¹¹² თოდუა მ., ვილემსი ჰ. ვალდებულებითი სამართალი. თბ., 2006, გვ. 38.

¹¹³ სუსგ 2007 წლის 10 მარტის განჩინება საქმეზე № ას-509-893-06.

¹¹⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლო: რეკომენდაციები და სამოქალაქო სამართლის საკითხებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა, თბ., 2011, გვ. 53

შემოსავალი იქნება ის შემოსავალი, რომელიც მან ვერ მიიღო ავტომობილის შესაკეთებლად საჭირო დროის განმავლობაში.¹¹⁵

კაზუსის ფაბულიდან გამომდინარე, „ა“ იჯარით მიღებულ ავტომანქანას იყენებდა მგზავრთა გადასაცვანად, რითაც ლებულობდა გარკვეულ შემოსავალს. 2000 ლარი მიუღებელი შემოსავლის სახით, სსკ-ის 412-ე მუხლის საფუძველზე, წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს. სსკ-ის 581-ე მუხლის მეორე ნაწილის, სსკ-ის 575-ე მუხლის დანაწესების მიხედვით, მოიჯარეს უფლება აქვს დაიცვას თავისი მფლობელობა ნებისმიერი დამრღვევისაგან, მათ შორის მესაკუთრისგანაც.

შუალედური დასკვნა: „ა“-ს, სსკ-ის 997-ე, 408-ე მუხლის პირველი ნაწილის, 411-ე მუხლის დანაწესებიდან გამომდინარე, შეუძლია „გ“-საგან მოითხოვოს ავტოსაგზაო შემთხვევის (ავარიის) შედეგად მიყენებული მატერიალური ზიანის – 10.000 ლარის ოდენობით (მკურნალობის ხარჯები – 5000 ლარი, მანქანის შეკეთების ხარჯები – 3000 ლარი, მანქანის დაზიანების გამო მიუღებელი შემოსავალი – 2000 ლარი) ანაზღაურება.

მოთხოვნის შემწყვეტა

კაზუსის ფაბულა არ შეიცავს მოთხოვნის შემწყვეტ გარემოებებზე მითითებას.

მოთხოვნის განხორციელებადობა

კაზუსის ფაბულის თანახმად, არ არსებობს გარემოებები, რომლებიც დროებით ან მუდმივად აფერხებენ მოთხოვნის განხორციელებას.

მეორე მოთხოვნა

„ა“-ს მოთხოვნა „გ“-ს მიმართ, სხეულის დაზიანებისთვის არაქონებრივი (მორალური) ზიანის 5000 ლარის ოდენობით ანაზღაურების შესახებ.

¹¹⁵ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბ. 2001, გვ. 464

მოთხოვნა შესაძლებელია გამომდინარეობდეს სსკ-ის 997-ე, 413-ე მუხლის მეორე ნაწილის დანაწესიდან.

მოთხოვნის წარმოშობა

მოთხოვნის წარმოშობის წინაპირობაა, „გ“-ს მიერ, მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედებით, სხვა პირისათვის ზიანის მიყენება. ზიანის მიმყენებლისთვის ქონებრივი პასუხისმგებლობის დასაკისრებლად საჭიროა, რომ სახეზე გვექონდეს სამართალდარღვევის შემადგენლობა. შემადგენლობის ორგანიზმს სამართლებრივად ფასეულ სუბიექტურ და ობიექტურ გარემოებათა ერთობლიობა ქმნის, რომელთა თანაარსებობა, ვალდებული პირისთვის, პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველია.

ზიანის მიყენებისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების პირობებია:

ა) ვალდებული პირის მართლსაწინააღმდეგო ანუ არამართლზომიერი მოქმედება.

მართლსაწინააღმდეგოდ მოქმედებს ის, ვინც არღვევს სამართლებრივ დანაწესებს, სამართლის ნორმათა მოთხოვნებს. მართლსაწინააღმდეგობა სამართალდარღვევის ობიექტური ნიშანია და მისი არსებობა არ არის დამოკიდებული იმაზე, მოვალე აცნობიერებდა თუ არა თავისი მოქმედების სამართლებრივ ხასიათს. არასახელშეკრულებო (დელიქტურ) ურთიერთობებში, ზიანის მიმყენებლის მოქმედებით, ირღვევა აბსოლიტური უფლებები. „გ“-ს ქმედებას (არ განახორციელა საკმარისი ზედამხედველობა) მართლსაწინააღმდეგო ხასიათს ანიჭებს ის გარემოება, რომ გზის შესაკეთებელი მონაკვეთი არ იქნა შემოღობილი ან სხვაგვარად არ იქნა გამაფრთხილებელი ნიშნებით შემოსაზღვრული, რითაც ხელყო სხვისი სამართლებრივი სიკეთე.

ბ) ზიანის არსებობა

ზიანი, წარმოადგენს ქონებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების ერთ-ერთ საფუძველს. ზიანი, სწორედ რომ მართლსაწინააღმ-

დეგო ქმედების შედეგია. ანაზღაურებას ექვემდებარება სამართლებრივად მნიშვნელოვანი და დაცული ზიანი. სსკ-ის 408-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა ალადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებული გარემოება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი განასხვავებს ქონებრივ და არაქონებრივ ზიანს. სსკ-ის 413-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, „არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნას მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით“. აქ არ იგულისხმება მხოლოდ სამოქალაქო კოდექსით დადგენილი შემთხვევები.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არ იძლევა არაქონებრივი ზიანის დეფინიციას. იურიდიულ ლიტერატურასა და სასამართლო პრაქტიკაში არაქონებრივი (მორალური) ზიანი გაგებულია, როგორც ფიზიკურ და ზნეობრივ-ფსიქოლოგიური ტანჯვა, რასაც სამოქალაქო ბრუნვის მონაწილე განიცდის ამა თუ იმ სიკეთის, უმეტესწილად არამატერიალურ ფასეულობათა ხელყოფით.¹¹⁶ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი განსაზღვრავს მორალური ზიანის ანაზღაურების ნორმატიულ საფუძვლებს. სსკ-ის 413-ე მუხლის მოქმედება ეჭვს არ იწვევს არასახელმეკრულებო, კერძოდ დელიქტური ურთიერთობების მიმართ.¹¹⁷ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მხოლოდ ზოგად ჭრილში განსაზღვრავს მორალური ზიანის ანაზღაურების პრინციპებს. თავისი შინაარსით, ასეთი ანაზღაურება დგინდება სასამართლო პრაქტიკით. ვინაიდან მორალური ზიანი, თავისი ფორმით, სპეციფიკური მოვლენაა, შეუძლებელია აქ

¹¹⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლო. რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემურ საკითხებზე და საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებით, თბ., 2007, გვ. 69

¹¹⁷ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი (ზოიძე, ბ.), წიგნი III, თბ., 2001, გვ. 471

ანაზღაურების მიზანი იყოს სრული კომპენსაცია.¹¹⁸ კომპენსაციის მიზანია, მორალური ზიანით გამოწვეული ტკივილების შემსუბუქება. მორალური ზიანის ანაზღაურების მოცულობას სასამართლო განსაზღვრავს მოსარჩელის მოთხოვნის საფუძველზე. მოსარჩელე უფლებამოსილია, სასარჩელო განცხადებაში მიუთითოს ფულადი თანხა, მიყენებული სულიერი თუ ფიზიკური ტკივილის კომპენსაციისათვის, მაგრამ ეს მოთხოვნა მოსარჩელის მხოლოდ მოსაზრებაა და ანაზღაურების მოცულობის განსაზღვრა სასამართლოს შეხედულებით უნდა გადანყდეს. სსკ-ის 413-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისთვის ვნების მიყენების შემთხვევაში, დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისთვისაც. აღნიშნული ნორმა ასახავს მორალური ზიანის ანაზღაურების გავრცელებულ შემთხვევას. მორალური ზიანის ფულადი კომპენსაცია უნდა განხორციელდეს „გონივრული“ და „სამართლიანი“ ანაზღაურების სახით. მორალური ზიანის ანაზღაურების „გონივრულობა“ და „სამართლიანობა“ უნდა გამოიხატოს იმ სოციალური ამოცანების განხორციელებით, რომელსაც მიზნად ისახავს დელიქტური პასუხისმგებლობის ეს სახე. მორალური ზიანის ანაზღაურებას აკისრია სამი ფუნქცია: პირველი – დააკმაყოფილოს დაზარალებული; მეორე – ზემოქმედება მოახდინოს ზიანის მიმყენებელზე; მესამე – თავიდან აიცილოს პიროვნული უფლებების ხელყოფა სხვა პირების მიერ. აღნიშნული სამი – სატისფაქციური, რეპრესიული და პრევენციული ფუნქციების კომბინაცია, წარმოადგენს მორალური ზიანის ანაზღაურების ერთიან მიზანს, რაც უნდა აისახოს მორალური ზიანის ფულად ანაზღაურებაში.¹¹⁹ მორალური ზიანის ანაზღაურების უმთავრეს მიზანს წარმოადგენს არა ხელყოფილი უფლების რეს-

¹¹⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლო. რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემურ საკითხებზე და საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებით, თბ., 2007, გვ. 70

¹¹⁹ „იქვე“, გვ. 71

ტიტუცია, რომელიც შეუძლებელია, არამედ სულიერი თუ ხორციელი ტკივილის ან ხელყოფილი პიროვნული სიკეთის დადებითი ემოციებით შეცვლა. კომპენსაციური ფუნქციის განსახორციელებლად უპირველეს ფაქტორს წარმოადგენს ფსიქიკური ზიანი ანუ სულიერი ტკივილი, რომელიც პიროვნული უფლებების შელახვის შედეგად დადგა. თუ ფსიქიკურმა ზიანმა გამოხატულება დაზარალებულის ფიზიკურ მდგომარეობაშიც ჰპოვა, მაშინ საქმე გვექნება ასანაზღაურებელი ზიანის მნიშვნელოვან მასშტაბებთან.¹²⁰

არაქონებრივი (მორალური) ზიანი განსაზღვრულია, როგორც ფიზიკური ან სულიერი ტკივილი. მაცალკევებელი კავშირი „ან“ უშვებს მორალური ზიანის არსებობას, როგორც მხოლოდ ფიზიკური ან სულიერი ტკივილისას, ისე ორივესას ერთდროულად. ფიზიკური ტანჯვა ივარაუდება მხოლოდ სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენებისას, მაგრამ ამ შემთხვევაშიც, მოთხოვნილი კომპენსაციის ოდენობის დასასაბუთებლად, უნდა დამტკიცდეს ფიზიკური ტანჯვის ხარისხი.¹²¹ თუ მორალური ზიანი ექვემდებარება კომპენსაციას ქონებრივ ზიანთან ერთად (პირის ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენების შემთხვევაში მან განიცადა სულიერი ტკივილი, ამასთან გასწია მკურნალობისა და რეაბილიტაციის ხარჯები), მორალური ზიანის ოდენობა უბრალოდ არ უნდა დაემატოს ქონებრივი ზიანის ოდენობას. ყველა კონკრეტულ შემთხვევაში, კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისთვის, სასამართლომ უნდა დაადგინოს პირის ინდივიდუალურ თავისებურებებთან დაკავშირებული ფიზიკური და სულიერი ტკივილის ხარისხი, ზიანის მიმყენებლის ბრალი (იმ შემთხვევებში, როცა ეს პასუხისმგებლობის აუცილებელი პირობაა) და სხვა ყურადსაღები გარემოებები.

¹²⁰ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი (ნინიძე, თ.), წიგნი I, თბ., 1999, გვ. 76

¹²¹ საქართველოს უზენაესი სასამართლო: რეკომენდაციები და სამოქალაქო სამართლის საკითხებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა, თბ., 2011, გვ. 55

დელიქტური ვალდებულებიდან წარმოშობილი არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურების შემთხვევაში, უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ განმარტა, რომ თითოეულ, კონკრეტულ შემთხვევაში, მორალური ზიანის ანაზღაურება განისაზღვრება არა ეკვივალენტობის პრინციპით, არამედ საქმის ინდივიდუალური თავისებურებებიდან გამომდინარე – მორალური ზიანის ხარისხისა და ხასიათის, ასევე დაზარალებულისა და ზიანის მიმყენებლის ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით.¹²²

გ) მიზეზობრივი კავშირი

მიზეზობრივი კავშირი ქონებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების აუცილებელი ერთ-ერთი ელემენტია. სსკ-ის 412-ე მუხლის თანახმად, ანაზღაურებას ექვემდებარება ის ზიანი, რომელიც წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს. ამრიგად, რომ არა ავტოსაგზაო შემთხვევა, არ დადგებოდა არც ზიანი – სხეულის დაზიანებისათვის არაქონებრივი (მორალური) ზიანის სახით.

დ) „გ“-ს ბრალი ზიანის მიყენებაში

ბრალი, ქონებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების უმნიშვნელოვანესი სუბიექტური ელემენტია. ბრალის ცნებაში ამოსავალია სამოქალაქო ბრუნვისათვის ჩვეული ყურადღებიანობის დაცვა. სსკ-ის 992-ე მუხლი, ზოგადი წესის სახით, ამკვიდრებს ზიანის მიყენებისათვის ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპს. ზიანის მიმყენებლის ბრალი ასახავს პირის მიმართებას ჩადენილ მართლსაწინააღმდეგო ქმედებასთან, ე.ი., ატარებს სუბიექტურ ხასიათს.¹²³ სწორედ ქმედების სუბიექტური შეფასება განსაზღვრავს ბრალის ფორმებს: განზრახვას და გაუფრთხილებლობას. კაზუსის ფაბულიდან გამომდინარე, „გ“ პასუხს აგებს „მ“-ის და „კ“-ს ბრალეული ქმედებისთვის

¹²² საქართველოს უზენაესი სასამართლო: რეკომენდაციები და სამოქალაქო სამართლის საკითხებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა, თბ., 2011, გვ. 56

¹²³ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, ნიგნი მეოთხე, ტომი მეორე, თბ. გვ. 386

ისევე, როგორც საკუთარი ბრალეული ქმედებისთვის, რადგან ვერ განახორციელა სათანადო ზედამხედველობა.¹²⁴ სსკ-ის 997-ე მუხლის დანაწესიდან გამომდინარე, პირი ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, რომელიც მიაღწა მესამე პირს მისი მუშაკის მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით, თავისი შრომითი (სამსახურეობრივი) მოვალეობის შესრულებისას. შესაბამისად „გ“-ს გაუფრთხილებელი ბრალი (მუშე-ბის მიერ უსაფრთხოების ნორმების დარღვევა) სახეზეა.

შუალედური დასკვნა: „ა“-ს, სსკ-ის 997-ე, 413-ე მუხლის მეორე ნაწილის დანაწესების საფუძველზე, შეუძლია „გ“-საგან მოითხოვოს არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურება.

მოთხოვნის შემწყვეტა

კაზუსის ფაბულა არ შეიცავს მოთხოვნის შემწყვეტ გარემო-ებებზე მითითებას. ის გარემოება, რომ გზის დაზიანებულ მონაკ-ვეთზე გამაფრთხილებელი ნიშნისა და შემოღობვის არარსებობა გამონვეული იქნა მუშების „მ“-ის და „კ“-ს ბრალით, გავლენას არ ახდენს „ა“-ს მოთხოვნაზე „გ“-ს მიმართ, ზიანის ანაზღაურების შე-სახებ სსკ-ის 997-ე მუხლის დანაწესიდან გამომდინარე.

მოთხოვნის განხორციელებადობა

კაზუსის ფაბულის თანახმად, არ არსებობს გარემოებები, რომ-ლებიც დროებით ან მუდმივად აფერხებდნენ მოთხოვნის განხორ-ციელებას.

„ბ“-ს მოთხოვნა „ა“-ს მიმართ:

ჯანმრთელობისათვის მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზ-ღაურების შესახებ – 30.000 ლარი მკურნალობის ხარჯები და შრო-მისუნარიანობის შემცირების გამო ყოველთვიური სარჩო 250 ლა-რის ოდენობით.

მოთხოვნა, შესაძლოა გამომდინარეობდეს სსკ-ის 999-ე მუხლის პირველი და 408-ე მუხლის მეორე ნაწილის დანაწესებიდან.

¹²⁴ ბილინგი ჰაინ, ლუტრინგჰაუსი პეტერ, საქართველოს სამოქალაქო კოდექ-სის ცალკეული მოთხოვნის საფუძველების სისტემური ანალიზი, თბ. 2009, გვ. 61

მოთხოვნის წარმოშობა

მოთხოვნის წარმოშობის წინაპირობაა, „ა“-ს მიერ, მართლსაწინააღმდეგო ქმედებით, სხვა პირისათვის ზიანის მიყენება. ზიანის მიმყენებლისთვის ქონებრივი პასუხისმგებლობის დასაკისრებლად საჭიროა, რომ სახეზე გვექონდეს სამართალდარღვევის შემადგენლობა. შემადგენლობის ორგანიზმს ქმნის სამართლებრივად ფასეულ, სუბიექტურ და ობიექტურ, გარემოებათა ერთობლიობა, რომელთა თანაარსებობა ვალდებული პირისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველია.

ა) ვალდებული პირის მართლსაწინააღმდეგო ანუ არამართლზომიერი მოქმედება.

დელიქტური ვალდებულების წარმოშობის ერთ-ერთი პირობა არის ზიანის მიმყენებლის ქმედების არამართლზომიერება, რაშიც იგულისხმება სხვისი სუბიექტური უფლებების ყოველგვარი დარღვევა სათანადო უფლებამოსილების არქონის შემთხვევაში. არამართლზომიერი შეიძლება იყოს როგორც მოქმედება, ისე უმოქმედობა.¹²⁵ მართლსაწინააღმდეგოდ მოქმედებს ის, ვინც არღვევს სამართლებრივ დანაწესებს, სამართლის ნორმათა მოთხოვნებს. მართლსაწინააღმდეგობა სამართალდარღვევის ობიექტური ნიშანია და მისი არსებობა არაა დამოკიდებული ზიანის მიმყენებლის ცნობიერების ხასიათზე, სხვანაირად იმაზე, აცნობიერებდა თუ არა ზიანის მიმყენებელი თავისი ქმედების სამართლებრივ ხასიათს. მართლსაწინააღმდეგო ქმედებით, სახელშეკრულებო ურთიერთობებში, მოვალე ძირითადად კრედიტორის შეფარდებით (რელატიურ) უფლებებს არღვევს, მაშინ როცა, არასახელშეკრულებო (დელიქტურ) ურთიერთობებში, ზიანის მიმყენებლის მოქმედებით, ირღვევა აბსოლიტური უფლებები.¹²⁶ არის თუ არა მოქმედება მართლსაწინააღმდეგო, გადამოწმებულ უნდა იქნას ყოველ კონკრე-

¹²⁵ „იქვე“, გვ. 54

¹²⁶ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი (ზოიძე, ბ.), წიგნი III, თბ., 2001, გვ. 364

ტულ შემთხვევაში. ქმედება მართლსაწინააღმდეგოა, თუ: სადავო მოქმედება კანონით გათვალისწინებული აკრძალვის საწინააღმდეგოა (მაგალითად, სხვისი ქონების დაზიანება)¹²⁷ ან მოქმედება არღვევს საგანგებოდ დაცულ უფლებებს (სიცოცხლე, ფიზიკური ხელშეუხებლობა, ჯანმრთელობა, საკუთრება).¹²⁸

მართლსაწინააღმდეგო ქმედება გულისხმობს, როგორც აქტიურ მოქმედებას, ისე უმოქმედობასაც. მისი არსი ისაა, რომ ქმედება არღვევს სამართლის ნორმით გამოხატული მოქმედების ან უმოქმედობის ვალდებულებას. კანონის ან ხელშეკრულების ძალით პირი ვალდებული იყო (სამართლებრივი კრიტერიუმი, რომელიც გულისხმობს განსაზღვრული მოქმედების განხორციელების სამართლებრივ ვალდებულებას) და შეეძლო ემოქმედა (მოქმედების განხორციელების ფაქტობრივი შესაძლებლობა), თუმცა არ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა განსაზღვრული მოქმედება. სამოქალაქო სამართალში, მართლსაწინააღმდეგოდ მიიჩნევა სხვა პირთა დაცული ინტერესის ხელყოფა. მართლსაწინააღმდეგობა მოიცავს, როგორც კანონით დადგენილი ნესების, ისე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევას.¹²⁹

ბ) ზიანის არსებობა

ზიანი წარმოადგენს ქონებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების ერთ-ერთ საფუძველს. ზიანი, სწორედ რომ, მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგია. ანაზღაურებას ექვემდებარება სამართლებრივად მნიშვნელოვანი და დაცული ზიანი. სსკ-ის 408-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი განასხვავებს ქონებრივ და არაქონებრივ ზიანს. ზიანი შეიძლება მიადგეს პიროვნების ჯანმრთე-

¹²⁷ ბილინგი ჰაინ, ლუთრინგჰაუსი პეტერ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი, თბ., 2009, გვ. 53

¹²⁸ „იქვე“, გვ. 53

¹²⁹ Palandt/Heinrichs., §249. Rn.6. Staudinger/Schiemann. §249.

ლობას ან ქონებას. სამართალდარღვევის მატერიალური (ეკონომიკური) შედეგი (ქონების შემცირება), რომელსაც აქვს ღირებულებითი ფორმა, სამოქალაქო სამართალში იწოდება ქონებრივ ზიანად.¹³⁰ კაზუსის ფაბულიდან გამომდინარე, „ბ“-მ მოიტეხა ხელი და მიიღო თავის ქალის მძიმე ტრავმა, რის გამოც დასჭირდა ხანგრძლივი დროის განმავლობაში მკურნალობა, აგრეთვე შეუმცირდა შრომის უნარი. სსკ-ის 408-ე მუხლის მეორე ნაწილის დანაწესიდან გამომდინარე, თუ სხეულის დაზიანებით ან ჯანმრთელობისთვის ვნების მიყენების შედეგად, დაზარალებულს წაერთვა შრომის უნარი ან შეუმცირდა იგი, ანდა იზრდება მისი მოთხოვნილებები, დაზარალებულს უნდა აუნაზღაურდეს ზიანი ყოველთვიური სარჩოს გადახდით.

გ) მიზეზობრივი კავშირი

მიზეზობრივი კავშირი სამართალდარღვევის ერთ-ერთი აუცილებელი ელემენტია.¹³¹ ანაზღაურდება მხოლოდ ისეთი ზიანი, რომელიც მართლსაწინააღმდეგო ქმედებით იყო გამოწვეული. იმისათვის, რომ მოვალეს დაეკისროს პასუხისმგებლობა ვალდებულების დარღვევისთვის, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა გაირკვეს, წარმოადგენს თუ არა ზიანი მართლსაწინააღმდეგო მოქმედების უშუალო შედეგს.¹³² თუ მიზეზობრივი კავშირი სახეზეა, არსებული ზიანი ანაზღაურდება სრულად, მიუხედავად იმისა, თუ რა ოდენობისაა ეს ზიანი ან რამდენად მაღალია მოვალის ბრალეულობა დამდგარ შედეგში.¹³³ ეს წესი არ მოქმედებს მაშინ, როდესაც კრედიტორი თავადაც არის პასუხისმგებელი დამდგარი შედეგისთვის.¹³⁴

¹³⁰ ბილინგი ჰაინ, ლუტრინგჰაუსი პეტერ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი, თბ. 2009, გვ. 53

¹³¹ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი (ზოიძე, ბ.), წიგნი III, თბ., 2001, გვ. 368.

¹³² ახვლედიანი ზ. ვალდებულებითი სამართალი. თბ., 1999, გვ. 68.

¹³³ AnwK – BGB – Magnus, vor §§249-255. Rn.8. Münch Komm BGB/Oetker Bd.2a. §249, Rn 23; Staudinger/Schiemann. §249. Rn.42. Palandt/Heinrichs., §249. Rn.11

¹³⁴ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი (ზოიძე, ბ.), წიგნი III, თბ., 2001, გვ. 480-482.

სსკ-ის 326-ე მუხლის თანახმად, წესები, სახელშეკრულებო ვალდებულებების შესახებ, გამოიყენება, ასევე, სხვა არასახელშეკრულებო ვალდებულებათა მიმართ, თუკი ვალდებულების ხასიათიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს, ხოლო სსკ-ის 412-ე მუხლის თანახმად, კი, „ანაზღაურდება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს.“ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, უპირატესობას ანიჭებს უშუალო მიზეზობრივი კავშირის თეორიას, ანუ პირი მხოლოდ მაშინ აგებს პასუხს ზიანისთვის, როცა მისი ქმედება ადეკვატურ კავშირშია დამდგარ შედეგთან/ზიანთან (*causa principalis sine qua non*) ანუ, დამდგარი ზიანი დარღვეული ვალდებულების რეალური და მოსალოდნელი შედეგია და მისი მიზეზობრივი კავშირი ქმედებასთან, ობიექტური გადმოსახედიდან დასტურდება.¹³⁵ სავარაუდოა სახეზეა, თუ შედეგის დაშვება შეგნებული მოვალის პერსპექტივიდან ობიექტურად შესაძლებელი იყო.¹³⁶ მაშასადამე, უშუალო ანუ ადეკვატური მიზეზობრიობის თეორიის თანახმად, შედეგის მიზეზად ერთი პირობაც საკმარისია, თუ ის ქმნის შედეგის დადგომის ობიექტურ შესაძლებლობას, ანუ, მიზეზობრივი კავშირის დადგენისას გადაწყვეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს მოვლენებს შორის ობიექტური კავშირის არსებობას და იმას, რომ მიზეზსა და შედეგს მნიშვნელობა აქვს მხოლოდ კონკრეტულ შემთხვევაში. პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედება მხოლოდ მაშინაა ზიანის მიზეზი, როცა ის უშუალოდაა დაკავშირებული დამდგარ ზიანთან.¹³⁷ ამგვარად, ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მისი გამომწვევი ქმედების უშუალო, აუცილებელი, პირდაპირი შედეგია.¹³⁸ ამასთან დაკავშირე-

¹³⁵ სუსგ-ის განჩინება საქმეზე № 3კ/1184-01; 2002 წლის კრებული, გვ. 564.

¹³⁶ ბოლინგი ჰაინ, ლუთინგჰაუსი პეტერ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ცალკეული მოთხოვნის საფუძვლების სისტემური ანალიზი. თბ., 2009, გვ. 48.

¹³⁷ ძლიერიშვილი ზ. ქონების საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულებათა სამართლებრივი ბუნება. თბ., 2010, გვ. 66.

¹³⁸ ჩიკვაშვილი შ. დელიქტური ვალდებულებები სამოქალაქო სამართალში. კრებული „სახელმწიფოსა და სამართლის აქტუალური პრობლემები“. თბ., 2003, გვ. 186.

ბით, წესები იგივეა, რაც ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნებისას (მაგ. სსკ-ის 394-ე მუხლის პირველი აბზაცი). მაგრამ, გასათვალისწინებელია, რომ მხოლოდ ე.წ. ექვივალენტური კაუზალობა, *conditio-sine-qua-non* – ფორმულის თვალსაზრისით, არ არის საკმარისი (რომის სამართლიდან გამომდინარე, ამ ფორმულის მიხედვით, სამართლებრივი ფიგურა „მიზეზი“ (მართლსაწინააღმდეგო მოქმედება) შედეგის (ზიანი) თვალსაზრისით მაშინ არის კაუზალური, თუ მის გარეშე შედეგი არ დადგებოდა)).¹³⁹ აქედან გამომდინარე, ექვივალენტურობის თეორია იზღუდება ცნებით – შერაცხადობა (*Zurechenbarkeit*), შედეგად, საუბარია ადეკვატურ კაუზალობაზე. ეს უკანასკნელი სახეზეა, როცა ზოგადად, ცდომილება (მართლსაწინააღმდეგო ქმედება) ობიექტური თვალსაზრისით, და არც თუ მთლად თავისებური, უჩვეულო და ობიექტურად გათვალისწინებული გარემოებებიდან გამომდინარე საიმისოდ გამოდგება, რომ გამოიწვიოს დამდგარი შედეგი (ზიანი).¹⁴⁰

დ) „ა“-ს ბრალი ზიანის მიყენებაში

ქართული სამოქალაქო სამართალი, ზოგადი პრინციპის სახით, აფუძნებს ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპს, მაგრამ ამონაკლისის სახით, ითვალისწინებს ასევე ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის შესაძლებლობასაც. ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა შეიძლება გათვალისწინებული იყოს, როგორც სახელშეკრულებო, ისე არასახელშეკრულებო ვალდებულებით ურთიერთობებში.

ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის პრინციპია გათვალისწინებული, სწორედაც, რომ სსკ-ის 999-ე მუხლის პირველი ნაწილით, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მგზავრების გადაყვანისა და ტვირთების გადაზიდვისთვის გათვალისწინებული სატრანსპორტო საშუალების მფლობელი, თუ მისი სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატა-

¹³⁹ ლუთრინგჰაუსი, პეტერ. დელიქტური სამართალი, GIZ, სიესტა, თბ., 2011, გვ. 19

¹⁴⁰ „იქვე“, გვ. 19

ციას მოჰყვა ადამიანის სიკვდილი, დასახიჩრება ან ჯანმრთელობის მოშლა, ანდა ნივთის დაზიანება, ვალდებულია, დაზარალებულს აუნაზღაუროს აქედან წარმოშობილი ზიანი. კაზუსის ფაბულიდან გამომდინარე, ავტომანქანა არის სატრანსპორტო საშუალება, რომელიც გამოიყენებოდა მგზავრის გადასაცვანად; „ა“ არის სატრანსპორტო საშუალების მფლობელი; ადგილი აქვს სსკ-ის 999-ე მუხლის პირველი აბზაციით დაცული სამართლებრივი სიკეთის, კერძოდ, ადამიანის ჯანმრთელობის დაზიანებას; ეს ზიანი წარმოიშვა სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციისას.

სსკ-ის 999-ე მუხლი, ითვალისწინებს სამოქალაქო სამართლის ზოგადი პრინციპიდან (პასუხიმგებლობა, მიყენებული ზიანის გამო, პირს ეკისრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი მოქმედება არის ბრალეული) განსხვავებულ – სატრანსპორტო საშუალების მომხმარებლის ისეთ განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას, რა დროსაც მისი დაკისრებისათვის ბრალეულობა სავალდებულო არ არის.¹⁴¹

ამით არის ეს ნორმა გადახვევა იმ ზოგადი სამოქალაქო სამართლებრივი პრინციპიდან, რომლის მიხედვითაც, პასუხისმგებლობა, მიყენებული ზიანის გამო, ზიანის მიმყენებელს ეკისრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი მოქმედება არის ბრალეული.¹⁴² მაშასადამე, სსკ-ის 999-ე მუხლი ითვალისწინებს სატრანსპორტო საშუალების მფლობელის განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას.¹⁴³

ამ გამონაკლისს საფუძვლად უდევს ის გარემოება, რომ სატრანსპორტო საშუალება პოტენციური საფრთხის წყაროა და მისი მოხმარება განაპირობებს შედარებით მაღალი ხარისხით საზიანო შედეგების დადგომის შესაძლებლობას, ვიდრე სხვა, ჩვეულებრივი საქმიანობისას. ავტოსატრანსპორტო საშუალების ამგვარი

¹⁴¹ დელიქტური სამართლის პრობლემეტიკა GIZ-ის სემინარი, წყალტუბო, აპრილი, 2011, გვ. 39

¹⁴² ლუთინგჰაუსი, პეტერ. დელიქტური სამართალი, GIZ, სიესტა, თბ., 2011, გვ. 32

¹⁴³ „იქვე“, გვ. 32

თვისების გამო, იგი, მომეტებული საფრთხის წყაროდაა მიჩნეული და, მიუხედავად იმისა, რომ მისი მოხმარება სამართლებრივად ნებადართულია, პასუხისმგებლობა მომეტებული საფრთხის წყაროდან მომდინარე ზიანისთვის, ჩვეულებრივ, სამოქალაქოსამართლებრივ პასუხისმგებლობასთან შედარებით უფრო მკაცრია – ზიანის ანაზღაურების ვალდებულება მომეტებული საფრთხის წყაროს მფლობელს ბრალის მიუხედავად ეკისრება. აღნიშნული, გამონწვეულია იმ მატერიალური ობიექტების ფლობითა და სარგებლობით (ექსპლუატაციით ან ნებისმიერი ფორმით მისი გამოყენებით), რომელთაც განსაკუთრებული ხარისხობრივი თვისება აქვთ და ადამიანის მხრიდან, მათზე, სრული კონტროლის დამყარება შეუძლებელია.¹⁴⁴

ამავდროულად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების დაკისრებისას, სატრანსპორტო საშუალების მფლობელის პასუხისმგებლობა უნდა გამოირიცხოს, თუ ზიანი გამონწვეულია თუნდაც ნივთის ექსპლუატაციის დროს, მაგრამ სხვა გარე ფაქტორების ზემოქმედებით და არა მომეტებული საფრთხის წყაროს თვისებებიდან გამომდინარე.¹⁴⁵ პასუხისმგებლობის მთლიან ან ნაწილობრივ გამომრიცხველ გარემოებად უნდა ჩაითვალოს დაუძლეველი ძალა. დაუძლეველ ძალაში იგულისხმება, რომ, მიუხედავად ავტომანქანის გულისყურით მართვისა, ზიანის თავიდან აცილება ვერ ხერხდება. ასეთ შემთხვევაში, უნდა დადგინდეს, ზიანი გამონწვეულია თუ არა დაბრკოლებით, რომელიც არ შედიოდა ტრანსპორტის მფლობელის კონტროლის სფეროში და მას გონივრულად არ შეეძლო არც მისი წინასწარ გათვალისწინება და არც დაბრკოლების ან მისი შედეგ-

¹⁴⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 9 ნოემბრის განჩინება საქმეზე № ას-494-463-2010, გვ. 5

¹⁴⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლო. რეკომენდაციები სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემურ საკითხებზე და საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებით, თბ., 2007, გვ. 66

ბის თავიდან აცილება, ან დაძლევა,¹⁴⁶ ანუ პირი მოკლებული იყო დაბრკოლებაზე ზემოქმედების შესაძლებლობას.¹⁴⁷

პრაქტიკული თვალსაზრისით, მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს სსკ-ის 415-ე მუხლის (შერეული ბრალი – თანაბრალეულობა) სსკ-ის 999-ე მუხლთან მიმართება. სსკ-ის 415-ე მუხლი ადგენს შერეული ბრალის არსებობის შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების ოდენობის გამოთვლის წესს. რაც შეეხება სსკ-ის 999-ე მუხლს, იგი ითვალისწინებს ე.წ. ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის ერთ-ერთ სახეს, რაც დაკავშირებულია სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად დამდგარი ზიანისთვის პასუხისმგებლობის დაკისრებასთან. ისმის კითხვა: აქვს თუ არა დაზარალეულის ბრალს რაიმე მნიშვნელობა ზიანის ანაზღაურების საკითხის გადაწყვეტისას? სსკ-ის 415-ე მუხლი ზოგადი ხასიათის ნორმაა და ვრცელდება დელიქტური ვალდებულების დროს ზიანის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრაზეც. თუმცა სსკ-ის 999-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევა, სხვა დელიქტური ვალდებულებებისაგან განსხვავდება. მოცემულ შემთხვევაში მოქმედებს მომეტებული საფრთხის წყაროს ფაქტორი და ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის პასუხისმგებლობის სტანდარტი უფრო მაღალია, ვიდრე ზიანის მიყენების სხვა შემთხვევებში, თუმცა ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა იმგვარად არ უნდა გავიგოთ, რომ ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელი ყოველთვის აგებს პასუხს მიყენებული ზიანისთვის. **მთავარი ფაქტორი, რომელიც პასუხისმგებლობის დადგენისას გადამწყვეტია, უკავშირდება იმ გარემოებას, რომ ზიანის მიყენება ამ სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგი უნდა იყოს.**¹⁴⁸ მომეტებული საფრთხის

¹⁴⁶ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 9 ნოემბრის განჩინება საქმეზე № ას-494-463-2010, გვ. 6

¹⁴⁷ ლუთინგვაუსი, პეტერ. დელიქტური სამართალი, GIZ, სიესტა, თბ., 2011, გვ. 33

¹⁴⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლო: რეკომენდაციები და სამოქალაქო სამართლის საკითხებზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა, თბ., 2011, გვ. 30

წყაროთი მიყენებული ზიანისთვის, პასუხისმგებლობის განსაკუთრებული ნორმები მოქმედებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ზიანის დადგომა გამოწვეულია იმ ფაქტორების მოქმედებით, რომელთა გამოც ეს საშუალება მომეტებული საფრთხის წყაროდაა მიჩნეული. ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელი პასუხს აგებს მიყენებული ზიანისათვის, თუ ვერ დაამტკიცებს, რომ ზიანის დადგომა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის მოქმედებით ან თავად დაზარალებულის განზრახვით. ამ ფაქტორების გათვალისწინებით, ცალკეულ შემთხვევებში შესაძლებელია ზიანის მიმყენებელი პირის, როგორც პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება, ისე, ზიანის ანაზღაურების ოდენობის შემცირება. ასეთ შემთხვევებში, უნდა მოხდეს თავად დაზარალებულის ბრალის გამოკვლევა.¹⁴⁹

სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების ვალდებულების სუბიექტური შემადგენლობის თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ პასუხისმგებლობა ზიანისთვის ყოველთვის ეკისრება სატრანსპორტო საშუალების მფლობელს.¹⁵⁰

სსკ-ს 999-ე მუხლის მიზნებიდან გამომდინარე, სატრანსპორტო საშუალების მფლობელად მიიჩნევა პირი, ვინც, იურიდიული საფუძვლით, ახორციელებს ამ ნივთზე ფაქტობრივ ბატონობას.¹⁵¹ სატრანსპორტო საშუალების მფლობელი, შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი, რომელიც კანონიერი საფუძვლებით ფლობს სატრანსპორტო საშუალებას (მესაკუთრე, დამქირავებელი, მოიჯარე და სხვა). სატრანსპორტო საშუალების მფლობელად არ ჩაითვლება პირი, რომელიც სატრანსპორტო საშუალებას მართავს სატრანსპორტო საშუალების მფლობელთან შრომითი ურთიერთობის საფუძველზე (მძღოლები, მემანქანეები, მფრინავები

¹⁴⁹ „იქვე“, გვ. 30

¹⁵⁰ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV, ტომი 2, თბ. 2001, გვ. 406

¹⁵¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს, სამოქალაქო საქმეთა პალატის, 2010 წლის 15 ივლისის განჩინება საქმეზე № ას-39-38 გვ. 14

და სხვა). კანონით ზიანის ანაზღაურების ვალდებულება წარმოიშობა, თუ ზიანი მოჰყვა სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციას. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ ზიანი მიყენებულ უნდა იქნას სატრანსპორტო საშუალების მოძრაობის დროს.¹⁵² სსკ-ს 999-ე მუხლი ითვალისწინებს, სატრანსპორტო საშუალების მფლობელის განსაკუთრებულ პასუხისმგებლობას. ამ გამონაკლისს შემდეგი აზრი უდევს საფუძვლად: სატრანსპორტო საშუალება ყოველთვის არის პოტენციური საფრთხის წყარო; როგორც კომპენსაცია, ამ სატრანსპორტო საშუალებიდან წარმოშობილი საფრთხისა, არის გაძლიერებული პასუხისმგებლობა იმ პირებისა, ვინც, ასეთი საგნის გამოყენებით, სხვა პირთათვის საფრთხის წყაროს ქმნის. აღნიშნული ნორმა, არის ნებადართული საფრთხისათვის პასუხისმგებლობის საფუძველი და ამიტომაც, საფრთხის შექმნისათვის პასუხისმგებლობის ერთ-ერთი ფორმა.¹⁵³ ამ ნორმის გამოყენება მიზანშეწონილია მხოლოდ მაშინ, როდესაც დაზარალებულის პიროვნებაში რეალიზება ჰპოვა იმ საფრთხემ, რომლის თავიდან აცილებაც კანონმდებელს სურდა.¹⁵⁴ კაზუსის ფაბულიდან გამომდინარე, სწორედაც რომ „ა“-ს მართლსაწინააღმდეგო ქმედებამ გამოიწვია „ბ“-ს ჯანმრთელობისთვის ვნების მიყენება.

შუალედური დასკვნა: „ბ“-ს, სსკ-ს 999-ე მუხლის პირველი ნაწილის და 408-ე მუხლის მეორე ნაწილიდან გამომდინარე, შეუძლია „ა“-საგან მოითხოვოს სხეულის დაზიანების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

მოთხოვნის შეწყვეტა

კაზუსის ფაბულა არ შეიცავს მოთხოვნის შემწყვეტ გარემოებებზე მითითებას. ის გარემოება, რომ გზის დაზიანებულ მონაკვეთზე გამაფრთხილებელი ნიშნისა და შემოღობვის არარსებობა

¹⁵² საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV, ტომი 2, თბ. 2001, გვ. 407

¹⁵³ დელიქტური სამართლის პრობლემატიკა gtz-ის სემინარი, წყალტუბო, აპრილი, 2011 წელი, გვ. 41

¹⁵⁴ „იქვე“, გვ. 41

გამონვეული იქნა მუშების ბრალით, გავლენას არ ახდენს „ბ“-ს მოთხოვნაზე „ა“-ს მიმართ, ზიანის ანაზღაურების შესახებ სსკ-ის 999-ე მუხლის პირველი ნაწილის დანაწესიდან გამომდინარე.

მოთხოვნის განხორციელება

კაზუსის ფაბულის თანახმად, არ არსებობს გარემოებები, რომლებიც დროებით ან მუდმივად აფერხებდნენ მოთხოვნის განხორციელებას.

საბოლოო დასკვნა

პირველი მოთხოვნა:

„ა“-ს, სსკ-ის 997-ე, 408-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილის, 411-ე მუხლის დანაწესებიდან გამომდინარე, შეუძლია მოითხოვოს „გ“-საგან ავტოსაგზაო შემთხვევის (ავარიის) შედეგად მიყენებული 10.000 ლარის ოდენობის მატერიალური ზიანი (მკურნალობის ხარჯები – 5.000 ლარი, ავტომანქანის შეკეთების ხარჯები – 3.000 ლარი, ავტომანქანის დაზიანების გამო მიუღებელი შემოსავალი – 2.000 ლარი) ანაზღაურება.

მეორე მოთხოვნა

„ა“-ს, სსკ-ის 997-ე, 413-ე მუხლის მეორე ნაწილის დანაწესებიდან გამომდინარე, შეუძლია მოითხოვოს „გ“-საგან, სხეულის დაზიანებისათვის არაქონებრივი (მორალური) ზიანის ანაზღაურება 5.000 ლარის ოდენობით.

მესამე მოთხოვნა

„ბ“-ს მოთხოვნა „ა“-ს მიმართ:

„ბ“-ს, სსკ-ის 999-ე მუხლის პირველი ნაწილის, 408-ე მუხლის მეორე ნაწილის დანაწესიდან გამომდინარე, შეუძლია მოითხოვოს „ა“-საგან ჯანმრთელობისთვის მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურება – მკურნალობის ხარჯები 30.000 ლარის ოდენობით და შრომისუნარიანობის შემცირების გამო, ყოველთვიურად გადასახდელი სარჩო 250 ლარის ოდენობით.

კაზუსი № 11

თემატიკა: დელიქტის ზოგადი შემადგენლობა, სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულება.

„ლიმონელის“ დისტრიბუტორი ლევანი მალაზიებში შეკვეთების ჩამორიგებას ჩქარობს. ერთ-ერთ მალაზიაში, ლიმონათით დატვირთული ყუთის შეტანის დროს, ის არ აქცევს ყურადღებას მალაზიიდან გამომსვლელ მომხმარებელს, სალომეს და ეჯახება მას. შედეგად, მომხმარებელი ვერ ინარჩუნებს წონასწორობას და მოუხერხებლად ეცემა ძირს. სამედიცინო შემონმების შედეგად დგინდება, რომ დაცემის შედეგად, მომხმარებელს – სალომეს აქვს მსუბუქი ტვინის შერყევა და ხელის მოტეხილობა. აღნიშნული მკურნალობის ხარჯები 600 ლარს აღწევს. გარდა ამისა, სალომე ცეკვის მასწავლებელია და მისი ყოველთვიური ანაზღაურება 300 ლარს შეადგენს. ექიმების დასკვნის საფუძველზე, იგი სამსახურში ვერ გავა, სულ მცირე, შემდგომი 2 თვის განმავლობაში. რა მოთხოვნები გააჩნია სალომეს და ვის მიმართ?

სალომეს მოთხოვნები ლევანის მიმართ.

შესაძლოა, სალომეს ჰქონდეს, სსკ-ის 992-ე მუხლის 411 და 413-ე მუხლების შესაბამისად, ლევანისაგან ზიანის ანაზღაურების, მათ შორის მიუღებელი შემოსავლისა და მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა ამ მუხლებით გათვალისწინებული წინაპირობები.

სსკ-ის 992-ე მუხლის თანახმად:

ზიანი – სალომე დავარდა და მოიტეხა ფეხი, მიიღო ტვინის შერყევა, წარმოეშვა მკურნალობის ხარჯები 600 ლარის ფარგლებში. ამასთან, ის, შემდგომი ორი თვის განმავლობაში, ვერ იმუშავებს და ვერ მიიღებს ხელფასს, მისი ხელფასი შეადგენს 300 ლარს თვეში (+)

პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედება – არ არსებობს მართლ-წინააღმდეგობის გამომრიცხავი გარემოებები (+).

მიზეზობრივი კავშირი – ლევანის მიერ დაჯახების, კერძოდ, ქმედების უშუალო შედეგია სალომეს ნაქცევა და შესაბამისი ჯანმ-

რთელობის დაზიანება, ისე, როგორც მისი ჯანმრთელობის დაზიანების გამო შრომისუნარიანობის დროებითი მოშლა (+).

ბრალი – გაუფრთხილებლობა, კერძოდ წინდახედულობის ნორმების უგულვებელყოფა (+).

სსკ-ის 992-ე მუხლის წინაპირობები სახეზეა, შესაბამისად:

სსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად, ანაზღაურებას ექვემდებარება მიუღებელი შემოსავალი, რაც, მოცემულ შემთხვევაში, სახეზეა ორი თვის ხელფასის სახით (+).

სსკ-ის 413-ე მუხლის თანახმად, მორალური ზიანის მოთხოვნა დასაშვებია მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში. სსკ-ის 413-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა შესაძლებელია სხეულისა და ჯანმრთელობის დაზიანების შემთხვევაში (+).

დასკვნა: სალომეს აქვს ლევანისგან სსკ-ის 992-ე, 411-ე და 413-ე მუხლების შესაბამისად ზიანის ანაზღაურების, მათ შორის მიუღებელი შემოსავლისა და მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.

სალომეს, შესაძლოა ჰქონდეს სსკ-ის 997-ე, 411-ე და 413-ე მუხლების შესაბამისად ზიანის ანაზღაურების, მათ შორის მიუღებელი შემოსავლისა და მორალური ზიანის ანაზღაურების, მოთხოვნის უფლება „ლიმონელის“ მიმართ.

იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა სსკ-ის 997-ე მუხლით გათვალისწინებული წინაპირობები

ზიანი (+)

მისი მუშაკის მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით – არ არსებობს მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავი გარემოებები (+);

ლევანის მიერ, სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას, შეკვეთების ჩამოტარების პროცესში (+);

გამონაკლისი, ბრალის არარსებობა ლევანის მხრიდან, რაც სახეზე არ არის (+);

ფაქტობრივი გარემოებებიდან არ იკვეთება მოთხოვნის შეწყვეტის საფუძვლები.

არ არსებობს მოთხოვნის განხორციელების დამაბრკოლებელი გარემოებები.

დასკვნა: სალომეს, სსკ-ის 997-ე, 413-ე, 411-ე მუხლების შესაბამისად, გააჩნია ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება „ლიმონელის“ მიმართ.

სამართლებრივი დასკვნა

შესაძლოა, სალომეს ჰქონდეს, სსკ-ის 992-ე მუხლის, 411-ე და 413-ე მუხლების შესაბამისად, ლევანისაგან ზიანის ანაზღაურების, მათ შორის მიუღებელი შემოსავლისა და მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა ამ მუხლებით გათვალისწინებული წინაპირობები.

სსკ-ის 992-ე მუხლის თანახმად, პირი, რომელიც მართლსაწინააღმდეგო ბრალეული მოქმედებით სხვას მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აანაზღაუროს ეს ზიანი. შესაბამისად, უნდა დადგინდეს, არის თუ არა სახეზე აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული წინაპირობები.

ზიანი – სალომე დავარდა და მოიტეხა ფეხი, მიიღო ტვინის შერყევა. მას წარმოეშვა მკურნალობის ხარჯები 600 ლარის ფარგლებში. ამასთან, ის, შემდგომი ორი თვის განმავლობაში, ვერ იმუშავებს და ვერ მიიღებს ხელფასს. მისი ხელფასი შეადგენს 300 ლარს თვეში. შესაბამისად ზიანი სახეზეა და ის შეადგენს 1200 ლარს.

პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედებად, ითვლება ნებისმიერი ზიანის მიყენება, რომელიც მართლზომიერი არ არის. კერძოდ, არ არსებობს ზიანის მიყენების გამამართლებელი სამართლებრივი საფუძვლები. მოცემული კაზუსიდან, არ იკვეთება მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავი გარემოებები, შესაბამისად მართლწინააღმდეგობა სახეზეა.

მიზეზობრივი კავშირი სახეზეა, როდესაც ზიანი, ზიანის მიმყენებლის მიერ, ჩადენილი ქმედების უშუალო შედეგია. ლევანის მიერ დაჯახების, კერძოდ, ქმედების უშუალო შედეგია სალომეს ნაქცევა

და შესაბამისი ჯანმრთელობის დაზიანება, ისე როგორც მისი ჯანმრთელობის დაზიანების გამო შრომისუნარიანობის დროებითი მოშლა. შესაბამისად, მიზეზობრივი კავშირიც სახეზეა.

ბრალი – მოცემულ შემთხვევაში, შესაძლოა, სახეზე იყოს გაუფრთხილებლობა. კერძოდ, ლევანმა სიჩქარეში, მაღაზიაში ყუთის შეტანის დროს, არ მიაქცია ყურადღება მაღაზიიდან გამომსვლელ მომხმარებელს – სალომეს, და დაეჯახა მას. აღნიშნული ქმედება ლევანის მხრიდან, წინდახედულების ნორმების უგულვებელყოფაა, ვინაიდან როდესაც პირი დატვირთული ყუთით ხელში შედის მაღაზიაში მან მეტი ყურადღება უნდა გამოიჩინოს და გაითვალისწინოს, რომ მაღაზიიდან შესაძლოა გამოდიოდის მომხმარებელი ან სულაც კართან იდგეს. შესაბამისად გაუფრთხილებლობაც უდაოდ სახეზეა.

შუალედური დასკვნა: სსკ-ის 992-ე მუხლით გავალისწინებული ყველა წინაპირობა სახეზეა.

სსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად ანაზღაურებას ექვემდებარება არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ზიანი, არამედ მიუღებელი შემოსავალიც. მოცემულ შემთხვევაში მიუღებელ შემოსავალს შეადგენს ორი თვის ხელფასი რომელსაც სალომე მიიღებდა ლევანის მხრიდან შეჯახების ფაქტს რომ ადგილი არ ჰქონოდა, რამაც მას შრომისუნარიანობა დროებით წაართვა.

სს-ის 413-ე მუხლის თანახმად მორალური ზიანის მოთხოვნა დასაშვებია მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში. სსკ-ის 413-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა შესაძლებელია სხეულისა და ჯანმრთელობის დაზიანების შემთხვევაში. მოცემულ კაზუსში სალომეს სწორედ სხეულისა და ჯანმრთელობის ზიანი მიადგა, შესაბამისად მას შეუძლია მოთხოვოს მორალური ზიანის ანაზღაურება.

დასკვნა: სალომეს აქვს ლევანისგან სსკ-ის 992-ე, 411-ე და 413-ე მუხლების შესაბამისად ზიანის ანაზღაურების, მათ შორის მიუღებელი შემოსავლისა და მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.

სალომეს შესაძლოა ჰქონდეს სსკ-ის 997-ე, 411-ე და 413-ე მუხლების შესაბამისად ზიანის ანაზღაურების, მათ შორის მიუღებელი შემოსავლისა და მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება „ლიმონელის“ მიმართ.

იმ შემთხვევაში თუ სახეზეა სსკ-ის 997-ე მუხლით გათვალისწინებული წინაპირობები:

ზიანი – სალომე დავარდა და მოიტეხა ფეხი, მიიღო ტვინის შერყევა. მას წარმოეშვა მკურნალობის ხარჯები 600 ლარის ფარგლებში. ამასთან ის შემდგომი ორი თვის განმავლობაში ვერ იმუშავებს და ვერ მიიღებს ხელფასს, მისი ხელფასი შეადგენს 300 ლარს თვეში. შესაბამისად, ზიანი სახეზეა და ის შეადგენს 1200 ლარს.

მისი მუშაკის მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით მიყენებული ზიანი – პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედებად ითვლება ნებისმიერი ზიანის მიყენება, რომელიც მართლზომიერი არ არის. კერძოდ არ არსებობს ზიანის მიყენების გამამართლებელი სამართლებრივი საფუძვლები. მოცემული კაზუსიდან არ იკვეთება მართლსაწინააღმდეგობის გამომრიცხავი გარემოებები, შესაბამისად მართლსაწინააღმდეგობა სახეზეა. აღნიშნული ზიანი მიყენებულია სწორედ „ლიმონელის“ მუშაკის, კერძოდ მისი დისტრბუტორის ლევანის მიერ. შესაბამისად აღნიშნული წინაპირობაც სახეზეა.

მიზეზობრივი კავშირი ასევე სახეზეა, კერძოდ ზიანი ზიანის მიმყენებლის, კერძოდ „ლიმონელის“ მუშაკის მიერ ჩადენილი ქმედების უშუალო შედეგია. ლევანის მიერ დაჯახების, კერძოდ ქმედების უშუალო შედეგია სალომეს ნაქცევა და შესაბამისი ჯანმრთელობის დაზიანება, ისე როგორც მისი ჯანმრთელობის დაზიანების გამო შრომისუნარიანობის დროებითი მოშლა. შესაბამისად მიზეზობრივი კავშირიც სახეზეა.

ლევანის მიერ სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულება – ლევანი სწორედ სამსახურის შეკვეთების ჩამოტარების პროცესში ეჯახება მომხმარებელს, რომელიც გამოდის მაღაზიიდან და აზიანებს მას. შესაბამისად ეს წინაპირობაც სახეზეა.

„ლიმონელის“ პასუხისმგებლობა არ დადგება იმ შემთხვევაში, თუ მუშაკი მოქმედებდა ბრალის გარეშე. მოცემულ შემთხვევაში შესაძლოა სახეზე იყოს ბრალი გაუფრთხილებლობის ფორმით. გაუფრთხილებლობა არის წინდახედულების ნორმების უგულვებელყოფა. ლევანმა სიჩქარეში მალაზიაში ყუთის შეტანის დროს არ მიაქცია ყურადღება მალაზიიდან გამომსვლელ მომხმარებელ სალომეს, და დაეჯახა მას. აღნიშნული ქმედება ლევანის მხრიდან, წინდახედულების ნორმების უგულვებელყოფაა, ვინაიდან, როდესაც პირი დატვირთული ყუთით ხელში შედის მალაზიაში, მან მეტი ყურადღება უნდა გამოიჩინოს და გაითვალისწინოს, რომ მალაზიიდან შესაძლოა გამოდიოდეს მომხმარებელი ან სულაც კართან იდგას. შესაბამისად, გაუფრთხილებლობაც უდავოდ სახეზეა.

სსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად, ანაზღაურებას ექვემდებარება არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ზიანი, არამედ მიუღებელი შემოსავალიც. მოცემულ შემთხვევაში, მიუღებელ შემოსავალს შეადგენს ორი თვის ხელფასი, რომელსაც სალომე მიიღებდა ლევანის მხრიდან შეჯახების ფაქტს რომ ადგილი არ ჰქონოდა, რამაც მას შრომისუნარიანობა დროებით წაართვა.

სსკ-ის 413-ე მუხლის თანახმად, მორალური ზიანის მოთხოვნა დასაშვებია მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში. სსკ-ის 413-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა შესაძლებელია სხეულისა და ჯანმრთელობის დაზიანების შემთხვევაში. მოცემულ კაზუსში, სალომეს, სწორედ სხეულისა და ჯანმრთელობის ზიანი მიადგა, შესაბამისად, მას შეუძლია მოითხოვოს მორალური ზიანის ანაზღაურება.

ფაქტობრივი გარემოებებიდან არ იკვეთება მოთხოვნის შეწყვეტის საფუძვლები.

არ არსებობს მოთხოვნის განხორციელების დამაბრკოლებელი გარემოებები.

დასკვნა: სალომეს, სსკ-ის 997-ე, 413-ე, 411-ე მუხლების შესაბამისად, გააჩნია ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება „ლიმონელის“ მიმართ.

კაზუსი № 12

თემატიკა: უსაფუძვლო გამდიდრება, შეცდომით დაღებულ გარიგება.

2011 წლის 15 ივნისს, საიუველირო მაღაზიაში „საგანძური“ ლევანი ეძებს ოქროს ბეჭედს ნიშნობისათვის. ის, დიდი ხნის ფიქრის შედეგად, შეარჩევს ერთ-ერთს, რომელიც ყველაზე ძვირადღირებულია (100 ლარი ღირს) და გამყიდველის განმარტებით ოქროსია. სახლში მისული ლევანი, კმაყოფილი აჩვენებს აღნიშნულ შენაძენს დედას, რომელიც ბეჭედის შეთვალეიერებისთანავე დაადგენს, რომ აღნიშნული ბეჭედი არ არის ოქროსი. მეორე დღესვე, ლევანი ბრუნდება მაღაზიაში, სურს ბეჭედის დაბრუნება და ითხოვს მის მიერ გადახდილ 100 ლარს უკან.

ლევანს შესაძლებელია ჰქონდეს „საგანძურისგან“ 100 ლარის უკან მოთხოვნის უფლება, 976-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული წინაპირობები:

პირი, რომელმაც ვალდებულების შესასრულებლად სხვას რაიმე გადასცა, უფლებამოსილია მოითხოვოს გადაცემული უკან, იმ შემთხვევაში თუ:

ვალდებულება ბათილობის ან სხვა საფუძვლით არ არსებობს, წარმოიშვა ან შეწყდა შემდგომ.

ლევანი – პირი, რომელმაც გადასცა „საგანძურის“ გამყიდველს 100 ლარი ვალდებულების შესასრულებლად (+).

ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება ბათილობის ან სხვა საფუძვლით შეწყდა, არ წარმოიშვა ან არ არსებობს.

შესაძლოა, სახეზე იყოს საცილობის საფუძველი, კერძოდ არსებითი შეცდომა სსკ-ის 72-ე და 74-ე მუხლის მეორე ნაწილის გაგებით საცილო გარიგების ბათილობისთვის აუცილებელია სახეზე იყოს შეცილების საფუძველი, უფლებამოსილი პირი და ნამდვილი შეცილება.

მოცემულ შემთხვევაში, სსკ-ის 74-ე მუხლის მე-2 ნაწილით შეცილების საფუძველი – შეცდომა, საგნის ძირითად თვისებებში, ნივ-

თის ღირებულებას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს, ბექდის შემთხვევაში ოქროსია თუ არა (+).

შეცილება, სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილით შეცილება ხორციელდება მეორე მხარის მიმართ, მეორე დღესვე ბრუნდება და სურს ბექდის დაბრუნება (+).

ლევანი უფლებამოსილი პირია, ვინაიდან გარიგების მხარეა (+).

შეცილების ვადა – სსკ-ის 79-ე მუხლის შესაბამისად ერთი თვე შეცილების საფუძვლის შეტყობიდან (+).

ფაქტობრივი გარემოებებიდან არ იკვეთება მოთხოვნის შეწყვეტის საფუძვლები.

არ არსებობს მოთხოვნის განხორციელების დამაბრკოლებელი გარემოებები.

დასკვნა: ლევანს აქვს „საგანძურისგან“ 100 ლარის უკან მოთხოვნის უფლება სსკ-ის 976-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად (+).

სამართლებრივი დასკვნა

ლევანს შესაძლებელია ჰქონდეს „საგანძურისგან“ 100 ლარის უკან მოთხოვნის უფლება სსკ-ის 976-ე მუხლის შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული წინაპირობები.

პირი, რომელმაც ვალდებულების შესასრულებლად სხვას რაიმე გადასცა, უფლებამოსილია მოითხოვოს გადაცემული უკან იმ შემთხვევაში, თუ ვალდებულება ბათილობის ან სხვა საფუძვლით არ არსებობს, წარმოიშვა ან შეწყდა შემდგომ.

ლევანმა შეიძინა მალაზია „საგანძურში“ ბექედი და გადაიხდა ნასყიდობის ფასი 100 ლარი. აღნიშნული თანხა, მან გადასცა „საგანძურის“ გამყიდველს ვალდებულების შესასრულებლად, ანუ ნასყიდობის საფასურის გადახდის მიზნით. შესაბამისად, ის არის პირი, რომელმაც მალაზია „საგანძურის“ გამყიდველს გადასცა რაიმე (ამ შემთხვევაში 100 ლარი).

ლევანი, შესაძლოა, უფლებამოსილი იყოს, მოითხოვოს აღნიშნული თანხის უკან დაბრუნება, თუ ლევანსა და „საგანძურს“ შორის ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მყიდველის ვალდებულება არ არსებობს, არ წარმოშობილა ან შეწყდა შემდგომ, ხელშეკრულების ბათილობის ან სხვა საფუძველით.

დასადგენია, არსებობს თუ არა ლევანსა და „საგანძურს“ შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ნამდვილობის დამაბრკოლებელი გარემოება.

ბათილობის საფუძველები კაზუსიდან არ იკვეთება. მოცემული ფაქტობრივი გარემოებებიდან არ იკვეთება ასევე, იცოდა თუ არა გამყიდველმა ნივთის რეალური ღირებულება და თვისებები. შესაბამისად, სსკ-ის 81-ე მუხლით გათვალისწინებული, მოტყუებით დადებული გარიგების შემადგენლობა არ იკვეთება.

თუმცა, შესაძლოა სახეზე იყოს შეცილების სხვა საფუძველი, კერძოდ შეცდომა.

სსკ-ის 59-ე მუხლის ნაწილის შესაბამისად, საცილო გარიგება ბათილია მისი დადების მომენტიდან, თუ იგი შეცილებულ იქნება. ამისათვის აუცილებელია, სახეზე იყოს შეცილების საფუძველი, შეცილებაზე უფლებამოსილი პირი და ნამდვილი შეცილება.

შეცილების საფუძველი:

მოცემულ შემთხვევაში, შესაძლოა, სახეზე იყოს შეცდომა საგნის ძირითად თვისებებში. სსკ-ის 74-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, შეცდომა საგნის თვისებებში ჩაითვლება არსებითად, თუ მათ მნიშვნელობა აქვს საგნის ღირებულების განსაზღვრისათვის. არსებითი შეცდომა, კი, სსკ-ის 72-ე მუხლის შესაბამისად წარმოშობს შეცილების უფლებას.

ლევანს სურდა ნიშნობისათვის ოქროს ბეჭდის შექმნა. მან, სწორედ ამიტომ გადაიხადა აღნიშნულ ბეჭედში 100 ლარი. ის, რომ ბეჭედი ოქროსი არ აღმოჩნდა, უნდა ჩაითვალოს ისეთ შეცდომად საგნის ძირითად თვისებებში, რომელიც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ნივთის ღირებულებას. კერძოდ, ბეჭედი, რომელიც ოქროსია,

არსებითად ძვირი ღირს, ვიდრე უბრალო მეტალისგან დამზადებული ბეჭედი.

შუალედური შედეგი: შეცილების საფუძველი სახეზეა.

ლევანი არის პირი, რომელმაც თავად დადო გარიგება და გახდა შეცდომის მსხვერპლი. ის, უდავოდ არის, სსკ-ის 59-ე მუხლის მესამე ნაწილის გაგებით, შეცილებაზე უფლებამოსილი დაინტერესებული პირი.

დასადგენია, მოხდა თუ არა ლევანის მიერ შეცილება. სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილით შეცილება ხორციელდება მეორე მხარის მიმართ. ლევანი, მეორე დღესვე ბრუნდება და სურს ბეჭდის დაბრუნება. აღნიშნული, უნდა ჩაითვალოს სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ შეცილებადად. შეცილება ცალმხრივი მიღებასავალდებულო ნების გამოვლენაა და იგი სსკ-ის 51-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ნამდვილი ხდება მეორე მხარისათვის შეტყობინების მომენტიდან, კერძოდ, როდესაც იგი მეორე მხარეს მიუვა. შეცილება ნამდვილი გახდა 2011 წლის 16 ივნისს, როდესაც ლევანი მალაზიაში დაბრუნდა და მოითხოვა თანხის უკან დაბრუნება ბეჭდის დაბრუნების სანაცვლოდ.

დასადგენია, არის თუ არა აღნიშნული შეცილება სსკ-ის 79-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად დადგენილ ვადაში განხორციელებული. შეცილება უნდა მოხდეს საფუძველის შეტყობიდან ერთი თვის განმავლობაში. ლევანმა შეცდომის შესახებ შეიტყო 15 ივნისს. შესაბამისად, ის, 16 ივნისს, მიდის მალაზიაში და სადავოდ ხდის ხელშეკრულებას შეცდომის შეტყობიდან მეორე დღეს. შეცილების ვადა დაცულია, გარიგება ნამდვილი, შეცილების საფუძველზე ბათილი – დადების მომენტიდან სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად.

ვინაიდან, სსკ-ის 976-ე მუხლის 1-ლი ნაწილისა და ა პუნქტი გათვალისწინებული წინაპირობები სახეზეა, ფაქტობრივი გარემოებებიდან არ იკვეთება მოთხოვნის შეწყვეტის საფუძველები.

არ არსებობს მოთხოვნის განხორციელების დამაბრკოლებელი გარემოებები.

დასკვნა: ლევანს აქვს „საგანძურისგან“ 100 ლარის უკან მოთხოვნის უფლება სსკ-ის 976-ე 1-ლი ნაწილის შესაბამისად.

კაზუსი № 13

თამაზ კიკნაძის საკუთრებაში იყო მემკვიდრეობით მშობლები-საგან მიღებული ქონება: საცხოვრებელი სახლი თბილისში (100 000 ევროდ ღირებული); და ბინა ბათუმში (50 000 ევროდ ღირებული) მას ჰყავდა მეუღლე ნათელა და შვილები: დავითი, ქეთევანი და თამარი. თამაზი, ნათელა და ქეთევანი ერთად ცხოვრობდნენ თბილისის სახლში, ხოლო დავითი და თამარი დაოჯახებული იყვნენ და სხვაგან ცხოვრობდნენ.

თამაზ კიკნაძემ 2010 წელს შეადგინა ანდერძი სანოტარო ფორმით და თავის ქალიშვილს ქეთევან კიკნაძეს უანდერძა თბილისის საცხოვრებელი სახლიდან 1/9 ნაწილი, ხოლო მეუღლეს ნათელას, კი 8/9 ნაწილი, თამარზე კი რომელიც მამის დაუკითხავად გათხოვდა ანდერძში მიუთითა რომ ართმევდა მემკვიდრეობის უფლებას ყველა სამკვიდრო ქონებაზე.

2012 წლის 5 მარტს ავტოკატასტროფაში გარდაიცვალა თამაზის ვაჟი დავითი, რომელსაც ერთი შვილი ლევანი დარჩა. თამაზმა შვილის გარდაცვალების შემდეგ დიდხანს იავადმყოფა და გარდაიცვალა 2013 წლის 12 აგვისტოს.

1. თამაზის შვილიშვილმა დავითის ვაჟმა ლევანმა პაპის გარდაცვალების შემდეგ 2013 წლის 20 ნოემბერს სანოტარო ბიუროში შეიტანა განცხადება, ხოლო მოგვიანებით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა პაპის სამკვიდროდან, კერძოდ თბილისის სახლიდან მისთვის სავალდებულო წილის გადაცემა იმ ოდენობით რაც მამამისს ეკუთვნოდა.

2. თამაზის შვილმა თამარმა 2013 წლის 1 დეკემბერს ასევე შეიტანა განცხადება სანოტარო ბიუროში, ხოლო შემდეგ მიმართა სა-


სამართლოს და მოითხოვა მისთვის თბილისის სახლიდან და ბათუმის სახლიდან სავალდებულო წილის გამოყოფა – 1/6-ის ოდენობით.

3. თამაზის შვილმა ქეთევანმაც ასევე პრეტენზია გამოხატა თბილისის სახლთან დაკავშირებით და მოითხოვა ანდერძით დატოვებული მისი წილის გაზრდა და ამ ქონებიდან მისთვის უფრო მეტის გამოყოფა ვიდრე მონადერძემ უანდერძა.

მოპასუხეები: ქეთევანი და ნათელა სარჩელს არ ცნობენ და მიუთითებენ, რომ ლევანი არ არის სავალდებულო მემკვიდრე და არც სავალდებულო წილი არ ეკუთვნის, ხოლო თამარს ანდერძით ჩამორთმეული აქვს მემკვიდრეობის უფლება ყველა ქონებაზე და შესაბამისად ვერც სავალდებულო წილს ვერ მიიღებს ვერც ბათუმისა და ვერც თბილისის სამკვიდრო ქონებებიდან

როგორია მემკვიდრეთა მოთხოვნების მატერიალურ-სამართლებრივი საფუძვლები?

მიიღებს თუ არა ლევანი სავალდებულო წილს? არის თუ არა მემკვიდრე თამარი? და რა წილი ეკუთვნის სამკვიდროდან ქეთევანს?



კაზუსის ამოხსნის სქემა:

I. მოსარჩელე ლევანის მოთხოვნა სავალდებულო წილის მიკუთვნების თაობაზე შეიძლება ეფუძნებოდეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1371-ე მუხლს.

მამკვიდრებლის შვილებს, მშობლებსა და მეუღლეს, ანდერძის შინაარსის მიუხედავად, ეკუთვნით სავალდებულო წილი, რომელიც უნდა იყოს იმ წილის ნახევარი, რაც თითოეულ მათგანს კანონით მემკვიდრეობის დროს ერგებოდა.

1. მოთხოვნის წარმოშობა:

1. 1. სამართლებრივი და ფაქტობრივი წინაპირობები

ა. მემკვიდრეობის გახსნა სსკ 1319-ე მუხლი +.

ა.ა. მამკვიდრებლის თამაზ კიკნაძის გარდაცვალება +.

(გარდაცვალებად სსკ მე-11 მუხლის თანახმად ითვლება თავის ტვინის ფუნქციონირების შეწყვეტა).

ბ. ანდერძისმიერი მემკვიდრეობა სსკ 1306+.

სავალდებულო წილის მოთხოვნის წარმოშობისათვის სამართლებრივი აუცილებელი წინაპირობაა ანდერძისმიერი მემკვიდრეობის გახსნა. ე.ი. მამკვიდრებელს შედგენილი უნდა ჰქონდეს ანდერძი: ანდერძი უნდა იყოს ნამდვილი და არ უნდა იყოს გაუქმებული.

ბ. თამაზ კიკნაძემ შეადგინა ანდერძი სსკ 1307; 1357 მუხლები +.

ბ. ა. ანდერძი ნამდვილია; სსკ-ის 1344; 1345; 1346; 1357-1369-ე მუხლების საფუძველზე +.

ბ. ბ. ქონება განაწილებულია ანდერძისმიერ მემკვიდრეებს შორის სსკ 1348-ე მუხლი +.

გ. სავალდებულო წილის მიღების უფლებით სარგებლობენ მამკვიდრებლის პირველი რიგის მემკვიდრეები: მეუღლე, მშობლები, შვილები.

გ.ა. მამკვიდრებელს ჰყავს პირველი რიგის მემკვიდრეები სსკ 1306-ე მუხლი +.

გ. ბ. თამაზ კიკნაძის შვილი თამარი არის პირველ რიგის კანონისმიერი მემკვიდრე; სსკ 1336-ე მუხლი +.

გ.გ. დავით კიკნაძის შვილი ლევანი არის თამაზ კიკნაძის კანონისმიერი პირველი რიგის წარმომადგენლობითი მემკვიდრე; სსკ-ის 1336 (1) +.

გ.დ. თამაზ კიკნაძის მეუღლე ნათელა არის პირველი რიგის მემკვიდრე სსკ 1336-ე მუხლი +.

გ.ე. თამაზ კიკნაძის შვილი ქეთევანი არის პირველი რიგის მემკვიდრე სსკ 1336-ე მუხლი +.

დ. მემკვიდრეობის საკუთრებაში მიღების აუცილებელი წინაპირობაა სამკვიდროს მიღება სამკვიდროს გახსნიდან 6 თვის ვადაში.

დ.ა. ყველა მემკვიდრემ, მათ შორის ლევანმა სამკვიდრო მიიღო კანონით განსაზღვრულ 6 თვიან ვადაში +.

დ.ბ. სამკვიდროს მიღება შესაძლებელია ფაქტობრივი ფლობით; სსკ 1421-ე მუხლის პირველი და მესამე ნაწილი; სსკ 1424-ე მუხლი.

დ.გ. სამკვიდროს მიღება შესაძლებელია სანოტარო ორგანოსთვის განცხადების შეტანის გზით სსკ 1421-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილი; სსკ 1424-ე მუხლები.

დ.დ. მიღებული სამკვიდრო მემკვიდრეს საკუთრებას წარმოადგენს სამკვიდროს გახსნის დღიდან სსკ 1424-ე მუხლი +.

დ.ე. მემკვიდრე ლევანმა სამკვიდრო მიიღო სანოტარო ორგანოში განცხადების შეტანის გზით, შესაბამისად იგი ითვლება მიღებული სამკვიდროს მემკვიდრედ და მესაკუთრედ სამკვიდროს გახსნის დღიდან. სსკ 1433-ე მუხლი +.

შუალედური შედეგი: ლევანი წარმოადგენს მამკვიდრებლის პირველი რიგის წარმომადგენლობით მემკვიდრეს.

1.2. მამკვიდრებლის შვილებს, მშობლებს და მეუღლეს ანდერძის შინაარსის მიუხედავად ეკუთვნით სავალდებულო წილი, სსკ 1371-ე მუხლი.

ა. სავალდებულო მემკვიდრეა მხოლოდ პირველი რიგის მემკვიდრე – მშობელი, მეუღლე, შვილი. ლევანი არ არის არც ერთი მათგანი,

იგი არის შვილიშვილი მამკვიდრების და სსკ 1336-ე მუხლის შესაბამისად მხოლოდ პირველი რიგის წარმომადგენლობითი მემკვიდრეა -.

ბ. სსკ 1372-ე მუხლის თანახმად სავალდებულო წილის მოთხოვნის უფლება წარმოიშობა სამკვიდროს გახსნის მომენტიდან და ასეთი მოთხოვნის უფლება გადადის მემკვიდრეობით. ლევანის მამას არ წარმოშობია სამკვიდროდან სავალდებულო წილის მიღების უფლება რომელიც გადავიდოდა მემკვიდრეობით ლევანზე -.

გ. სსკ-ის 1307-ე მუხლის თანახმად, როგორც კანონით, ისე ანდერძით მემკვიდრე შეიძლება იყოს პირი, რომელიც ცოცხალია მამკვიდრების სიკვდილის მომენტიდან. – ლევანის მამა ცოცხალი არ იყო სამკვიდროს გახსნის დროისთვის, შესაბამისად ის რაც არ შედიოდა ლევანის მამის სამკვიდრო მასაში ვერ გადავიდოდა მემკვიდრეობით მის შვილზე ლევანზე სსკ 1307; სსკ 1328-ე მუხლის შესაბამისად -.

დ. მემკვიდრეობით ტრანსმისიას ადგილი არ აქვს, შესაბამისად ვერც ტრანსმისიით გახდება ლევანი სავალდებულო წილის მესაკუთრე (სსკ 1430-ე მუხლი) -.

ამრიგად ლევანის მოთხოვნა სავალდებულო წილის მიკუთვნების თაობაზე არ წარმოშობილა სსკ 1372; 1371 და 1307-ე მუხლების თანხმად; ლევანი არ წარმოადგენს რა სავალდებულო მემკვიდრეს ვერ მიიღებს სავალდებულო წილს პაპის სამკვიდროდან. რადგან სავალდებულო წილის უფლების მქონე პირის გარდაცვალება წინ უსწრებდა მამკვიდრების გარდაცვალებას. ლევანი ვერ მიიღებს სავალდებულო წილს რომელიც მამამისს ეკუთვნოდა.

საბოლოო დასკვნა: ლევანის მოთხოვნა სავალდებულო წილის მიკუთვნების თაობაზე არ წარმოშობილა.

II. მემკვიდრე თამარის მოთხოვნა სამკვიდრო ქონებიდან წილის გამოყოფის თაობაზე შეიძლება ეფუძნებოდეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1371-ე და 1306; 1336-ე; მუხლებს

1. მოთხოვნის წარმოშობა:

1. 1. წინაპირობები:

- სამკვიდროს გახსნა 1319-ე მუხლი (შემონმებულია) +;
- ანდერძისმიერი მემკვიდრეობა ქონების ნაწილზე სსკ 1306-ე მუხლი (შემონმებულია) +;
- კანონისმიერი მემკვიდრეობა ქონების ნაწილზე სსკ 1306-ე მუხლი +;
- კანონისმიერი მემკვიდრეების მიერ სამკვიდროს მიღება სსკ 1421-ე მუხლი (შემონმებულია)+;
- თამარმა მიიღო სამკვიდრო მემკვიდრეობის გახსნიდან 6 თვის ვადაში მიმართა რა სანოტარო ორგანოს განცხადებით, შესაბამისად იგი ითვლება მიღებული სამკვიდროს მემკვიდრედ და მესაკუთრედ სსკ 1433-ე მუხლის თანახმად +.

პირველი შუალედური დასკვნა: თამარი არ არის ანდერძისმიერი მემკვიდრე იგი არის მამკვიდრებლის პირველის რიგის კანონისმიერი მემკვიდრე, რომელმაც სამკვიდრო მიიღო.

თუმცა: საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს მემკვიდრისათვის სამკვიდროს ჩამორთმევის შესაძლებლობას კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში: ესენია 1. მემკვიდრის უღირს მემკვიდრედ ცნობა და 2. მემკვიდრეობის ჩამორთმევა.

1.2. მემკვიდრის უღირს მემკვიდრედ აღიარება:

არც კანონით და არც ანდერძით მემკვიდრე არ შეიძლება იყოს პირი, რომელიც განზრახ ხელს უშლიდა მამკვიდრებელს მისი უკანასკნელი ნების განხორციელებაში და ამით ხელს უწყობდა თავისი ან მისი ახლობელი პირების მოწვევას მემკვიდრეებად ან სამკვიდროში მათი წილის გაზრდას, ანდა ჩაიდინა განზრახი დანაშაული ან სხვა ამორალური საქციელი მოანდერძის მიერ ანდერძში გამოთქმული უკანასკნელი ნებასურვილის საწინააღმდეგოდ, თუ ეს გარემოებანი დადასტურებული იქნება სასამართლოს მიერ (უღირსი მემკვიდრე) სსკ 1310-ე მუხლი -.

პირის უღირს მემკვიდრედ აღიარებისათვის აუცილებელია შემდეგი პირობების არსებობა:

- ა. მემკვიდრის ქმედებები უნდა იყოს განზრახვი -;
- ბ. მემკვიდრის ქმედებები უნდა იყოს მართლსაწინააღმდეგო -;
- გ. მემკვიდრის ქმედებები უნდა იყოს მიმართული თვით მამკვიდრებლისა ან მისი რომელიმე მემკვიდრის მიმართ, ან მამკვიდრებლის ანდერძში გამოთქმული მისი უკანასკნელი ნების განხორციელების წინააღმდეგ -;

დ. თავისი მოქმედებით მემკვიდრეები ხელს უწყობდნენ ან ცდილობდნენ ხელი შეეწყოთ თავისი ან მათი ახლობელი პირების მოწვევისთვის მემკვიდრეებად ან სამკვიდროში მათი წილის გაზრდისათვის -.

მეორე შუალედური დასკვნა: თამარი არ არის უღირსი მემკვიდრე;

1.3. მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევა

მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევის საფუძვლებია:

ა. კანონით მემკვიდრეები ვერ იქნებიან აგრეთვე პირნი, რომლებიც ბოროტად თავს არიდებდნენ მათზე დაკისრებულ მოვალეობას, ერჩინათ მამკვიდრებელი, თუ ეს გარემოება დადასტურებულია სასამართლო წესით. სსკ. 1311-ე მუხლი -;

ბ. მონადერძეს შეუძლია ანდერძით მემკვიდრეობა ჩამოართვას ერთ, რამდენიმე ან ყველა კანონით მემკვიდრეს და იგი არ არის ვალდებული მიუთითოს ამის მოტივზე. პირი, რომელსაც ანდერძის პირდაპირი მითითებით ჩამოერთვა მემკვიდრეობა, ვერც კანონით მემკვიდრე ვერ იქნება ქონების იმ ნაწილზე, რომელიც ანდერძში არ შესულა, ასევე – მაშინაც, როცა ანდერძით მემკვიდრეებმა უარი თქვეს სამკვიდროს მიღებაზე სსკ 1354-ე მუხლი +;

ბ.ა. მონადერძემ შეადგინა ანდერძი+ (შემონმებულია);

ბ.ბ. ანდერძის ნამდვილობა + (შემონმებულია);

ბ.გ. ანდერძი შეიცავს მამკვიდრებლის პირდაპირ განკარგულებას და მითითებას მემკვიდრისათვის, (თამარისათვის) მემკვიდრეობის ჩამორთმევის შესახებ სსკ 1354-ე მუხლი +.

მესამე შუალედური დასკვნა: თამარი არ არის არც კანონისმიერი მემკვიდრე.

1.4. სავალდებულო წილი ჩამორთმევა -

ა. მამკვიდრებლის მეუღლეს მშობლებს და შვილებს ანდერძის შინაარსის მიუხედავად ეკუთვნით სავალდებულო წილი (1371)+;

ბ. მამკვიდრებელმა შეადგინა ანდერძი, რომელიც ნამდვილია სსკ 1344; 1345; 1346; 1357-1369- მუხლების საფუძველზე (შემონმებულია) +;

ბ. თამარი არის მამკვიდრებლის პირველი რიგის მემკვიდრე – შვილი, რომელმაც სამკვიდრო მიიღო სსკ 1336; 1421-ე მუხლები (შემონმებულია) +;

გ. სავალდებულო წილის მიღების უფლების ჩამორთმევა მოანდერძეს შეუძლია სიცოცხლეშივე მხოლოდ სასამართლოსათვის მიმართვის გზით სსკ 1381-ე მუხლი -;

ვინაიდან თამარს ჩამოერთვა ანდერძით მემკვიდრეობა იგი ვერ იქნება კანონით მემკვიდრე ანდერძით განაწილებულ ქონებაზე და ვერც ქონების იმ ნაწილზე რომელიც ანდერძში არ შესულა ანუ ვერ მიიღებს კანონისმიერ მამკვიდრეობას და მიიღებს მხოლოდ სავალდებულო წილს. ვინაიდან მამკვიდრებელმა ანდერძით ჩამოართვა თამარს მემკვიდრეობა ყველა ქონებაზე სსკ 1354-ე მუხლის შინაარსისა და მიზნებიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ რომ თამარი მიიღებს სავალდებულო წილს ანდერძით გათვალისწინებული ქონებიდანაც და ასევე მიიღებს სავალდებულო წილს ანდერძის გარეთ დარჩენილი ქონებიდანაც, (ე.ი. ყველა სამკვიდრო მასიდან) ვინაიდან სავალდებულო წილის უფლება მემკვიდრეს არ შეიძლება ანდერძით ჩამოერთვას და სავალდებულო მემკვიდრეს იგი ეკუთვნის ანდერძის შინაარსის მიუხედავად.

დ. მამკვიდრებლის შვილებს, მშობლებსა და მეუღლეს, ანდერძის შინაარსის მიუხედავად, ეკუთვნით სავალდებულო წილი, რომელიც უნდა იყოს იმ წილის ნახევარი, რაც თითოეულ მათგანს კანონით მემკვიდრეობის დროს ერგებოდა. სსკ 1371-ე მუხლი +;

ე. თამარის გარდა მამკვიდრებელს დარჩა კიდევ სამი პირველი რიგის მემკვიდრე შვილი ქეთევანი, მეუღლე ნეთელა და შვილიშვილი ლევანი, რომლებიც მხედველობაში მიიღებიან სავალდებულო წილის გაანგარიშების დროს. სსკ 1374-ე მუხლი +.

მეოთხე შუალედური დასკვნა: თამარს ეკუთვნის სავალდებულო წილი როგორც ანდერძით გათვალისწინებული თბილისის, ასევე ანდერძის გარეშე დარჩენილი ბათუმის სახლიდან თითოეულიდან 1/8 ნაწილის ოდენობით.

2. მოთხოვნის შეწყვეტა: კაზუსი არ შეიცავს მოთხოვნის შემწყვეტ გარემოებებზე მითითებას

3. მოთხოვნის განხორციელებადობა: კაზუსი არ შეიცავს მოთხოვნის განხორციელების დამაბრკოლებელ გარემოებებზე მითითებას;

4. საბოლოო შედეგი: თამარი მიიღებს სავალდებულო წილს ყველა სამკვიდრო ქონებებიდან, თითოეულიდან 1/8 ნაწილის ოდენობით.

III. ქეთევანის მოთხოვნა დანარჩენ მემკვიდრეთა მიმართ სამკვიდროში მისი წილის გაზრდის თაობაზე შესაძლოა ეფუძნებოდეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1379-მუხლს.

1. მოთხოვნის წარმოშობა:

წინაპირობები:

ა. სამკვიდროს გახსნა სსკ 1319-ე მუხლი (შემონმებულია) +.

ბ. მოანდერძემ შეადგინა ანდერძი, რომელიც ნამდვილია სსკ 1344; 1345- 1346; 1357-1369- მუხლების საფუძველზე (შემონმებულია) +.

გ. მამკვიდრებელმა ქონება უანდერძა პირველი რიგის მემკვიდრეს, ქეთევანს, რომელიც სავალდებულო მემკვიდრეს წარმოადგენს და სავალდებულო წილის მიღების უფლება ექნებოდა. სსკ 1336-ე და 1371-ე მუხლები +.

დ. სავალდებულო წილის მიღების უფლების მქონე მემკვიდრეს, შვილს ქეთევანს ეანდერძა ქონება რომელიც იმ წილის ნახევარზე

ნაკლებია,რომელსაც იგი კანონით მემკვიდრეობის დროს მიიღებდა; სსკ 1379-ე მუხლი+.

ე. კანონით მემკვიდრეობის დროს ქეთევანი, როგორც მამკვიდრებლის პირველი რიგის მემკვიდრე მიიღებდა თბილისის სამკვიდრო ქონებიდან 1/3 წილს; სსკ 1336-ე მუხლი +.

ვ. სავალდებულო წილის სახით ქეთევანი მიიღებდა თბილისის სამკვიდრო ქონების 1/6 წილს; სსკ 1374-ე მუხლი +.

ზ. სავალდებულო მემკვიდრეს ქეთევანს ეანდერძა ქონების 1/9 წილი, ე.ი. სავალდებულო წილზე (1/6-ზე) ნაკლები სსკ 1344; 1379-ე მუხლები +.

შუალედური დასკვნა ქეთევანი მიიღებს თბილისის სახლიდან წილს რომელიც იმ წილზე ნაკლებია რასაც სავალდებულო წილის სახით მიიღებდა, ანდერძი რომ არ ყოფილიყო. ანდერძი რომ არ ყოფილიყო ქეთევანი მიიღებდა თბილისის სახლიდან 1/6 წილს სავალდებულო წილის სახით.

2. მოთხოვნის შეწყვეტა: კაზუსი არ შეიცავს მოთხოვნის შემწყვეტ გარემოებებზე მითითებას.

3. მოთხოვნის განხორციელებადობა: კაზუსი არ შეიცავს მოთხოვნის განხორციელების დამაბრკოლებელ გარემოებებზე მითითებას.

4. საბოლოო შედეგი: ქეთევანი მიიღებს თბილისის სახლიდან შეესებულ წილს სულ 1/6 ნაწილს.

კაზუსი № 14

ნოდარი ადრე დაქვრივდა. ის თავის მეგობარ ქალბატონ მერის-თან ერთად, წლების განმავლობაში ცხოვრობდა ქ. თბილისში, ერთ-ერთ პრესტიჟულ უბანში მდებარე საცხოვრებელ სახლში.

მან მთელი უძრავ-მოდრავი ქონება უანდერძა მერის. სამკვიდროში შედიოდა საცხოვრებელი სახლი და 200 000 \$ შეფასებული ცნობილი მხატვრის ფერწერული ტილო [ორიგინალი].

შინაურული ანდერძის შედგენიდან რამდენიმე თვეში, მერი გაუნაწყენდა ნოდარის იმის გამო, რომ ეს უკანასკნელი არ აპირებდა მათი ურთიერთობისთვის კანონიერი სახის მიცემას [ქორწინების რეგისტრაციას] და საცხოვრებლად გადავიდა ნაქირავებ ბინაში. იგი ყოველთვიურად 600\$ იხდიდა ქირის სახით.

მიუხედავად ნოდარის არაერთი მცდელობისა, მერი შერიგებას არ აპირებდა. ამით განაწყენებულმა ნოდარმა ერთ დღესაც დახია შინაურული ანდერძი და მობილურით SMS გაუგზავნა მერის, რომლითაც ატყობინებდა მას ანდერძის განადგურების შესახებ. მერიმ ტექნიკური მიზეზის გამო შეტყობინება ვერ მიიღო.

ანდერძის განადგურებიდან რამდენიმე დღეში ნოდარი ავტოკატასტროფაში დაიღუპა. ნოდარის გარდაცვალების შემდეგ მერი საცხოვრებლად გადავიდა ნოდარის კუთვნილ სახლში.

მან ფერწერული ტილო 240 000 აშშ დოლარად გაყიდა და აღებული თანხის ნაწილით კაპიტალური რემონტი ჩაუტარა მთელ სახლს. (დაამონტაჟა ავტონომიური გათბობის სისტემა, გამოცვალა სან.ტექნიკა, განაახლა ინტერიერი და ა.შ.). მის მიერ განუღმამ ხარჯებმა შეადგინა 70 000 \$. ამის შედეგად სახლის ღირებულება 40 000 \$-ით გაიზარდა.

საცხოვრებელ სახლში გადასვლიდან 7 თვის შემდეგ, მერისთან გამოცხადდა ნოდარის ბიძაშვილი ლატავრა, რომელმაც განაცხადა, რომ ისაა ერთადერთი მემკვიდრე და წარუდგინა სანოტარო ორგანოში ნოდარის გარდაცვალებიდან 6 თვეში, მემკვიდრეობის მიღებაზე მის მიერ შეტანილი განცხადების ასლი. გარდა ამისა, მან

მერის წარუდგინა ნოდარის უკანასკნელი წერილიც, რომელშიც იგი აღწერდა მერისთან დაშორებისა და ანდერძის განადგურების დეტალებს.

მერი გაოგნებულია და აცხადებს შემდეგს: „ვიცოდი, რომ ნოდარმა სიცოცხლეში შეადგინა შინაურული ანდერძი, რომლითაც მხოლოდ მე დამასახელა მემკვიდრედ; ვერ წარმომედგინა, რომ ნოდარი შეიცვლიდა აზრს და არ გაითვალისწინებდა იმას, რომ ჩვენ ფაქტიურად, როგორც მეუღლეები ისე ვცხოვრობდით ერთად.“ იგი თვლის, რომ ლატავრამ უნდა გაითვალისწინოს სახლზე განეული ის ხარჯები, რაც კაპიტალური რემონტის დროს გაიღო [70 000 აშშ დოლარი].

რა მოთხოვნები და რის საფუძველზე შეიძლება გააჩნდეთ ერთმანეთის მიმართ მერის და ლატავრას?

წინასწარი მიმოხილვა:

მოცემულ კაზუსში ვამონმებთ შემდეგ შესაძლო მოთხოვნებს:

მხარეთა შორის სახელშეკრულებო ურთიერთობა არ არსებობს; შესაბამისად, განიხილება კანონის საფუძველზე წარმოშობილი მოთხოვნის საფუძველები, პირველ რიგში კი, სანივთო მოთხოვნები:

ა) ლატავრამ შესაძლებელია მერისგან მოითხოვოს საცხოვრებელი სახლის უკან დაბრუნება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის¹⁵⁵ 172-ე მუხლის საფუძველზე. შესაბამისად, სახეზე უნდა იყოს შემდეგი სამართლებრივი წინაპირობები: ლატავრა ნივთის მესაკუთრე უნდა იყოს, მერი უნდა ახორციელებდეს ნივთის ფლობას და მას არ უნდა გააჩნდეს ნივთის ფლობის სამართლებრივი საფუძველი.

ნივთის ვინდიცირება მესაკუთრის დაცვის სამართლებრივი საშუალებაა. მართალია, ლატავრა კონსტიტუციურად ჯერ არ გამხდარა მესაკუთრე, მაგრამ მან სამკვიდრო მიიღო კანონით დადგენილ ვადაში [ნოტარიუსთან განცხადების წარდგენის გზით] და შესაბამისად, კანონის საფუძველზე გახდა მესაკუთრე [სსკ-ის

¹⁵⁵ შემდგომში სსკ

1421-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილები, სსკ 1424-ე და 1433-ე მუხლები]; ის ფაქტი, რომ მას არა აქვს წარმოშობილი უფლება საჯარო რეესტრში დარეგისტრირებული, მოცემულ შემთხვევაში ვერავითარ ზეგავლენას ვერ მოახდენს მისი, როგორც მესაკუთრის სტატუსზე და მას შეუძლია მერის წინააღმდეგ გამოიყენოს ნივთის დაბრუნების მოთხოვნა. საჯარო რეესტრი მესამე პირებთან ურთიერთობაში მოწესრიგებული სამოქალაქო ბრუნვის გარანტიის ფუნქციის მატარებელია, და მემკვიდრეებს შორის ურთიერთობების ქრილში გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ენიჭება.¹⁵⁶

ბ) თავის მხრივ, შესაძლოა მერისაც გააჩნდეს ლატავრას მიმართ ნივთზე განუხლები ხარჯების – 70 000 \$ მოთხოვნის უფლება სსკ 163-ე მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე, რამაც შეიძლება დროებით ხელი შეუშალოს ნივთის გამოთხოვის შესახებ ლატავრას მოთხოვნის განხორციელებას.

მოცემული ნორმა ითვალისწინებს ქონებაზე განუხლები დანახარჯებისა და ამ ქონების სარგებლობით მიღებული სამართლებრივი სიკეთის დაბალანსების შესაძლებლობას, თუმცა მისი გამოყენებისას აუცილებელია მფლობელის, მერის სამართლებრივი მდგომარეობის სწორად განსაზღვრა; სსკ-ის 163-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით მერი საცხოვრებელი სახლის არაუფლებამოსილი კეთილსინდისიერი მფლობელია, რადგანაც მას თავიდანვე არ ჰქონია ნივთის ფლობის უფლება, მაგრამ მან ფლობის სამართლებრივი ხარვეზის შესახებ არ იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა, რადგანაც იგი კეთილსინდისიერად ვარაუდობდა, რომ ანდერძი არსებობდა.

შესაბამისად, ამ მოთხოვნის წარმოშობის წინაპირობებია: მერის მიერ სამართლებრივი საფუძვლის გარეშე ლატავრას საცხოვრებელი სახლის ფლობა, მისი კეთილსინდისიერება ფლობის ფაქტის მიმართ, მის მიერ კეთილსინდისიერი მფლობელობის დროს ნივთის გაუმჯობესება – 70 000 \$ დოლარის ხარჯის გაღება, ხარჯი

¹⁵⁶ ამასთან დაკავშირებით იხილეთ უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 12 ივლისის № ას-146-140-2012 განჩინება.

არ უნდა იყოს კომპენსირებული ნივთით სარგებლობითა და მისგან მიღებული ნაყოფით.

ბ) ლატავრას მოთხოვნა მერის მიმართ ფერწერული ტილოს გასხვისებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე შესაძლოა დაეფუძნოს სსკ-ის 982-ე მუხლის პირველ და 979-ე მუხლის მეორე ნაწილებს.

კონდიქციური სამართლიდან გამომდინარე, ამ მოთხოვნის უფლების გარდა, ასევე შეიძლებოდა ყურადღება გაგვემახვილებინა დელიქტიდან გამომდინარე მოთხოვნის საფუძველზეც, ანუ სსკ 992-ე მუხლის შემადგენლობაზე: მერის მოქმედების მართლსაწინააღმდეგობა – სხვისი სამართლებრივი სიკეთის – ლატავრას საკუთრების ხელყოფა, კაუზალური კავშირი მერის მოქმედებასა და სამართლებრივი სიკეთის ხელყოფას შორის, ზიანი და ბრალეულობა. ფაბულის მიხედვით მერისათვის ცნობილი იყო ნოდარის მიერ შედგენილი შინაურული ანდერძის შინაარსი და თვლიდა, რომ მართლზომიერად განკარგავდა ტილოს. შესაბამისად, არ იკვეთება დელიქტური პასუხისმგებლობისათვის აუცილებელი ელემენტი – ბრალი [სხვისი სამართლებრივი სიკეთის განზრახ, ან გაუფრთხილებელი ხელყოფა]. ამდენად, დელიქტური მოთხოვნა წარუმატებელი იქნება – ვერ მიიღწევა ზიანის ანაზღაურების სამართლებრივი შედეგი.

შესაბამისად, უნდა შემოწმდეს კონდიქციური მოთხოვნის შემდეგი წინაპირობები: ლატავრა ტილოს მესაკუთრე, მერის მიერ ლატავრას ქონებრივი სიკეთის ხელყოფა – ფერწერული ტილოს გასხვისება, გასხვისებაზე ლატავრას, [უფლებამოსილი პირის], არც წინასწარი და არც შემდგომი თანხმობის არ არსებობა, მერის გამდიდრება და ზიანი – ტილოს დაბრუნების შეუძლებლობა.

კაზუსის ამოხსნის სქემა:

ა) ლატავრას მოთხოვნა მერის მიმართ საცხოვრებელი სახლის დაბრუნების თაობაზე შესაძლოა გამომდინარეობდეს სსკ-ის 172-ე მუხლის პირველი ნაწილიდან;

1. მოთხოვნის წარმოშობა

სამართლებრივი წინაპირობები:

- 1) ლატავრა – ნივთის [საცხოვრებელი სახლის] მესაკუთრე;
 - 2) მერი – სახლის მფლობელი;
 - 3) მერის არ უნდა ჰქონდეს ნივთის უფლება;
1. ლატავრა საცხოვრებელი სახლის მესაკუთრეა [+];
- 1.1. საცხოვრებელი სახლის ადრინდელი მესაკუთრე იყო ნოდარი, რომელიც ავტოავარიაში დაიღუპა. მისი გარდაცვალების შედეგად გაიხსნა სამკვიდრო [+] სსკ-ის 1319-ე მუხლი;
 - 1.2. საცხოვრებელი სახლი შედის სამკვიდროში [+] სსკ-ის 1332.1?
 - 1.3. სამკვიდრებლის ქონების გადასვლა სხვა მემკვიდრეებზე ხორციელდება კანონით ან ანდერძით, ანდა ორივე საფუძველით [სსკ-ის 1306.1];
 - 1.4. მართალია, ნოდარმა სიცოცხლეში მერის სასარგებლოდ შეადგინა შინაურული ანდერძი, მაგრამ მოგვიანებით მან ანდერძი გაანადგურა და მას სხვა საანდერძო განკარგულება არ გაუკეთებია [სსკ-ის 1344-ე და 1398-ე მუხლები];
 - 1.5. ამოქმედდა კანონისმიერი მემკვიდრეობის ნორმები. ნოდარს დარჩა ერთადერთი [მეხუთე რიგის] კანონისმიერი მემკვიდრე – ლატავრა [+] სსკ-ის 1336-ე მუხლი [+];
 - 1.6. ლატავრა კანონის საფუძველზე გახდა ნოდარის ქონების, მათ შორის: საცხოვრებელი სახლის მესაკუთრე [+] სსკ-ის 1433-ე მუხლი;
 - 1.6.1. ლატავრამ კანონით დადგენილ ვადაში სანოტარო ორგანოში შეიტანა განცხადება, რაც უდავოდ მოწმობს რომ მან სამკვიდრო მიიღო [+] სსკ-ის 1421-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილები და სსკ 1424-ე მუხლი;
 - 1.6.2. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ ლატავრა ერთადერთი მემკვიდრეა, იგივე სამართლებრივ შედეგთან გვექნებოდა საქმე მაშინაც, თუ იგი განცხადებას არ შეიტანდა სანოტარო ორგანოში. აღნიშნული გამომდინარეობს

ნარეობს სსკ 1426-ე მუხლის პირველი ნაწილის ბოლო წინადადების შინაარსიდან;

- 1.7. ლატავრას საკუთრების უფლების წარმოშობის დამაბრკოლებელი გარემოებები, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 1434-ე, 1310-ე, 1344-ე მუხლებით სახეზე არ არის;
2. მერი ფლობს საცხოვრებელ სახლს [+] – 155.1?
 - 2.1. მერი საკუთარი ნებით ახორციელებს ნივთზე ფაქტობრივ ბატონობას [+];
3. მერის არ გააჩნია ნივთის ფლობის უფლება, რადგანაც არ არსებობს ამის არც გარიგებისმიერი და არც კანონისმიერი საფუძველი [+]¹⁵⁷;
 - 3.1. მერი ვერ ისარგებლებს სკ-ის 162-ე მუხლის დანაწესით, რადგანაც იგი ნივთის არამართლზომიერი მფლობელია;
 - 3.2. მართალია იგი, წლების განმავლობაში ნოდარისთან ერთად ცხოვრობდა და მასთან ერთად ეწეოდა საერთო მეურნეობას სამემკვიდრეო სახლში, მაგრამ იგი ვერ ისარგებლებს პირველი რიგის მემკვიდრეობის უფლებით, რადგანაც არ იმყოფებოდა ან გარდაცვლილთან რეგისტრირებულ ქორწინებაში [სსკ-ის 1336-ე, 1106 და 1151-ე მუხლები];
 - 3.3. იგი ვერც ანდერძისმიერი მემკვიდრის უფლებით ისარგებლებს, რადგანაც ანდერძი ნოდარმა სიცოცხლეშივე გაანადგურა [სსკ-ის 1344-ე და 1398 „გ„ ქ/პუნქტი];
 - 3.4. მერის საკუთრება სახლზე არც ხანდაზმულობით არ შეუძენია [სსკ-ის 167-ე მუხლი];
 - 3.5. მერი ვერც მესაკუთრედ ყოფნის პრეზუმციას დაეყრდნობა [სსკ-ის 158-ე მუხლი].

შუალედური შედეგი: ლატავრას მოთხოვნა მერის მიმართ საცხოვრებელი სახლის დაბრუნების თაობაზე წარმოიშვა სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე.

¹⁵⁷ იხ. 159-ე მუხლი – კეთილსინდისიერია მფლობელი, რომელიც ნივთს მართლზომიერად ფლობს, ან რომელიც უფლებამოსილ პირად შეიძლება იქნეს მიჩნეული საქმიან ურთიერთობებში საჭირო გულმოდგინე შემონმების საფუძველზე.

II. მოთხოვნის შეწყვეტა

კაზუსი არ შეიცავს მოთხოვნის შემწყვეტ გარემოებებზე მითითებას;

III. მოთხოვნის განხორციელება

შესაძლოა სსკ 163-ე მუხლის მესამე ნაწილი მერის ანიჭებდეს საცხოვრებელი სახლის დაკავების უფლებას, მანამ სანამ ლატავრა არ ანაზღაურებს განეულ ხარჯებს [70 000 \$]: ფაბულის მიხედვით მან ეს უფლება გამოიყენა, მაგრამ მისი მოთხოვნა შეწყვეტილია სსკ 442-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 444-ე მუხლის საფუძველზე [განხილული იქნება ქვემოთ]; შესაბამისად, სახლის დაბრუნების მოთხოვნა განხორციელებადია.

შედეგი: ლატავრას აქვს მოთხოვნა მერის მიმართ საცხოვრებელი სახლის დაბრუნების თაობაზე სამოქალაქო კოდექსის 172-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე.

ბ) მერის მოთხოვნა ლატავრას მიმართ საცხოვრებელ სახლზე განეული ხარჯების – 70 000\$ ანაზღაურების თაობაზე შეიძლება გამომდინარეობდეს სსკ-ის 163-ე მუხლის მეორე ნაწილის პირველი წინადადებიდან.

სამართლებრივი წინაპირობები:

- ა) ლატავრა სახლის მესაკუთრე;
- ბ) მერი ლატავრას კუთვნილი საცხოვრებელი სახლის მფლობელი;
- გ) მერი საცხოვრებელი სახლის არაუფლებამოსილი კეთილსინდისიერი მფლობელია;
- დ) მერის მიერ მფლობელობის დროს ნივთის გაუმჯობესება და ხარჯების გაღება;
- ე) ხარჯები არ უნდა იყოს კომპენსირებული ნივთით სარგებლობითა და მისგან მიღებული ნაყოფით.

I. მოთხოვნის წარმოშობა

1. ლატავრა საცხოვრებელი სახლის მესაკუთრე [+ უკვე განხილულია].

2. მერი ფლობს ლატავრას საცხოვრებელ სახლს [+] – 155.1?
 - 1.1. მერი საკუთარი ნებით ახორციელებს ნივთზე ფაქტობრივ ბატონობას [+];
 - 1.2. მერის არ გააჩნია ნივთის ფლობის უფლება, რადგანაც არ არსებობს ამის არც გარიგებისმიერი და არც კანონისმიერი საფუძველი [+] სსკ-ის 162-ე მუხლი [უკვე განხილულია].
2. მერი ფლობას ახორციელებს კეთილსინდისიერად [+ სსკ-ის 163-ე მუხლის პირველი ნაწილი]; მართალია, მერის მფლობელობა ხარვეზიანია, მაგრამ იგი ამ ფაქტის მიმართ კეთილსინდისიერია;¹⁵⁸
3. მერის მიერ კეთილსინდისიერი მფლობელობის დროს კაპიტალური რემონტის ჩატარება საცხოვრებელ სახლში და ამისათვის მის მიერ ფულადი სახსრების [\$ 70 000] გაღება [+];
4. მერის მიერ გაღებული ხარჯები სრულად არ არის კომპენსირებული საცხოვრებელი სახლით სარგებლობითა და მისგან მიღებული ნაყოფით [+] – სსკ-ის 163-ე მუხლის მეორე ნაწილის პირველი წინადადება;
 - 4.1. მერი შვიდი თვე სარგებლობდა სახლით და ამით მან დაზოგა \$ 4200, რაც უნდა გამოაკლდეს გაღებულ ხარჯებს, 70 000 – 4200 = \$ 65 800.

შუალედური შედეგი: მერის ლატავრას მიმართ წარმოეშვა \$ 65 800-ის ანაზღაურების მოთხოვნა სსკ-ის 163-ე მუხლის მეორე ნაწილის პირველი წინადადების საფუძველზე.

I. მოთხოვნის შეწყვეტა

1. ლატავრასაც გააჩნია ნამდვილი ფულადი მოთხოვნა მერის მიმართ ფერწერული ტილოს გასხვისებით მიყენებული ზიანის – \$ 200 000 ანაზღაურების თაობაზე სსკ-ის 982-ე მუხლის პირ-

¹⁵⁸ „მფლობელობის მართლზომიერება ობიექტური, ნორმატიული შეფასების საგანია, ხოლო მფლობელის კეთილსინდისიერება კი, სუბიექტური. ამ უკანასკნელში ვლინდება პირის დამოკიდებულება ნივთის ფლობის სამართლებრივი საფუძვლის, მართლზომიერების მიმართ„. იხ. სასამართლო პრაქტიკა, უზ.სას. საქმე № 1ას-1245-1265-2011 31 იანვარი, 2012 წელი.

ველი და 979-ე მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე [რასაც ქვემოთ განვიხილავთ].

2. როგორც მერის, ისე ლატავრას მოთხოვნათა შესრულების ვადა დამდგარია [+] სსკ-ის 442-ე მუხლის პირველი ნაწილი.
3. გასაქვითი მოთხოვნები მთლიანად ვერ ფარავენ ერთმანეთს, ამიტომ გაიქვითება მერის მოთხოვნა – 200 000 - 65 800 = \$134 200 [+] სსკ-ის 444-ე მუხლი;
4. ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვის ხელშემშლელი გარემოებები სახეზე არ არის – სსკ 447-ე მუხლი;

შედეგი: მერის მოთხოვნა ლატავრას მიმართ შეწყვეტილია.

გ) ლატავრას მოთხოვნა მერის მიმართ ფერწერული ტილოს გასხვისებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე შესაძლოა დაეფუძნოს სსკ-ის 982-ე მუხლის პირველ ნაწილსა და 979-ე მუხლის მეორე ნაწილს.

სამართლებრივი წინაპირობები:

1. ლატავრა – ფერწერული ტილოს მესაკუთრე;
2. მერის მიერ ლატავრას ქონებრივი სიკეთის ხელყოფა – ფერწერული ტილოს გასხვისება;
3. გასხვისებაზე ლატავრას, უფლებამოსილი პირის, არც წინასწარი და არც შემდგომი თანხმობის არ არსებობა;
4. მერის გამდიდრება;
5. ზიანი – ტილოს დაბრუნების შეუძლებლობის გამო ლატავრას ქონებრივი მასის შემცირება [დანაკლისი].

1. მოთხოვნის წარმოშობა

1) ლატავრა – ფერწერული ტილოს მესაკუთრე [+];

1.1. ტილოს ადრინდელი მესაკუთრე იყო ნოდარი, რომელიც ავტოავარიში დაიღუპა. მისი გარდაცვალების შედეგად გაიხსნა სამკვიდრო [+] სსკ-ის 1319-ე მუხლი;

1.2. ფერწერული ტილო შედიოდა სამკვიდრო მასაში [+] სსკ-ის 1332.1;

1.3. მამკვიდრებლის ქონების გადასვლა სხვა მემკვიდრეებზე ხორციელდება კანონით ან ანდერძით, ანდა ორივე საფუძვლით [სკ-ის 1306.1];

1.4. მართალია, ნოდარმა სიცოცხლეში მერის სასარგებლოდ შეადგინა ანდერძი, მაგრამ მოგვიანებით მან ანდერძი გააუქმა და მას სხვა საანდერძო განკარგულება არ გაუკეთებია [სსკ-ს 1344-ე და 1398-ე მუხლები];

1.5. ნოდარს დარჩა ერთადერთი კანონისმიერი მემკვიდრე – ლატავრა [+] სსკ-ის 1336-ე მუხლი [+];

1.6 ლატავრა კანონის საფუძველზე გახდა ნოდარის ქონების, მათ შორის: 200 000 აშშ დოლარად ღირებული ფერწერული ტილოს მესაკუთრე [+] სსკ-ის 1433-ე მუხლი;

1.7. ფაბულის მიხედვით ლატავრას საკუთრების უფლების წარმოშობის დამაბრკოლებელი გარემოებები, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 1434-ე, 1310-ე, 1344-ე მუხლებით სახეზე არ არის;

2. მერიმ გაყიდა ფერწერული ტილო 240 000 აშშ დოლარად მესამე პირზე [+] სსკ 477-ე მუხლის პირველი ნაწილი;

3. მერის არ გააჩნდა გასხვისებაზე უფლებამოსილი პირის – ლატავრას თანხმობა [+] სსკ-ის 103.1;

3.1. ლატავრას წინასწარ არ გაუცია თანხმობა და მან არც შემდგომში მოიწონა განკარგვა;

[+] სსკ-ის 102-ე მუხლი;

3.2. მესამე პირი – შემძენი – გახდა ტილოს მესაკუთრე [+] სსკ 186-ე, 187.1 მუხლები;

3.3. არ არსებობენ მესამე პირის მიერ საკუთრების შეძენის გამომრიცხავი გარემოებები – შემძენის არაკეთილსინდისიერება და სსკ-ის 187-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული გარემოებები [+];

4. მერი გამდიდრდა – მისი ქონებრივი მასა გაიზარდა ლატავრას ქონების შემცირების ხარჯზე [+];

4.1. გამდიდრების მოცულობა შეადგენს \$200 000-\$65 800= \$134 200 [+] სსკ 979-ე მუხლის მეორე ნაწილი, 442-ე მუხლის პირველი ნაწილი და 444-ე მუხლი;

4.2. არ არსებობს ტილოს გასხვისებით მიღებული მოგების [\$40 000], რომელიც აღემატება ლატავრას ქონებრივ დანაკლისს, მოთხოვნა [+] სსკ 985-ე მუხლის პირველი ნაწილი;

4.3. არ არსებობენ მერის გამდიდრების გამომრიცხავი გარემოებები [+] სკ-ის 979-ე მუხლის მესამე ნაწილი;

5. მესამე პირისაგან ქონების დაბრუნება შეუძლებელია, მისი კეთილსინდისიერების გამო [+] სსკ 979-ე მუხლის მეორე ნაწილი;

5.1. ზიანი – ლატავრას ქონებრივი მასა შემცირდა \$134 200-ით [+].

შუალედური შედეგი: მოთხოვნა წარმოიშვა.

II-III. მოთხოვნის შეწყვეტა/განხორციელება

კაზუსი არ შეიცავს მოთხოვნის შემწყვეტ, ან განხორციელების ხელშემშლელ გარემოებებზე მითითებას;

შედეგი: ლატავრას შეუძლია მერისაგან მოითხოვოს ფერწერული ტილოს გასხვისებით მიყენებული ზიანის – \$134 200-ის ანაზღაურება.

საერთო შედეგი:

1. ლატავრას შეუძლია მერისაგან მოითხოვოს საცხოვრებელი სახლის დაბრუნება სსკ 172-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე;
2. ლატავრას შეუძლია მერისაგან მოითხოვოს ფერწერული ტილოს გასხვისებით მიყენებული ზიანის – \$134 200-ის ანაზღაურება სსკ 982-ე მუხლის პირველი და 979-ე მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე.

კაზუსი № 15

ძველი თბილისის მუნიციპალიტეტმა დაამტკიცა ძველი თბილისის ერთ-ერთი უძველესი ქუჩის (ბარათაშვილის ქუჩის), რეაბილიტაციის გეგმა, რომლის თანახმად 2013 წლის განმავლობაში უნდა მომხდარიყო ერთ-ერთი ქუჩაზე მდებარე 20 საცხოვრებელი სახლის ფასადების რეაბილიტაცია. დამტკიცებული ბიუჯეტის 1 000 000 ლარის ფარგლებში მოხდა ტენდერის გამოცხადება და კომპანია „მშენებელთან„ გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულება. სამუშაოები სამშენებლო კომპანიის მიერ წარდგენილი ხარჯთაღრიცხვის საფუძველზე ექვემდებარებოდა ანაზღაურებას. ჯიმი ბოგვერადის სახლის რეაბილიტაციას დაგეგმილზე მეტი თანხა დასჭირდა ვინაიდან სახლის სახურავი ავარიულ მდგომარეობაში იყო. აღნიშნულის შესახებ სამშენებლო კომპანიამ დაუყოვნებლივ შეატყობინა მუნიციპალიტეტს, რომელმაც წერილობით შეატყობინა მესაკუთრეს რომ აღნიშნული სამუშაო რეაბილიტაციის გეგმაში არ შედიოდა. თუმცა რეაბილიტაციის გეგმით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულება ბოგვერადის საკუთრებაში არსებულ სახლზე შემდგომი სწრაფი დაზიანების საფრთხეს შეიცავდა სახურავის შეუკეთებლობის შემთხვევაში. დაზიანებული სახურავი ყოველწითიერ საფრთხეს უქმნიდა თავად მესაკუთრის ქონებას. შესაბამისად მუნიციპალიტეტი მესაკუთრეს წერილობით თხოვდა, თავად შეეკეთებინა სახურავი, წინააღმდეგ შემთხვევაში სამშენებლო კომპანია შეასრულებდა აღნიშნულ სამუშაოს რაც დაჯდება 50 000 ლარის ფარგლებში. მესაკუთრისგან წერილობითი პასუხი არ მიუღიათ თუმცა მესაკუთრის მიერ მშენებლებთან გაკეთებული ზეპირი განმარტებები (მითითებები სახურავის მასალის შერჩევასა და სხვა დეტალებთან დაკავშირებით) ცხადყოფდა, რომ მესაკუთრე თავად არ აპირებდა სახურავის შეკეთებას და არ იყო კატეგორიული წინააღმდეგი აღნიშნული სამუშაო სამშენებლო კომპანიას შეესრულებინა, შესაბამისად მუნიციპალიტეტმა სამშენებლო კომპანიას სახლის გადახურვის განკარგულება მისცა. სახლის გადა-

ხურვის ხარჯების ანაზღაურება რეაბილიტაციის ფარგლებში დამტკიცებული თანხით მოხდა მუნიციპალიტეტის მიერ 2013 წლის დეკემბერში, თუმცა მუნიციპალიტეტი თვლის რომ აღნიშნული არ შედიოდა რეაბილიტაციის გეგმასა და მიზნებში. შესაბამისად სახლის გადახურვის ხარჯებს 50 000 ლარის ოდენობით მესაკუთრისგან ითხოვა. რეაბილიტაციის გეგმაში მკაფიოდაა მითითებული, რომ დაიფარება მხოლოდ ფასადის რეაბილიტაციის ხარჯები. მესაკუთრე მიიჩნევს, რომ მან არ უნდა გადაიხადოს აღნიშნული თანხა, ვინაიდან მისი გამოხატული ნება არ დაფიქსირებულა, თუმცა მუნიციპალიტეტის წერილის მიღებას არ უარყოფს. აქვს თუ არა მუნიციპალიტეტს 50 000 ლარის მოთხოვნის უფლება მესაკუთრისაგან და რომელი სამართლებრივი საფუძვლით?

I. A-ს ჯ.ბ.-სგან შესაძლებელია ჰქონდეს ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის უფლება სსკ 717-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად

სსკ-ის 709-ე მუხლის შესაბამისად ნამდვილი დავალების ხელშეკრულება

- ორი ურთიერთმფარავი ნების გამოვლენა, ოფერტი და აქცეპტი და უნდა არსებობდეს მხარეთა შეთანხმება ხელშეკრულების არსებით პირობებზე სსკ-ის 327-ე მუხლის თანახმად (-);
- სსკ-ის 329-ე მუხლის თანახმად ოფერტი ხელშეკრულების დადების შესახებ;
 - თუ ის მიმართულია პირთა განსაზღვრული წრისადმი (+);
 - და თანხმობის შემთხვევაში ოფერენტი თანახმაა შეასრულოს თავისი წინადადება – კერძოდ სახეზე უნდა იყოს ბოჭვის ნება (+);
- სსკ-ის 329-ე მუხლის ჯ.ბ.-ს მხრიდან აქცეპტი გამოხატული არ არის (-);
 - ჯ.ბ.-ის მიერ სამშენებლო კომპანიის წარმომადგენლებთან გაკეთებული ზეპირი განმარტებები გადახურვის მასალას-

თან დაკავშირებით არ ადასტურებს მესაკუთრის ნებას, და ის ვერ ჩაითვლება კონკლუდენტურ აქტეპტად (-);

- o ჯ.ბ.-ის მიერ დუმილი როგორც აქტეპტი სკ-ის 334-ე და 335-ე მუხლებით გათვალისწინებული გამონაკლისის მიხედვით (-).

დასკვნა: შესაბამისად დავალების ხელშეკრულება მუნიციპალიტეტსა და ჯ.ბ.-ს შორის არ დადებულა (-).

II. A-ს შესაძლებელია ჰქონდეს 50 000 ლარის – ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის უფლება ჯ.ბ.-სგან სსკ 973-ე მუხლის შესაბამისად

ამისათვის აუცილებელია სახეზე იყოს

- შემსრულებელი
- მის მიერ განეული ხარჯები

1. შემსრულებლის ლეგალური დეფინიცია გათვალისწინებულია სსკ-ის 969-ე მუხლით. წინაპირობები:

- ასრულებს
- სხვის საქმეს
- დავალების ან სხვა სამართლებრივი საფუძვლის გარეშე

1.1. შესრულება – ჯ.ბ.-ის სახლის სახურავის შეკეთების ხარჯების 50.000 ლარის დაფარვმა მუნიციპალიტეტის მიერ სამშენებლო კომპანიის მიმართ (+).

1.2. სხვისი საქმე (+)

- საქმე სხვისი ინტერესებისა და უფლებების სფეროს უნდა განეკუთვნებოდეს. „სხვისი საზრუნავი“ უნდა იყოს (+).
- შემსრულებელი შეგნებულად უნდა ასრულებდეს სხვის საქმეს (+).

თუ პირი სხვის საქმესთან ერთად საკუთარსაც ასრულებს, ეს გარემოება თავისთავად არ გამოორიცხავს ამავე საქმის შესრულებით შემსრულებლის მიერ დავალების გარეშე სხვისი საქმის შესრულებასაც (+).

რომ საჯარო უფლებამოსილების განმახორციელებელი ორგანოს მიერ სხვისი საქმის შესრულების ობიექტურად შეცნობადობის აუცილებლობა – წერილით უდავოდ დასტურდება (+).

1.3. დავალების ან სხვა საფუძვლის გარეშე (+).

1.3.1. მხარეთა შორის არ არსებობს დავალების ან სხვა სახის ხელშეკრულება, შდ. I ნაწილი (-), რომლის ძალითაც მუნიციპალიტეტი ვალდებულია იკისროს მესაკუთრის სახურავის შეკეთების ხარჯების ანაზღაურება (+).

1.3.2. შემსრულებელს არ უნდა გააჩნდეს საქმის უსასყიდლოდ (ან მესამე პირისაგან ანაზღაურების სანაცვლოდ) შესრულების სხვა სამართლებრივი საფუძველი მეპატრონის მიმართ (+).

o რეაბილიტაციის გეგმა, როგორც სამართლებრივი საფუძველი – ამ ხარჯებში არ იყო გათვალისწინებული დაზიანებული სახურავის შეკეთება და ის ვერ შექმნის სახურავის შეკეთებისათვის სამართლებრივ საფუძველს (+).

შუალედური შედეგი: შემსრულებელი სსკ-ის 973-ე მუხლის პირველი წინაპირობის გაგებით სახეზეა

2. რამდენად მოხდა მუნიციპალიტეტის მიერ ჯ.ბ.-ის სასარგებლოდ ხარჯების განევა (+).

o A-მ გადაიხადა ჯ.ბ.-ის სახურავის შეკეთების ხარჯები 50.000 ლარი, შესაბამისად ხარჯების განევა უდავოდ სახეზეა (+).

o A-ს მიერ განეული ხარჯების აუცილებლობა სსკ-ის 973-ე მუხლის გაგებით (+).

3. ხარჯების ანაზღაურების გამომრიცხავი საფუძველი სსკ-ის 974-ე მუხლის შემადგენლობა. მეპატრონის ნება (სავარაუდო ნება) ან მისი ინტერესი (+).

4. დაცულია თუ არა შემსრულებლის მხრიდან სსკ-ის 971, 972-ე მუხლებით გათვალისწინებული დამატებითი ვალდებულებები, რომელთა შემოწმებაც მესაკუთრის მიერ აღნიშნული საკითხის დასმის შემთხვევაში საჭირო იქნება.

o შეტყობინება (+).

o ანგარიში – აღნიშნულის შესახებ ფაბულაში მითითებული არ არის, თუმცა ის არ ახდენს ზეგავლენას მოთხოვნის წარმოშობაზე.

დასკვნა: A-ს უფლება აქვს ჯ.ბ.-საგან სსკ-ის 973-ე მუხლის შესაბამისად მოითხოვოს 50 000 ლარის ოდენობით ხარჯების ანაზღაურება.

III. A-ს შესაძლებელია ჰქონდეს მოთხოვნის დანახარჯების ანაზღაურება ჯ.ბ.-საგან ასევე სკ-ის 986-ე მუხლის შესაბამისად

წინაპირობებია:

- პირის მიერ შეგნებულად ხარჯების განევა მესამე პირის ქონებაზე (+).
- რასაც მოჰყვა მესამე პირის გამდიდრება – დანაზოგის სახით (+).
- არ უნდა არსებობდეს ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული მოთხოვნის გამომრიცხავი საფუძვლები (+).

დასკვნა: შესაბამისად, მუნიციპალიტეტს აქვს ასევე ჯ.ბ.-საგან სკ-ის 987-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად თავისი დანახარჯების – 50 000 ლარის მოთხოვნის უფლება.

IV. მოთხოვნის შემწყვეტი ან მოთხოვნის განხორციელების დამაბრკოლებელი გარემოებები

მოცემული კაზუსის ფარგლებში არ იკვეთება მოთხოვნის შემწყვეტი ან მოთხოვნის განხორციელების დამაბრკოლებელი გარემოებების არსებობა, შესაბამისად მოთხოვნა წარმოიშვა, არ შეწყვეტილა და განხორციელებადია.

I. A-ს ჯ.ბ.-საგან შესაძლებელია ჰქონდეს ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის უფლება სსკ 717-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად

სახეზე უნდა იყოს მარწმუნებელი, რწმუნებული და ამ პირის მიერ მინდობილი მოქმედების შესრულება. კერძოდ მხარეთა შორის უნდა არსებობდეს ხელშეკრულება, რომლის ძალითაც მარწმუნებელი რწმუნებულს ანდობს გარკვეული მოქმედების შესრულებას.

ასეთი რომ სახეზე იყოს მხარეთა შორის უნდა არსებობდეს ორი ურთიერთმფარავი ნების გამოვლენა.

მაგალითისათვის, მინდობილი მოქმედების დროს წარმოშობილი ხარჯების ანაზღაურების ვალდებულება წარმოიშობა თუ სახეზეა სსკ-ის 709-ე მუხლის შესაბამისად ნამდვილი დავალების ხელშეკრულება.

დავალების ხელშეკრულების ნამდვილობისათვის საჭიროა სახეზე იყოს ორი ურთიერთმფარავი ნების გამოვლენა, ოფერტი და აქცეპტი და უნდა არსებობდეს მხარეთა შეთანხმება, ხელშეკრულების არსებით პირობებზე სსკ-ის 327-ე მუხლის თანახმად

სსკ-ის 329-ე მუხლის თანახმად ოფერტი ხელშეკრულების დადების შესახებ სახეზეა, თუ ის მიმართულია პირთა განსაზღვრული წრისადმი და თანხმობის შემთხვევაში ოფერენტი თანახმაა შეასრულოს თავისი წინადადება – კერძოდ სახეზე უნდა იყოს ბოჭვის ნება.

მოცემული კაზუსის ფარგლებში მუნიციპალიტეტმა წერილობით მიმართა მესაკუთრეს თხოვნით, თავად შეეკეთებინა სახურავი, წინააღმდეგ შემთხვევაში სამშენებლო კომპანია შეასრულებდა აღნიშნულ სამუშაოს რაც დაჯდება 50 000 ლარის ფარგლებში.

ეს წერილობითი შეტყობინება მიმართული იყო კონკრეტული პირთა წრისადმი, კერძოდ ჯ.ბ-სადმი. ამასთან ჯ.ბ-ის მიერ საკუთარი ძალებით სახურავის შეკეთებაზე უარის შემთხვევაში ის მზადყოფნას გამოთქვამდა სახურავის შეკეთება თავად უზრუნველყო რაც 50 000 ლარამდე დაჯდება. შესაძლებელია მუნიციპალიტეტის შეთავაზება ჩაითვალოს ოფერტად, კერძოდ თუ ჯ.ბ. თანხმობას გამოთქვამდა აღნიშნულ შეთავაზებაზე მუნიციპალიტეტი იღებდა ვალდებულებას მითითებული პირობებით შეასრულებინა შეთავაზებაში გათვალისწინებული ვალდებულება.

ჯ.ბ.-ს მხრიდან აქცეპტი არ განხორციელებულა. არც ჯ.ბ.-ს დუმილი ჩაითვლება ამ შემთხვევაში აქცეპტად, ვინაიდან არ არსებობს სსკ-ის 334-ე და 335-ე მუხლებით გათვალისწინებული გამონაკლისი, როდესაც დუმილი შესაძლოა აქცეპტად ჩაითვალოს. ჯ.ბ.-ის

მიერ სამშენებლო კომპანიის წარმომადგენლებთან გაკეთებული ზეპირი განმარტებები გადახურვის მასალასთან დაკავშირებით არ ადასტურებს უდავოდ მესაკუთრის ნებას, და ის ვერ ჩაითვლება კონკლუდენტურ აქცეპტად.

შესაბამისად დავალების ხელშეკრულება მუნიციპალიტეტსა და ჯ.ბ.-ს შორის არ დადებულა (-).

II. A-ს შესაძლებელია ჰქონდეს 50 000 ლარის – ხარჯის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება ჯ.ბ.-სგან სსკ-ის 973-ე მუხლის შესაბამისად

ამისათვის აუცილებელია სახეზე იყოს

- შემსრულებელი
- მის მიერ განეული ხარჯები

1. შემსრულებლის ლეგალური დეფინიცია გათვალისწინებულია სკ-ის 969-ე მუხლით. კერძოდ შემსრულებელი მოცემულ კონტექსტში არის პირი რომელიც

- ასრულებს
- სხვის საქმეს
- დავალების ან სხვა სამართლებრივი საფუძვლის გარეშე

1.1. შესრულება ეს არის პირის მიერ ნებელობითი გააზრებული ქმედება, (ფაქტობრივი მომსახურება ან ამ მომსახურების უზრუნველყოფა მესამე პირთა მიერ). მოცემულ შემთხვევაში მუნიციპალიტეტმა სამშენებლო კომპანიას, რომელთანაც იმყოფებოდა სახელშეკრულებო ურთიერთობაში დაავალა ჯ.ბ.-ის სახლის სახურავის შეკეთება 50.000 ლარის ფარგლებში და იკისრა სამშენებლო კომპანიის მიმართ ამ ხარჯის დაფარვა. (+)

1.2. სხვისი საქმე

- საქმე სხვისი ინტერესებისა და უფლებების სფეროს უნდა განეკუთვნებოდეს. „სხვისი საზრუნავი“, უნდა იყოს.
- შემსრულებელი შეგნებულად უნდა ასრულებდეს სხვის საქმეს.

მოცემულ შემთხვევაში დავას არ ინვეს, რომ ჯ.ბ.-ის საკუთრებაში არსებული სახლისთვის სახურავის შეკეთება სწორედ მესაკუთრის ინტერესებისა და უფლებების სფეროს განეკუთვნება, მისი საზრუნავია.

სხვისი საქმის შესრულება მოიცავს როგორც შემსრულებლის შეგნებას (ცოდნას), ასევე სურვილს შეასრულოს სხვისი საქმე. (მდრ. ასევე სსკ-ის 975-ე მუხლი)

ის, რომ შემსრულებელი – მუნიციპალიტეტი აცნობიერებდა რომ ეს საქმე სწორედ ჯ.ბ.-ს საქმე იყო და შეგნებულად იკისრა აღნიშნული, ესეც დავას არ ინვეს.

თუმცა აქვე შეიძლება დაისვას კითხვა, ხომ არ ასრულებდა მუნიციპალიტეტი საკუთარ საქმესაც. კერძოდ, კაზუსის თანახმად სახურავის შეუკეთებლობა საფრთხეს უქმნიდა როგორც მესაკუთრის ქონებას, ასევე რეაბილიტაციის გეგმით დამტკიცებულ შესასრულებელ სამუშაოებს სამომავლოდ. შესაბამისად შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ მუნიციპალიტეტი საკუთარ საქმესაც ასრულებდა. თუმცა თუ პირი სხვის საქმესთან ერთად საკუთარსაც ასრულებს, ეს გარემოება თავისთავად არ გამოორიცხავს ამავე საქმის შესრულებით შემსრულებლის მიერ დავალების გარეშე სხვისი საქმის შესრულებასაც. (+)

გასათვალისწინებელია ასევე, რომ საჯარო უფლებამოსილების განსახორციელებელი ორგანოს მიერ სხვისი საქმის შესრულების შემთხვევაში სხვისი საქმის შესრულება არ არის საკმარისი ობიექტურად შეცნობადი იყოს, აუცილებელია გამოხატული იყოს სხვა პირის საქმის შესრულების შეცნობადი ნება. ის რომ მუნიციპალიტეტი სხვის საქმეს ასრულებდა ობიექტურადაც შეცნობადია, ვინაიდან მუნიციპალიტეტმა მესაკუთრის მიერ მითითებულ ნერილში გარკვევით განმარტა, რომ სახურავის შეკეთება არ შედიოდა მის კომპეტენციაში და რომ ეს ვალდებულება მესაკუთრეს ეკისრებოდა.

1.3.დავალების ან სხვა საფუძვლის გარეშე.

1.3.1. მხარეთა შორის არ არსებობს დავალების ან სხვა სახის ხელშეკრულება, შდ. I ნაწილი (-), რომლის ძალითაც მუნიციპალიტეტი ვალდებულია იკისროს მესაკუთრის სახურავის შეკეთების ხარჯების ანაზღაურება.

1.3.2. შემსრულებელს არ უნდა გააჩნდეს საქმის უსასყიდლოდ (ან მესამე პირისაგან ანაზღაურების სანაცვლოდ) შესრულების სხვა სამართლებრივი საფუძველი მეპატრონის მიმართ, თუმცა ეს არ გამორიცხავს სხვა მესამე პირების მიმართ ვალდებულების არსებობას. ამ შემთხვევაში ის, რომ აღნიშნული თანხის ანაზღაურება მუნიციპალიტეტმა იკისრა სამშენებლო კომპანიასთან მიმართებით, არ მიუთითებს სამართლებრივი საფუძველის არსებობაზე მეპატრონის მიმართ.

სამართლებრივ საფუძველს შესაძლოა წარმოადგენდეს რეაბილიტაციის გეგმა, რომლის ძალითაც მუნიციპალიტეტი ვალდებულია იღებდა გათვალისწინებულ კონკრეტულ ქუჩაზე არსებული სახლებისათვის ფასადის შეკეთებასთან დაკავშირებული სარეაბილიტაციო სამუშაოები უზრუნველყო და ხარჯები დაეფარა. თუმცა ამ ხარჯებში არ იყო გათვალისწინებული დაზიანებული სახურავის შეკეთება და ის ვერ შექმნის სახურავის შეკეთებისათვის სამართლებრივ საფუძველს (+).

შუალედური შედეგი: შემსრულებელი სსკ-ის 973-ე მუხლის პირველი წინაპირობის გაგებით სახეზეა

2. რამდენად მოხდა მუნიციპალიტეტის მიერ ჯ.ბ.-ის სასარგებლოდ ხარჯების განევა.

A-მ გადაიხადა ჯ.ბ.-ს სახურავის შეკეთების ხარჯები 50.000 ლარი, შესაბამისად ხარჯების განევაც უდავოდ სახეზეა. შესაძლოა დამატებით მსჯელობას საჭიროებდეს A-ს მიერ განეული ხარჯები რამდენად იყო აუცილებელი სსკ-ის 973-ე მუხლის გაგებით. მოცემული ფაბულის ფარგლებში არ არსებობს დამატებითი ინფორმაცია ამასთან დაკავშირებით, რაც მესაკუთრის მიერ ხარჯების აუცილებლობის შესახებ შედავების საფუძველი იქნებოდა,

შესაბამისად განუული ხარჯები აუცილებლად შეიძლება ჩაითვალოს. (+)

3. ხარჯების ანაზღაურების ვალდებულება გამოირიცხება, თუ არსებობს სსკ-ის 974-ე მუხლის შემადგენლობა. კერძოდ თუ სხვისი საქმის შესრულება ეწინააღმდეგება მეპატრონის ნება ან მის ინტერესს. აღნიშნული წესი არ მოქმედებს იმ შემთხვევაში თუ ეს ეწინააღმდეგება კანონის ნორმებს.

მოცემულ შემთხვევაში მეპატრონის ნება გამოკვეთილი არ არის, თუმცა შესაძლოა მეპატრონის სავარაუდო ნებაზე მსჯელობა. კერძოდ უდავოა რომ მეპატრონემ მიიღო და გაეცნო მუნიციპალიტეტის მიერ გაგზავნილ წერილს. ამასთან უდავოა, რომ სახურავის შეკეთების სამუშაოები მის თვალწინ მიმდინარეობდა და მესაკუთრესა და სამშენებლო კომპანიას შორის გარკვეულწილად კონსულტაციებიც კი მიმდინარეობდა, რაც მითუთიებს, რომ მიმდინარე სამუშაოები მეპატრონის ნებას არ ეწინააღმდეგებოდა და მის სავარაუდო ნებას შეესაბამებოდა. ამასთან, ესეც რომ არა, სახურავის შეკეთება, რომელიც ყოველწუთიერ საფრთხეს უქმნიდა მეპატრონის საკუთრებას, ნებისმიერი ობიექტური დამკვირვებლის თვალთ უნდა შეფასდეს მეპატრონის ინტერესების შესაბამის ქმედებად. დამატებითი ინფორმაცია, რომელიც მეპატრონის ნებისა თუ ინტერესის არსებობას გამოირიცხავდა, მოცემულ კაზუსში არ იკვეთება. (+)

4. დაცულია თუ არა შემსრულებლის მხრიდან სსკ-ის 971, 972-ე მუხლებით გათვალისწინებული დამატებითი ვალდებულებები, რომელთა შემონახვაც მესაკუთრის მიერ აღნიშნული საკითხის დასმის შემთხვევაში საჭირო იქნება.

შესაძლოა სამსჯელო იყოს, რამდენად მოხდა სსკ-ის 971-ე მუხლის თანახმად მეპატრონისათვის შეტყობინება, რომ შემსრულებელი შეუდგა სხვისი საქმის შესრულებას. მოცემულ შემთხვევაში უდავოა, რომ შეტყობინება წერილობითი სახით განხორციელდა, შესაბამისად სსკ-ის 971-ე მუხლის მოთხოვნაც დაკმაყოფილებულია. რაც შეეხება სსკ-ის 972-ე მუხლით გათვალისწინებული ან-

გარიშის წარდგენის ვალდებულებას, აღნიშნული წარდგენა თავად მეპატრონემ უნდა მოითხოვოს და ანგარიშის მიღებამდე უფლება-მოსილია თავი შეიკავოს ხარჯების ანაზღაურებისგან.

დასკვნა: A-ს უფლება აქვს ჯ.ბ.-საგან სსკ-ის 973-ე მუხლის შესაბამისად მოითხოვოს 50 000 ლარის ოდენობით ხარჯების ანაზღაურება.

III. A-ს შესაძლებელია ჰქონდეს მოთხოვნის დანახარჯების ანაზღაურება ჯ.ბ.-საგან ასევე სსკ-ის 986-ე მუხლის შესაბამისად წინაპირობებია:

- პირის მიერ შეგნებულად ხარჯების განევა მესამე პირის ქონებაზე
 - რასაც მოჰყვა მესამე პირის გამდიდრება
 - არ უნდა არსებობდეს ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული მოთხოვნის გამომრიცხავი საფუძვლები
1. მუნიციპალიტეტმა გააზრებულად გაიღო მესაკუთრის სახურავის შეკეთების ხარჯები სამშენებლო კომპანიის წინაშე, შესაბამისად პირის მიერ შეგნებულად ხარჯების განევა მესამე პირის ქონებაზე სახეზეა.
 2. რასაც მოჰყვა მესამე პირის გამდიდრება
საკითხავია, სახურავის შეკეთების შედეგად გამდიდრდა თუ არა მესაკუთრე. გამდიდრება შეიძლება გამოიხატოს როგორც ნივთის ღირებულების გაზრდაში (შეკეთებული სახურავით ქონების ღირებულების მომატებაში), ან დანაზოგში, რომელიც მესაკუთრემ გააკეთა. კერძოდ, ხარჯები რომელიც მას უნდა გაეღო, მუნიციპალიტეტმა დაფარა. შესაბამისად, ჯ.ბ.-ის გამდიდრება სახეზეა.
 3. არ უნდა არსებობდეს ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული მოთხოვნის გამომრიცხავი საფუძვლები
მოცემული ფაზულის ფარგლებში არ იკვეთება გარემოებები, რომლებიც სსკ-ის 987-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული მოთხოვნის გამომრიცხავი გარემოებებია.

დასკვნა: შესაბამისად, მუნიციპალიტეტს აქვს ასევე ჯ.ბ.-საგან სსკ-ის 987-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად თავისი დანახარჯების – 50 000 ლარის მოთხოვნის უფლება.

IV მოთხოვნის შემწყვეტი ან მოთხოვნის განხორციელების დამაბრკოლებელი გარემოებები

მოცემული კაზუსის ფარგლებში არ იკვეთება მოთხოვნის შემწყვეტი ან მოთხოვნის განხორციელების დამაბრკოლებელი გარემოებების არსებობა, შესაბამისად მოთხოვნა წარმოიშვა, არ შეწყვეტილა და განხორციელებადია.

კაზუსი № 16

შპს „ნუგბარსა“ და შპს „შუშას“-ს შორის 2008 წლიდან არსებობს შეთანხმება შპს „ნუგბარისათვის“ მინის ქილების მიწოდებასთან (ნასყიდობასთან) დაკავშირებით თითო ქილა 30 თეთრად. მიწოდება პერიოდულად ხდება შპს „ნუგბარის“ მიერ გაკეთებული განაცხადის საფუძველზე, ადგილზე მიტანით შპს „ნუგბარის“ იურიდიულ მისამართზე – მარნეული, რუსთაველის № 25-ში. 2011 წლის 10 სექტემბერს შპს „ნუგბარმა“ შესთავაზა შპს „შუშას“ 20.000 ქილის მიწოდება 2011 წლის 22 დეკემბრისათვის თითო 30 თეთრად, როგორც მათ შორის მიღებული იყო. იმის გამო, რომ ბაზარზე მინის წარმოებისათვის საჭირო მასალა გაძვირდა, შპს „შუშამ“ განაცხადა თანხმობა მაგრამ არა 30 თეთრზე, არამედ 40 თეთრზე. შპს „ნუგბარი“ – საგან პასუხი მიღებული არ იქნა.

2011 წლის 22 დეკემბერს შპს „შუშამ“ 20.000 და დამატებით კიდევ 5000 ქილა, მიიტანა შპს „ნუგბარის“ იურიდიულ მისამართზე – მარნეული, რუსთაველის № 25-ში, მაგრამ აღმოჩნდა, რომ შპს

„ნუგბარს“ შეუცვლია საწარმოს ადგილსამყოფელი და გადასული იყო გარდაბანში, რის შესახებაც არ შეატყობინა შპს „შუშას“.

შპს „შუშამ“ ქილები შესანახად მიაბარა მარნეულში, რუსთაველის № 28-ში მდებარე საწყობში. ამის შემდეგ შპს „შუშამ“ დაადგინა შპს „ნუგბარის“ საწარმოს ახალი ადგილსამყოფელი და აცნობა მას, რომ ქილები ინახებოდა მარნეულში, რუსთაველის № 28-ში მდებარე საწყობში. შპს „ნუგბარმა“ ქილების წასაღებად საწყობს მიაკითხა 2011 წლის 28 დეკემბერს, თუმცა გამოირკვა, რომ 2011 წლის 27 დეკემბერს დიდთოვლობის გამო საწყობის სახურავი ჩამოინგრა და ქილები მთლიანად განადგურდა.

2012 წლის 15 თებერვალს შპს „შუშა“-მ შპს „ნუგბარის“-გან მოითხოვა 25.000 ცალი მინის ქილის ღირებულების – 10000 ლარის, ასევე 2011 წელს საწყობში ქილების მიბარებით გამოწვეული დამატებითი ხარჯების – 100 ლარის ანაზღაურება.

შპს „ნუგბარი“ მოთხოვნებს არ ცნობს და მიუთითებს, რომ მოთხოვნები დამატებითი ხარჯების ანაზღაურებისა და 25.000 ცალი მინის ქილის ღირებულების გადახდის თაობაზე უსაფუძვლოა, რადგან ისინი შეთანხმებული იყვნენ ქილის ღირებულებაზე 30 თეთრის ოდენობით და არა 40 თეთრზე, გარდა ამისა შესრულების საგანი განადგურების გამო ვერ მიიღეს, რაშიც მათ ბრალი არ მიუძღვით.

როგორ უნდა გადაწყდეს დავა? პასუხი დაასაბუთეთ.

თემატიკა:

1. ნასყიდობა – სსკ-ის 477-ე მუხლი;
2. იურიდიული მისამართის შეცვლის გამო წარმოშობილი ხარჯები – სსკ-ის 363-ე მუხლის მეორე ნაწილი;
3. ოფერტი და აქცეპტი – სსკ-ის 329, 330-ე მუხლები;
4. ოფერენტის თანხმობის ვარაუდი – სსკ 334-ე მუხლი;

შპს „შუშა“ – გამყიდველი; შპს „ნუგბარი“ – მყიდველი;

პირველი მოთხოვნა

20000 მინის ქილისა და ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებულზე მეტის – 5000, სულ 25000 მიწოდებული მინის ქილის ფასის გადახდა;

შესაძლებელია ეს მოთხოვნა გამომდინარეობდეს სსკ-ის 477-ე მუხლის მეორე ნაწილიდან.

მოთხოვნის წარმოშობა

სამართლებრივი წანამძღვრები:

ა) შპს „შუშასა“-სა და შპს „ნუგბარს“-ს შორის ნამდვილი ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლითაც მყიდველი კისრულობს ვალდებულებას გადაუხადოს გამყიდველს ნასყიდობის ფასი. (+)

ა.ა. გამყიდველის ნების ნამდვილობა – სსკ-ის 329-ე მუხლი (+);

ა.ბ. მყიდველის მიერ ნების გამოვლენა – სსკ-ის 330-ე მუხლი (+);

ა.გ. არსებით პირობებზე შეთანხმება საამისოდ გათვალისწინებული ფორმით – სსკ-ის 327-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილები (+);

ა.დ. გამყიდველის მიერ შეთანხმებით განსაზღვრული 20000 მინის ქილისა და დამატებით, შეთანხმებით გათვალისწინებულზე მეტი რაოდენობის – 5000 მინის ქილის მიწოდება ხელშეკრულებით განსაზღვრულ მისამართზე (+).

ბ) მყიდველის მიერ ვალდებულების დარღვევა – ხელშეკრულებით შეთანხმებული ფასის არგადახდა. (+)

ბ.ა მყიდველის შესაგებლიდან გამომდინარე პრობლემატურია:

1. ერთი ქილის ფასი – არსებობს მყიდველის თანხმობა 30 თეთრზე და არა 40 თეთრზე;

2. მყიდველმა ვერ მიიღო საქონელი იმის გამო, რომ ის განადგურდა.

შუალედური შედეგი: მოთხოვნა წარმოიშვა ნაწილობრივ – მიწოდებული 20000 მინის ქილის ღირებულების – 8000 ლარის (20000 X 40 თეთრზე = 8000) ნაწილში.

მოთხოვნის შეწყვეტა:

კაზუსის ფაბულა არ შეიცავს მოთხოვნის შემწყვეტ გარემოებებზე მითითებას.

მოთხოვნის განხორციელება:

კაზუსის ფაბულის მიხედვით არ არსებობს გარემოებები, რომლებიც დროებით ან მუდმივად აფერხებენ მოთხოვნის განხორციელებას.

შედეგი: მოთხოვნა წარმოიშვა ნაწილობრივ – მიწოდებული 20000 მინის ქილის ღირებულების – 8000 ლარის (20000×40 თეთრზე = 8000) ნაწილში.

მეორე მოთხოვნა:

დამატებითი ხარჯების ანაზღაურება 100 ლარის ოდენობით.

შესაძლებელია ეს მოთხოვნა გამომდინარეობდეს სსკ-ის 363-ე მუხლის მეორე ნაწილიდან.

მოთხოვნის წარმოშობა

სამართლებრივი წანამძღვრები:

ა) შპს „შუშას“ მიერ ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე შპს „ნუგზარისათვის“ ნასყიდობის საგნის მიწოდება – სსკ-ის 361-ე მუხლის მეორე ნაწილი (+);

ბ) შპს „ნუგზარის“ მიერ ვალდებულების შესრულებამდე იურიდიული მისამართის შეცვლა სსკ-ის 363-ე მუხლის მეორე ნაწილი (+);

გ) მყიდველის იურიდიული მისამართის შეცვლის გამო გამყიდველისათვის დამატებითი ხარჯების წარმოშობა სსკ-ის 363-ე მუხლის მეორე ნაწილი (+).

შუალედური დასკვნა: მოთხოვნა წარმოიშვა.

მოთხოვნის შეწყვეტა

კაზუსის ფაბულა არ შეიცავს მოთხოვნის შემწყვეტ გარემოებებზე მითითებას.

მოთხოვნის განხორციელება

კაზუსის ფაბულის მიხედვით არ არსებობს გარემოებები, რომლებიც დროებით ან მუდმივად აფერხებენ მოთხოვნის განხორციელებას.

შედეგი: მოთხოვნა წარმოიშვა.

სამართლებრივი დასკვნა:

შპს „შუშას“-ს მოთხოვნა შპს „ნუგბარის“-ს მიმართ ნასყიდობის ფასის გადახდის თაობაზე.

მოთხოვნა შეიძლება გამომდინარეობდეს სსკ-ის 477-ე მუხლის მეორე ნაწილიდან.

მოთხოვნის წარმოშობა:

მოთხოვნის წარმოშობის წინაპირობაა შპს „შუშასა“ და შპს „ნუგბარს“ შორის ნამდვილი ნასყიდობის ხელშეკრულების დადება. ხელშეკრულება ორი ან რამდენიმე პირის შეთანხმებაა, რომლითაც ისინი კონკრეტული სამართლებრივი შედეგის მიღწევას ისახავენ მიზნად. სახელშეკრულებო უფლებები და მოვალეობები წარმოიშობა მხოლოდ ხელშეკრულების დადების შემდეგ. ამიტომ დიდი პრაქტიკული მნიშვნელობისაა საკითხი, თუ რა მომენტიდან ჩაითვლება ხელშეკრულება დადებულად. სსკ-ის 327-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ხელშეკრულება დადებულად რომ ჩაითვალოს, აუცილებელია მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით. ამასთანავე არ უნდა არსებობდეს ხელშეკრულების ნამდვილობის შემაფერხებელი გარემოებები.

მხარეების მიერ ხელშეკრულების არსებით პირობებზე შეთანხმება ოფერტისა და აქცეპტის მეშვეობით ხორციელდება. სსკ-ის 329-ე მუხლის I ნაწილის შესაბამისად, ხელშეკრულების დადების შესახებ წინადადება ითვლება შეთავაზებულად, თუ ამ წინადადებაში, რომელიც მიმართულია ერთი ან რამდენიმე პირისადმი გამოხა-

ტულია, რომ წინადადების მიმცემი თანხმობის შემთხვევაში მზადაა შეასრულოს თავისი წინადადება (სამართლებრივი ბოჭვის ნება).

ოფერტი არის მიღება სავალდებულო ცალმხრივი ნების გამოვლენა, რომლის საშუალებითაც ერთი მხარე მეორეს ისეთი სახით (ფორმით) სთავაზობს ხელშეკრულების დადებას, რომ ეს უკანასკნელი დამოკიდებულია მხოლოდ მის სრულ თანხმობაზე. ამრიგად მხოლოდ ოფერტი სამართლებრივ შედეგს ვერ წარმოშობს. იგი არის ნების გამოვლენა ხელშეკრულების დასადავად და სამართლებრივ შედეგს გამოიწვევს მხოლოდ მაშინ, როცა მეორე მხარე – აქცეპტანტი ამ ნებას მიიღებს და დათანხმდება ხელშეკრულების დადებაზე. აქცეპტი არის უპირობო თანხმობა ოფერტზე. მაშასადამე, ნამდვილი ნასყიდობის ხელშეკრულების არსებობის წინაპირობაა ორი ურთიერთმფარავი ნების გამოვლენა ოფერტის და აქცეპტის სახით და ასევე შეთანხმება ხელშეკრულების არსებით პირობებზე (საგანი, ფასი) საამისოდ გათვალისწინებული ფორმით (ხელშეკრულების არსებითი პირობები ესსენციალია ნეგოტიი).

ა) მყიდველის შპს „ნუგბარის“ მხრიდან ნების გამოვლენა სსკ-ის 329-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად არის ოფერტი, რომელსაც ახასიათებს ბოჭვის ნება, მოიცავს ყველა არსებით პირობას, მიმართულია ამ შემთხვევაში შპს „შუშას“ მიმართ და საჭიროებს მხოლოდ მის თანხმობას.

ბ) შპს „შუშას“ მხრიდან ადგილი აქვს შემხვედრი ნების გამოვლენას არის თუ არა აქცეპტი? ხელშეკრულება აქცეპტის მეშვეობით მხოლოდ მაშინ ჩაითვლება დადებულიად, როცა ორივე მხარეს სურს გათვალისწინებული შედეგის დადგომა. პრაქტიკულად ეს იმას ნიშნავს, რომ აქცეპტანტმა უპირობოდ უნდა განაცხადოს თანხმობა შემოთავაზებულ პირობებზე. თუ აქცეპტანტი ამას არ გააკეთებს და ცდილობს ხელშეკრულება დადოს ოფერტისგან განსხვავებული პირობებით, ოფერტი არ ჩაითვლება მიღებულად, შესაბამისად ხელშეკრულება დადებულიად. თუმცა აქცეპტი, რომელიც ოფერტისგან განსხვავებულ პირობებს შეიცავს, განიხილება ახალ ოფერტად.

ამ ზოგადი წესიდან გამონაკლისი გათვალისწინებულია სსკ-ის 334-ე მუხლში, კერძოდ, „თუ საქმიან ურთიერთობებში აქცეპტი ხორციელდება შეცვლილი პირობებით, ხელშეკრულება ჩაითვლება დადებულად, თუკი აქცეპტანტს უფლება ჰქონდა ევარაუდა ოფერენტის თანხმობა და ეს უკანასკნელი მაშინათვე არ განაცხადებს უარს“. სსკ-ის 334-ე მუხლის გამოყენების წინაპირობებია: ა) იგი გამოიყენება მხოლოდ საქმიან ურთიერთობებში მყოფ პირთა მიმართ. ბ) აუცილებელია, რომ აქცეპტი ხორციელდებოდეს შეცვლილი პირობებით. იგი უნდა შეიცავდეს ოფერენტისაგან განსხვავებულ პირობებს, მაგალითად, აქცეპტანტი სთავაზობს სხვა ფასს. ეს ცვლილებები არსებითია თუ უმნიშვნელო, ამას პრაქტიკულად მნიშვნელობა არ აქვს. გ) აქცეპტანტი უნდა ვარაუდობდეს, რომ ოფერენტი არ იქნება წინააღმდეგი მიიღოს ოფერტი შეცვლილი პირობებით. მნიშვნელოვანია, თუ რა საფუძველი უნდა ჰქონდეს აქცეპტანტს ასეთი ვარაუდისათვის, რას ეყრდნობა მისი მოსაზრება, რომ ოფერენტი მიიღებს მის პირობას – ცვლილება ემყარება ობიექტურ წინაპირობებს, რომლებიც ოფერენტისათვის ცნობილია, მაგალითად, მოიმატა ნედლეულის ფასმა. დ) ოფერენტი არ უნდა იყოს წინააღმდეგი დადოს ხელშეკრულება შეცვლილი პირობებით. კანონი ოფერენტს უფლებას ანიჭებს არ დაეთანხმოს აქცეპტანტს და არ მიიღოს შეცვლილი პირობები. ოღონდ აუცილებელია, რომ ამის შესახებ მაშინათვე განუცხადოს აქცეპტანტს. მაშასადამე, სსკ-ის 334-ე მუხლის თავისებურება იმაში გამოიხატება, რომ ამ დროს შესაძლებელია აქცეპტი განსხვავდებოდეს ოფერტში შემოთავაზებული პირობები-საგან და მაინც დაიდოს ხელშეკრულება.

სამართლებრივად მნიშვნელოვანია ნასყიდობის საგნის რაოდენობა. სსკ-ის 493-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ საქონლის რაოდენობა აღემატება ხელშეკრულებით გათვალისწინებულს, მაშინ მყიდველს შეუძლია მიიღოს ეს რაოდენობა და მოვალეა გადაიხადოს სახელშეკრულებო ფასის პროპორციულად, ან მიიღოს მხოლოდ ის რაოდენობა, რაც ხელშეკრულებითაა გათვა-

ლისწინებული, ხოლო ზედმეტი დააბრუნოს უკანვე გამყიდველის ხარჯზე.

კაზუსის ფაბულიდან გამომდინარე, მყიდველს სურდა 20.000 ქილის შეძენა. ზედმეტი რაოდენობის (5000 ქილა) მიწოდება არ აკმაყოფილებს სსკ-ის არც 51 (3)-ე და არც 334-ე მუხლის წინაპირობებს. შესაბამისად, მყიდველს არ ჰქონდა შესაძლებლობა სცოდნოდა ნასყიდობის საგნის რაოდენობის გაზრდის შესახებ, ამიტომაც არაა სახეზე მიღება სსკ-ის 493 (2)-ე მუხლის დანაწესიდან გამომდინარე.

შესაბამისად, მხარეები შეთანხმდნენ ნასყიდობის ხელშეკრულებისთვის დამახასიათებელ არსებით პირობებზე: საგანი, ფასი, ვალდებულების შესრულების დრო. სახეზეა ნამდვილი ნასყიდობის ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს სსკ-ის 477-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით გათვალისწინებულ უფლება-მოვალეობებს, კერძოდ, ნასყიდობის ხელშეკრულებით გამყიდველი მოვალეა გადასცეს მყიდველს საკუთრების უფლება ქონებაზე, მასთან დაკავშირებული საბუთები და მიაწოდოს საქონელი. მყიდველი მოვალეა გადაუხადოს გამყიდველს შეთანხმებული ფასი და მიიღოს ნაყიდი ქონება.

შუალედური დასკვნა: მხარეთა შორის დადებულია ნამდვილი ნასყიდობის ხელშეკრულება 20.000 მინის ქილის თაობაზე.

სსკ-ის 361-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, სახელშეკრულებო ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. გამყიდველის მხრიდან ვალდებულება შესრულდა ხელშეკრულების შესაბამისად, თუმცა კი მყიდველის მხრიდან ადგილი ჰქონდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფასის გადახდის ვალდებულების დარღვევას.

მოთხოვნის შეწყვეტა

კაზუსის ფაბულა არ შეიცავს მოთხოვნის შემწყვეტ გარემოებებზე მითითებას. მყიდველის არგუმენტი, რომ არ არსებობს თანხის გადახდის ვალდებულება იმის გამო, რომ მხარეთა შორის

თითქოსდა არ არსებობს სახელშეკრულებო ურთიერთობა, მხედველობაში არ მიიღება, რადგან სსკ-ის 334-ე მუხლის შესაბამისად, ნასყიდობის ხელშეკრულება დადებულად ითვლება.

მყიდველის არგუმენტი, რომ არ არსებობს თანხის გადახდის ვალდებულება იმის გამო, რომ შესრულების საგანი განადგურების გამო ვერ მიიღეს, რაშიც მათ ბრალი არ მიუძღვით, მხედველობაში არ მიიღება სსკ-ის 363-ე მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე, კერძოდ, თუ ვალდებულების შესრულებამდე იცვლება კრედიტორის საცხოვრებელი ადგილი ან იურიდიული მისამართი და ამის გამო საფრთხე ექმნება შესრულებას, მაშინ კრედიტორს ეკისრება საგნის გადაცემის მოსალოდნელი საფრთხის რისკი.

მხედველობაშია მისაღები სსკ-ის 482-ე მუხლის პირველი ნაწილის დანაწესიც, კერძოდ, გაყიდული ნივთის გადაცემასთან ერთად მყიდველზე გადადის ნივთის შემთხვევითი დაღუპვის ან დაზიანების რისკი, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმებულან. სსკ-ის 483-ე მუხლის თანახმად კი, საქონელი მიღებულად ჩაითვლება, თუ მყიდველი შეასრულებს ისეთ მოქმედებას, რომელიც მოწმობს მის მიღებას.

მოთხოვნის განხორციელებადობა

კაზუსის ფაბულის თანახმად არ არსებობს გარემოებები, რომლებიც დროებით ან მუდმივად აფერხებენ მოთხოვნის განხორციელებას

შუალედური დასკვნა:

შპს შუშას (გამყიდველს) სსკ-ის 477-ე მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე შპს „ნუგბარისაგან“ (მყიდველისგან) აქვს 8.000 ლარის გადახდის მოთხოვნის უფლება.

მეორე მოთხოვნა

„ბ“-ს მოთხოვნა „ა“-ს მიმართ ნასყიდობის ხელშეკრულების საგნის შენახვის და ტრანსპორტირების გამო წარმოშობილი დამატებითი ხარჯის 100 ლარის გადახდის შესახებ.

მოთხოვნა შეიძლება გამომდინარეობს სსკ-ის 363-ე მუხლის მეორე ნაწილიდან.

მოთხოვნის წარმოშობა

შპს „შუშასა“ და შპს „ნუგბარს“ შორის დადებული ნამდვილი ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე გამყიდველის ძირითად ვალდებულებას წარმოადგენდა მყიდველისთვის 20000 ცალი მინის ქილის მიტანა შეთანხმებულ ადგილას. სსკ-ის 361-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. ვალდებულების შესრულების ადგილია ის ადგილი, სადაც მოვალე ახორციელებს ვალდებულების შესასრულებელ ბოლო მოქმედებას. სსკ-ის 363-ე მუხლის მეორე ნაწილიდან გამომდინარე, თუ ვალდებულების შესრულებამდე იცვლება კრედიტორის საცხოვრებელი ადგილი ან იურიდიული მისამართი და ამის გამო იზრდება ხარჯები, მაშინ კრედიტორს ეკისრება გაზრდილი ხარჯების ანაზღაურება.

იურიდიულ ლიტერატურასა და სასამართლო პრაქტიკაში აღნიშნული ნორმა განმარტებულია იმგვარად, რომ შესრულების ადგილის შეცვლით გამოწვეული უარყოფითი შედეგების რისკის მატარებელია ხელშეკრულების ის მხარე, რომლის საცხოვრებელი ადგილის ან საწარმოს ადგილსამყოფელის შეცვლამ გამოიწვია ეს უარყოფითი შედეგები. ხარჯების გაზრდა შეიძლება გამოიწვიოს მრავალმა გარემოებამ, უმეტესწილად ეს გამოწვეულია საგნის შესანახად მიბარებით, ტრანსპორტირებით და ა.შ. სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებამდე მყიდველის საწარმოს ადგილსამყოფელის შეცვლის გამო, გამყიდველმა დამატებით განია ხელშეკრულების საგნის მიბარების ხარჯები – 100 ლარის ოდენობით.

შუალედური დასკვნა: შპს „შუშას“ სსკ-ის 363-ე მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე აქვს შპს „ნუგბარის“ მიმართ ნასყიდობის ხელშეკრულების საგნის შენახვის გამო წარმოშობილი დამატებითი ხარჯის – 100 ლარის გადახდის მოთხოვნა.

მოთხოვნის შეწყვეტა

კაზუსის ფაბულა არ შეიცავს მოთხოვნის შემწყვეტ გარემოებებზე მითითებას. მყიდველის არგუმენტი, რომ არ არსებობს თანხის გადახდის ვალდებულება იმის გამო, რომ მხარეთა შორის თითქოსდა არ არსებობს სახელშეკრულებო ურთიერთობა, მხედველობაში არ მიიღება, რადგან სსკ-ის 334-ე მუხლის შესაბამისად, ნასყიდობის ხელშეკრულება დადებულია ითვლება.

მოთხოვნის განხორციელებადობა

კაზუსის ფაბულა არ შეიცავს მოთხოვნის განხორციელების გამომრიცხველ გარემოებებზე მითითებას.

შუალედური დასკვნა: სსკ-ის 363-ე მუხლის მეორე ნაწილიდან გამომდინარე დამატებითი ხარჯების ანაზღაურების შესახებ მოთხოვნა განუხორციელებელია.

საბოლოო დასკვნა:

- 1) შპს „შუშას“ სსკ-ის 477-ე მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე შეუძლია შპს „ნუგზარისგან“ მოითხოვოს ნასყიდობის ფასის – 8000 ლარის გადახდა.
- 2) შპს „შუშას“ სსკ-ის 363-ე მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე შეუძლია მოითხოვოს შპს „ნუგზარისგან“ ნასყიდობის ხელშეკრულების საგნის შენახვის ხარჯები 100 ლარის ოდენობით.

